

644 /  
1962/5



Օրալըրան

4



## შინაჯარი

მ. ჯაპახაძე — უდიდესი და უღიადესი (ლექსი)	3
რ. ბეჟანიშვილი — ჩვენი უკანასკნელი თამაში (რომანი. გაგრძელება)	4
შ. ნიჟინიანიძე — ლექსები	37
მ. ურჯუმილაშვილი — საოცრება (მოთხრობა)	41
მ. იაქაშვილი — უმარილო კაცი (მოთხრობა)	49
რ. ასაძე — ლექსები (თარგმნა ზ. ლორთქიფანიძემ)	62
მ. ბართაბა — ლექსები	64
მ. ლოსვიციძე — თეთრი სვიტერი (მოთხრობა. თარგმნა. ე. ჭავჭავაძემ)	65
მ. კახიძე — ვინ ჩაგიწყვიტა მამილო ეგ ხმა... (ლექსი)	72
მ. პრინტაპი — როგორ ვირწმუნო გზაზე თქვენი ფეხის აცდენა (ლექსი)	73
მ. ბეჟარი — სიმღერა ცისფერ ღროშაზე (ლექსი)	74
კუშბა — დიდ მეგობრობის შუქითა ბრწყინავს (ლექსი. გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა)	75
მ. ჯანაშვილაშვილი — ლექსები	76
მ. შრიდამორი — თავი შობის დღესასწაულზე (მოთხრობა. შვედურიდან თარგმნა დავით გორდელაძემ)	78
მ. შამანაძე — დიდ სოფელში (ლექსი)	83
ს. იორაშვილი — ცივი ხელი (მოთხრობა)	85

888

4

1962

აკრილი

გამომცემლობა „საბავთა მწიგნალი“







კრიტიკა და ბუზღლიცისნიკა

6. ასათიანი — მოთხრობა. შკითხველი. დრო	98
3. ღონაძე — კოლონიალიზმის დღეები დათვლი- ლია . . . . .	112
6. ზიზინაძე, ქ. ხაჩიაშვილი — უცნობი ფურც- ლები პოეტის ატქვილდან . . . . .	120
რ. ორჯონიძემ — ლადო ასათიანი . . . . .	130
3. პრისტავი — შექსპირის 107-ე სონეტის შე- სახებ . . . . .	132
ა. ხანაური — მოუშისა და ვეფხვის ბალადა . . . . .	135

სკორბი

0. ნორგვი — ევერესტზე * (ნარკვევი. თარგმნა ლ. ჩხეიძე) . . . . .	137
--	-----

უცველი მხრიდან

კრონიკა . . . . .	158
-------------------	-----



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

- ჯ. ჩარკვიანი (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი,
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ზელმოწერილია დასაბუქლად 19/IV-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 322. უე 03787. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფვამომცემლობის ბეჭდვათი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

## პეტრე ჯავახიძე

### უდიდესი და უღიადესი

აღისფერ დროშებს ნიავე არხევს,  
წალმა ტრიალებს ცხოვრების ჩარხი,  
ლენინის სახეს,  
ლენინის სახელს,  
ლენინის საქმეს ადიდებს ხალხი.  
ხალხმა დაღუწა ხუნდები ჩაგვრის,  
აღმართა მტკიცე შომავლის ხილი:  
კარგი კი არა —  
ძალიან კარგი,  
დიდი კი არა —  
ძალიან დიდი.  
ბორკილთა მსხვერვეის საუკუნეა,  
მიეუახლოვდით ნანატრ კარიბჭეს,  
ფეხი აუწყო მთელმა დუნია  
თავისუფალი ხალხის ნაბიჯებს.  
ლენინის სახელს,  
ლენინის საქმეს  
ყველგან კეთილი დაუდგა დარი  
და ახლა უფრო ამაყად არხევს  
ოქტომბრის დროშებს აპრილის ქარი.  
ქარმა დაფლითა წყვედიადის ფარდა,  
მზემ გაანათა გზები შორეთის.  
ის იყო ხალხთან,  
ის არის ხალხთან,  
ხალხთან იქნება იგი ყოველთვის.  
ყოველთვის ხალხის თვალთ ზომავდა  
გზებს სახვალთ დიდი ცხოვრების:  
იგი უსმენდა „მთვარის სონატას“,  
თუ მას უსმენდნენ მილიონები.  
მილიონების გულში ნიადაგ  
გზას გაიკაფავს მისი ანდერძის  
ყოველი სიტყვა — დიდი,  
დიდი,  
უდიდესი და  
უღიადესი.



როსტომ ბაქანიშვილი

# ჩვენ უკნესნარი თქაუნი

რომანი

14

ქუჩაში შუქი თიმთიმებდა. ნაწვიმარ ასფალტზე მუქ სილუეტებად ჩანდა ადამიანების ლანდები.

თათია გზას დაფიქრებული მიჰყვებოდა. გონებაში არა უტრიალებდა-რა, იგი ჩვეულ თვლემას წაელო, მიდიოდა და ეძინა. რატომღაც ეს ნაწვიმარი საღამო დარდიან გუნებაზე აყენებდა. იგი თავს უყრიდა ყველაფერს, რაც მის გრძელ ცხოვრებაში მომხდარიყო. მთელი მისი ცხოვრება ბინდბუნდი იყო და იგი ამას ახლა, სიცოცხლის მიმწუხრზე ხედებოდა. წინათ ამაზე არ ფიქრობდა, ეს არ ადარდებდა. მაშინ ვერ გრძნობდა. ახლა ყოველ ნაბიჯზე სული ეხუთებოდა, ჰაერი აღარა ჰყოფნიდა.

სანამ ახალგაზრდა იყო, ჩიოდა, მერე წუწუნებდა, ახლა —ვიშივიშებდა. მარტოობა და სიბერე თავს სულთამხუთავივით დასდგომოდა. წარსულს ვედარაფერი დააბრუნებდა, თუმცა იქაც არ ჰქონდა თათიას არაფერი. ცხოვრებასთან თამაში დასრულდა. თათია ახლა თავისი სიცოცხლის დაისს შესცქეროდა.

ისიც, დაისი არ იგვიანებდა. ყველა გასაქცევი გზა-ბილიკი ჩაკეტა. ჩიხი დაიხურა. ჯერში პანაშვიდი იდგა.

ვაგრძელება. იხ. ცისკარი, № 3.

ეს არ უნდოდა. ამაზე ფიქრს თავგამოდებით ებრძოდა. მობერებულო სული მიანიც არ ურიგდებოდა და ცდილობდა როგორმე მის სუსხიან კლანჭებს დასხლეთოდა.

ყოველი დღე ახალი დარღობით იყო სავსე. ო, როგორ უნდოდა თათიას დრო შეეჩერებინა და მის ტანჯვას ყოველდღე ახალი გესლი აღარ მიმატებოდა. მაგრამ ამ ახალ დღეებს ვერაფერი შეაჩერებდა.

ქუჩა გაილია. მხარჩამოგდებული ჭიშკარი და ბნელი, ნესტიანი ტალანი გამოჩნდა. თათიამ ვიწრო დერეფანი გაიარა და ოთახის კარი შეაღო.

დორამ ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა:

— რათ დაგაგვიანდა, თათი?

— დავიღალე, — თქვა თათიამ და ძირგავარდნილ სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

ეს საკმარისი იყო, რომ დორა ციბრუტივით დატრიალებულიყო. დას საშინაო ტანსაცმელი მოუტანა, ხელები დააბანინა, ასადილა, მუხლგებზე თბილი შალი დაახურა, კალთაში კატა ჩაუგორა, ბუხარი შეანთო და როცა დის სახეზე პაწია ღიმილი დაინახა, თავი ვალმობილად ჩასთვალა.

სადილის ნარჩენი შეჭამა, ჭურჭელი დარეცხა, კიდევ რაღაცა მიიღო, მოაღაგა, ბუხართან სკამი მიაჩოჩა და გაირინდა.

ოთახში დუმილი გამეფდა. სიჩუმე ერთბაშად დაფარა საათის წიკწიკმა. ყველაფერი მიჩუმდა და იღუმალ დვრინში გადავიდა.

მერე თათიამ ზანტად თქვა:

— მადამ ჟოზეფინა ათ მანეთად კერავს შლიაპას. ვთხოვე, მაგრამ არ დამიკლო.

— ის ჯიუტი იყო ყოველთვის, — საუბრის კუდი წამოათრია დორამ.

— ცოტა თავქარიანიც.

— რა მოგახსენო!

საათის წიკწიკი ძლიერდებოდა. ოთახი, წყალში ჩავარდნილ ქვასავით, სწრაფად და შეუჩერებლად, სრულ მყუდროებასა და უმოძრაობაში იძირებოდა. დორამ წიგნი დახურა, უბეები ამოისრისა და დაამთქნარა.

— ელისაბედმა რა გითხრა?

— თავი შემაცოდა, — ამოიოხრა თათიამ. — მაგას რომ აღამიანმა დაუჯეროს, ღარიბ-ღატაკია.

— სხვისა ფულის მითვისებაში ყოჩაღია, — ზერელე ღიმილმა ნაოკი აუშალა დორას.

— ზოგი ალბათ ბუნებით იბადება ფლიდი, — თქვა თათიამ.

— მაგას ოჯახი ყოველთვის გაცუღლუტებული ჰქონდა. მე ძველი ვალები ვედარ მომიგონებია, თორემ მთელი ქონების გაყიდვა დასჭირდებოდა.

— აბა!

ყურებში საშინლად შხუოდა რაღაც. საათი ისე უდარდელად წიკწიკებდა, რომ თათიამ ვედარ მოითმინა, ხელი დასტაცა და ბალიშის ქვეშ შესდო.

— ძალიან ხმაურობს, — თავისთვის ჩაილაპარაკა დორამ.

— მამალივით ყივის! — მიუგო თათიამ.

და ორივეს აუტყდა სიცილი. არ იცოდნენ რა იყო სასაცილო. უნდოდათ რაღაც განსხვავებული გაეკეთებინათ, რათა ამ მძიმე ერთფეროვნებას ჭკუიდან არ შეეშალა.

ბევრი იცინეს. მერე თათიამ ვალერიანის წვეთები დალია, დორამ — პირამიდონი.



სავარძლები ჩაყუჩდნენ. სიჩუმემ ბუხართან მუხლი მოიკეცა. სადღაც თავი აფხაკუნდა. ეზოში ბავშვმა შეჰყვირა. ვილაცასთან სტუმარი ვაჭირ-ვეულებულიყო და ღვინოს არ სვამდა.

დრო მიიზღაზნებოდა. თანდათან ყველაფერი მიილუშა, უძირო თვლემასა და დარდიან ბურანში მისავათდა.

ბუხარი განელდა. სიცივე კარის დირეზე მოჯდა და ფინიასავით აწკმუტუნდა. დებმა სავარძლებიდან ლოგინში გადაინაცვლეს.

ცუდად ეძინათ. ხშირად იღვიძებდნენ. ხან იქვე, საწოლის კუთხეში კენესით ხრიდნენ მუხლებს, ხან ფანჯარას აღებდნენ, რომ ოთახში ჰაერი შემოსულიყო.

ძველ, დამსკდარ ჰერქვეშ, უძილო ღამე, მრავალი ნივთი და ორი შინაბერა იყო.

15

14 ნოემბერი, 1948 წ.

ჩემო ძვირფასო არჩილ!

რა მოგწერო, რით გაგახარო, რაც შენ წახვედი სულ უსიამოვნებაში ვარ. ჩვენ თითქოს შვილები ცუდად გაზრდილი არა გყავს, მაგრამ საკმარისია მოაკლდეს მამაკაცის ხელი, რომ ბოკვერებივით აეშვებიან ხოლმე. ოთარის გამო ორჯერ ვიყავი მილიციაში. გამაფრთხილეს, ასეთი უზნეო შვილი როგორ გყავთო, თურმე არ დარჩენილა სადგურის არცერთი ბროსტიტუტკა, რომ მასთან არ ეცხოვროს. არ ვიცი საიდან შოულობს ფულს, მეზობლებმა მითხრეს ჩუმჩუმად არაყსაც სვამსო. ხედავ არჩილ, რა დღეში ჩავვარდით? ჩემი შვილი, მასწავლებლის შვილი, იმის მაგივრად რომ მაგალითის მიმცემი იყოს მეზობლებისათვის, სახალხოდ თავსა მჭრის. მისი გარყვნილებისა და ლოთობისათვის მილიციაში მიბარებენ, ამის მერე რა გულით უნდა ვიარო სკოლაში, როგორ უნდა მივცე შენიშვნა უწესო ბავშვებს, იმის შიშით რომ არ წამომძახონ — „შენ საკუთარი შვილისათვის ვერ მოგივლიაო“. ხომ ნახე. სანამ შენ ტრიალებდი მათთან როგორ გუგულებივით იყენენ სამივენი. წახვედი და ყირაზე გადადიან. მე ვფიქრობ, ოთარის მხოლოდ სამხედრო სამსახური მოარჯულებს. დაამთავრებს თუ არა სკოლას, სამხედროში მივცეთ და ვნახავ, რეჟიმში რომ ჩაჯდება, მაშინ რაღას იზამს!..

გივი პაპიროსს ეწევა, ორჯერ ჯიბეში ვუნახე თამბაქო. ბიძინამ კი ძმებს იმით „აჯობა“, რომ დადის და მღებავებს ეხმარება, ეს ერთი კვირა კლუბის კედლებს ღებავდა. რომ შევეკითხე, რათ გინდა-მეთქი, „დიდი ფუნჯით მკლავს ვივარჯიშებ, მხატვარს მკლავი ფიზიკურადაც ღონიერი უნდა ჰქონდესო“, — მომიგო... მე არ ვიცი, ეს ვისი თეორიაა, რადგან ოჯახში ჯერ მხატვარი არავინ გვყოლია და არც მათთან გვექონია რაიმე საქმე, მეზობლები კი აშკარად ყურში მაგონებენ, რა გაუჭირდათ სანებლიძეებს იმისთანა, რომ ბავშვს „მალიარის“ შეგირდად ამუშავენენო...

აღარ მიგონებენ, აღარ, არჩილ! სიტყვა-პასუხი ძველებურად თავაზიანი აქვთ, რასაც დავავალებ ხალისით აკეთებენ, მაგრამ რომ დავფიქრდი, მივხვდი, ბავშვივით მატყუებენ, წვრილმანებაში მითმობენ, ვითომ მიგონებენ და ჩემ სურვილებს ასრულებენ, მაგრამ იმ მთავარს კი, რაც გულით უნდათ, მაინც აკეთებენ. მერე ისეთი უტოლდველი იერთ, რომ ხანდახან მრცხვენია კიდევ რამე ვუთხრა. ოთარიმ გამაწითლა რამდენჯერმე: შენ ქალი ხარ დედა, და ჩემი, მა-

მაკაცის სურვილები შენთვის გაუგებარიაო. ასეთი რა განსაკუთრებულ სურვილები უნდა ჰქონდეს ჩემ შვილს, არჩილ, შენ ხომ მამაკაცი ხარ და გაიგე ერთი მისი მამაკაც... ოხ, ეგ მამაძალ... გუშინ თუ გუშინწინ არ იყო, რომ ლოგინიდან ღამე მე ვაყენებდი? განა ისეთი რა გაიზარდა, რომ მე მათი აღარ მესმის? თუმცა, ვგრძნობ არჩილ, გული მიგრძნობს, საღდაც დავშორდით ჩვენა და ჩვენი შვილები ერთმანეთს... ჩვენც ვიყავით მაგზელა, მაგრამ სულ სხვა ოცნებები და იმედები გვქონდა! ესენი რაღაც უცნაურები არიან... იქნება ჩვენც ასეთი ვჩანდით ჩვენი მშობლების თვალში? როცა ჩვენ გვინდა შვილები ჩვენნაირი იყვნენ, ამით ხომ ჩვენ ახალგაზრდობას ვებღაუპებთ, გვინდა, როგორმე შევაჩეროთ ის, რაც მიდის, ჰქნება და არასოდეს დავგიბრუნდება! ამიტომ განვიცდით ასე მტკივნეულად შვილების „სხვანაირ“ ცხოვრებას, ამიტომ გვეწვის გული, ვცდილობთ გარდუვალის შეჩერებას... შეიძლება ჩვენი ახალგაზრდობა ცული ან კარგი იყო, მაგრამ ის ხომ ჩვენი იყო! არა, ეს ეგოიზმი არ არის არჩილ, ეს, უბრალოდ, ყოველი თაობის ტკივილია... რომ დავფიქრდები ეს ასეა, მაგრამ ყოველთვის ხომ არ დავფიქრდები? გული როდის იყო, რომ ფიქრობდა და თუ იფიქრა, განა ის გულიდა იქნება?..

ზამთრისათვის წალკიდან კარტოფილი ჩამოიტანეს სკოლაში. ყველა მასწავლებელმა გადაიხადა ფული და თვითთულს 50 კილო შეხვდა. არა უშავს, კარგი კარტოფილია, მხოლოდ აივანზე ვინახავ და მეშინია არ დაძრეს.

შენი საქმეები როგორ არის? ხმალაძე მართლა მოხსნეს თუ ჭორია? შენ ხომ არაფერი შეგეხება? რაღაც ცული სიზმარი ვნახე, სახეზე საპონი გესვა... ყველაფერი მომწერე. თავს გაუფრთხილდი.

შენი ნანა

19 ნოემბერი

ჩემო ნანა!

მივიღე შენი წერილი. ბავშვების საქციელმა ძალიან შემაწუხა. როცა დავბრუნდები, უთუოდ სამივეს სერიოზულად მოველაპარაკები. ხმალაძის განთავისუფლებასთან დაკავშირებით მე მნიშვნევენ მშენებლობის უფროსად. შეიძლება რამდენიმე დღით მოსკოვს მომიწიოს წასვლა. მეტს ვერაფერს გწერ, იმიტომ რომ მეჩქარება. დაწვრილებით რომ ჩამოვალ — მაშინ.

ბავშვები დამიკოცნე. კარგად მენახე. არჩილი.

3 დეკემბერი, 1947 წ.

ნანა!

კარგად მოიქეცი ჩემო ნანა, რომ დაკრძალვაზე არ წამოხვედი. ეს ჩემი საცოდავი ბიძაშვილი უპატრონობით მომკვდარა. ჯარიდან ინვალიდი დაბრუნებულა, ორივე ფეხი მუხლზემით ჰქონია გადაჭრილი, ექიმებს გაუფრთხილებიათ, რომ თბილი აბაზანები მიეღო და მათ მიერ მიცემული მალამოც ეხმარა. ეს საცოდავი კაცი, გულგატეხილი თავისი უბედურებით, აპყლია ღვინის სმას და თავისი მუხლები სულ დავიწყებია; ჭრილობა გახსნილა, დაჩირქებულა განჯრენა დამართნია და მოკლედ...

მე ალბათ რამდენიმე დღეს კიდევ დავრჩები. სახლი უპატრონოდ არის, საბჭოს ჩავაბარებ და მერე თუ შემკვიდრე არავინ გამოუჩნდა, გავყდიოთ.

აუცილებლად მიდი ჩვენს სამინისტროში, ანდრონიკაშვილი ნახე და უთხარი, არჩილმა ვთხოვათ მივლინება 7-სთვის გადაიტანეთო. აუსენი ჩვენი მდგომარეობა, ის ისეთი კაცია, რომ არა მგონია უარი გითხრას. თუ ვინიცოცხა თავისი აიხირა, მაშინ სასწრაფოდ დეპეშით მიცნობე.

წამოსვლისას ვჩქარობდი და მაგიდაზე რაღაც ქაღალდები დამრჩა. ალბათ შეინახავდი. ნახე, იმ ქაღალდებში ორი ათთუშნიანიც უნდა იყოს. თუ ბიჭებმა არ აგცინცლეს უკვე.

აბა, მალე გნახეთ, არჩილი.

16

ომი რომ დაიწყო, მაშინაც სწორედ კვირა დღე იყო და, ჩვეულებისამებრ, მასწავლებელმა უთენია წამოგვიყვანა ზოპარკში. მთელი დილა ვიქაჩანეთ თეთრ დათვებთან და ახლა დალღილები მაიმუნების წინ ვისხედით ჩრდილში. უცბათ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა და ყველა დირექტორის კაბინეტის ფანჯარასთან მოგროვდა, რადიოს ხმა იქიდან მოდიოდა.

მასწავლებელმა მიგვატოვა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა რადიოსაკენ. მალე ვილაყებმა გაიარეს და ხმაძალა თქვეს: „მამაძალი ჰიტლერი!“ მე ეიცოდი, რომ ომში თოფებს ისროდნენ, მაგრამ ეს ისეთივე უცნებელი თამაში მეგონა, როგორც ჩვენი „ომობანა“ უბანში. ამიტომ ძალიან მიკვირდა, ეს ხალხი რამ დააფეთა-მეთქი. როცა მასწავლებელი ჩვენთან დაბრუნდა და დაგვიწყო საუბარი ვერმანიზე, ჩვენ პირდაღებულნი ორანგუტანგს მიგჩერებოდით, რადგან ის თავის წითელ ღუნღულებს გვაჩვენებდა და მარცხენა ხელით ვილაყის მიცემულ პაპიროსსა სწევდა. ჩვენ სიცილს ვერ ვიკავებდით, მასწავლებელი გაჯავრდა, მის საუბარს ყურადღება რომ არ მივაქციეთ და ბოლოს მოგვაძახა: როცა მამათქვენს და თქვენს ძმებს ფრონტზე წაიყვანენ, მაშინ გაიგებთ, რაც მოხდაო. მე ამის მაინცა და მაინც არ შემშინებია. რადგან მაძის წელიწადში ერთხელ თუ ვხვდებოდი, ის ყოველთვის შორეულ მივლინებაში იყო, ამიტომ ჩემთვის დიდი განსხვავება არა ჰქონდა, მამა ფრონტზე იქნებოდა თუ შორეულ მშენებლობაზე. მთავარი ის იყო, რომ მას წლობით ვერ ვხვდავდი.

ცხვრის ფარას რომ მგელი დაუელის და დააფრთხობს, ისე არეული და დამფრთხალი მოვიდოდი შინისაკენ. სახლში რომ მოვედი, დედა ტიროდა. მეზობლის ქალებიც ტიროდნენ, მხოლოდ კლიმენტი ქირია სწმენდა რატომღაც სანადირო თოფს, ხოლო ჰასანა უანგიან ხანჯალს ქვაზე ლესავდა. ქალებისა და დედაჩემის ტირილს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რადგან ქალები სულ ერთად ჩხუბობდნენ და მერე ცალ-ცალკე ტიროდნენ... შევფიქრიათ კლიმენტის თოფისა და ჰასანას ხანჯლის დანახვაზე. იმ საღამოს აღარ ვვითამაშია ბიჭებს. და ყველამ ადრე დავიძინეთ. დედა არასოდეს არ კეტავდა ოთახის კარს, რადგან საერთო დერეფნის კარი იკეტებოდა ხოლმე. იმ დამეს, კარიც დაკეტა და ფანჯარაზეც აკეცილი ფარდები ჩამოშალა. თანდათან ვგრძნობდი, რომ მართლაც დიდი და საგანგებო რამ მომხდარიყო, ასეთ გაურკვეველ ფაცაფუცში და რაღაცის სამზადისში გავიდა რამდენიმე დღე.

ომი ჩემთვის მაშინ დაიწყო, როცა ერთ დღეს, სადილად რომ დავსხედით, დედამ სამი პატარა ნაჭერი პური დაგვიწყო წინ და ძმებს გამოგვიცხადა:

— შვილებო, ხომ გაიგეთ, რომ ომია. დღეიდან თვითიველი თქვენგანი ამ პურს შესჭამს. მეტი არ არის.

— როგორ, მაღაზიაში პური აღარ იყიდება? — ვკითხეთ გოცებულებმა.

— პური იყიდება, მაგრამ ცოტა. ყველა მოქალაქეს ნორმით აძლევენ, ამ წიგნაკებზე, — და დედამ, მაგიდაზე რაღაც ქაღალდები დააწყო, რომლებიც ოცდაათ პატარა უჯრად იყო გაყოფილი და თვითეულს თავზე ეწერა რიცხვი. ქვეით კი — 300 გრ.

— გამოიზოგეთ, ბავშვებო, პური და ნუ იღარდებთ. მალე ისევ ყველაფერი იქნება.

მაგრამ მალე ყველაფერი გამოიღია და გაქრა. ერთი კვირის მერე დედამ რომ ჩაიში ნახევარი კოვზის შაქრის ფხვნილი ჩაგვიყარა, საშლელივით მოცუპნული გამხმარი ყველის ნაჭერი დაგვიგდო და სადილის მერე, ხილის ნაკვალად ცივი წყალი დაგვალევინა, მივხვდით ომი რაც იყო...

აღარ გვქონდა შაქარი,

აღარ გვქონდა შოკოლადი,

აღარ გვქონდა სათამაშოები.

უფროსებისათვის ომი დიდი გაჭირვება და ორჯერ დიდი შრომა იყო.

ისინი —

აღარ იცინოდნენ,

აღარ გვეთამაშებოდნენ.

აღარ გვანებებდნენ.

თვითონ —

აღარ ქეიფობდნენ,

აღარ ჩხუბობდნენ.

ჩვენ ეზოში გახშირდა —

ტირილი,

ღარღი,

ჩურჩული.

უბანში —

აღარავინ მღეროდა.

აღარავინ ცეკვავდა.

მოქუფრული კაცები, ზურგზე ტომრებმოკიდებულნი, ნახევრად ღია ეშელონებში სხდებოდნენ და მიდიოდნენ. საღებურიდან დღე და ღამ ყვირილი და წიოკობა, ტირილი და კვნესა ისმოდა.

პატარებლები მიდიოდნენ, ჩვენი მეზობლებიც მიდიოდნენ, ერთხანს სიჩუმე იყო და მუნჯი მოლოდინი.

მერე, ერთ დღეს, უბანში სამკუთხა წერილი მოვიდა, სადაც ეწერა:

„თქვენი ქმარი ივანე პეტრიაშვილი გმირულად დაეცა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“.

ივანეს ცოლ-შვილი თავში ხელს იცემდა და ღრიალებდა. დაცემა, ვიცოდი რომ ცუდი იყო. მეც ბევრჯერ დავეცემულვარ და ცხვირი გამიტეხია, მაგრამ განა „გმირული დაცემა“ ცუდი იყო?

ამდენი უკვე აღარ ვიცოდი. მაგრამ როცა ასეთივე წერილი ანუსიმ მიიღო და აკივლდა, „ჩემი კლიმენტი აღარ მყავსო“, მაშინ კი მივხვდი „გმირულად დაცემა“ რასაც ნიშნავდა. მომავონდა მეგზოვის ცოლი ავად რომ იყო, მერე ყვითელ ხის ყუთში ჩადეს და სასაფლაოზე წაიღეს. მახსოვს, სანამ მიცვალებულს მოასვენებდნენ, ბავშვები უფრო ადრე მივედით სასაფლაოზე, რატომღაც საფლავის გარშემო დავბტოდი და ვყვიროდი. როცა ხის ყვითელი



ყოფი ორმოში ჩაუშვეს, ცოტა კი გვეწყინა, რადგან ამით ჩვენი გასართობიც მთავრდებოდა.

ეს იყო კარგახნის წინ, მაშინ საბავშვო ბაღში დაეყავდი დედას. ახლაც ვიცი, სიკვდილი რასაც ნიშნავდა, მაგრამ ვიცოდი ეს ისე, როგორც მაგალითად „ბათუმში ნალექი ყველაზე უფრო მეტია“. როცა გავიგე, რომ „ბევრი ნალექი“ სწორი წვიმებია და „გმირულად დაცემა“ კლიმენტისა კი ნიშნავდა იმას, რომ ბიძია კლიმენტი ყვითელ ხის ყუთში უნდა ჩადოთ და მერე ზევიდან მიწა დაეყარათ, თავიდან ფეხებამდე შემაჯრიალა. კლიმენტის ვიცნობდი, მაშასადამე, მისი სიკვდილიც ჩემთვის ფიზიკურად წარმოსადგენი იყო. „გმირულად დაცეაო“ მაშ, კლიმენტი ბიძიას უკვე აღარ შეეძლო საბნიდან გამოვყო მოტყუებული თავი, ვეღარ გამიჯავრდებოდა, პირსაბანთან დილაობით პირს აღარ დაიბანდა, მე ვაშლებს აღარ მომცემდა და თავის ოფლიან ქუდასაც აღარ დამახურებდა... ამას ყველაფერს სხვები გააკეთებდნენ, კლიმენტი ბიძია კი ერთ ადგილას დაკრული უნდა წოლილიყო და სძინებოდა. კლიმენტის დაღუპვამ გასაგები გახადა ჩემთვის სიკვდილი. გავიგე სიკვდილი და მივხვდი, ომი რაც იყო.

კვირაობით ზოობარკში აღარ დავდიოდით. ბოთლებს ვაგროვებდით და ძველ რკინა-რკუნას, ეს ყველაფერი სკოლაში მიგვქონდა, იქიდან კი სამხედროები სადღაც ეზიდებოდნენ. მივიჩნეოდა, ამ დაქუჩყილი სამოვრებით და ჟანგიანი კლიტეებით როგორი ზარბაზნები უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ვიცოდი რომ ახლა შეკითხვების დრო არ იყო და ვცდილობდი, ყველაფერს თავათ მივხვედრილიყავი.

ოლიმპიადები დამთავრდა. მე ახალი ლექსი დამავალეს ზეპირად მესწავლა და წინათ თუ მაგალითად, ლექსს ასე ვამთავრებდი: „დღეს საქართველო ოცი წლისა ხარ“ ახლა, ამის ნაცვლად ვამბობდი: „წითელი არმიავ, დღეს შეგირსულდა ოცდასამი წელი“. ჩემი მოვალეობა იყო, რომ ყოველ წელს თითო რიცხვი მიმემატებინა და მეც 1942 წელს თუ ვთქვი „წითელი არმიავ დღეს შეგირსულდა ოცდაათი წელი-მეთქი“ 1943 წელს მივუმატე და გამოვიდა: „წითელი არმიავ, დღეს შეგირსულდა ოცდახუთი წელი“. ამ ლექსს 1945 წლამდე ვკითხულობდი. მერე ისევ დაიწყო ჩვეულებრივი ოლიმპიადები.

ყველაზე მეტ ტანს ისევ გეურქა ლებულობდა. ის ერთხანს სკოლიდანაც კი განთავისუფლეს, დღე და ღამე სამხედრო ლაზარეთებში იჯდა, არახუნებდა დოლს და მღეროდა იეთიმ გურჯის ლექსებს. გეურქას ბევრი საინტერესო ამბები მოჰქონდა ლაზარეთებიდან. მაგალითად, პირველად მან გვითხრა, რომ ნახა საბჭოთა კავშირის გმირი. მანვე მოიტანა ამბავი, უფხეზბო და უხელებო ჯარისკაცი ვნახეო.

ჩემო მებრძოლო მეგობარო, ჩემო შვილებო!

ომი ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე დიდხანია დამთავრდა. ვანთავისუფლებთ ევროპის დამონებულ ხალხებს. ამ წერილს ბუდაპეშტში ვწერ. ეს წუთია ავიღეთ ქალაქი. მოკითხვა ყველას. მეჩქარება. შტაბში მეძახიან.

თქვენი არჩილი

ნანას პასუხი ვერ მივიდა ადრესატამდე, რადგან ფრონტი ზღაპრული სის-  
 წრაფით მიიწვედა წინ, დასავლეთისაკენ.

4 აპრილი

ჩემო შვილებო და ნანა!

დღეს გავანთავისუფლეთ ვენა! შტრაუსის სამშობლოში საბჭოთა ჯარის-  
 კაცები მოვიდნენ, რათა სამუდამოდ მოსპონ ფაშიზმი. დასავლეთისაკენ! და-  
 სავლეთისაკენ! ათას კილომეტრზე გადაჭიმული ფრონტი ისე გაჩქარებული  
 მიიწვევს დასავლეთისაკენ, რომ მტერს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს.  
 სულ უფრო ახლოვდება სანატრელი დღე. ფაშისტურ მხეცს თავისივე ბუ-  
 ნაგში მოვსპობთ!

რომ დაგანახათ, ჩემო ბიჭებო, ერთი წუთით მაინც, რა ხდება აქ. ათასო-  
 ბით ტანკი, თვითმფრინავი, მილიონობით ჯარისკაცი, რკინის მთებად ქცეულ  
 არმიები გაჩქარებული მიიწვევენ ბერლინისაკენ! გვეჩვენება, რომ დედამიწაც  
 ფეხადგმული მიდის დასავლეთისაკენ.

დასავლეთისაკენ! ბერლინისაკენ!

ღმერთო, ნუ მომკლავ და შემასწარი გამარჯვებას!

იცოცხლეთ და იღვებოდეთ, ჩემო შვილებო!

მამა

სანებლიძეების ოჯახის პასუხი კვლავ ვერ ჩაბარდა ადრესატს, რადგან  
 წერილი რომ ვენაში მივიდა, არჩილის ასეული, უკრაინის პირველ ფრონტთან  
 ერთად, შპრეზე გადადიოდა.

2 მაისი

ჩემო საყვარელო ნანა, ჩემო ძვირფასო ბავშვებო!

იზვიმეთ! რაიხსტაგზე ფრიალებს წითელი დროშა! ცოცხალი გადავრჩი...

თქვენი არჩილი

15 აპრილი, 1944 წ.

ჩემო მეზობლო მეგობარო ნანა, ჩემო ვაჟკაცო შვილებო! ვანთავისუფ-  
 ლებთ ყირიმს. წითელი არმია ძღვევამოსილად მიდის წინ...

არჩილი

არჩილი ისევ დაიჭრა და მაისიდან ივლისამდე მკურნალობდა იალტის  
 ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში, რომელიც სამხედრო ლაზარეთად იყო გადა-  
 კეთებული.

4 სექტემბერი

ჩემო მეზობლო მეგობარო!

მაპატიე, რომ წერილებს ხშირად ვეღარ გწერთ. წერილები ალბათ ნადე-  
 ლიანმა აღამიანებმა გამოიგონეს. როცა ვდარდობდით, მაშინ ბევრს ვწერდით  
 და დროსაც ვპოულობდით. ახლა შეუჩერებლივ მივდივართ წინ. ვანთავისუფ-

ლებთ მოლდავეთს. ჩვენ მხარეს ჰგავს. სიხარულით კინდამ გავგიყდი, როცა შუა ფრონტზე ვენახებს წავაწყდი. ომამდე აქ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ყოფილა. ცოტახნით ცეცხლი რომ შეწყდა, ტყვიისაგან გადარჩენილი მტევნები მოქებნეთ და ნატყვიარ ვაზებსაც მივუალურესეთ. ამაზე მეტი სიხარული რას შეიძლება მოეტანა ქართველი კაცისათვის.

ბავშვებს გაუფრთხილდი. თავს მოუარე.

შენი არჩილი

არჩილი კვლავ დაიჭრა და ოქტომბრიდან იანვრამდე ყირიმში მკურნალობდა.

2 თებერვალი, 1943 წ.

ჩემო მებრძოლო მეგობარო!

როცა ამ წერილს მიიღებ, ის, რასაც გწერ, უკვე ძველი ამბავი იქნება და წითელ არმიას უფრო დიდი და ძლევამოსილი გამარჯვებები ექნება მოპოვებული. მაგრამ დღევანდელი ბრძოლა ალბათ სულ სხვანაირად შევა ისტორიაში. შენ, ჩემო ნანა, ქალი ხარ და ქალიც რომ არ იყო, არ იცი თანამედროვე ომის მასშტაბები, რომ შეგედლოს წარმოდგენა, რას ნიშნავს 22 დღეიზიაზე მეტი ჯარისკაცის ტყვედ ჩაგდება, ისეთი დღეიზიებისა, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახული ჩვენი დაჯგუფების განადგურება, კავკასიის ნავთის საბადოების დაპყრობა, ყუბანისა და ჩრდილოეთ კავკასიის დამონება და მოიბოვებდა რა ამ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებებს, მტერი მოსწყვეტდა ცენტრალურ რუსეთს მისთვის სასიცოცხლოდ საჭირო რაიონებს და ამით გათამამებული, ავი ძალღვივით დადარჯებული თურქეთი საქართველოსა და სომხეთს დაეცემოდა, ხოლო ზღარბივით გატრუნული იაპონია ეკალს აშლიდა და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთს დაეტაკებოდა. ეს ყველაფერი დამოკიდებული იყო რმაზე, როგორ დამთავრდებოდა ვოლგის ბრძოლები. მოკლედ, აქ, ვოლგის მარჯვენა ნაპირზე უნდა გადაწყვეტილიყო ამ ომისა და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ბედიც. როცა ომი დამთავრდება ჩვენი გამარჯვებით (ამაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი) და თუ ცოცხალი გადავრჩი, მოვიგონებ ზმ დღეებს. უფრო დაწვრილებით გავიხსენებ ბრძოლას და დაწყნარებული გონებით განვსაზღვრავ თუ რა მოხდა აქ, ვოლგაზე 42 წლის შემოდგომაზე და 43 წლის დასაწყისში. არც მე და მით უმეტეს, არც შენ არა ვართ სამხედრო სტრატეგი, რომ ბოლომდე გავიგოთ ამ გამარჯვების მნიშვნელობა, მაგრამ ერთი რამ ყველას ესმის: უძლეველი გერმანია — ეს ჭკუათხელი ჰიტლერის ნაბოღვარია. ამ ბრძოლამ გვაჩვენა, რომ გერმანია განადგურდება.

თითქმის ერთი წელია შენგან პასუხი არ ვიცი. უკანასკნელი შენი წერილი მივიღე 9 თუ 10 თვის წინ, ალბათ ისევ ფოსტის ბრალია, მე არ მინდა ვიფიქრო სხვა რამ, არ მინდა ვიფიქრო რაიმე უბედურება და ამით დავზაფრო ეს ბედნიერი წუთები.

გამარჯვებას ყველაზე მეტად ჯარისკაცი გრძნობს და ჯარისკაცი ზეიმობს, თუმცა მას ამისთვის არა სცალია. რომ იცოდე, ნანა, რა ბედნიერი ვარ,



როგორ მინდა სიცოცხლე თქვენთვის, მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის ჩვენი იდეალების საბოლოო განხორციელებისათვის!

გაუფრთხილდი თავსა და შვილებს. გახსოვდეს, რომ მე ყველგან და ყოველთვის თქვენთანა ვარ.

მარად შენი არჩილი

6 მარტი

ჩემო სიცოცხლე არჩილ!

რომ იცოდე რა ბედნიერი ვარ შენთან ერთად. ჩვენ, სკოლაში, სახლში, ქუჩაში თუ ყოველ ნაბიჯზე სახელდახელო მიტინგებს ვმართავთ. სიხარულის ფრთები შეგვესხა ყველას. სკოლაში ბავშვები ისე მუყაითად სწავლობენ, ისეთ თავდადებას იჩენენ, რომ გაგიკვირდება. ყველა, დიდ-პატარა აღფრთოვანებულია ამ გამარჯვებით. არც არის გასაკვირი. შარშანდელი ზაფხული ისეთი მძიმე და დაძაბული იყო, რომ ყოველდღე ველოდით გერმანელები თბილისში შემოვიდოდნენ. თვითმფრინავებმა რამდენჯერმე ბომბები დაგვაცარეს, მაგრამ ზარალი უმნიშვნელო იყო. შიში კი ბევრი ვჭამეთ. დღე და ღამ თვალი თავშესაფრებისაკენ გვეჭირა, ყურში სულ განგამის ხმა იდგა, მოკლედ, მთელი ქალაქი ფეხზე შეყენებულ თოფსა ჰგავდა. ეს კიდევ არაფერი, რაღა დაგიმალო და ზოგს გული ჰქონდა გატეხილი. ჩვენი საქმე დაღუპულად მიაჩნდათ და გერმანელების გამარჯვება კი უზრუნველყოფილად. ახლა კი, როცა ასეთი დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ, ჭორიკანა და ბოროტ ხალხს ნიადაგი გამოეცალათ. ახლა ბრმაც კი ხედავს, — რომ გერმანელები კავკასიისაკენ პირს ვედარ იბრუნებენ და მალე კუდამოძუებული მოუსვამენ შინისაკენ.

ბავშვები კარგად არიან. ოთარი ვილაც გოგოს დასდევს და გვემუქრება ცოლად შევირთავო. ბიძინა და გივი ჩვეულებრივ სწავლობენ. სკოლაში შემოქმედებითი წრეები გვაქვს და გაკვეთილების შემდეგ საღამომდე იქა რჩებიან.

მე მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასები მაქვს. როცა ბიჭები და გოგონები გაპყვეს, მე, ფაქტია, ვაყთა სკოლაში დავრჩი. მართალია ბოროტი ენები ამბობდნენ ვაყთა სკოლაში იმიტომ დარჩა, რომ თავისი შვილებისათვის კარგი ნიშნები დააწერინოსო ამხანაგებს, მაგრამ რაც უნდა თქვან, მე ჭორიკანებს, კარგად იცი, ახალგაზრდობიდანვე არ ვაქცევდი ყურადღებას. აბა, სამივე შვილი ერთ სკოლაში იყოს და მე სხვაგან გადავიდე, მხოლოდ იმიტომ რომ ჭორიკანებმა არაფერი თქვან? ახლა, ასეთ დროში, როცა სულ ადვილია ბავშვი სწორ გზას ასცდეს... მერე რაღა ვქნა, შენ ან ჩემ თავს რა პასუხი გავცე? ახლა კი ყველანი ერთადა ვართ, ბიჭები გაკვეთილებს რომ დაამთავრებენ, მერე წრეებში არიან დაკავებული, იქამდე მეც გაკვეთილებს ვამთავრებ და მერე ერთად მივდივართ შინ. მხოლოდ ოთარი გამიორგულდა, როცა მე ბაზარში გავგზავნი კარტოფილის საყიდლად (აბა სხვა რის ყიდვა შეგვიძლია) ის ვილაც გოგოს დასდევს და მემუქრება, ცოლად შევირთავო. არჩილ, ძალიანა ვთხოვ არ აღელდე, არც იმიტომ გწერ რომ გაგანერვიულო, ვიცი ჩემი სულმოკლეობაა, კაცი ფრონტზე ხარ, რთველში ხომ არა, ოჯახის საქმეებით შეგაწუხო. მაგრამ მიმიხედობი, ბიჭებს კაცის ხელი რომ მოაკლდება, აირევიან ხოლმე. მე მიკონებენ და პატივს მცემენ, მაგრამ მე ხომ დედა ვარ... ბიჭებს კი მამაკაცის



ხელი უნდა, მამაკაცის თვალი და გულიც კი. ბევრი რამ მათ საქციელში ჩემთვის გაუგებარია, მინდა შენ გვითხო, მაგრამ წერილში უხერხულია. ასევე ალბათ ბევრ რამეში უცნაური ვეჩვენები მათ. აი ამიტომ გთხოვ შენს წერილებში მამაკაცური რჩევა-დარიგება მისცე შეილებს, ხომ იცი, სამივეს ძალიან უყვარხარ და შენი სიტყვის სჯერათ.

ახლა სამივენი კინოში არიან, გული დასწყდებათ, რომ ორი სიტყვა მაინც ვერ მიაწერეს ამ წერილს, მაგრამ არა უშავს, სხვა დროს იყო. დანარჩენს ამ გვერდზე ჩვენი მეზობელი ანუხი დაწერს. ძალიან უნდა წერილით გამოგესაუბროს, მაგრამ ქალაქი კი არა აქვს. სისულელეა ამის თქმა, მაგრამ თავს გაუფრთხილდი, რითაც შეგიძლია.

შენი ნანა

გამარჯობა, ჩემო ბატონო, პატივცემულო არჩილ!

პირველ ყოვლისა მოგიკითხავთ დიდი პატივისცემითა და ყურადღებით, გისურვებთ მამაძალი გიტლერის მალე ჩაძაღლებას და თქვენი ყველა სურვილების 100% შესრულებას ოჯახში და ქვეყანაზე.

რავა ხართ, ბატონო ჩემო, თავს რავა გრძნობთ, ვიცი რავარ გაჭირვებაში იქნებით და ცეცხლში, მაგრამ გოუძელით თქვენი ქირიმე, თქვენი ბაღნებისათვის, თქვენი ანგელოზებივით ქოჩორა ბიჭებისათვის კი ღირს თავის გაწირვა მე და ჩემმა ქალობამ.

ზევით რაცხა სისულელე დაწერე, თავის გაწირვა-თქვა, ცუდად არ გამოგოთ, ეს დიდი სიყვარულით მომივიდა თქვენი ოჯახისადმი. აბა ის იყო, ჩემი საცოდავი კლიმენტი, შვილი არა ჰყავდა და ძირი, ეილო თავი და პირველ დღესვე დაბრავოლცად სტიკა ფრონტზე. მამაძაღლმა გიტლერმა არ დოუყონა და გოუხეთქა ჩემ საცოდავ კლიმენტის თავი. ეჰ, უბედურება ყველას თავზეა, თქვენ რავა შემოგჩივლოთ ჩემი დარდი, თქვენ ალბათ უარეს ცეცხლში ხართ...

ჩემი ოჯახის ამბავი რალა მოგწეროთ, კლიმენტის სიკვდილის მერე, ამ გაჭირვებაში ერთი გოჭი ვიშოვე, ვიფიქრე, გავზრდი და სულს მოვითქვამ-თქვა, იმ დასალუბავმა გადახნა სხვენი, წევიყვანე ბაზარში მჭადის ფქვილზე გავცვლი-თქვა, საღაციდან გამოშვა ძაღლი და ბარკალი გააგლიჯა იმ საცოდავს...

მოკლედ, ვარ ასე, უბედური, თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ უთხრათ ნანას — ჟღი მენიო, მე ვინ მეტყვის თვარა...

თქვენი ოჯახი ისეთი წესიერი და ზრდილობიანია, რომ სულში ჩეისვამს ადამიანი. მეც რაც შემიძლია ვეხმარები, ხომ იცი, ნანა, დღე და ღამ სამსახურშია, ხან ბოვშებს მივხედავ, დოუკერებ, გოურეცხამ... აბა, რისი მეზობლები ვართ!

კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო არჩილ, მომიკითხეთ ყველა მანდოური ხალხი, ძაღლი მიაკვდა სულში გიტლერს, არ დეიდალა, რეიზა გეტანჯავს ამოდენა ხალხს, არ ეყო სისხლი?

შორიდან ხელს გართმევთ და გისურვებთ გენერლობას თქვენი მეზობელი ანუხი ქირიასი.

(უკანასკნელი სიტყვა წაშლილი იყო ანუხის ხელით და ბრტყლად ეწერა: ხვითი)

1943 წლის თებერვლიდან აგვისტომდე სანებლიძეების ოჯახმა არაფერი იცოდა თავიანთი მამისა და ქმრის შესახებ, რადგან არჩილი მძიმედ იყო დაჭრილი და სოჭის დასასვენებელ სახლში მკურნალობდა, რომელიც იმჟამად სამხედრო ლაზარეთად იყო გადაკეთებული.

## 23 აგვისტო

### ჩემო მებრძოლო მეგობარო!

აღბათ უკვე გამომიგლოვე, არა? ჯერ აღრეა, ჩემო ძვირფასო. ახლა უკვე გადატანილია ჭირი და შემოდია გაგაგებინო, დაჭრილი ვიყავი საკმაოდ სერიოზულად და თითქმის ოთხი თვე გავატარე ლაზარეთში. პო, კარგი, გეყოს აღლევა, ცრემლიც საკმარისია, როდემდე უნდა იტირო? აბა შემომხედე, მე ისევ ჯანმრთელი და უვნებელი ვარ. ვილა არ დაჭრილი! მართალია მე უკვე ორჯერ მომიწია ლაზარეთში ყურყურტმა, მაგრამ ბიჭები ხუთჯერ და შვიდეჯერაც იყვნენ, ისე რომ, მე ამ მხრივ ბედს ვერ დავემდურები. რომ იცოდე კი რა ძნელია ლაზარეთში წოლა. ხომ ასე მონატრებული ვარ ლოგინსა და დასვენებას, მესამე წელია ცივ მიწაზე ვგდივარ და ცხენივით ფეხზე მდგომარეს მძინავს, მაგრამ მაინც ასე ზეზეურად სიცოცხლე მირჩევნია ლაზარეთში მკურნალობას. ფრონტზე დრო ისე მალე გადის, რომ ამოსუნთქვასაც ვერ ვასწრებ. აქ არავის სცალა ფიქრისა და მსჯელობისათვის. აქ იმდენი საქმეა, იმდენი ხიფათი, რომ ბევრ რამეს უკვე მექანიკურად ვაკეთებთ, ვჭამთ, ვიბრძვით, ხანდახან ჩავთვლებთ და მერე ისევ ვიბრძვით. მოკლედ, როგორც იქნა მოვცილდი წამლებს და ისევ ჩემ ბიჭებთან ვარ.

შენი წერილი დამხვდა ნაწილში. მართალია საკმაოდ ძველია, მაგრამ მე, როგორც ყოველთვის, დიდი სიხარული მომიტანა. ოთარი ვილაც გოგოს დასდევსო, შემომჩივი. ნადრევად ნუ ილეუვებ, ჯერ ბავშვია და ასეთი გატაცება აღბათ მრავალი ექნება.

მომეწონა შენი გადაწყვეტილება, რომ ვაჟთა სკოლაში დარჩენილხარ, ჭორიკანებს რაც უნდათ ისა თქვან, ფაქტია, ყურადღებას არ მიაქცევ. შენ გაქვს საკუთარი მორალი და უმამაკაცოდ დარჩენილი ოჯახის ინტერესები.

წერილით რჩევა-დარიგება ძალიან ძნელია და როცა ადამიანს პირადად არ ესაუბრები, თითქოს სადღაც ყალბი ხარ. ჩემ შვილებს მხოლოდ იმას ვეტყვი, რომ ახსოვდეთ ისინი ვაჟკაცები არიან და როცა მამა შინ არ არის, მათ წინდახედულება, დიდსულოვნება და თავშეკავება მართებთ.

ოთარ, ბიძინა და გივი! გახსოვდეთ, დღეს თუ ხვალ ნამდვილად კაცები უნდა იყოთ და თავი არ შეირცხვინოთ თქვენი ბავშვური საქციელით. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ ბავშვები აღარა ხართ!

მადლობა გადაუხადე, ნანა, ანუსის მოკითხვისა და წერილისათვის... ანუგეშე, არც ისეთი ხნიერი ქვრივია, რომ ველარ გათხოვდეს.

ჩვენმა ჯარებმა ძალიან დიდი გამარჯვება მოიპოვეს კურსკთან. ახლა ფაშისტური მხეცი უფსკრულის პირასა დგას. ფრონტზე დიდი აღმავლობაა, ბიჭები ლომებივით იბრძვიან.

დამიოცნე ბავშვები.

გვარდიის მაიორი არჩილ სანებლიძე

## ჩემო მამა!

შემთხვევით მე მივიღე შენი წერილი, შინ არავინ არ არის და ისე ვარ გახარებული, ჩემო მამა, რომ აღარავის აღარ ვუცდი, პასუხსა გწერ.

ჩვენ ყველანი კარგად ვართ, მხოლოდ მთელი ხუთი თვე იმდენი ვიტირეთ და იმდენჯერ ვიყავით ფოსტაში, რა მოსთვლის. დედას ვიცი ძალიან შეეშინდება დაჭრილი რომ ყოფილხარ, მაგრამ ახლა კარგად ხარ, როგორც იწერები და მე დავამშვიდებ დედას, რომ საშიში აღარაფერია.

მამა, ალბათ შეეჩვიე ომს, არა? მე ვერ გამოვიცა, მიწაზე დაძინება როგორ შეიძლება, ხომ გაცივდები? ალბათ ლაზარეთში არ გივლიდნენ კარგად და იმიტომ მოგეწყინა. მანდ ფრონტზე კი ალბათ ამხანაგები გყავს და არ გეშინია. ეს ვერ გამოვიცა მამა, რადგან, გულახდილად გეტყვი, ამხანაგები არა მყავს. ისე, ჩვეულებრივი ამხანაგი ბევრი მყავს, ვისთანაც ბურთს ვთამაშობ, კინოში დავდივარ, ესწავლობ, მაგრამ ისეთი ამხანაგი, როგორც შენ გყოლია, მე არა მყავს. იქნებ იმიტომ რომ ჩვენ, ბავშვები მანდ არა ვართ? კაცებმა ალბათ ნამდვილი ამხანაგობა იცით, მეც ამის იმედი მაქვს, როცა შენხელა ვიქნები კარგი ამხანაგები მეყოლება. სხვას როგორ დავემდღურო, ოთარიც კი აღარ ამხანაგობს ჩემთან. შენ, ჩემო მამა, დედას სწერ ჩვენს შესახებ თავშეყავებულნი უნდა იყონო, ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ მე არ უნდა მოგწერო ჩემი დარდი... მაგრამ შენ რომ არ მოგწერო, სხვას ვიღას ვუთხრა? საიდუმლოდ გეტყვი და დედისთვისაც ვერ მითქვია. დედა ვერ გამოიგებს. არა იმიტომ, რომ ჭკვიანი არ არის, არამედ — ქალია. ის მხოლოდ იმას ხედავს, რომ ოთარი ნელის დასდევს, სხვა ბევრი რამ კი არ იცის. მე კი ვიცი. მაგრამ არც შენ გეტყვი იმ საიდუმლოს, რადგან შენ მართალია კაცი ხარ, მაგრამ შენ ჩემი მამა ხარ! მამას ვერ ვეტყვი. მე მხოლოდ იმას ვდარდობ, რომ ოთარი დიდხანია ჩემთან აღარ ამხანაგობს. მე მისთვის ბავშვი ვარ, რა იცის საწყალმა, რომ მე ზოგი რამ მასზე მეტიც ვიცი.

მამა, გამაგებინე ერთი, რატომ ხდება ასე, ძმებიც მყავს, დედაც, შენც მანდ „სამასი არაგველის სიკვდილი კრწანისთან“. ხატვის მასწავლებელმა მომიწონა და რაიონულ გამოფენაზე გაგზავნა. სადაც მოწაფეთა ნახატებს აჩვენებენ.

ვიცი შენ ახლა ჩემთვის არა გცალია, ჩემთვის მგონი არავის არა სცალია ამ ქვეყნად, მე კი როგორ მინდა გიამბო ჩემს ამხანაგებზე, მეზობლებზე, მასწავლებლებზე... როგორ მინდა გავიგო ფრონტის ამბები.

მამა, გამაგებინე ერთი, რატომ ხდება ასე, ძმებიც მყავს, დედაც შენც მანდ მეგულები, სკოლაშიც ყველას ვუყვარვარ, მაგრამ მაინც ძალიან მარტო ვარ. აი ისე მარტო ვარ, როგორც ადამიანი, უცხად, შუალამისას რომ გაიღვიძებს. ბნელ ოთახში ესმის ადამიანების სუნთქვა, მაგრამ ვერაფერს ვერ ხედავს და ვერ ესაუბრება. მე ძალიან ხშირად მეჩვენება, რომ გვიან ღამით გამეღვიძა.

კარგად იყავი მამა! სალამი გადაეცი ყველა შენ ამხანაგს, მე მათ არ ვიცნობ. მაგრამ კარგი ამხანაგები რომ არიან შენი, მეც მიყვარს ისინი.

წერილები ხშირად მოიწერე (თუ მოიცალო).

ნორჩი მხატვარი ბიძინა სანებლიძე



დედამ დაგვაგვალა ფანჯრის მიწებზე ჯვარედინად წვრილი ნაჭრები გაგვე-  
კრა, თავად კი მთელი საღამო აფარებდა ფარდებს. საღამოობით გახშირდა სტე-  
ენა; როგორც კი შუქს ავანთებდით და ფანჯარა არ იყო შენიღბული, მაშინვე ვი-  
დაც დაუსტვენდა. მე ამ სასტვენებისა ყოველთვის მეშინოდა, ისინი ძალაუვნებუ-  
რად მაგონებდნენ, რომ ომი იყო. მეზობლები რიგრიგობით მორიგეობდნენ ქუ-  
ჩაში, კვირაში ერთხელ დედაც ჩადიოდა ხოლმე, მხარზე აირწინალი ეკიდა, სა-  
სტვენს კი ძმები ხელიდან ვტაცებდით ერთმანეთს. „ომიდან“ თამაში ნამდვი-  
ლი ომით შეიცვალა, ტოლები ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ვინ უფრო მალე აღ-  
მოაჩენდა ჩაბნელებულ შენობაში სინათლის ზოლს და ვინ უფრო დიდ განგაშს  
ასტეხდა ამ „გამობარული“ სინათლის ჩასაქრობად. ალბათ ფრონტზეც ასეა, სა-  
ქმე და მოვალეობა ავიწყებს ადამიანს გაჭირვებას. ჩვენც ისე მივეჩვიეთ საკუ-  
თარი ფანჯრების შენიღბვას და სხვებისთვის შენიშვნის მიცემას, რომ ვნატრო-  
ბდით, დედას მორიგეობის დღე მალე მოსულიყო, ერთხელ დედამ აირწინალი  
ჩვენ გადაგვიკიდა და მეორე დღეს ისეთი გამარჯვებული სახით ვუამბობდი ამ-  
ხანაგებს სკოლაში ამბავს, თითქოს ფრონტის სარდლობა ჩამებარებინოს.


იქამდე არასოდეს არ ავსულვარ ჩვენი შენობის სახურავზე და ხელოსნე-  
ბიც, როგორც მახსოვს, იშვიათად აღიოდნენ. მხოლოდ საწყალი კლიმენტი ქი-  
რია აფოფხდებოდა ხოლმე შაბათობით, რაღაცას აათრევდა და მერე დილა-საღა-  
მოს ანუხი დაცოცავდა. როგორც გამოირკვა, ქირიებს სხვენზე საქათმე ჰქონ-  
იათ მოწყობილი და დედლების გამრავლებას აპირებდნენ.

ჩვენს იქ ასეღას ომს უნდა „ვუმადლოდე“. აქამდე მე ვიცნობდი შენობას.  
მის ბატარა, ვიწრო ოთახებს და მობინადრეთ, ახლა საშუალება მქონდა მენახა,  
რა ხდებოდა ჩვენს მაღლა.

სხვენზე ჰასანას ქოშების სახელოსნო აღმოაჩინა, გურაბანიძეებს — წნი-  
ლის კასრები, მარტიროსოვს ტყავების მთელი დასტა, მაგრამ სხვენზე სახლ-  
მმართველის დავალებით მეზობლები ავიდნენ და ეს სიმდიდრენი არ „დაკარგუ-  
ლა“. მხოლოდ წინილთ სავსე კასრების ნაცვლად აზიდეს სილა, წითლად შედე-  
ბილი ნაჯახი, ლომი, ნიჩაბი და ცეცხლმჭრობი, რომელზეც ძალიან ლამაზი კი-  
ცი ეხატა და აჩვენებდა, როგორ უნდოდა ცეცხლმჭრობის ხმარება.

ერთ საღამოს სახლმმართველი მოვიდა, რაღაც გრძელი, კაუჭიანი რკინის  
ჩანგალი მოიტანა და ორი საათი იქაქანა, როგორ უნდა აგველო ამ ჩანგლით  
ჩვენს სხვენზე ჩამოვარდნილი ბომბი. სახლმმართველი რამდენჯერაც ბომბს  
ახსენებდა, ზევით აიხედავდა, თითქოს შეთანხმებული ყოფილიყო გერმანე-  
ლებთან, ამა და ამ დროს ბომბები ჩამოყარეთო. ჩვენს შენობაზე ბომბები არა-  
ვის ჩამოუყარია, მხოლოდ შეუღებავი თუნუქი ჟანგმა შექამა, წვიმამ კი სხვენ-  
ზე ატანილი სილა დაბლა, კიბეებზე და ოთახებში ჩამოიტანა. სახლმმართველი  
ყოველკვირა გვაფრთხილებდა, სხვენზე კვლავ აგვეტანა სილა, მაგრამ ამის  
ნაცვლად ჰასანამ მალე ისევ ააცუნტულა ქოშების სახელოსნო, გურაბანიძე-  
ბმა წინლის კასრები აათრეს, მხოლოდ საცოდავმა ანუსიმ ქათმების ნაცვლად  
აიყვანა ვირთხისხელა გოჭი. ომსა და დაბომბვის შიშს ისე არ შევუწუხებოვართ,  
როგორც იმ გოჭმა დაგვიკარგა მოსვენება. ჯერ იყო და სხვენი ვადათხარა.  
მერე გურაბანიძეების წინლით მადაგასნილმა ჰასანას ქოშები დახრა. ბომბის  
ისეთი ჭყვირილი ატეხა, რომ ანუსი იძულებული გახდა ბაზარში წაეყვანა.

5688







დედა წინანდებურად სკოლაშია. ძმები ხან სკოლაში ვართ, ხან ეზოში, ხან სხვენზე და ხანაც ბაზარში. ოთარი ჩემზე სულ სამი წლით არის უფროსი, მაგრამ რატომღაც თავს აღარ მიყადრებს. ჩუმ-ჩუმად პაპიროსს ეწევა. პაპიროსი ნაციონალურ, ნოტიო კოლოფში დევს და ზედ რუსულად აწერია: „Темны“. ვრთხელ, როცა ოთარი შინ არ იყო, პაპიროსი მოვპარე და მოვწიე. მთელი საათი მახველა. ოთარს უხარია, რომ არ ახველებს; როცა დედა შინ არ არის, ჩვენ გასაბრაზებლად შუა ოთაქში დაიდგამს სკამს, ფეხს ფეხზე გადაიდებს და აბოლებს. მერე მე და გვიმ ფანჯრები უნდა გავაღოთ და ოთახი გავანიაოთ, თორემ ბოლის სუნი დარჩება. დედას კარგი ყნოსვა აქვს და მაინც გაუგო. ჩვენს თვალწინ სცემა. მე მეგონა ოთარი იტყოდა, ბიძინაც ეწევაო, მაგრამ არაფერი უთქვამს. მიუხედავად ამისა, მე მორჩილად ვუღიმიდი დედას, რათა მეც არ მომზვედროდა. როცა დედა საღამოთი კრებაზე წავიდა, ოთარმა შარი მომლო და ჩხუბი ამიტეხა. გვიცი მომეხმარა და ორივემ გემოზე ვბეგვეთ ოთარი.

მას შემდეგ ოთარი პაპიროსს აივანზე ან საპირფარეოში ეწევა. მერე კბილებს მთელი საათი იხეხავს და პირში წყალს ივლებს. დედას მისი დარდა აღარა აქვს, რადგან ხელფასი შეუმცირდა.

ოთარი შვიდ კლასს ამთავრებს და დედა ემუქრება, თუ ასეთი ცუდლუბტი იქნები, „ფეხოში“ წავიყვანო. მაგრამ ოთარზე მოუსვენარი გვიცა, მეორე კლასშია და კვირაში ორ დღეს „შატალოზე“ დადის.

ერთი კვირა დედამ ვიღაც ევაკუირებული ქალი შეიკედლა. სანამ ის საცოდავი სამუშაოს იშოვიდა, ჩვენ ვაჭმევდით ლუკმას. ასეთი ხალხი ბევრია სადგურზე და ჩვენი შენობის კეთილი ქალები ყოველდღე ვიღაცას უნაწილებენ ულუფას.

ბაზარზე შაქარი სამასი მანეთი ღირდა. ბებიას ხანდახან თაფლი ჩამოჰქონდა, ჩვენ თაფლს ვყიდდით და ცარიელ ქილებს ვლოკავდით. უშაქრობას კიდევ გავუძლებდით, უპურობა კი სულს გვართმევდა. ძმებს რიგრიგობით მიგვქონდა წისქვილში საფქვავე და გვეგონა დედას ნამღვილი ვაუკაცებოთ ვეღვიით მხარში.

მერე გურაბანიძეების წნილის მოპარვაც დავიწყეთ. ავიტანდით ხოლმე სხვენზე ხმელი პურის ქერქს, ამოვიღებდით მყავე, მწვანედ ობმოკიდებულ კომბოსტოს და კურდღლებივით ვახრამუნებდით.

მამა სულ უფრო ცოტას და სულ უფრო იშვიათად იწერებოდა. მართალია სროლის ხმა არ ისმოდა, მაგრამ თბილისში ყველა გრძნობდა, ფრონტი დღითიდღე გვიახლოვდებოდა.

3 თებერვალი, 1942 წ.

ჩემო მებრძოლო მეგობარო!

მივიღე, როგორც იქნა, შენი პირველი წერილი, რომელიც ამ სამი თვის წინ არის დაწერილი. მართალია, წერილი თავისთავად ძველია, მაგრამ მე თითქმის წელიწადნახევარი არაფერი ვიცოდი თქვენი, ამიტომ წარმოდგენილი გექნება ჩემი სიხარული. მე რა მომკლავს, ჩემო ნანა, თქვენ თუ ყოჩაღად და ჯანმრთელად იქნებით. ეს არის ჩემთვის მთავარი, ამაში ვიყო ღრმად დარწმუნ-

ნებული, და ჯოჯოხეთურ ცეცხლსა და გაჭირვებას გაევძლე. რომ მწერ, ჩვენ ბევრი არაფერი ვგაკლიო, ვიცი, ამას საზოგადოებრივი ინტერესი გიკარნახებს და შენი მოქალაქეობრივი სინდისი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ შენ დღემდე უპარტიო ამხანაგი ხარ, მაინც ბოლომდე გაქვს შეგნებული ჩვენი პარტიის ხაზი და ჩემს გამხნეებასაც ცდილობ. მანდ რომ ვიყო, რა თქმა უნდა, უფრო მეტად შევიგრძნობდი თქვენს გაჭირვებას, მაგრამ მარტო ის ფიქრი, რომ ყოველ წუთს სიკვდილის შიში არა გაქვთ, სანგრებში არ უნდა ჩაიმალოთ და არც ყუმბარების ნამსხვრევებისა გეშინიათ, უკვე იმხელა ბედნიერებაა, რომ ყოველგვარ გაჭირვებას გადაიწონის.

გამიხარდა, რომ ოთარი ფრიადოსანია ისევ. ბიძინაზეც მწერ, ისიც კარგად სწავლობსო, მაგრამ ვგრძნობ, მაგ ბიჭმა შეუშვა სწავლას ხელი. თუ გახსოვს, ნანა, ბიძინა ყოველთვის უცნაური იყო, ხან რას ექიდებოდა და ხან რას. ბოლო წლებში ხატვა აიხირა და ღმერთმა იცის მაგისი თავი, ალბათ დღე და ღამე ხატავს და გაკვეთილებს აცდენს. ხატვა არ არის ცუდი, მაგალითად, რეპინი არ არის ცუდი მხატვარი, მაგრამ რეპინი რომ გახდეს, ნიჭია საჭირო, ბიძინას კი საამისო ნიჭი აქვს თუ არა, ჩვენ არ ვიცი. გვიცის სიცელქე არ მომწონს, მართალია, ეგ ჯერ დაწყებით კლასებშია, მაგრამ ძმის დაუდევრობა და სიზარმაცე თუ გადაედო, ეგეც ბიძინას კვალს გაჰყვება. საინტერესოა, მაგან კომპოზიტორობა არ მონიღომოს! საერთოდ, ხელოვნებას თავი დავანებოთ, რადგან ნამდვილ ხელოვნებას ბევრი დრო, დიდი ნიჭი და უზრუნველი ცხოვრება უნდა, ახლა კი საამისოდ არავის სცალია. უფრო სპეციალობისაკენ უმარჯვე, ნანა; ბავშვები თუ სპეციალისტები არ გახდნენ, ისე თავს ვერ გაიტანენ ჩვენს დროში. ახლა საქმისა და ტექნიკის საუკუნეა და არა ფუჭი ოცნების.

ჩვენ უმნიშვნელო შეტევა გაქვს ქერჩის მიმართულებით. წარმატებები ჯერ არ არის დიდი, მსხვერპლი კი დიდია.

მე მსუბუქად დავიჭერი მხარში, მაგრამ ერთ კვირაში ისევ ბრძოლაში გავედი. ჰო, წოდება მომემატა, ახლა კაპიტანი ვარ.

ძალიან მეწყინა კლიმენტის დაღუპვა. გული გაიმაგრე, ხომ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია.

მოკითხვა ყველას. აკოცე ბავშვებს. შენი არჩილი.

19 მარტი

### ჩემო საყვარელო არჩილ!

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი პასუხი, როგორც იქნა მივიღია და ცოტათი მაინც დამშვიდებულხარ. დამერწმუნე, მე ტყუილად არაფერს განუგეშებ, ჩვენ, მართალია, როგორც ყველას, გვიჭირს, მაგრამ ისე არა ვგრძნობთ თავს, რომ სასოწარკვეთილებას მივცეით. თავიდან ყველაფერი საშიში და გაურკვეველი იყო, ახლა თანდათან ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, ხალხიც ერთგვარად დამშვიდდა, იმიტომ რომ გაიგო, პირადი გაჭირვებით და წუხილით ერთმანეთს ვერ გავაკვირებთ. არის რაღაც საერთო საქმე — რომელიც ოჯახზეც, შვილებზეც, დარღზეც და შიმშილზეც მალა დგას. ეს არის მტერზე საბოლოო გამარჯვების საქმე. ჩემი სიტყვები არჩილ, არ იფიქრო, რომ ავითაცია იყოს, ყველაზე ნაკლებად შენ გჭირდება ავითაცია და ყველაზე მეტად მე მეჯავრება ის, რა-

საც ვამბობ, ეს ჩემი გულითა და გონებით ნაგრძნობია, განცდილი და გადახარშული, მე ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ ამ მომენტში ასეა საჭირო, აზამედ შრომამ, გაჭირვებამ, ფიქრმა ყველანი, ზურგში მყოფნი მივიყვანა იმ აზრამდე, რომ დღეს ჩვენი პირადი ცხოვრება უნდა დაევიწყოთ და ერთ დიად მიზანს ვემსახუროთ. არჩილ, მე ასე მგონია, გაჭირვება აახლოვებს ადამიანებს და საფრთხე უფრო მეტად აყვარებს იმას, რაც წინათ უყვარდა, მაგრამ ბოლომდე არ იცოდა ამ სიყვარულის ფასი. წინათ თუ ჭორიკანა ქალები დღე და ღამე ქაქანებდნენ და ერთმანეთის კილვაში იყვნენ, ახლა იშვიათად ნახავ ჭორისთვის მოცილილთ; ომმა ადამიანები დაახლოვა, ერთმანეთს მათ გულისკარი გაუღეს, წვრილმანი წყენა დაივიწყეს, ცდილობენ რითაც შეუძლიათ ერთიმეორეს დაეხმარონ, ხელი გაუმართონ, ყურადღება არ მოაკლონ. პირდაპირ საოცარია, გურაბანიძეები და ქირიები დღე და ღამ ერთიმეორის ლანძღვაში რომ იყვნენ, ახლა ისე დატკბნენ, მით უმეტეს საცოდავი კლიმენტის დაღუბვის მერე, რომ მზე და მთვარე ერთიმეორეზე ამოსდით. ისე რომ, ჩემო არჩილ, ჩვენი ფრონტიც — ფრონტია, მშვიდობიანი ფრონტი, სადაც ადამიანები გულწრფელად ეხმარებიან ერთმანეთს, ყურადღებასა და სიყვარულს არ აკლებენ, რათა ყველამ თავისი მთავარი ძალა იმ დიად საქმეს მოახმაროს, რომელიც ფაშისტებზე გამარჯვებას სჭედავს.

არჩილ, შენი წერილებიდან ბავშვები კითხულობენ მხოლოდ იმ ადგილებს, რაც ოჯახს ეხება. შენი უკანასკნელი წერილი კი თითქმის მთლიანად წაიკითხეს და ძალიან ჩაფიქრდნენ კიდევ. მე მათ ვესაუბრე ყველაფერზე, რაც დღეს შეიძლება ჰაბუკუბს აინტერესებდეთ. პასუხი შენს შენიშვნებსა და სურვილებზე ცალ-ცალკე დავაწერინე სამივეს და ახლა ჩემს წერილთან ერთად გიგზავნი. კარგად იყავი, ჩემო არჩილ, სალაში გადაეცი ყველა შენს თანამებრძოლს.

სიკვილიამდე შენი ნანა

გამარჯობა, მამა!

როგორ მიხარია, მამა, რომ უკვე კაპიტანი ხარ! მართალია, გენერლობაზე ოცნება ზედმეტია, მაგრამ შენ ჩემზე უკეთ იცი, არ არის ჯარისკაცი, რომ გენერლად გახდომას არ ნატრობდეს. მე ძალიან მინდა, რომ შენ პოლკოვნიკი მაინც იყო და ისე დაბრუნდე ჯარიდან. „მამაჩემი პოლკოვნიკია!“ — რომ ვიტყვი, მეც თითქოს რაღაც მომემატება, ბიჭებიც როგორ აღტაცებით შეხედავენ შენს ორდენებსა და სამხრეებს!

მე შვიდი კლასი დავამთავრე, სახელოსნო სასწავლებელში. გადასვლა მინდოდა, რათა ოჯახს მალე დავხმარებოდი, მაგრამ დედამ არ გამიშვა. „შენ აუცილებლად ექიმი უნდა გახდეო,“ — მითხრა და მეც ახლა გულმოდგინედ ვსწავლობ საშუალო სკოლაში, რომ მერე სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრო.

დედას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ბაზარში ყოველთვის მე დავდივარ. იატაკსა და ჭურჭელსაც ჩვენ ვრეცხავთ, ბიჭები. ჩვენ ყველანი ძალიან ვამაყობთ, რომ ასეთი მამა გვყავს.

კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო მამა, მე არ შეგარცხვენ და კარგად ვისწავლი, რათა ვაქცავთ გითხრა: გასახელე, მამა!

შენი სიყვარული შვილი ოთარო.

ჩემო მამა!

შენმა წერილმა ყველანი გაგვახარა, მე კი ძალიან დამაფიქრა! როგორც შენი წერილიდან ჩანს, შენ ფიქრობ, რომ მე უნიჭო ვარ და ზარმაცი. შეიძლება ასე იმიტომ ჩანს, რომ მე ტყუილს ვერ ვამბობ ვერც სკოლაში და ვერც შენთან. რა გქნა, მათემატიკა არ მიყვარს. შენ, როგორც იწყებ, ამას უკვე უნიჭობად სთვლი.

ჩემო მამა, რატომ ფიქრობ, რომ რახან ხატვა მიყვარს, ეს უკვე უცნაურობაა. მეც არ ვიცი ხატვა რატომ მიყვარს, რეპინი გამიგია რომ დიდი მხატვარია, მაგრამ მისი არც ერთი სურათი არ მინახავს და ვერაფერს ვიტყვი. შენ ამბობ, ხატვას ბევრი დრო უნდაო; განა ომს კი დრო არ უნდა, სისხლიც! შენ ფრონტზე ხარ, მამა, და არ გეშინია, მეც ნუ შემაშინებ, რომ ხატვა ძნელია და ვერ ვისწავლი. ჯერ ხომ თერთმეტი წლისა ვარ, შენ რომ ჩემზელა იყავი, არც იწყებდი იყავი და არც კაპიტანი.

მე ძალიან მიყვარხარ, მამა, და ძალიან მინდა, რომ მალე დაბრუნდე. ვიცი ამისთვის არა გცალია, მაგრამ თუ სადმე ნახო ზეთის საღებავები, ჩამომიტანე; ჩვენთან, თბილისში, ფერადი ფანქრებიც კი არ იშოვება.

შენი ბიძინა.

მამიკო გენაცვალე!

მამიკო, როდის მოკლავ მაგ გერმანელებს, რა გული გაგვიწყალეს! მამიკო. ორი თოფი აიღე და ერთში რომ ტყვიები გაგითავადება, მეორე ესროლე. ჩვენ როცა ომობანას ვთამაშობთ, ორი თოფი გვაქვს.

მამიკო, დედა შოკოლადს აღარ გვაქმევს, ირისიც კი აღარა გვაქვს. ჩამომიტანე რა, ირისი! ახალი წელი რომ მოვა, მაშინ ჩამომიტანე!

დღეს მასწავლებელმა დაგვიხატა ორკუთხიანი აქლემი. რა უშნო ცხოველი ყოფილა. მამიკო, ფრონტზე აქლემები არ არის? რითი დადიხარ? დედა მაჩქარებს, ფოსტა დაიკეტებაო, მაგრამ მე მაინც დავხატავ შენ სურათს, როგორ კლავ გერმანელებს, აი, ნახე!

მამიკო ირისი არ დაგავიწყდეს.

გწერს გივი, პირველი კლასის მოსწავლე.

25 ივლისი

ჩემო მეზობლო მგვობარო ნანა და ბავშვებო!

უზომოდ ბედნიერი ვარ, თქვენი წერილი რომ მივიღე. ჭკვიანი შვილები მყოლია. ბიძინა ნაწყენია ვატყობ, თუ შეუძლია მამატიოს, მხატვრობაზე სხვა დროს დაწვრილებით ვისაუბრებთ. თუ სადმე ვნახე, ზეთის საღებავებს აუცილებლად ჩამოვუტან. გივის ირისიც არ დამავიწყდება. მაგისი ნახატი ჩვენი მაღვივების გაზეთმა დაბეჭდა; უნდა გენახა ჯარისკაცები როგორი აღფრთოვანებული იყვნენ, ყველას თავისი ოჯახი და ცოლ-შვილი მოაგონდა...

ფრონტზე ჩვენი საქმე ცუდად არის. ვიხევეთ უკან, სტალინგრადისაკენ. ამ-



ბობენ სადღაც, აქ, ვოლგაზე გადამწყვეტი ბრძოლა უნდა მოხდესო. ჩვენ ყველანი ამ მოლოდინითა ვართ შეპყრობილი, ჯერჯერობით კი გერმანელები ფეხდაფეხ მოგვდევენ.

შენი ნუგეში მალამოდ მოხვდა გულს. შენ ყოველთვის დაკვირვებული ქალი იყავი, ნანა!

ოთარს მიხედვ, ბიძინა ისე აღარ მადარდებს. ოთარის წერილიდან ობიგატელური სუნი მოდის. ასე ადრე, საიდან?

თქვენი არჩილი.

ამ წერილის პასუხი კვლავ ვერ მიიღო არჩილმა, რადგან ვოლგის ფრონტზე მართლაც დიდი სამზადისი დაიწყო და იმჟამად აღარავის ცხელოდა წერილებსათვის: ვოლგაზე ოქტომბრის რევოლუციის ბედი წყდებოდა.

## 20

ქუჩაში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. დიდ-პატარა ხეებზე არბოდა და შეშინებული ცაში იცქირებოდა. მე ის იყო სკოლიდან მოვედი, ჩემი ულუფა პური შუაზე გავჭერი და დილიდან დამშეული საუზმეს ვაპირებდი. სადგურის მოედანზე ისეთი ღრიანცელი იდგა, რომ შემეშინდა. მერე ხალხი უცებ გაჩუმდა და სუნთქვაშეკრული მიაჩერდა ცას. მეც გავედი აივანზე და თვალისმომჭრელ მზეს დავუწყე ყურება. გარკვევით დავინახე, თეთრი ქოლგასავით გაიშალა კვამლი, ამ ქოლგის თავზე კი ვერცხლისფრად ლაპლაპებდა თვითმფრინავი. კიდევ გაისმა დავუდული გრუხუნის, თეთრი კვამლის ქოლგები ხან იქ იშლებოდა, ხან აქ, ხან ზევით, ხან ქვევით, ვერცხლისფერი თვითმფრინავი კი არხენიად ლაპლაპებდა და უვნებლად განაგრძობდა ფრენას. აშკარა იყო, საზენიტო არტილერიის ცეცხლი ვერ სწვდებოდა. მერე უცბათ თვითმფრინავი გაქრა. საზენიტო არტილერიამაც შეწყვიტა გრუხუნის. საღამოს ამბავი მოიტანეს, არსენალზე ბომბი ჩამოავდეს...

ასე შემოვიდა თბილისში ომი. მერეც, ორმოცდაორი წლის ზაფხული და შემოდგომა, სულ საფრთხითა და მოლოდინით იყო სავსე. ორი-სამი ცეცხლგამჩენი ბომბი კიდევ ჩამოავდეს გერმანელებმა. ეს იყო და ეს.

საღამოობით სასტვენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გახშირდა ჭორებიც: გერმანელი პარაშუტისტები სოლოლაკში ნახესო. მომრავლდა დეზერტირები. მათ ამერიკული ცხენის კონსერვები ჩამოჰქონდათ და ხაკის გალიფები. ირანიდან ქიშიშს ეზიდებოდნენ.

რუსთაველის პროსპექტზე უნივერსიტეტის პროფესორები იდგნენ და პაპიროსს ტალ-კვესით უკიდებდნენ. ასანთი არ იშოვებოდა. შინ ყველას ანთებული ნავთის პატრუქები ედგა. ქუჩაში დღე და ღამე პატრულები დადიოდნენ. დარიალთან საქართველოს ბედი წყდებოდა. „ასობტორგთან“ შარვალგამოხეული მოწაფეები იდგნენ. ვიტრინაში ძეხვი და კარაქი იდო.

ქუჩაში გამოკრულ რუკასთან ხალხი სულგანაბული იდგა და ქინძისთავზე დაბნეულ პაწაწინა წითელ დროშებს ითვლიდა. დროშები ყოველდღე ცოტავედებოდა და ქინძისთავით გახვრეტილი ქალაღი ღია ჭრილობასავით ჩანდა.

თბილისს, მართალია, გერმანელები არ ბომბავდნენ, მაგრამ ომი თავისი ულ-  
მობელი კანონებით დადიოდა ნაძალადეგში და მთაწმინდაზე, სოლოლაკში და  
რიყეზე.

ქუჩაში დროდადრო ისმოდა კონტუზირებული ჯარისკაცების ისტერიული  
ყვირილი:

„რატომ პატივს არა მცემთ! რატომ არ მაჭმევთ! ზურგში დარჩენილ ვირ-  
თხებო, რატომ არა ხართ ფრონტზე“?!

კონტუზირებული ჯარისკაცები ლაზარეთში მიჰყავდათ, ზურგში დარჩე-  
ნილი ვირთხები — ფრონტზე; დეზერტირებს ზერეტდნენ.

სოფლიდან გლეხები შეიარაღებული ჩამოდიოდნენ. კოლმეურნეობების  
მთელი სურსათ-სანოვაგე მიწაში იყო გადამაღული. ყველა ბრიგადა მომავალი  
პარტიზანული რაზმი იყო. ელოდნენ საბედისწერო წუთს, რათა კრწანისთან  
კვლავ დაედგარა სისხლი სამას არაგველს და ანანურთან უტეხ კედლად დამ-  
დგარიყო ხევი...

ქალაქში ჩრდილი და ნათელი ებრძოდა ერთმანეთს. ჩვენც, ბავშვები, ამ  
არეული სურათებით ვსუნთქავდით.

შავ ბაზარზე კილო პური ათი თუმანი ღირდა. ზოგი დღეში ხუთ კილო  
პურს ყიდულობდა, ზოგი...

ჩვენ მარილით ვსვამდით ჩაის, რათა აღუღებულ წყალს რაღაცის გემო  
მისცემოდა...

გერმანელები ქალაქის თავზე დაფრინავდნენ. ჩვენი საზენიტო არტილე-  
რია გულმოდგინედ ესროდა.

გურაბანიძეების წნილი გათავდა. ბოლოს მიხვდნენ გურაბანიძეები და დე-  
დაჩემს ორ თვეს ხმას არა სცემდნენ. მე პიონერის ფიცს ვიძლეოდი — ომის  
მერე ხუთ კასრ წნილს გიყიდით-მეთქი.

ომი არ თავდებოდა. წნილი დიდხანია გათავდა.

სალამობით გულდაგულ ვუსტვენდით განათებულ ფანჯრებს.

მერე ვიძინებდით და ძილის წინ, შიშშილით მუცელატკივებულნი, კოლე-  
ქტიურად ვავინებდით ჰიტლერს.

29 ივნისი, 1941 წ.

### ჩემო მეზობლო მეგობარო!

ყოველთვის გეუბნებოდი, ჩემო ნანა, სანამ ომი დაიწყებოდა, რომ ამ  
მშფოთვარე საუკუნეში ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის-მეთქი. საოცარი სის-  
წრაფით გამართლდა ჩემი სიტყვები. მაგრამ მე ახლა საკუთარ თავსა და ბედ-  
ილბაღს როდი დავეძებ. ნახე, ფაშისტურმა გერმანიამ რა გვიყო? 1939 წელს  
რისთვის დავდეთ თავდაუსხმელობის პაქტი, თუ ასე ვერაგულად გვიღალატებ-  
და? არა, გენაცვალე, ფაშისტების ნდობა არ შეიძლება და ძალიან შეგცდით,  
რომ ვენდეთ.

ჩემი მივლინება ოცდაერთ ივნისს გათავდა და მხიარული და კმაყოფილი  
საქმის ასე ჩინებული დამთავრებით, კვირას ვაპირებდი შინისაკენ გამოგზავ-  
რებას. მაგრამ დაიწყო საერთო მობილიზაცია და მეც ფრონტზე ამოვყავი  
თავი.

მე ვარ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, კიევის მიმართულებით. ფაშის-

ტებს ძალიან დიდი ტექნიკა აქვთ და სწრაფად მოიწევენ წინ. აქ ისეთი ქაოსია, რომ ვერაფერს ვაიგებ. ბევრი ხალხი იღუპება. მე ჯერ კიდევ როგორა ვარ ცოცხალი, მიკვირს. ამ წერილს ფურგონზე ვწერ, კიევისაკენ ვიხევთ და მალე ალბათ იქიდანაც მოგვიწევს წასვლა. მტერი ულმობელია და ბოროტი. უკანდახევისას ყველაფერს ვანადგურებთ, რათა ფაშისტებმა არ ჩაიგდონ ხელში სურსათი და საწვავი. ფრონტზე დიდი ცვლილებებია. ყოველ წუთში მოსალოდნელია სხვაგან გამგზავნონ, შეიძლება ზურგშიც, რადგან ყველა ქარხანა, რომლის გადატანაც შეიძლება, ზურგში გადაგვაქვს.

თავი ჯერ კიდევ სიზმარში მგონია, ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა ყოველივე. თქვენთანაც გაჭირვება იქნება, მაგრამ რას ვიზამთ, ეს საერთო უბედურებაა და საერთო ძალებით უნდა ვებრძოლოთ. ბავშვებს გაუფრთხილდი და შენს თავსაც მიხედე. ჩემზე ნუ იღარდებთ, სამშობლო ისეთ განსაცდელშია, რომ ჩვენი პირადი დარდი არც არის სასხენებელი.

ზარბაზნების ხმა ახლოვდება. ყველაფერი გრუხუნებს ირგვლივ. ცა ისეთი შავია და ისეთი მორღუბლული, რომ მგონი წვიმას აპირებს. რატომღაც მგონია, დიდი წვიმა რომ მოვიდეს, სროლა შეწყდება! რა ძნელი ყოფილა ომი და რა საშინელი. ყველას რომ საკუთარ ზურგზე ჰქონდეს გადატანილი ეს უბედურება, ალბათ დედამიწაზე ომი არასოდეს არ იქნებოდა.

ფურგონზე უხერხულად ვწევარ. ყოველ წუთში მოსალოდნელია რაღაც საშინელი, მაგრამ ისე ტკბილია შენთან საუბარი, თითქოს აღარც ზარბაზნების გრუხუნი მესმის და აღარც დედამიწის რწევა.

ომია, ომი, საშინელი ომი.

მარად შენი არჩილი

## 5 ავგისტო

### ჩემო საყვარელო არჩილ!

რა არ ვიფიქრე და მგონი ასჯერ გამოვიტირე, ჩემო იმედო და სიცოცხლე, და დღეს, როგორც იქნა მედიცინა შენი წერილი. ერთ თვეზე მეტი ხნის წინ არის დაწერილი და ვინ იცის ამ ხანში რა დაგეშართა, სადა ხარ და სად უნდა გიტირო. მაინც რა უბედურება დაგვატყდა თავს, არჩილ! შენ რომ კიევის მიდოიდი მივლინებაში, გული მიგრძნობდა უბედურებას, მაგრამ მე იმას ვშიშობდი, ავად არ გახდეს-მეთქი. როგორ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი საშინელი რამ მოხდებოდა. ომი მარტო მანდ კი არა, ყველგან არის, არჩილ! მანდ თუ ტყვია ემუქრება ადამიანს, ჩვენთან ცრემლი არავის შემოვლია, ყოველ დღე რომელიმე ოჯახში დაღუპვის ამბავი მოდის. მეც სხვებთან ერთად გული მიღონდება. არჩილ, ჩემო ტკბილო არჩილ, შენ რომ დაიღუპო, რაღა მეშველება? ვიცი, ასეთი რამ არ უნდა მოგწერო, ფრონტზე ხარ და, პირიქით, უნდა გავამხნეო, მაგრამ ამას ყველაფერს თავი დავანებოთ და ვთქვათ პირდაპირ: რაღა მაინცა და მაინც შენ უნდა მოგხვდეს ტყვია? განა საკმარისი არ არის, ობლობაში გავიზარდე, გაჭირვებით ვისწავლე და როცა მეგონა, ცოტა წელში მოვმაგრდი-მეთქი, დაიწყო ეს უბედურება. უშენოდ ერთ დღეს არ ვიცოცხლებ. ვიცი, მეტყვი: ბავშვებს გაზრდა უნდა და პატრონობაო; ეს ყველაფერი მესმის, მაგრამ მე ხომ მაქვს საკუთარი გული და საკუთარი ცხოვრება. შენ ბავშვებისათვის მხო-



ლოდ მამა ხარ, ჩემთვის კი გარდა ამისა არ ჩილი ხარ! გესმის ჩემი არჩილი, ჩემი საბოლოო შეყვარებული — ამჟამად კანონიერი მეუღლე.

მაპატიე, ჩემო იმედო, ბევრი ქალური სისულელე დავწერე, რისი ახლა არც დრო არის და არც ხასიათი. მაგრამ რა ვქნა, როცა ვხედავ რომ სულ ილია დაკარგო, როგორ არ ვითხრა ჩემი დარდი. შენ თუ არ შემოგჩივლე, სხვა ვილა დამრჩენია.

ჩვენი დარდი ნუ გექნება, ჩვენ ორ ამდენ გაჭირვებასაც გავუძლებთ. შენ იყავი ყოჩაღად. ჩვენ ყოველთვის ერთგულად ვემსახურებოდით ამ ქვეყანას და ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ჩვენი თავდადება. გჯეროდეს ჩვენი და იმედი გექნება შენი.

გეოცნიან და გულში გეხუტებიან ოთარი, ბიძინა და გივი.

შენი უბედური ნანა

## 20 სექტემბერი

ჩემო მებრძოლო მეგობარო!

დარწმუნებული ვარ, თუ ჩემმა წერილმა შენამდე მოაღწია და ჩემი საველე მისამართიც გადაჩა, წერაღს გამომიგზავნიდი. მაგრამ ჩვენ ისეთ დღეში ვართ, გასაწვირი არაა წერილი დაიკარგოს. მოკლედ შენი პასუხი ჩემს პაპველ წერილზე არ მიმიღია, და ახლა, ჯოჯოხეთურ ცეცხლს ცოტახნით რომ გამოვარიდე თავი, ვახერხებ თრიოდე სიტყვა მოგწერო. მაგრამ ვაი ამ წერილს. რით უნდა გაგახარო და განუგეშო, ჩემი ჯანმრთელობა რას უშველის საქმეს? დღეს, საბოლოოდ. იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა კიევი.

ჩვენი კიევი, ჩვენი ძმებს, უკრაინელების დედაქალაქი. ნეტავ ომამდე მაინც არ მენახა ეს ქალაქი, არ მენახა ეს ბაღნარად ქცეული კრემიატივი მაშინ შეიძლება ასე არ დამწყვეტოდა გული და ასე მწარედ არ განმეცადა ჩვენი მარცხი. სადღა კიევი! არტილერიამ ნანგრევებად აქცია ქალაქი, გერმანელები მხოლოდ მაშინ შემოვიდნენ, როცა ჩვენი თავგანწირვა უაზრო იყო და სტრატეგიული მოსაზრებით ვიხვედით უკან, ხარკოვისაკენ. სიმწრის ცრემლები გვცვიოდა ყველას, მაგრამ რას იზამ, მტრის გამარჯვება დროებითია, ნანა, ნუ შეუშინდები ჩვენს ამ მარცხს, გჯეროდეს, არცერთ მებრძოლს არ შეურცხვენია თავი, კიევი დაეტოვეთ არა იმიტომ, რომ ჩვენ ლაჩრულად მოვიქცით, არამედ გერმანელებს ჩვენზე მეტი ტანკები და თვითმფრინავები აქვთ, ჩვენზე მომზადებული არიან ომისათვის, მაგრამ ჩვენზე მაგარი ვუყავები კი არ არიან! გჯეროდეს, ნანა, გერმანელი მაშინ არის ძლიერი, როცა მძლავრი ტექნიკა აქვს, თორემ, აბა, ხელჩართულ ბრძოლაში ნახე, როცა ხიშტზე მიდგება საქმე, სულ კუდით ქვას ვასროლინებთ ხოლმე. მაგრამ ვაგლახ, რომ სულ უკან და უკან ვიხვეთ. როდემდე? განა გერმანელები კავკასიამდეც მოაღწევენ? როდის დაიწყება შეტევა? ბიჭები ისე არიან გამწარებული, რომ ნიშანს ელიან მხოლოდ და თავგამეტებით ეკვეთებიან მტერს. მძიმე, ძალზე მძიმე დღეებია. თავს იმით ვინუგეშებ, რომ შენმა წერილმა უთუოდ ვერ მოაღწია ჩემამდე, თორემ ყველაფერს ოჯახის დარდიც მიემატებოდა. სჯობია სულ არაფერი იცოდე, ვიდრე ცოტა და დასაეჭვებელი. როცა ზარბაზნები მიჩუმდებიან, ჩემი ბიჭების



ქლურტული მესმის და ეს ხმა ისე მასვენებს და იმავე დროს ისე მაფიცებს, მზად ვარ მარტოკა შევება მტერს. თქვენ იყავით კარგად, გერმანელების წინსვლა დროებითია, შენ იმასაც ნახავ, ბერლინს შევეუნგრევთ კარს. არ იღარდო და მხნედ იყავი. ბავშვები დამიკოცე.

არჩილი

ამ წერილის პასუხიც ვერ მიიღო არჩილმა, რადგან ჩვენმა ჯარებმა მალე ხარკოვიც დატოვეს.

## 25 დეკემბერი

ჩემო მეზობლო მეგობარო!

გამხნევი და გული გაიმაგრე, გილოცავ ჩვენი ჯარების პირველ დიდ გამარჯვებას, მტერი უკუგდებულა მოსკოვიდან! ჩვენი სამშობლოს გულს აღარ ემუქრება უშუალო საფრთხე. დეკემბრის პირველი რიცხვებიდან სისხლისმღვრელი ბრძოლებია მოსკოვის მისადგომებთან და კბილებამდე შეიარაღებული მგელი ფეხებმომტვრეული შევაჩერეთ და დავაჩოქეთ. მართალია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მგელს მგლობა მოეშალოს და კბილები დასცვეთოდეს, მაგრამ მთავარი მოხდა. გერმანელები დარწმუნდნენ, რომ უძლველნი არ არიან და ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ, ეშმაკი არც ისეთი საშიში ყოფილა... შენ ნახე, მათი საბოლოო განადგურების დღეც დადგება!

კიდევ არ არის პასუხი შენგან. მე თავს კვლავ იმით ვინუგეშებ, რომ ამ არეულ ფრონტზე წერილები იკარგება. ყოველ შემთხვევისათვის ამ წერილის ასლს შენს სამსახურში ვგზავნი, იქნებ იმათ მაინც შემატყობინონ შენი ამბავი.

ძალიან ცივა, ჩემო ნანა, ყინვა ორმოც გრადუსს აღწევს, მაგრამ ჩვენი გული სიხარულით არის გამთბარი.

როგორ მენატრებით, რომ იცოდეთ, ღმერთო, თქვენს უნახავად ნუ მომკლავ.

არჩილი.

## 22

ჩვენ იმდენად გულუბრყვილო ვიყავით, რომ მამას მაისშივე მოველოდით, მაგრამ ის არც მაისში ჩამოსულა და არც აგვისტოში. აგვისტოში მამა მანჯუურიში ებრძოდა კვანტუნის არმიას, მერე დემობილიზაციას ელოდა წელიწადნახევარი და თბილისში მხოლოდ 1947 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა.

მამა შეცვლილი გვეჩვენა ყველას. აღარ იყო წყნარი და აუღელვებელი. ყველაფერზე ფიცხობდა, ყვიროდა, ღამე ცუდად ეძინა და ძალიან ბევრ თამბაქოს ეწეოდა. მერე უცბათ საღდაც დაიკარგა და სამი თვე მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცოდით. დედა ამბობდა „ფრონტიდან ჩამოყოლილი რომანი ღუპავს ოქროსავით ვაცსო“. ჩემთვის ეს სიტყვები გაუგებარი იყო. მივხვდი უბრალო შემთხვევით: ერთხელ მამის მახარას რომ ვქექავდით მე და გივი, ქალის სურათს წავაწყდით.

ქალს სამხედრო ფორმა ეცვა, სამხრებზე ეტყობოდა, რომ ექიმი იყო. ახალგაზრდა არ იყო, არც დედაზე ლამაზი, მაგრამ ისე შემოგვეცინოდა სურათი-

დან, რომ მე და გივის მაშინვე მოგვეწონა. მერე დედა სასამართლოში დადიოდა. ორჯერ მილიციაშიც იყო. ჩვენი სიამე და სიმშვიდე მოიშალა. ფრონტზე ომი დამთავრდა და ჩვენს ოჯახში დაიწყო.

რამდენჯერმე თათია და დორა მოვიდნენ. ისინი რუსულად საუბრობდნენ, აბრეშუმის ცხვირსახოცს ცხვირის ნესტოებზე ისვამდნენ, ბევრს სჭამდნენ და ცოტას იცინოდნენ. მე დღემდე არ ვიცი, რა უთხრეს მათ ჩემს მშობლებს, ვერც ის გავიგე, მამამ იმ ქალის სურათი, სამხედრო ფორმა რომ ეცვა, რატომ დასწვა ნავთქურაზე. ფრონტიდან სულ რვა თვის ჩამოსულა იყო, ისევ ვოლგისპირეთში წავიდა, ახლა კი სამუშაოდ.

იმ ზაფხულს, სანამ მამა წავიდოდა, მე, გივი და დედა წალვერში გაგვგზავნა. ოთარი დასასვენებელ სახლში მარტო წავიდა, ის უკვე დიდხანია ჩვენს საერთო ხევედრს აღარ ინაწილებდა.

წალვერში, ოროთახიან სახლში ერთი ოთახი ვიქირავებთ და დავიწყებთ „დასვენება“. ჩვენს მეზობლად მალე მოვიდნენ დამსვენებლები, დედა-ქალიშვილით.

ქალიშვილი, რომელსაც ლელა ერქვა, ცხვირბაზეკილი დადიოდა. მე ამისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიმიცია, რადგან სოფლიდან წამოდებული პაპისეული თოფი მქონდა და მთელი დღე კარგი მწვეარივით დავქაქანებდი ტყეში.

ლელა მეორე დღესვე მოლბა და სიცილი დაიწყო; მე უფრო შემრცხვა და სულ ვეღარ გავუმართე თვალი.

რატომღაც ყველაფრისა მრცხვენოდა. ტყეში, ხეებზე, დანის წვერით ჩემდაუხებურად, ლელას სახელს ვჭრიდი, ჩუმ-ჩუმად აკროსტიხებს ვუწერდი, დაძინებისას ან დილით ადრე, ადგომამდე, ხარბად ვუთვალთვალეზი საბინიდან გამოცურებულ პუნტულა მუხლს, ყოველდღე ჩემ თავს ვაძლევდი პირობას, რომ შეეხედავდი, გამოვესაუბრებოდი, მაგრამ ვერაფერს ვერ ვახერხებდი. დღისით გავურბოდი ლელას, დაღამებამდე ვცდილობდი შინ არ შემოვსულიყავ, ხოლო როცა ყველა მეზობლები ეზოში დასხდებოდნენ, ლოტოს თამაშობდნენ ან მღეროდნენ და იცინოდნენ, მე შინ რალაც „გადაუღებელ“ საქმეს გამოვიჩენდი და ნაკემ კატასავით გავიძურწებოდი იქიდან. როგორც მეტისმეტი სითამამე ეცემა კაცს თვალში, ისე მეტისმეტი მორცხვობა, მით უმეტეს ბიჭისაგან, და ქვეშეცნულად ვგრძნობდი: ლელა დიდხანია მითვალთვალეზდა. მიმინო რომ დაუფლის ირაოს მწყერს, ისე მივლიდა ის ტალკვესა გოგო. მას ასე მიამიტურად არ სცხვენოდა ყველაფრისა, როგორც მე. თვითეულ ამოსუნთქვაზე რომ ვიწვებოდი და ვიფერფლებოდი. „ეს სიტყვა ასე არ უნდა მეთქვა, ამ დროს ასე ხმამაღლა და ასე უშნოდ არ უნდა გამცინებოდა, სიარულის დროს არ უნდა ავჩქარებულყოფიყავ... მოკლედ, ცოცხლად ვიტანჯებოდი და ვიხარებოდი ჩემსავე წვეწში. არ ვიცი, უფრო მეტად მრცხვენოდა თუ მეშინოდა, მე ხომ არც ისე მიამიტი ვიყავი, როგორც ვაჩვენებდი თავს, თუმცა ჩემი „გამოცილილება“ წიგნებიდან, ილუზიებიდან მოდიოდა და არა უშუალოდ ცხოვრებიდან. ამიტომ ვიყავი ასე ხელფეხსებორკილი ყველაფერში.

ჯიბრზე თითქოს, ლელას დედამ თავის ქალიშვილს დასაძინებელი ადგილი შეუცვალა და ჩვენს საერთო აივანზე, რომელიც თოკზე გადაკიდებული თხელი ფარდით იყო გაყოფილი, სწორედ იქ დააწვინა, სადაც მეორე მხარეს მე ვიწვიქი. რა თქმა უნდა, ეს უბრალო დამთხვევა იყო, მაგრამ მე ღმერთს მად-

ლობას ვწირავდი, რომ თავიდანვე აივანზე ეს ადგილი მარგუნა, თორემ ახლა რა მიზეზით უნდა შემეცვალა იგი...

აივანი თხელი, თხელი, ძალზე თხელი ფარდით იყო გადატიხრული და ამ ფარდის აქეთ-იქიდან მე და ლელა ვიწექით. ვიწექით და ორივე (დარწმუნებული ვარ ამაში) ვიტანჯებოდით. ღმერთო ჩემო, ხანდახან რა წინდაუხედავები არიან მშობლები!..

მაშინ თმაში თეთრი არ მქონდა გარეული, გული სავსე მქონდა მტრედით მოფართქალე იმედებით, ბედნიერებაც ისე ახლობელი და ლამაზი მეჩვენებოდა, როგორც ფარდის იქით მწოლიარე ქალიშვილი... ახლა ვარწმუნებ ყველას და საკუთარ თავსაც, თითქოს არასოდეს არ მიგვრძნია ნამდვილი სიყვარული, ყოველ ჩემს ნაბიჯს მკაცრი ლოგიკის ქაოსში ვხვევ და საკუთარ გრძნობა-გონებას კი აღარ ვეკუთვნი, არამედ — რას იტყვის სხვა.

დალამდებოდა, ტყიდან მოვიდოდა ფიჭვისა და ბალახების სუნი, სავსე მთვარე გამოიხედავდა ღრუბლის პერიანგიდან და ჩემი დაძაბული სმენა გრძნობდა როგორ ემზადებოდა დასაწოლად ლელა, როგორ იხდიდა ტანსაცმელს.

აივანი მისი სხეულის უხილავი სიბოთი ივსებოდა და მე ვნატრობდი, გულწრფელად ვნატრობდი, ეს სახლი თავისი დამსვენებლებით რამდენიმე წუთით მაინც გამქრალიყო და აივანზე ჩვენ ორნი დავრჩენილიყავით... გონებაში ვხატავდი, როგორ მოვეხვევოდი ლელას, როგორ მივუღალერებდი.

ყურთან მისი წყნარი სუნთქვა მესმოდა, მისი ტუჩების კაპუნი, მისი ზმორება და სახსრების ტკაცუნა და მე არაფერი არ შემეძლო, გატრუნული უნდა ვწოლილიყავი და დამეძინა. დილით უნდა ჩამეყალაპა კვერცხის გული ან მეჭამა გოგლიმოგლი, მერე დამელია რძე და წამეკითხა „ახალგაზრდა გვარდია“. ვკითხულობდი ამ წიგნს და უარესად ვბრაზობდი საკუთარ თავზე... ჩემ ასაკში მათ სიყვარულიც მოასწრეს, სიძულვილიც და გმირობაც. მე გმირობა არ შემეძლო, სიყვარულს ვერ ვებედავდი, სიძულვილისა მეშინოდა...

ჩვენი სიყვარული დარჩა იმ ფარდასთან, რომლის აწევა ვერც ერთმა ვერ გაუბედეთ.

ერთ დღეს ლელამ ტყეში გასეირნება შემომთავაზა.

— სულ მარტო რომ დადიხარ, არა გრცხვენია? წავიდეთ ერთად, ბიძინა. — თქვა ისე უბრალოდ, თითქოს ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ზაფხულის მცხუნვარება ცეცხლივით მოსდებოდა არემარეს და უალო ცეცხლით სწვავდა. ყველა ტყეში გარბოდა, სიგრილეს ეძებდა, ყველაფერი, სულიერი თუ უსულო, დაბურული ხეების ჩრდილქვეშ მისიწრაფვოდა.

ჩვენც ტყეში წავედით.

სწრაფად ავირბინეთ გამხმარი წიწვისაგან მოლიბული ფერდობი და სიცილ-კისკისით დავიწყეთ ხავსიანი მოლის ძებნა. ჩქარა მივაგენით. მივწექით დასასვენებლად.

ხანი ვავიდა. მე წამოვხტი და სირბილი დავიწყე. სოკოებს ვკრეფდი, თხილნარში დიდ სახრეებს ვჭრიდი, ტყის სიმშენიერით ვტკებოდი, ვლადობდი.

ლელა არ ამდგარა. როგორ არ ვეხვეწე, როგორ არ ვუქე ტყის სილამაზე და ხეების ნაირფერობა, არ ისურვა მაინც მათი ნახვა, ნებიერად იყო მიწოლილი ხავსზე და მონისლული თვალებით ცას შესცქეროდა.

მისმა გარინდებამ შემამშფოთა. მე მაინც თავდაუზოგავად ყვავილებს ვუ-



ზიდავი, პებლებს ვიჭერდი, მინდოდა როგორმე გამომეყვანა ცდუნებიდან. ვერ შევექელი. დროდადრო ლელა შემომანათებდა ავზნებულ თვალებს და მე მეშინოდა იმ შემოხედვისა... ვერ ვბედავი, მრცხვენოდა.

დიდხანს ელოდა თანაგრძნობას... მოსწყინდა, გაბრაზებული ადგა, თავქვე დაეშვა და ისე მივიდა სახლამდე, ჩემთვის ხმა აღარ გაუცია.

ახლა ყოველი შეხვედრისას ლელა დაბლა ხრის თავს, სიწითლე უვსებს ლაწებს, თვალს მარიდებს და ისე ეკრძალება ჩემი, თითქოს დიდი, ძალზე დიდი დანაშაული ჩაედინოს.

წადევრიდან რომ დავბრუნდი, სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ლელა მეზობელ ქალთა სკოლაში სწავლობდა. ბიჭებს გავანდე ჩემი საიდუმლო, რატომღაც მათ ძალიან თამამი ვეგონე გოგონებთან და შემომიჩინდნენ, თუ „კაჟაკი“ ხარ, ლელა შენი „გოგო“ უნდა გახდესო.

მეც, რახან ამხანაგებს ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ ჩემზე, იხტიბარი არ მინდოდა გამეტეხა და ნაჩქარევად მსურდა ლელასაგან თანხმობა მიმეღო. მე მგონი ამხანაგები „ერთობოდნენ“ ჩემი სიყვარულით და მე ბავშვური მიამიტობით ვერ ვხვდებოდი ამას.

შეიძლება იმიტომ, რომ კლასში ყველაზე უკეთ ვხატავდი, გოგონებს ყოველთვის აინტერესებდათ ჩემი ნახატები და არა მე... ეს ინტერესი მათამამებდა და მეგონა, საკმარისი იყო ვისმესთვის შემეხედა და ყველას „გაგაჩეებო“ შევუყვარდებოდი.

ლელა სხარტი, მოუსვენარი გოგონა იყო, მე თანდათან უფრო და უფრო მომწონდა, მისგან თანხმობის მიღება ჩემი ჰაბუკური „პრესტიჟის“ ამბავიც იყო და ყოველნაირად ვცდილობდი ამხანაგების იმედი გამემართლებინა.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ლელას წერილი გავუგზავნე. არ მახსოვს რას ვწერდი. წერილი ყალბი და ქარაფშუტული იქნებოდა, რადგან ისე არსად არ არის ადვილი ყალბი აღმოჩნდე, როგორც წერილში. მაშინ არ ვიცოდი, რომ ქალებს იშვიათად უყვართ წერილები. არ ვიცოდი, რომ ერთი შეხვედრა, ხელის ჩამორთმევა და თვალებში ჩახედვა მრავალ წერილს უდრის. არ ვიცოდი, რომ ქალს თუ გულწრფელად არ მოეჩეცი, არ გენდობა და ყურადღებას არ მოგაქცევს. მე კი, აბა, რა ვიცოდი ეს პირშეუფინგლავმა ჰაბუკმა, დაეხატე რაღაც საძაგელი სურათი — ჩემს გულს ამური ესერის ისარს. ისარზე ეწერა „ლელა“. სურათი წერილიანად უკან დამიბრუნდა. შერცხვენილმა ის წერილი და ნახატი დავწვი.

მას მერე ლელა ყოველთვის გამიბრბოდა, როცა ვესაუბრებოდი, არ მისმენდა და რატომღაც ისე მერიდებოდა, რომ მე თუ თავმოყვარეობის ნატამალი გამაჩნდა, თავი უნდა დამენებებინა. არ ვიცი ჩემი თავმოყვარეობის ბრალი იყო თუ წარუმატებლობისა, იმ ხანად ლელას თავი დავანებე და რაღაც ძალიან შეუუმჩნევლად დავშორდი თითქოს...

ამხანაგები დღეობებზე ვხვდებოდით ერთმანეთს, მე იმ წლებში ლოთობაზე და ხულიგნობაზეც ვდებდი თავს, როცა ჩემი მხატვრობით და სიყვარულით „ვერ მივიქციე“ ლელას ყურადღება, მინდოდა სკანდალებითა და აყალმაყალით მიმეპყრო. არც ამით გამოვიდა რამე, რადგან მე არასოდეს ნამდვილი ლოთი და ხულიგანი არ ვყოფილვარ. ვსვამდი იმდენს, რომ ბიჭებთან ერთად



რაც ძალი და ღონე მქონდა „მრავალყამიერი“ მდღრიალა და ხულიგნობა თავდებოდა მიწვევ-მოწვევით და გინებით.

რამდენიმე წლის მერე, უცბათ, სრულიად მოულოდნელად მივხვდი, რომ ლელა მიყვარდა. მეჩვენებოდა, რომ ლელასაც ვუყვარდი, ყოველთვის ვუყვარდი, მხოლოდ მე დროზე ვერ მივხვდი ამას და ჩემი უნიათობით ჩემი ბედნიერება დავანგრეე. ახლა რაღა მექნა, ლელა ცოლად ჰყავდა ჩემი ბავშვობის ამხანაგს გოგის, იმ გოგის, რომელსაც ჰაბუკობის დროს სიტყვა არ დასცდენია, ლელა მომწონსო, კაცი რომ გახდა, სრულიად უმტკივნეულოდ მოკიდა ხელი და ცოლად შეირთო. როგორ არ მთხოვდა გოგი მის ოჯახში ხშირად მივსულიყავი, მაგრამ თავს ვიკავებდი და ბოლოს სულ ამოვიკვეთე ფეხი. მე უფრო გულახდილი ვიყავი, ვიდრე გოგი, ის კი ჩემთან შედარებით, უფრო პატიოსანი იყო. მას აზრადაც არ მოსდიოდა ჩვენი ჰაბუკური სიცულქე გაეხსენებინა და ამიტომ ღია გულით მთხოვდა ოჯახთან მეგობრობას... მე კი, როცა შევეყურებდი მკერდსავსე ლელას, როცა ვაცქერდებოდი ლურჯ, უძირო თვალებში, ვგრძნობდი სახიფათო იყო მასთან სიახლოვე. მე მაკავებდა ძველი მეგობრობა გოგისთან და არ მინდოდა მისი ოჯახის პატივი შემელახა. ბოლოს ამას გოგიც მიხვდა. ჩვენ უფრო და უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს და ნელ-ნელა ვიფიწყებდით. ხანდახან ქუჩაში თუ მოვკრავდით თვალს, მივესალმებოდით და ამით თავდებოდა ჩვენი ამხანაგობა. ლელა კი გნოლივით იყო განაბული სადღაც. ჩემი შეუსრულებელი ილუზიების მიღმა, თხელი, ძალზე თხელი ფარდის იქით, და მხოლოდ უამს ელოდა თითქოს, რომ ამდენი გრძელი წელიწადის მერე ეჩუქებინა ჩემთვის ის, რასაც მე ბავშვობაში ასე მიამიტურად ვთხოვდი.

იმ წელს, ლელასთან რომ არაფერი გამომივიდა, კლასის ამხანაგებთან ერთად ბოჰემის „თამაში“ დავიწყე. ეს ის დრო იყო, ფულის რეფორმა რომ გატარდა, მაშინ ანა კალანდაძის ლექსებსაც ვიხეპირებდით:

ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,  
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი...

ანას ლექსები მაშინ ერთგვარი სულის შვება იყო, ომის ჭრილობები გვიან და მტკივნეულად შუშდებოდა, წლობით ნაშიმშილევი, მოღლილ, დატანჯულ ახალგაზრდებს რაღაც თავისუფალი და ცეცხლოვანი გვინდოდა ორბელიანის მუხამბაზებივით. მაშინ, რა თქმა უნდა პოეზია ცალმხრივად გვესმოდა, მაგრამ ის, რაც გვესმოდა, ჩვენთვის საკმარისი იყო.

გაზვირდა ქეიფები. დილით რძის ნაცვლად „ზაკუსოჩნიებში“ არაყს ვსვამდით. პაპიროსს ვქაჩავდით. გაკვეთილებს ვაცდენდით. სკოლაში ვხმაურობდით და რომელი მასწავლებელიც არ მოგვეწონებოდა, კოლექტიურ პროტესტს ვუცხადებდით. დროც არეული იყო. გერმანულ ენაში, ერთ თვეში, ხუთი მასწავლებელი გამოვიცვალეთ. უკანასკნელი მასწავლებელი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ ჩვენი ხმა დერეფანში არ გასულიყო. ჩვენც გაკვეთილზე არხეინად ვმუსაიფობდით, ვსაუზნობდით, ვლიღინებდით. მოკლედ „სრული დემოკრატია“ იყო, ოღონდ ჩვენი ხმა დერეფანში არ გასულიყო.

ის მასწავლებელი მაინც გაადგეს. პედაგოგი არც ყოფილა თურმე განათლებით, ორთაქალაში ერთ-ერთ სამკერვალს მოანგარიშედ ემუშავნა და გერმანული ენის სწავლება იმიტომ დაეწყო, რომ შეცდომას ადვილად ვერ ვუპოვიდით; არც ჩვენ და არც იმან ენა არ ვიცოდით.

ვეცილობდით რესტორნებში წაძრომას, მაგრამ საამისოდ ჯერ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, ხეირიანად არ გვეცვა და ჯიბეშიც თავგები დაგვიბოლოდნენ. უფრო სახინკლეებს ვეტანებოდით. ლუდით ვიჭყიპებოდით, მერე ქუჩაში ვიდექით, ვიფუთხებოდით და ანეკდოტებს ვამბობდით.

იმ ასაკში ძნელია წონასწორობის შენარჩუნება, ის წლები სახადივით არის, თუ ერთხელ კარგად მოიხადე, მეორედ აღარ შეგხვდება. მადლობა ღმერ ას, ყველანი, ამხანაგები, ვინც მაშინ ერთმანეთის წაბაძვით ღვინოსა და აყაღმაყალს ეტანებოდა — დღეს ძალზე წესიერი და პატიოსანი ხალხია...

ჭაბუკობამ გაზაფხულის წვიმასავით გადაიარა. ჩვენ კვლავ ერთმანეთის წაბაძვით შლაპები დავიხურეთ და ჯენტლმენებად მოგვაქვს თავი.

ახლაც თვალწინ მიდვას ჩვენი საკლასო ოთახი, დანით დაჩიჩქნილი მერხები და ბიჭები, გვრიტებივით რომ ჩამომსხდარან. რამდენმა წელმა გაიარა, ბევრი ტყავი შევიცვალეთ, მივეჩვიეთ ტყუილსა და ორპირობას, ვისწავლეთ გულწრფელი ცხოვრებაც — მაგრამ ჩვენ იგივე დავგრჩით, რაც მაშინ, ბავშვობაში ვიყავით. ადამიანი რაც უფრო დიდხანს ცოცხლობს, მეტ პიჯაკს იცვლის, მაგრამ მისი ბუნება იგივე რჩება, რაც ჭაბუკობისას იყო. ჭაბუკობა ვაზის ყვავილობასა ჰგავს, რაც შერჩება მარცვალი ვაზს ყვავილობის შემდეგ, მერე აღარც მოემატება და აღარც დააკლდება. რა თქმა უნდა, ზოგი კარგი გეოლოგი გახდა, ზოგი შესანიშნავი ექიმი, ზოგი ბრწყინვალე მკვლევარი — მაგრამ ადამიანები იგივე დარჩნენ. ზოგი ალბათ გაზეპირებულ როლს თამაშობს, იცავს „წესიერებას“ საზოგადოებაში, იკეთებს კარიერას სამსახურში, იცვლის ბინებს, ცოლებს, შეხედულელებს — მაგრამ რაც იყო, იგივე კაცია. ჩვენ, ამხანაგები, ერთმანეთს ვეღარ მოვატყუებთ. რომ შეიძლებოდეს ყველა ადამიანი ბავშვობაში ერთიმეორის ამხანაგი იყოს, მაშინ მოზრდილებში სიყალბე და ფარისევლობა აღარ იქნებოდა.

## 24

ოჯახის ტრადიციით უთქმელ კანონად მაქვს დაწესებული: თვეში ერთხელ დეიდები უნდა მოვინახულო. როცა ავივლი იმ წყნარსა და სუფთა ქუჩას, სადაც დეიდები ცხოვრობენ, ჯერ ეზოშიც არა ვართ შესული, რომ ქვეშეცნეულად მესმის გოგლიმოგლის თქვეფის ხმა და ვგრძნობ, როგორ გაუღენთილია მათ ოთახში ყველაფერი ვალერიანის სუნით.

სახელურს ფრთხილად დავაწექი და საღებავგაქერცილი კარი შევადე.

— ბიძინა მოვიდა, — სიხარულით წამოიძახეს დეიდებმა, წამოფარფატდნენ, დაფაცურდნენ.

— როგორა ხარ, ბიძინა, დაჯექი, შვილო, ხომ არ დაიღალე, — ერთმანეთს აღარ აცლიდნენ შინაბერები.

მე მოთმინებით მოვისმინე ყველაფერი და გადავეცი ჩემი მშობლების თხოვნა.

— რატომ დაგვივიწყეთო, შემოგითვალეს.

— როგორ, შენ იქ არა ცხოვრობ? — შეიცხადეს დეიდებმა.

— არა, მე ცალკე გადავედი. ხომ იცით, ჩვენი ძველი ბინა ვიწროა. ჩემს ატელიეს დიდი დარბაზი სჭირდება.

— რაზე მუშაობ, ბიძინა? — მკითხა დორამ.

— მეც არ ვიცი, დეიდა, — მივუხე და რატომღაც გავწითლდი. — ვმუშაობ



ყველაფერზე და თითქმის არაფერზე. ვერ გამიგია რა მემართება. ვგრძობ, ის დიდი სათქმელი, რაც მაწუხებს, აი აქ, სადღაც, სულ ახლოს, ამ ბუხრის ორნამენტში თუ თქვენს დადლილ თვალეებში ზის, სულ იოლია ხელი წავატანო, მე კი ვერ ვახერხებ, შორიდან ვუვლი, რაღაც ესკიზებსა და მინიატურებსა ვწერ.

— არც არის გასაკვირი შენი ასეთი დაბნეულობა, — მითხრა დორამ, და ნეც გაყურსული მივაჩერდი. რადგან ხანდახან დორამ ჰკვიანური საუბარი იცოდა.

— არც არის გასაკვირი, ჩემო ბიძინა, — გაიმეორა დორამ, — შენ დედის უბეში გაიზარდე გვრიტივით, ახლა ხარ და ოჯახს ვერ სცილდები... წინათ ხელოვანი დიდი ბიოგრაფიის, მჩქეფარე და მრავალფეროვანი ცხოვრების შემოქმედნი იყვნენ... მე შენი არ ვიცი და აი როცა ვკითხულობ რომენ როლანის წიგნს მიქელ ანჯელოზე...

— ბავშვი როგორ არის, ბიძინა? — გააწყვეტინა თათიამ.

— გმადლობთ, დეიდა. ყვავილისა ავუცერით. ერთი კვირის მერე გამოაჩნდა მკლავზე.

— კარგია თუ გამოაჩნდა. ყვავილი მოხდილად შეგიძლია ჩასთვალო. ყველაფერი აუცერით, ჩემი ბიჭი, თორემ ხომ იცით საშიშია...

მაღე სამივემ მიქელ ანჯელო დავეიწყეთ და გადავედით წვრილმან ოჯახურ ამბებზე. დეიდებთან ჩემი ყოველი მოსვლა ამით მთავრდებოდა, მწვერვალისაგან ნელ-ნელა ვეშვებოდით ქვევით და ბოლოს საყვედურსაც კი ვღებულობდი დედის გამო.

— დავეიწყა, ვეყო — მეტყოდა თათია, — აქაო და შვილიშვილები მყავსო...

მე დედას ყოველთვის ვიცავდი.

— მართალია, შვილები ცალკე ვცხოვრობთ, მაგრამ დედა მაინც არაა უზრუნველი...

— გაჩუმდი! — გამოიჯავრდებოდა დორა, — დედაშენი ყოველთვის ასეთი ბუტია იყო.

მერე დეიდები ყავას დამალევიენებდნენ და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ.

— დემონი ნახე?

— იური გაგარინი ხომ კარგი ყმაწვილია?

— როდის გაფერინდებით მთვარეზე?

მე, რაც შემეძლო ვბასუხობდი. მერე კვლავ ყველას გვავეიწყებოდა კოსმოსი და ვისმენდი დორას დარიგებას.

— ნატა ხშირად მოიყვანე ჩვენთან. ხომ ხედავ, მე სიარულის თავი აღარა მაქვს, სამსახურიდან მოვალთ და სულ შინა ესხედვართ. ჰო, ტორტის ბისკვიტისათვის, ჩაიწერე, ბიძინა: ექვსი კვერცხი, სამი ჭიქა ფქვილი... ვანილი...

მე, მართალია, თავით არ ვაცხობ, მაგრამ სამხარეთლოს წიგნს დიდი სიყვარულით ვკითხულობ, — მეტყოდა თათია, — ნატას საამისო დრო არ ექნება. მას ურჩევნია სელინჯერი იკითხოს... ნამცხვრის გამოცხობას კი ჩვენ ვასწავლით!

ნატა მართლაც სელინჯერს კითხულობდა და ნამცხვარს ვერ აცხობდა, იმიტომ რომ დეიდების რეცეპტები ყოველთვის ყალბი იყო. მაგრამ არასოდეს საყვედური არ გვითქვამს. ნატას მორიგი „მარცხის“ მერე საკონდიტრო მალაზიში მივდიოდი და იქ ვყიდულობდი ნამცხვარს.

დეიდებს კი, ვინ იცის მერამდენედ, ვპირდებოდი:

— უახლოეს დღეებში ორივე გამოგივლით. ბავშვებსაც მოვიყვანთ. დედას ვეტყვი, რომ ნაწყენი ხართ... მხოლოდ მისი საყვედურიც არ დაგავიწყდეთ! დავეშვებოდი ქუჩაზე, ზედიზედ ვწევდი სიგარეტს, რათა მომეცილებინა სიბერისა და ვალერიანის სუნი...

გავიდოდა თვე, სანამ კვლავ მივიდოდი დეიდებთან. ამ ხნის მანძილზე უცბათ გამახსენდებოდა თათიას შეკითხვა:

— როდის გავფრინდებით მთვარეზე?

და ჩემი უთქმელი პასუხი:

— როცა ყველა ქალი გათხოვდება.

## 25

ნატას, ჩემს ცოლს, პირველად შევხვდი რვა თუ ცხრა წლის წინ, კონსერვატორიის მცირე დარბაზში, ანტრაქტზე. იმ დღეებში რატომღაც ხშირი სტუმარი ვიყავი კონსერვატორიისა, მუსიკა ერთგვარ შვებად იქცა ჩემთვის და თითქმის ყოველდღე კონსერვატორიაში ვიჯექი. ნატას წინა დღეს კონცერტი ჰქონდა, ამიტომ დავინახე თუ არა, მაშინვე ვიცანი. მე უკვე შეჩვეული ვიყავი ქალებთან თამამ საუბარს, ამიტომ არ გამძნელებია ნატას გაცნობა, მაგრამ მერე დამუწვავებული ვიჯექი მის გვერდით მთელი საღამო და ხმას არ ვიღებდი. ნატა მუსიკად იყო ქცეული. ნეტავი ასე მე ვყვარებოდი როდისმე, როგორც მუსიკა უყვარდა. ისეთი დაძაბული მღელვარებით უსმენდა თითოეულ აკორდს, ისეთი არაამქვეყნიური ნათელით იყო გასხვივსნებული მთელი მისი არსება, არ მინდოდა ხელი შემეშალა ტკბობისათვის და მხოლოდ გარეთ, ქუჩაში, როცა შინისაკენ მივაცილებდი, შევძელი საუბარი. იმ დამეს დიდხანს ვიარეთ თბილისის ქუჩებში, მე შეუჩერებლად ვლაპარაკობდი, ვგრძნობდი ნატა არ მისმენდა, ისევე მუსიკის ხმებით იყო სავსე, ეს მე მახელებდა და უფრო შმაგად და თავდავიწყებით ვუამბობდი ათას გასართობ და თავშესაქცევ ამბავს, ვუამბობდი ჩემს ცხოვრებას, ბავშვობას, სწავლას და ახალგაზრდულ ოცნებებს. ბოლოს, როგორც იქნა, ნატაც ჩავითრიე საუბარში. შუალამისას მივაცილე შინ და კიდევ დიდხანს ვიდექი მის ჰომეოპათთან, თუმცა ნატა რა ხანია შევიდა, სინათლე ჩააქრო და ალბათ დაიძინა კიდევ. მაგრამ არა, მე მჯეროდა, რომ ამ საოცრად მსუბუქსა და ცისფერ ღამეს მასაც არ ეძინა, ისიც ფიქრობდა, ოცნებობდა რაღაც გაურკვეველი, ბურუსიანი ფიქრებითა და იმედებით, აშენებდა ბროლის კოშკებს, ვილაცას მოუხმობდა და სადღაც მიილტვოდა. ასე ბურუსიანად დამთავრდა ის პირველი საღამო, მას მოჰყვა მეორე და მესამე შეხვედრა და თუ სხვებთან მე აქამდე ათჯერ მოვათავებდი თამაშს, მასთან ხელ-ფეხი მებორკებოდა, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, ვისთვის დამებრალებინა ჩემი გაუგებარი ყოფა და სურვილები. მეჩვენებოდა, რომ ნატა მიყვარდა, მინდოდა სულ ასე მომღიმარი და დაფიქრებული მენახა, ასე აღელვებული მუსიკითა და მელოდიებით. ნატა ჯერ მიფრთხობდა, მერიდებოდა, მერე მასაც მოეჩვენა, რომ უყვარდი და თანდათან დამიახლოვდა.

თითქმის მეზობლად ვსწავლობდით. აკადემიიდან დავშვებოდი ქვევით და კონსერვატორიასთან ყოველთვის ნატა მიცდიდა. ორივეს ხელოვნება მიგვიჩანდა ჩვენი ცხოვრების ღერძად, ორივეს ერთნაირად გვესმოდა მშვენიერება, სხვა რაღა უნდა ყოფილიყო საჭირო ორი ახალგაზრდა ადამიანის დასამეგობრე-





ბლად? გადავწყვიტეთ, რომ სხვა აღარაფერი იყო საჭირო და მალე დავვერ-  
წინდით.

პირველ თვეებში, როცა მე მინდოდა სულიერად დავწმენდილიყავ, ყო-  
ველთვის ნატაზე ვფიქრობდი. ნატა ისეთ სათუთ გრძნობებს აღმიძრავდა, ისე  
საამოდ მელამუნებოდა, ისეთ სიმაღლეზე ავყავდი, რომ წუთით ყველაფერი  
მავიწყდებოდა, მზად ვიყავი მშვიერი და ჩამოგლეჯილი გყოფილიყავი, ალიზით  
შეხუხულავებულ ქოხში მეკხოვრა, ოლონდ გვერდით ნატა მყოლოდა. ახლა  
არ მჯერა, იმ დღეებს რომ ვიგონებ, მგონია, რომ მეჩვენებოდა ყველაფერი.

გავიდა ერთი წელი ჩვენი ქორწინებიდან და დავრწმუნდი, რომ ორივეს  
მართლაც მიგვაჩნდა ჩვენი ცხოვრების ღერძად ხელოვნება, ორივეს ერთნაირ-  
ად გვესმოდა მშვენიერება... მაგრამ ერთმანეთი არ გვიყვარდა.

ვიფიქრე, ისევ მეჩვენებოდა. თავს ძალა დავატანე, ვაკეთებდი ყველა-  
ფერს, რაც კი შეუძლია მამაკაცმა გააკეთოს, როცა ცოლი არ უყვარს. ხანდახან  
მეგონა, რომ ვპოვე ბედნიერება. ხანდახან ისევ აირეოდა სამყარო და ვწყვე-  
ლიდი ჩემი გაჩენის დღეს.

ასე გადიოდა წლები.

26

1 აპრილი, 1938 წ.

ნანა!

ამანათი მივიღე, რაზეც დიდ მადლობას მოგახსენებ. მიხარია, რომ ყველა-  
ნი კარგად და ჯანმრთელად ხართ. დღეს გვირბების გამოცდაა და სახელმწი-  
ფო კომისია უნდა მოვიდეს. შეიძლება ყველაფერი იოლად დამთავრდეს, შე-  
იძლება...

დაწვრილებით მერე მოგწერ, ახლა მუშები მელოდებიან.

თქვენი სიცოცხლის მონატრე არჩილი.

25 თებერვალი

ჩემო სიცოცხლე, არჩილი!

მოგილოცავ წითელი არმიის დღეს. გისურვებ წარმატებებს მუშაობაში და  
ბედნიერებას ოჯახში.

არჩილ, შენი უკანასკნელი წერილების შინაარსი, როგორც მწერდი, არა-  
ვისთვის არ გამიმხელია. სკოლის პედკოლექტივიდან შეიდი კაცი უგზოუკვლოდ  
დაიკარგა. ერთი, მაგალითად, ფიზკულტურის მასწავლებელი იყო და ინსპექტო-  
რი შესდავებია, პიონერები ყირას რომ სჭიმავენ, ყელსახვევის ბოლო მიწას  
ხვდება, შენ ამით ყელსახვევს ჩირქს სცხებო... გააქრეს ის მასწავლებელი. გე-  
ოგრაფიის მასწავლებელ ვალიკოს შენც იცნობდი, გაკვეთილზე ინგლისის კო-  
ლონიალიზმი უხსენებია, თურმე ჩაუწერეს ოქმში: რატომ არა თქვი, ინგლისის  
„ყაჩაღური“ კოლონიალიზმიო... გააქრეს საცოდავი ვალიკო.

რა ვქნა აღარ ვიცი, არჩილი! ახლოს რომ იყო, შენ მაინც ვკითხავდი რჩევას.  
არადა ვაკვეთილზე თავისუფლად ვერ ამომისუნთქია. შენ რომ რამე დავგმარ-  
თოს და მეც მიმაყოლონ, ჩვენს ობოლ ბავშვებს ვილა მიხედავს? ხალხი ლუქმა-  
პურზე ფიქრობს, სამსახურს დაეძებს, სწავლობს, ცხოვრობს და ხან დარდია-  
ნია და ხან მხიარული... მოკლედ, მძიმე წლებია!..

გუშინწინ ამანათი გამოგიგზავნეთ, სოფლიდან მივიღეთ ჩურჩხელები და  
არაყი. ვფიქრობ, არც ერთი არ გაფუჭდება და შენ სიამოვნებით მიირთმევ.



ვინ იცის ჩვენს წერილებსაც კითხულობენ და გვაძინებენ. წამკობხვეთ გვეგონება, გვეგონება: პატიოსანი ხალხი ვართ და ამ ქვეყნის ერთგულები! გოცნით მე და ბავშვები.

შენი მოსიყვარულე ნანა.

27

დრო და დრო, როცა სულს გაუგებარი სურვილები დაებატონება, როცა გარეთ არ გავდივარ, ყველაფერი მეზარება და ქალაქში გასეირნებაზეც უარს ვამბობ, ამ გაორებულ და მძიმე წუთებში ჩემს არქივს გადავქეპავ ხოლმე. იქ ყველაფერი ნაცნობია. თითოეული გვერდი, მელნის ფერი თუ კალმის სისქე. მაგრამ მაინც ამ მტვრითა და ქრელი მოგონებებით საესე ქალაქებს ერთგვარი სიმშვიდე და სიმყუდროვე შემოაქვთ აფორიაქებულ სულში. ამიტომ საკმარისია არქივს მივუჯდე, და ყველაფერი დიწმინდება, თავის ალაგზე დალაგდება. დღესაც, როცა არქივთან ვჯახირობდი, რაღაც რვეულებს წავაწყდი. რომელიც არ ვიცი საიდან მოხვედრილიყვნენ ჩემს ქალაქებში. ნაწერს დავხედე. ნატას ხელი შევიცანი.

მე ჩვეულებად არა მაქვს ცოლის წერილების კითხვა, მაგრამ ეს რვეულები წერილებს არ ჰგავდა და დამაინტერესა. მე და ნატას საკუთარი უჯრები ვვაქვს საწერ მაგიდაში, რომელთაც, მართალია, არ ვკეტავთ, მაგრამ წმინდად ვიცავთ „ურთიერთჩაურევლობისა და ხელშეუხებლობის“ პრინციპს. ახლა კი, როცა შინ არავინ იყო, ცნობისმოყვარობამ წამძლია. ფრთხილად გადავშალე რვეული და კითხვა დავიწყე.

ორი თვეა, რაც გავთხოვდი. დედამთილი თითქოს სიყვარულით შემხვდა. თავის შვილებს ხომ ზედ დაჰკანკალებს, ტკბილი სიტყვა არც ჩემთვის დაუკლია. მაგრამ ამ სიტყბის რაღაც უხილავი ნესტარი აქვს, რომელიც შეუმჩნევლად მჩხვლეტს. ნანას ეს კარგად შეუძლია. საერთოდ ერთი რამ შევნიშნე: ამით ყველას დაკარგული აქვთ ზომიერების გრძნობა. თანაც მეტისმეტად გულახდილი არიან. ერთად, ჯგუფურად გამოხატავენ სიხარულსა და წყენას. მე ყველაფერს პირდაპირ და დაუფარავად მეუბნებიან. ამ პირდაპირობას ბევრი ცრემლი მოაქვს ჩემთვის, მაგრამ რას ვიზამ.

სანებლიძეებს ნათესავეები ცოტა ჰყავთ, ბიძინა, როგორც ჩანს, ცუდად არის გაზრდილი, ნანას ეგოისტურად უყვარს იგი, დედამთილს თითქოს ისიც აღიზიანებს, კანონიერი ცოლი რატომ ვესიყვარულები ქმარს.

მოსვლის დღიდანვე მიკვირებენ, ბიძინას მეგობარი არა ხარო. რა გავაკეთო ღმერთო ჩემო, არ ვიცი. გამოდის, რომ გულხელდაკრეფილი უნდა ვიჯდე და ქმარს თვალეში ვუტკიპირო. არა, მე არ შემიძლია სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრო. მე მინდა საკუთარი ცხოვრება მქონდეს. მე მინდა პირველ რიგში ბიძინა მიყვარდეს და მერე მისი საქმე. რასაკვირველია, ჩემთვის საამაყოა, ბიძინა ცნობილი მხატვარი გახდეს, მაგრამ მე მხოლოდ ეს არ დამაკმაყოფილებს. საკუთარი სახელიც მინდა.

მოუსვენარი ფიქრები მიპყრობს. განა შეეცდი, რომ გავთხოვდი, ეს ხომ ჩემი სურვილი იყო. ძალა არავის დაუტანებია. მაშ რათ ვგრძნობ სიცივეს. რატომ არ მიყვარს იგი? სიტყვით კი ვამბობ, მაგრამ განა ეს ნამდვილი სიყვარულია? რატომღა, რომ არ მიხარია მისი შინ დაბრუნება? რატომღა, რომ ერთხელაც არ მივეალერსები, ხოლო მის ალერსს ხელისკვრით ვიშორებ? განა გა-

თხოვება ცდუნება იყო? მოვტყუედი? როგორ მოვიქცე? ვის ვკითხო რჩევა?

ჩემთვის ბევრი რამაა გაუგებარი ცხოვრებაში. ბავშვობა ამხანაგებთან ერთად გავატარე. მათთან ერთად კვირაში ორჯერ დავდიოდი კინოში, ხალისით შევექცეოდი ნაყინს, უდარდლად ვიცინოდი, ცხოვრება წარმტაც ვოდევლოდ მეჩვენებოდა. მყავდა ნაცნობი ვაჟებიც, მაგრამ მათ ყურადღებას არ ვაქცევდი. ამხანაგებთან უზრუნველად გატარებული წლები მავიწყებდა, რომ როდისმე, თუნდ გათხოვების მერე, უნდა დაწყებულიყო სერიოზული ცხოვრება, ნამდვილი მეგობრობა მამაკაცთან, მოვალეობა უცხო ოჯახში, სიყვარული და პატივისცემა ახალი წრისადმი. ისე გავთხოვდი, რომ ერთხელაც არ მიკითხავს თავისათვის, მიყვარდა თუ არა ის კაცი, ვისთანაც ცხოვრებას ვაპირებდი. რამ მომხიბლა, რამ გამიტაცა? ჩვენ ხომ სულ სხვადასხვა ბუნებისა ვართ. ახლაც ვერ გამიგია, რატომ არის ბიძინა ნადრევად მობერებული. თუ ჩემთან არის მხოლოდ ასეთი უხალისო? მთელი ახალგაზრდობა ქუჩაში რომ არის გამოშლილი, ეგ მაშინ წერს. რამდენჯერაც ვკითხე რაზე მუშაობ ან მომავალში რას აპირებ-მეთქი, ბიძინა ყოველთვის ნაძალადევი ღმილით მიშორებს, თითქოს ბოდიშს იხდის თავისი საქციელის გამო. მგონია, რომ ბიძინას ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვარს. თანაც ჰგონია, რომ ძალიან ნიჭიერია და არ აფასებენ. სტუდენტურად ატარებს ცხოვრებას, არა გრძნობს, რომ ცოლი ჰყავს და მას ყურადღება სჭირდება. ბავშვივით მიფერება უყვარს, გრძნობს ასეთი ალერსის ფარისევლობას, მაგრამ მაინც თავს იტყუებს, პატივმოყვარეობის გამარჯვებას ზეიმობს. ჯიუტობს, როცა თავისი აზრი ვერ გააქვს. რაც უნდა მცდარი და უსარგებლო აზრი ჰქონდეს, დარწმუნებულიც რომ იყოს თავის შეცდომაში, არ აღიარებს, ქედს არ მოიხრის. მისი სიჯიუტე ყველა წვრილმანში მკლავნდება, ბიძინა თითქოს მაშინ არის მშვიდად, როცა ვინმეს გულს პოუკლავს, ეკალს უჩხვლეტს, გააღიზიანებს. მას არა სურს ვისმეს უპირატელობა აღიაროს. არა, ის ყველაზე ნიჭიერია, ყველაზე განათლებული, ყველაზე მაღლა დგას. მისი ასეთი უცნაური ხასიათის გამო ჩვენი „სიყვარული“ დღითიდღე ჰქნება, ნორმალური, ადამიანური ურთიერთობა დამცირებითა და გულზიზღით იცვლება.

არის წუთები, როცა ბიძინას გრძნობა დასჯაბნის. ის მაშინ გულწრფელად მეხვევა და მკოცნის. მაგრამ მალე ამ მცირეოდენ სიხარულს სიცივისა და უგულობის სუდარას აფარებს. თითქოს დიდხანს არ შეუძლია უცქიროს თვალებს, გაღიმებულ სახეს.

მიკვირს, რატომ უნდა მქონდეს ასეთი უცნაური გრძნობა ქმართან. ჩემი მეგობრები უზრუნველნი, სიცოცხლით სავსენი და ბედნიერნი არიან. მათ ერთი წუთითაც არ უხდებთ ფიქრი იმაზე, რაზეც მე გათხოვების მერე ვწვალობ და ვიტანჯები. თუმცა მათი ბედნიერება იქნება არ არის ნამდვილი ბედნიერება? ბედნიერება ძალიან პირობითი რამაა, — მარტის მზეა, რომელსაც არ იცი მეორე წუთში რა მოსდევს.

საოცარია კიდევ ერთი რამ: როცა ბიძინა ჩემთან არის, თითქოს კარგად ვუგებთ ერთმანეთს. მაგრამ საკმარისია სანებლიძეები ჩემს გარეშე შეგროვდნენ, რომ ბიძინას ველარ ვცნობ. ყოველი ასეთი შეხვედრის მერე უფრო მეტი სიცივე და სიჯიუტე მოაქვს ჩემთან. რა დავუშავე? თუ არ ვუყვარდი, რატომ შემირთო?

(გაგრძელება იქნება)



## შოთა ნიჟნიანიძე

### მიტოვებული ბუდეები

კურთხეულ იყოს ადამის ძე, თუ ვისმე სდევდა  
მიტოვებული ბუდეების ნაცნობი სევდა.

ერთ დროს პეშვივით ამ ბებერ ხეს ეკავა ბუდე  
და ცას შესთხოვდა გროშებივით სიცოცხლის წუთებს,

პატარა ბუდე სიხარულით იყო გაზრდილი —  
ბუდეში ბარტყი გაფაჩუნდა, გაჩნდა აზრივით,

ცასა და მიწას აერთებდა პატარა ფრთები,  
მაგრამ ამ ხიდან ფოთლებივით დაცვივდნენ წლები.

...მოწყენილ ბუდეს ქარი არწევს მჩუტე თხილივით  
და ესიზმრება გარდასული ყივილ-ხივილი.

და რაღაც უთქმელ გაოგნებით შიგ იყურება  
ნაცრისფერი ცის უდაბურება.

### უბის ვიზნაძი

ზოგან ღრუბლისფრად  
ქვირითივით დაყრილა სიტყვა...

აგერ კუთხეში მიყუჟულა რითმა ვერაგი  
ლექსში ცხოვრება ვინაც ვერ იშნო,  
ხასხასა, როგორც გველის პერანგი,  
ელვარე, როგორც ცისარტყელის შტო.

ზოგი გვერდი გავს დალასტულ ფიჭას,  
ზოგიც აფიშას

ანუ უწყებას,



ზოგს უიმედოთ შეუკრავს კრიჭა  
ზოგიც ზღარბივით მოიბუჩკება.

ზოგი სიტყვაა  
უმწიფარი და ნაადრევი,  
შიშინა, როგორც ელვის ნამტვრევი.

ზოგს ცერზე ვისვამ მიმინოსავით,  
ზოგსაც ბარტყივით ვათბობ უბეში  
ჯერ სამზეოსგან დაულოცავი  
ზოგი ეჭვია,

ზოგი — ნუგეში.  
თართოლვა-თიმთიმი

სინდიცივით იცის ასომაც  
ზოგი სტრიქონი გამოდგება სიცხის საზომად.

აგერ თარიღი ჩვეულებრივი  
რამდენ წუხილს და სინანულს იტევს,  
რიცხვები ჩანან შავ ლულებივით  
და ტყვიებივით მახლიან სიტყვებს:

„ამა და ამ დღეს ვიღაცა მოკვდა...“  
წიგნში ცხოვრობენ როგორც მდგმურები  
წიგნის შიფრები,  
სათაურები.

სათაურებო,  
დავიშვიათ ფსკერზე ღუზები,  
მათულზე შემსხდარ ჩიტებივით რად იბუზებით?

გადალაჯა ფურცელ-ფურცელ ზორბა ციტატამ  
მალლა ბავშვივით რომ ამიტატა.

უბის წიგნაკო,  
ჩემი სულის შესაიდუმლევ,  
რომ შეგიყვარონ, პატივი გცენ  
ბევრს ვაიძულებ.

მე შენთან ერთად სასეირნოდ როცა გავივლი,  
გზადაგზა გაგხსნი პორტსიგარით,  
სიგარეტივით გავაბოლებ ჯიშინ სტრიქონს  
და... შენზე ვფიქრობ...

ჩემში რძესავით იკვეთება სიტყვა გრძეული,  
ძალაში შედის

შეჯვარების,  
შერჩევის წესი  
და მთელი ჩემი არსებიდან  
აზრად ქცეული  
წველა ყველივით ამომყავს ლექსი.

## ძართული სიგზონია

სჯობს აღარ გვექონდეს სულაც სამშობლო  
ანდა არ იყოს ასე ლამაზი.

ტიციან ტაბიძე

...მაგრამ მცირე ხარ

შენ გენაცვალე,

სულ პატარა ხარ, გულისოდენა.

ირაკლი აბაშიძე

### I

მოდი ვნახოთ საქართველო,  
რამ დახატა საქართველო,  
მიველ ვნახე საქართველო,  
ზღვამ დახატა საქართველო.

მოდი ვნახოთ ზღვა,  
რამ დახატა ზღვა,  
მიველ ვნახე ზღვა,  
ცამ დახატა ზღვა.

მოდი ვნახოთ ცა,  
რამ დახატა ცა,  
მიველ ვნახე ცა,  
მზემ დახატა ცა,

მზე შინა და მზე გარეთა  
მზევ შინ შემოდიო...

მოდი ვნახოთ მიწა,  
ერთი მუჭა მიწა,  
ოდითგანვე გაჩენილი  
სიყვარულის ფიცად.

ყვავილების მიწა

რამ დახატა რამ?

საფლავების მიწა

რამ დახატა რამ?

ასე ერთი ციციქნა

ასე პატარა. —

თუ არ მწვერვალებში,  
თოვლის ელვარებში,  
თუ არ წინაპრების  
ციხე-ყელესიამ  
ჩუქურთმებად,  
ზღაპრებად  
ცას რომ შეგლეხია.

ყანებმა და ვენახებმა  
ავ თვალს რომ არ ენახებმა.  
ღელეღებმა,

ჩანჩქერებმა,  
სულ პატარა წისქვილებმა  
დაკრუხებულ ელსადგურთან  
რომ მოჩანან წიწილებად.

### II

ოდითგანვე ცა და მიწა არ ყოფილა  
უბრად  
ამ მიწაზე გაიშლება ამ ცისხელა სუფრა.  
— რამ დახატა სუფრა, რამ აქცია  
არაკად

— ზეცის მადლმა,  
მიწის მადლმა,  
გლებიკაცის ბარაქამ.  
— რამ გაზადა სასახელო  
სუფრა მართლა ცისხელა,  
— რა თქმა უნდა სადღეგრძელომ,  
რა თქმა უნდა სიმღერამ,  
რა თქმა უნდა კარგმა ლექსმა,  
ცეკვამ გაუხუნარმა,  
რა თქმა უნდა სიყვარულმა,  
რა თქმა უნდა სტუმარმა,  
რა თქმა უნდა პირველ რიგში  
გოგონებმა, ვაჟებმა  
ქერაა თუ შავგვრემანი  
ვარსკვლავს ეთამაშება.

### III

ცა ამ მიწის სიზმარია,  
ცასაც მიწა ესიზმრება,  
ხეები და ხეხილები  
გაქცევნიან მზეს ირმებად.  
სადაური სად წასულხარ,  
ცხრა მთას იქით, ცხრა არაკად,  
სიიდან გაქვს ეგ სიტურფე,  
გამძლეობა ხევე-ბარაქა,

აღბათ ქვეყნის გაჩენის დღეს  
ასე ერთი, ორი გზობა  
ცაში ღმერთმა საქართველო  
თავის მუჭით მოგვიზომა.

მიტომ არი კურთხეული  
ერთი მუჭა მიწა-წყალი  
მიტომ არის უღლეური  
მტერი ჩვენი — ნირწამხდარი.

გეცვა ჯაჭვის პერანგივით,  
ვენახივით უხვი სიტყვა,  
შენ ქუხდი და

ნათელივით  
დაიბადე ქუხილიდან.

დაკლაკნილხარ ელვასავით  
ბრძოლით ნაამაგარო გზა  
და ეგ სიტყვა ტბილ-ქართული  
ყელს გვკიდია ავგაროზად.

სილამაზე, სიჩაუქე  
მიწიანა, ზეციანა  
გაიტანა შენმა ლექსმა,  
შენმა ცეკვამ ცეცხლიანმა.

შე პატარა მთა და ველო,  
ვენახებში მიმალულო,  
შე პატარა საქართველო,  
ჩვენო დიდო სიყვარულო.

IV

კოშკია თუ  
სათოფური,  
ფრესკაა თუ  
ქონგურია.

ჩუქურთმაა,  
სიმღერაა,  
რა არი და როგორია?

თუ არ იცი, თუ არ გიყვარს  
სირცხვილი და აუგია,  
მაგრამ ბევრად აუგია  
ზოგს თუ ველარ გაუგია,  
რაც ნამდვილად ქართულია

რაც დიდია ქვეშაბრტლად  
მე იმ ქართველს პატივს არ ვცემ  
იმ ოჯახის ჭერს მარიდა!

V

როგორც ორი ნაპირი,  
როგორც ორად ორი ფრთა,  
წარსული და მერმისი  
გვეზიდება შორიდან.  
ცა მიწამ და

მიწამ ცა  
მთა ბარმა და  
ბარი მთამ

ერთმანეთი დახატა,  
ერთმანეთი გართიმა.  
არ ვარგვივართ უშრომლად,  
როგორც სკა უსარაჭოდ,

საქართველო დახატა  
ხნულეზმა და ხარაჩომ.  
ვარსკვლავმა და ალამმა  
ნამგალმა და ჩაქუჩმა  
მზე,

ყურძენი,  
თავთავი  
ერთათ რომ შეაქუჩა.

იყოს მარად დღეგრძელი,  
როგორც სიტყვა ქართული,  
ზღვისპირ წამომართული  
და მთებში გაფანტული:

ტყე,  
ფოლადი,  
მალარო  
დღეს, ხვალე და ზეგ.  
ცხრა მთა,  
ცხრა ცა  
ცხრა წყარო  
ეს ცხრათვალა მზე,

მზე შინა და მზე გარეთა,  
მზევე, შინ შემოდის.



პანო უჩუხუძე-ბერიძე

სიყვარული

სალამო ხანი იყო.

ახალგაზრდა ქალი „ვოლგის“ ღია სარკმლიდან ყელმოღერებული გაცსქე-როდა ქუჩაში მქროლავ მსუბუქ ავტომანქანებს და არაფრად აგდებდა არც მა-მაკაცების მხერას, არც შურით შემყურე ქალიშვილებს და, რა თქმა უნდა, არც ხეს ამოფარებულ ცვლის ინჟინერ ვარდენ შიოშვილს, რომელიც ცნობისმოყვა-რეობით უთვალთვალებდა.

ინჟინერი ისე იყო ქალის ცქერით გართული, ვერც კი შენიშნა მინერალუ-რი წყლების მაღაზიიდან გამოსული ქარხნის დირექტორი, რომელმაც მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ამხანაგო ვარდენ, საით? შინ თუ მიდიხარ, დიდი სიამოვნებით წაგი-ყვანთ.

— გმადლობთ, გმადლობთ, როგორ შეგაწუხოთ, — მიუგო ენის ბორძი-კით ვარდენმა.

დირექტორმა ინჟინერს მკლავში ხელი წაავლო და ავტომანქანასთან მიი-ყვანა. თვითონ ქალის გვერდით დაჯდა, ვარდენმა კი მძღოლის გვერდით მოი-კალათა.

— გაიცანით, ჩემი ქალიშვილია, — მიმართა ვარდენს დირექტორმა.

ქალმა გულგრილად შეხედა ვაჟს, რომელიც თავის დახრით მიესალმა.

დირექტორი ფეხბურთის დიდი მოყვარული იყო და უმაღლეს სიტყვა თბი-ლისის „დინამოზე“ ჩამოავდო.

ინჟინერი გატვრენილი უსმენდა დირექტორს და თავისქნევით ყველაფერ-ზე ეთანხმებოდა. თან თვალს აპარებდა მძღოლის სარკისაკენ, რომელშიც ქა-ლის სახე მოჩანდა.

ქალი არაფრად აგდებდა ვაჟის მხერას. ბოლოს ისე მოაჩვენა, ვითომ შემ-თხვევით შეასწრო თვალი და იწყინა, რაც იმაზე შეეტყო, რომ შუბლი მოედუ-შა, ცალი წარბი მალა შეაგდო და გვერდზე შეტრიალდა.

ვარდენი სახლამდე მიიყვანეს.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ამბობდა ავტომანქანიდან გადმოსული ინ-ჟინერი და თავს მუხლებამდე ხრიდა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — მიუგო დირექტორმა და ხელის მოძრაობით მძღოლს წასვლა ანიშნა.

ავტომანქანა რომ დაიძრა, ქალმა ვაჟს თვალი გაუშტერა და გაუღიმა.

ვარდენი ოცდაათი წლის უცოლშვილო კაცი იყო, ლამაზი, ტანადი, თმა-ხუჭუჭა, შავთვალწარბა, მთელს ქალაქში ნანატრ საქმროდ ითვლებოდა. რო-გორც ბუზი თაფლს, ისე ეტანებოდნენ ქალები და, რა თქმა უნდა, ქალის ღი-მილი მისთვის უცხო ხილი არ გახლდათ, მაგრამ სულ სხვა იყო გულოს ეშხიანი გამოხედვა, თავბრუდამხვევი ღიმილი!



ასეთი რამ არასოდეს განუცდია: ირგვლივ ყველაფერმა სახე იცვალა, განათდა, გაღამაზდა. ისეთ მხიარულ გუნებაზე დადგა, კინალამ ხმამალა მიმართა ქუჩაში გამვლელ მოქალაქეებს, რომ უსაზღვროდ ბედნიერია, რომ ღირს ამ ქვეყნად სიცოცხლე, ღირს სიყვარული!..

ავტომანქანა თვალს მიეფარა. ვარდენი ისევე გზას გასცქეროდა, თან თავის თავს ეჩურჩულებოდა: „ზედგამოჭრილი მამაა. მერე რა ლამაზი და წარმატაცია ეს დალოცვილი!“

ეს იყო და ეს.. ვარდენს მოსვენება დაეკარგა. ერთთავად დირექტორის ქალშვილი ედგა თვალწინ. იმაზე ფიქრობდა, იმაზე ოცნებობდა, ძილში ესიზმრებოდა.

ვარდენმა გულოს ასავალ-დასავალი დაწვრილებით გაივო. თურმე ორი წლის წინ დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურული ფაკულტეტი. მეზობელ რაიონში მუშაობდა მასწავლებლად და საზაფხულო არდადეგებზე მშობლებთან იყო ჩამოსული.

იმავე საღამოს ვარდენმა დირექტორის სახლს უთვალავჯერ აუარ-ჩაუარა, მაგრამ გულოს თვალი ვერ მოჰკრა. მეორე საღამოს კი ბედმა გაუღიმა: გულო ამხანაგ ქალიშვილებთან ერთად სახლიდან გამოვიდა და ქალაქის ცენტრისაკენ გაემართა.

ვარდენი უკან აედევნა.

გულო ლალად მიაბიჯებდა.

მოკლე სახელოებიანი, გულღია ქიშმირის ვიწრო კაბაში გარკვევით მოუჩანდა ტანის კოხტა მოყვანილობა.

რაც უფრო აცქერდებოდა, მით უფრო მოსწონდა ეს სანდომიანი ქალიშვილი, თუმცა არც ის დარჩა შეუმჩნეველი, რომ გულო ოდნავ კოჭლობდა.

ეჰ, აფსუსი არ არის ასეთი გოგო კოჭლობდეს! თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ბედენაა ეს, როცა ქალი კარგი ოჯახის შვილია, სილამაზითა და სათნოებითაა შემკული. ან რა, საცეკვაო მოედნებსა და აღლუმებზე ხომ არ აპირებს ცოლის ტარებას?!

ასეთი სჯა-ბაასის მერე ვარდენმა მტკიცედ გადაწყვიტა შეხვედროდა გულოს და გული გადაეშალა, მაგრამ თითქოს განგებ ქალი ოთხკედელშუა გამოიკეტა და ძნელი სანახავი გახდა. არ იცოდა, რა ექნა, რა ელონა, როგორ აესრულებია გულის წადილი. ბოლოს გადაწყვიტა, როგორც შეშვენის ნამდვილ მამაკაცს, მისულიყო დირექტორის ოჯახში და გულოსათვის ხელი ეთხოვა.

სამშაბათი აირჩია, რადგან ამ დღეს ქარხანაში საწარმოო თათბირი ტარდებოდა და დირექტორი შინ არ იქნებოდა.

დათქმულ სამშაბათს დირექტორი ავად გახდა.

ესეც ბედი! რაღა ახლა მოუხდა დირექტორს ავადმყოფობა. მამ ადგება, ცოტაოდენ ტკბილესულს იყიდის და დირექტორის სანახავად მივა. იმდენს იყოჩალებს, გულოს გაიცალკევებს და გულისნადებს გაუმხელს.

მოსაღამოვებისას ვარდენი შოკოლადის ფილებით ხელში დირექტორის სახლს მიადგა.

ფრთხილად ავიდა კიბეზე და სული მოითქვა. შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ერთმანეთზე გადაჯარულ წარბებსა და მსხვილ უღვაშებზე ხელი გადაისვა. ჩაახველა, ალბათ უნდოდა ხმა ჩაეწმინდა. გონებაში გაიმეორა გაზეპირებული სიტყვები, რითაც ავადმყოფი დირექტორისათვის უნდა მიემართა. პასუხები მოიფიქრა იმ კითხვებზეც, რასაც, მისი აზრით, დირექტორი მისცემდა.

ელექტროზარის დილაკს თითი დააჭირა და უმაღლ აუშვა.

ეჰ, გულომ მაინც გააღოს კარი!

ფეხის ხმა გაისმა, გასაღები გადატრიალდა საკეტში, კარი გაიღო და ვარდენს კინალამ თვალთ დაუბნელდა: მის წინ იასამანივით გაფურჩქნული გულო იდგა, მღელვარე შავი თვალები და ალუბალივით წითელი ტუჩები შემოანათა.

ქალის დანახვაზე გული აუძგერდა და დაბნეულ მოწაფესავით წაილულ-ლულა:

— პეტრე ივანიჩის ნახვა თუ შეიძლება!

— რატომაც არა, მობრძანდით, — ცალი წარბის მალლა შეგდებით მიუგო ქალმა იმ განაზებული კილოთი, რომლითაც ლაბარაკობენ სოფლად ჩასული თბილისელი ქალიშვილები.

„რა მკვირცხლად შეტრიალდა, რა მოხერხებულად ერხევა მაღალი, ეინ-ამწლეული თეძოები“, — გაიფიქრა ვარდენმა და გუნებაში წაიმღერა: „გოგო, შენ კი გენაცვალე გავლა-გამოვლაშია“.

გულო სიკოჭლის დასაფარავად გაჭიმული მიდიოდა და სწრაფად ადგამდა მოკლე ნაბიჯებს.

დარბაზივით ფართო ოთახი მიდიდრულად იყო მოწყობილი. ერთ კუთხეში ახდილი როიალი იდგა, მეორე კუთხეში — გერმანული წიგნების კარადა ვეფხეის თათებით. კარადა გამოეტენათ: ბროლის ჭიქებით, ვერცხლის ყანწებით, ქვირფასი ბლუდებით, ჩინური ჩაის სერვიზით...

ვარდენი სკამის ქიმზე ჩამოჯდა, თითქოს ჩამტერევისა ეშინიაო. ოთახს თვალი მოავლო, ყოველი კუთხე-კუნჭული შეათვალიერა და თავი ჩაიქნია.

„აი, ამას ჰქვია ცხოვრება. ნეტავი ასეთ რამეს მეც თუ ვეღირსები. ისე კი ამთავითვე ერთი რამ ცხადია, ქალს კარგ მზითევს გაატანენ“.

ოდნავ ღიად დარჩენილ კარში ღირექტორის მეუღლის თავი გამოჩნდა. ვარდენის დანახვისთანავე შეტრიალდა, თან კარი ისე მაგრად გაიხურა, იატაკი შეზანზარდა.

მალე კარი გაიღო და ღირექტორი გამოვიდა.

ვარდენი ფეხზე ადგა, თავის დაკვრით მიესალმა და შესცინა.

პეტრემ გაიღიმა, დივანზე დაეშვა და ვარდენს ხელის მოძრაობით ანიშნა, დაჯექიო.

ვარდენმა თავისუფლად ამოისუნთქა, სკამის ქიმზე ჩამოჯდა და ხელის-გულით შუბლზე ოფლი მოიწმინდა. გალიაში გამომწყვდეულ თავგვიით მოხტუნავე თვალებს ხან ჭერს მიაპყრობდა, ხან ღირექტორს, ბოლოს როგორც იყო, გაბედა და ენის ბორძივით შეეკითხა:

— როგორ ბრძანდებით, ბატონო პეტრე?

— ცოტა თავი მტკივა, თორემ სხვა მხრივ არა მიჭირს რა, — სვენებ-სვენებ-ბით მიუგო ღირექტორმა.

— ჩემთვის უაღრესად სასიამოვნოა თქვენი კარგად ყოფნა, — თქვა კმაყოფილებით ვარდენმა, მაგრამ მიხვდა, რომ აშკარა პირფერობა გამოუვიდა, ამიტომ დაუმატა:

— ასე ვთქვათ, ყველასათვის სასიამოვნოა თქვენი კარგად ყოფნა.

ღირექტორს სახეზე დამცინავი ღიმილის მსგავსი რაღაც გადაეფარა, შეეკითხა:

— შენ როგორღა გიკითხო, ვარდენ, რა არის ახალი?

— არა მიშავს რა, ბატონო პეტრე, ვცხოვრობ, როგორც შეეფერება უცოლ-შვილო კაცს.

— რას ამბობ! არც, კი ვიცოდი, რომ უცოლშვილო იყავი. რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაათი წლისა ვარ, ბატონო...

— დროა, დრო, ყმაწვილო! რაღას ელოდები, ადექი და დაქორწილდი! ქალი ხომ არ გაწყდა ქვეყანაზე?

— ქალების მეტი რა არის, მაგრამ კარგი ქალი სანთლით საქებნია.

— არა ხარ მართალი. მარტო ჩვენთან ქარხანაში ასზე მეტი მერცხალივით გოგონაა გასათხოვარი, ერთიერთმანეთზე ლამაზები და ტანადები.

— არა, მე მერცხალივით გოგო არ გამომადგება. მე ოჯახის ქალს ვეძებ, პატიოსანს, აღზრდილს... სილამაზეს როდი დაეძებ. დრო გავა, ქალს ტანიც დაუშინჯდება, სილამაზეც დაეკარგება, პატიოსნება და აღზრდა კი სამუდამოდ დარჩება.

პეტრე ივანიჩმა ვარდენის სიტყვებში თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი დაიჭირა, თვალწარბში შემყურე ვარდენს მიაშტერდა, მაგიდაზე თითები აათამაშა და თავის ქნევით თქვა:

— შენ ისე კარგად მსჯელობ, უთუოდ კარგი მეუღლე შეგხვდება. აბა, შენ იცი, ქორწილში არ დამივიწყო.

— რას ბრძანებთ, რა ხანია ვფიქრობ, მაგრამ ვერ გიბედავთ, ქალი თქვენი რჩევა-დარიგებით უნდა ვითხოვო.

— გმადლობ, ვარდენ. გმადლობ, — თქვა ღირექტორმა. წამოდგა, ბოდინი მოუხადა, ერთი წუთით მარტო დაგტოვებო, და მეორე ოთახში გავიდა.

ვარდენი კმაყოფილი იყო თავისი აზრიანი, დალაგებული ლაპარაკით.

ღირექტორი ჰკვიანი, ალღოიანი კაცია და, ეჭვი არ არის, ყველაფერს მიუხედავად. ნამდვილად მეორე ოთახშიც იმიტომ გავიდა, რომ გულს გააფრთხილებს: ეტყობა ამ ყმაწვილს მოსწონხარ, კობწიად გამოეწყე და თავი ღირსეულად დაიჭირეო. მართალია, გულო უცბათ უარზე დადგება, თავს დაიფასებს, მაგრამ, როგორც ყველა ქალი, ბოლოს დათანხმდება. რა კარგი იქნება, რომ საქმე ორსამ დღეში მოთავდეს.

ვარდენმა სკამზე ველარ გაძლო, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, თმა გადაივარცხნა, თითები გაატკაცუნა, და ვინ იცის, იქნებ თავისი საყვარელი სიმღერა — „ჩემო ტკბილო მეგობაროც“ წამოეწყო, მაგრამ კარი გაიღო და ღირექტორი შემოვიდა. ფეხდაფეხ მაღალქუსლიანი ქოშების ბაკუნით მეუღლე შემოჰყვა, მოკლესახელოებიანი, გულლია ვარდისფერი კაბა ეცვა, თმები ბიჭივით შეეკრიჭა; ეს ქალი მსუბუქი, ჰაეროვანი მიხრა-მოხრით პეპელასა ჰგავდა. ღირექტორმა იმის თქმაც ვერ მოასწრო, ჩემი მეუღლეა, გაიცანიო, რომ ქალმა ვარდენს ჯიქურად ჩამოართვა ხელი და ხავერდოვანი ხმით მიმართა:

— დიდად მოხარული ვარ, პატივცემულო ვარდენ, თქვენი გაცნობით.

— მეც დიდად მოხარული ვარ, ქალბატონო, — შესცინა ვარდენმა და თავი მუხლებამდე დახარა.

დასხდნენ და საუბარი გააბეს.

ღირექტორის მეუღლე ვარდენს კითხვას კითხვაზე აძლევდა, ქმარს სიტყვის თქმას არ აცლიდა.

სტუმარი მოწაფესავით თვალ-წარბში შესცქეროდა გამხიარულბულ დიანახლისს და ხალისით პასუხობდა.

მალე ოთახში გულო შემოვიდა, თან ფერუმარილისა და სუნამოს მწვავე სუნი შემოიტანა. კაბა გამოეცვალა. თეთრი მოკლესახელოებიანი ხალათი და

ქვედატანი გადაეცვა, სახე ვარდისფრად უღვიოდა, ვარდენს შესცინა და დედასგვერდით მიუჯდა.

ისევ საუბარი გააბეს.

ბევრი ილაპარაკეს, ესეც თქვეს, ისიც და ბოლოს სიტყვა მუსიკაზე ჩამოაგდეს.

— მუსიკა ყველაფერზე მაღლა დგას. უიმისოდ სიცოცხლე არ შეიძლება, — თქვა დირექტორის მეუღლემ და უცბათ გულოს მიუბრუნდა:

— შეილო, რა იქნება, დაუკარი და გვასიამოვნე. მხოლოდ შოპენი, მოცარტი ან ბეთხოვენი.

გულო როიალს მიუჯდა, ნოტები გადაშალა და კლავიშებს ხელი დაჰკრა. უმალ მაღლა ასწია და კიდევ, კიდევ დაჰკრა...

სმენად ქცეულ დირექტორსა და მის მეუღლეს კისერი წაეგრძელებინათ და კლავიშებზე ათამაშებულ გულოს თითებს თვალს არ აცილებდნენ. მოწონების ნიშნად მაღიმალ თავს აქნევდნენ და იღიმებოდნენ.

ვარდენი გატვრენილი იჯდა. მუსიკა ენით გამოუთქმელ ნეტარებას ჰგვირდა.

როცა გულომ დაკვრა დაამთავრა, დედას მიმართა:

— დედიკო, ესეც შენი ბეთხოვენი...

— კარგია, კარგი. — იცინოდა დირექტორის ცოლი.

— დიახ, ამაზე უკეთესი არაფერი მომისმენია. — თავის მხრივ ამბობდა ვარდენი.

დირექტორმა რაღაც მოისაბაბა და მეორე ოთახში გავიდა. ცოლიც ფეხდაფეხ გაჰყვა.

ქალ-ვაჟი დუმდა, თავი მორცხვად ეჭირათ და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

— ვარდენ, ჩემი დაკვრა მართლა მოგეწონათ? — დაარღვია ბოლოს სიჩუმე გულომ.

— ნულარ იტყვი, ჩემი გული სავსეა მოჯადოებული ხმებით. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ზეციდან მესმოდა ეს სასწაულებრივი ჰანგები!

— მგონი ცოტას აზვიადებთ!

როგორ გეკადრებათ, არასოდეს, სრულიად არასოდეს არაფერს ისე არ მოუხიბლივარ, როგორც მომხიბლა თქვენმა დაკვრამ და მუსიკალურმა ნიჭმა და, რაც მთავარია, თქვენმა ღვთაებრივმა სილამაზემ.

ვარდენმა ენაზე იკბინა, ეს რა წამომცდაო, ეგონა გულო გაუწყრებოდა, ასეთი რამ როგორ შემომბედდო, მაგრამ იმან გადაიხარხარა და თქვა:

— რას ამბობთ, მე სულაც არა ვარ ლამაზი.

— ხომ გაგიგონიათ, ვისაც ვინ უყვარს, იმის ლამაზი ის არისო!

— არ მჯერა, ეს მეორედ მნახეთ და ასე უცბათ როგორ შეგიყვარდით.

— ისეთი ლამაზი და წარმტაცი ხართ, ერთი ნახვით შეიძლება თქვენი შეყვარება.

და ვარდენმა დაწვრილებით უამბო, თუ როგორ მოეწონა დანახვისთანავე, როგორ თავბრუდამხვევი იყო მისი გაღიმება. ძილში თუ ცხადში როგორ ედგა ერთთავად თვალწინ, როგორ ენატრებოდა მისი ნახვა და რამდენს ოცნებობდა ამ ნეტარ წუთებზე.

აკანკალებულმა ვარდენმა გულოს ხელი დაუჭირა და ათრთოლებული ტუჩებით დაეწაფა მის ვებრ კოტიტა თითებს და თან ევედრებოდა:

— მითხარი, გამაგებინე, ძვირფასო, გიყვარვარ, თუ არა?





— კმარა, ვარდენ, კმარა, უნერხულია, ჩვენები არ გამოვიდნენ.

ქალმა ხელით წამოაყენა ვაჟი და ორივენი დივანზე დასხდნენ.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გულომ პირობა მისცა: ცოლად გამოგყვები, ოღონდ მშობლებს ჯერ ნუ გვაგებინებთ, რადგან ეწყინებათ, იმათ დაუკითხავად რომ დაგთანხმდით.

ასე უთხრა ვარდენს, მაგრამ იმის წასვლისთანავე დედას ახარა, ინკინერი ცოლად მთხოულობს, ახლა კი ნამდვილად მეწია ბედით.

სად იყო სიხარული!

ცოლ-ქმარმა გულო გადაკოცნეს და მერე ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ახლა შინ მიმავალი ვარდენი უნდა გენახათ!

მერცხალივით მიფრინავდა, სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა, თვალები უბრწყინავდა. ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. ეგონა უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა მისი და გულოს სიყვარულის ამბავი. ამიტომ ნაცნობნი თუ უცნობნი თითქოს მოწიწებით შესცქერიან და თავაზიანად ესალმებიან. ვარდენი თავმომწონედ მიაბიჯებდა, ყველას ცივად ესალმებოდა, თან ისე შეხედავდა, თითქოს სალამს ამაღლისო.

მეორე დღეს ვარდენმა გულო ინახულა, ფეხებში ჩაუვარდა და კი არ უთხრა, შესტირა: წუხელ მთელი ღამე შენზე ფიქრში გავატარე, ერთავად თვალწინ მედექი. ისეთი ძლიერი იყო ეს მოჩვენება, ხელებსაც კი ვშლიდი, რომ გულში ჩამეკარიო.

გულო გამოუტყდა, მეც შენზე ფიქრში დამათენდაო.

ვარდენი თითქოს ყოველდღე დადიოდა საცოლესთან და მშობლებს ძალას ატახდა: კარგი იქნება, ბარემ ხელსაც თუ მოვაწერთ და პატარა ქორწილს გადავიხდითო.

— ცოტა დამაცადე, ჩემო ვარდენ, პატარას კი არა, ისეთ ქორწილს გადავიხდი, მთელი ქალაქი ავალაპარაკო, — ეუბნებოდა სასიამაორო.

— როდისღა! — მხრებს იჩივდა ვარდენი.

— ცოტა, ცოტა კიდევ დამაცადე.

„ალბათ გულოს მზითევს უმზადებენ, ქორწილის თადარიგს იჭერენ, ოღონდ ეს ასე იყოს და თუგინდ მეორე გაზაფხულამდე მოვიციდი“, — ფიქრობდა ვარდენი.

გულოს თანხმობით ვარდენმა ორკვირიანი შევბუღება აიღო და სოფელში გაემგზავრა.

მოხუცი მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, შვილის მოახლოვებული ბედნიერების ამბავი რომ გაიგეს.

— ერთი შენს ქორწილს მოვესწრო და სულაც არ დავეძებ, ვინც გინდა ის შეირთე, — უთხრა აცრემლებულმა მამამ, როცა შვილმა მაღალფაროვანი სიტყვებით დაუხატა გულოს ოჯახი.

ვარდენი განცხრომით ატარებდა მშობლებთან შევბუღებას. წერილს წერილზე უგზავნიდა საცოლეს და მომავალ ბედნიერ დღეებზე ოცნებობდა.

სოფელში ყოფნის მეათე დღეს ვარდენმა დებეშა მიიღო. გულო ატყობინებდა, მამას ქარხანაში გაცილებას უწყობენ და საჩქაროდ ჩამოდითო.

ვარდენს რაღაც არ ესიამოვნა დებეშის შინაარსი. ვერაფრით აეხსნა, რატომ უნდა მოეწყოთ სასიამაოროსთვის გაცილება. „ალბათ აწინაურებენ. იქნებ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ, ან, შეიძლება, ზევით, — სამინისტროში გადაწყვეთ მინისტრის მოადგილედ, ან იქნებ მინისტრადაც“, — გაიფიქრა ვარდენმა და ადვილდაც დაიჯერა, რადგან მისი სურვილიც ეს იყო.



ვარდენმა მსუბუქი ავტომანქანა დაიჭირა, იმავე საღამოს ქალაქში გაემგზავრა და ავტომანქანიდან ჩეხური ქალებით განათებულ, დარბაზივით ფართო ოთახში ამოჰყო თავი.

ხმების, სიცილის, მისალმებების გუგუნმა გააბრუა, შუქმა და ელვარებამ თვალები აუჭრელა.

გრძელ მაგიდას ორმოცამდე ადამიანი მიჯდომოდა. მაგრამ პირველი, ვინც ვარდენმა დაინახა, გულს იყო, რომელიც სუფრის თავში იჯდა მამის გვერდით, თავი მოღუღუნე მტრედით გვერდზე გადაეგდო და გაბრწყინებული თვალებით უცქეროდა მისკენ მიმავალ ვარდენს. ასეთი ლამაზი, ნაზი და მიმზიდველი არასოდეს ჩვენებია საცოლე, რომლის გამოწვილ ხელს ორივე ხელი შეაგება, დახარა და მსურვალედ აკოცა. მერე მიესალმა სუფრის ირგვლივ მსხდომ ადამიანებს და გულს გვერდით მოთავსდა. მისი ყურადღება ქარხნის მთავარმა ბულალტერმა მიიპყრო, რომელიც ფეხზე იდგა, ხელში ღვინით სავსე ყანწი ეჭირა და სმამალა ამბობდა:

— ძვირფასო მეგობრებო, მე მინდა ბატონი პეტრეს სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. მან ჩვენ ქარხანას ოცი წელი უხელმძღვანელა. დიახ, მეგობრებო, მან თავისი პატიოსანი შრომით მიაღწია იმას, რომ... — ბულალტერი შეჩერდა, სიტყვას დაუწყო ძებნა.

ვარდენი სულგანაბული უსმენდა. ეგონა თამადა სიტყვას ასე დაასრულებდა — დირექტორი ამა და ამ მალალ თანამდებობაზე გადაიყვანესო, მაგრამ მისდა განსაცვიფრებლად ბულალტერმა თქვა:

— დიახ, მეგობრებო, ბატონი პეტრე პენსიაზე გავიდა.

ისეთი მოულოდნელი იყო ვარდენისთვის ეს სიტყვები, რომ განცვიფრებით შესძახა:

— ეს როგორ, ამისთანა გამოცდილ მუშაკს ვინ დაატანს ძალას პენსიაზე გავიდეს!

— ძალა არავის დაუტანებია, თვითონ მოისურვა ასე.

— არა, ეს შეუძლებელია, თქვენ, ალბათ, ხუმრობთ!

— რა ურწმუნო ყოფილხართ! განა ასეთ რამეზე ხუმრობენ?

თამადის ამ სიტყვებზე სტუმრებს გაელიმათ.

გულმოსული ვარდენი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გულომ ყურში ჩასჩურჩულა:

— ვარდენ, ძვირფასო, განცხადება მამამ თვითონ დაწერა. ამბობს, დავილაღე, აღარ შემძღვია მუშაობაო.

— როგორ თუ დაიღალა! რომ არ იმუშავოს, მაშ, რა უნდა გააკეთოს, დედაბერივით შინ ხომ არ იჯდება!

— რას იზამ. ასეთია ცხოვრების კანონი, მოხუცები ახალგაზრდებს უთმობენ ადგილს.

თამადა სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდა.

ვარდენი ღვინოს არ სვამდა, მაგრამ სასიამაორომ ნახევარმეტრიანი ყანწი ესროლა, ღვინით გაულიცილიცა და გამოაცლევინა.

წითელმა ღვინომ ძარღვებში დაუარა და სმის ხასიათზე დააყენა. ჭიქას ზედიზედ სცილიდა და თვალს გულოსაკენ აპარებდა. ადრე ღვინო რომ ეკიდებოდა, გულოს ეშხი და სინარჩარე ემატებოდა, ახლა კი, რაც უფრო თვრებოდა, ქალი მით უფრო უშნო და ულამაზო ეჩვენებოდა.

თამადამ ათი წუთით შესვენება გამოაცხადა.

სტუმრები აიშალნენ და გავიდნენ აივანზე, რომელიც პატარა ბაღს გადაჰყურებდა.

გულომ ვარდენს ხელი წაავლო და მეორე ოთახში გაიტაცა.

— გენაცვა, რად ხარ მოწყენილი? — შეეკითხა ქალი.

— რა ვიცი, რაღაც უხასიათოდა ვარ.

— მაშ როიალზე დავუკრავ და გაგამხიარულებ.

გულო როიალს მიუჯდა. ვარდენს, შესცინა და თითები კლავიმებზე ათა-  
მაშა.

ოთახი აივსო ნაცნობი ხმებით, რამაც ვარდენი ამ რამდენიმე დღის წინ ასე დაატყობო, მაგრამ ახლა ეს ხმები ნერვებს უშლიდა და გულს უღრღნიდა.

ვარდენი მალულად აკვირდებოდა გულოს, რომელსაც სახე დაპატარავე-ბოდა, ვიწრო შუბლი დანაოქებოდა, პაჭუა ცხვირსა და ამობურცულ ლოყებზე სქლად წასმული პუდრი ვერ უფარავდა სიყვითლეს, მთელ სახეზე რომ დაჰკრავდა. მოპრუწულ ტუჩებზე იმდენი პომადა წაესვა, რომ საღებავს კანში გაეყონა.

ეს საოცრებაა!

სად გაქრა ის სინაზე და სინარნარე, ეშხი და ელვარება, რამაც იგი ადრე ასე მოხიბლა?!

რა დაემართა, ასე რამ დააბრმავა! ნუთუ ამოდენა ქალაქში უკეთესი ქალი ვერ გამოიხსნა? როგორ ცდებოდა! შეცდომა კი კაცმა უმაღ უნდა გამოასწოროს, თორემ შეცდომას შეცდომა მოსდევს.

აქ შეჩერდა ვარდენის გონება, რადგან ამ ფიქრებიდან ქალის შეკითხვამ გამოიყვანა:

— არ მოგწონს ჩემი დაკვრა?

ვარდენმა მხრები აიჩეჩა.

— მაშ აივანზე გავიდეთ, სუფთა ჰაერი ჩავეკლავოთ, გავგრილდეთ.

ისინი აიენისაკენ გაემართნენ.

„რა უწონო ტანი აქვს, თან როგორ შესამჩნევად კოჭლობს. გონჯი, ნამდვილი გონჯი. რა ღმერთი გამიწყრა, რომ ეს დღემდე ვერ შევნიშნე“, — ფიქრობდა გულოს უკან უხალისოდ მიმავალი ვარდენი.

ბნელი ღამე იყო. ცაზე არც მთვარე ჩანდა, არც ვარსკვლავები, სიო არ იძროდა. ირგვლივ ჩამოვარდნილ სიჩუმეს შეზარხოშებული სტუმრების სიცილი და ხმამაღალი საუბარი არღვევდა.

აივნის მოაჯირზე დაყრდნობილი ვარდენი ჩამობნელებულ ცას გასცქეროდა, თან სახიდან იცილებდა იასამნის გაფურჩქვნილ ბუჩქს, ირგვლივ საამო სურნელს რომ აკმევდა.

— ვარდენ, გენაცვა, რატომ ხარ ასე მოწყენილი? — შეეკითხა გულო და მისი მკლავი მკერდში ჩაიკრა.

— რაღაც უხასიათოდ ვარ, მაქრეოლებს, — მიუგო ვარდენმა და ხელის განთავისუფლებას შეეცადა.

— მაშ ისევ ოთახში შევიდეთ, იქნებ გაციებული ხარ?

— არა, უმჯობესია წავალ, დავიღალე; დასვენება მესაჭიროება, ღამე მშვიდობისა!

ვარდენი ფრთხილად ჩაეიდა ბაღში ჩამავალ კიბეზე.

— მოიცა, ვარდენ, გაგაცილებ.

— ნუ შეწუხდები, არ არის საჭირო.

ფეხაკრეფით ვაიარა ვიწრო ბილიკი, ფრთხილად გამოალო ეზოს უკანა კარი და სიბნელეში გაუჩინარდა.



## შვედეთის იმპერატორი

საქართველო

საამჟამინდელი ტრესტის მმართველის მოადგილე და მთავარი ინჟინერი დავით კალანდაძე სამუშაო ოთახის ფართო ფანჯარასთან იდგა. ფანჯრის მიწვევით აპრილის დილის მზე უხვად აფრქვევდა ათასწორად აკიაფებულ სხივებს. სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა დავით კალანდაძის გულში. საამო ფიქრები მის ვაჟკაცურ სახეზე ნათელ ღიმილს სახავდა.

მოფარდაგებული იატაკის მთელ სიგრძეზე გაწოლილი მისი წარმოსადგენი სხეულის ჩრდილი ნიავეთ შექანებულ ხის ტოტივით ირწეოდა. ირწეოდნენ ფანჯარაში შემოჭრილი აკაციის თეთრად გადაპნტილი ტოტებიც.

დავით კალანდაძე გადაჰყურებდა ხარაჩოებში ჩაქედელ შენობათა კორპუსებს, ხედებსა და ღვართასშვებებს, ქალაქისათვის სიცოცხლისა და ზრდის თავისებური ელფერი რომ მიეცათ.

ეს სურათები, რაღაც უჩინარი საერთო ძაფებით ერთმანეთზე გადაბმულნი, სიამაყით და კმაყოფილებით ავსებდნენ ადამიანის გულს.

საკუთარი ძალის შეგრძნება შვებას ჰგვრიდა მთავარ ინჟინერს და მომავლის მტკიცე რწმენას უნერგავდა, რომ ხვალ თუ ზეგ ტრესტის მმართველი უნდა გამხდარიყო. ფორმალურად ამის წინადადება უკვე მისცეს. დილას, სამსახურში მოსვლისთანავე, პარტიის ქალაქის კომიტეტში დაიბარეს და შესთავაზეს: ახლანდელი მმართველის სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო მისი ადგილზე დაიკავებო. ასეთი აზრი არსებობს, თქვენ ხომ საწინააღმდეგო არ გექნებათო, — შეეკითხნენ. რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. პირიქით, ეს შესაძლებლობას მისცემდა უფრო სრულად გამოეველინებინა საინჟინერო ცოდნა და ორგანიზატორული ნიჭი, ასე მოჭარბებულად რომ გრძნობდა თავის თავში. ვეცდები გავამართლო თქვენი ნდობაო — უბასუხა.

ახლა დილანდელი ნაუცბათევი ფიქრები ხორცს ისხამდნენ და დილის მზით გაკაშკაშებულ კაბინეტში უფრო ცხადად გამოხატულ სახესა და მკვეთრ ფერებს იღებდნენ.

უპირველეს ყოვლისა, სისრულეში მოიყვანს დიდი ხნის ოცნებას სამშენებლო სამმართველოების სპეციალიზაციის შესახებ, რომლის განხორციელებასაც ასე ეწინააღმდეგებოდა ახლანდელი მმართველი. ილია გორდელსაც ხელს შეუწყობს, და თუ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების იდეამაც გაამართლა, შემოიღებს მშენებლობის ნაკადურ-ჩქაროსნულ მეთოდს და მთელ ქვეყანაზე ცნობილი გახდება. — ცოტა ხანი, სულ ცოტა ხანი დამაცადეთ და ენახოთ! — თითქოს ვილაცას დაემუქრაო. — საათის მექანიზმივით! — ლურჯად მოელვარე ზეცას გაუცინა და თვალები დახუჭა, კვლავ ვილაცას დაემუქრა, მაგ-





რამ ახლა მუქარა ოდნავ დამცინავი, ნიშნის მომგები ღიმილით იყო შერბილებული. თვალწინ ლამაზი ქალი ედგა. ჩასუქებული, დაბალი ტანის, მაგრამ კისერმოღერებული, მკერდათქვირებული და სახეზე აღმურმოდებული. ქალი უცინოდა, გადაჭარბებული თავაზიანობით თავაზობდა მაგიდაზე გაწყობილ ტეპილეულს, მაგრამ ამ ღიმილსა და თავაზიანობაშიც იგრძნობოდა მოწყალების შესაგავსი რამ, რაღაც ქედმაღლური შემწყნარებლობა, ხაზგასმულად რომ აგონებდა: არ დაგავიწყდეთ, პატივცემულო დავით, რომ თქვენ მხოლოდ ჩემი ქმრის მოადგილე ხართ, მოადგილე, რომელიც ვალდებულია ყველა ბრძანება განუხრებლად შეასრულოსო.

— კარგი, კარგი! — წაიჩურჩულა კალანდაქმ და საამოდ გაიზმორა. ახლა თვალწინ მეორე ქალი ედგა. ეშმაკურად მოელვარე თვალები ჰქონდა, ნახად იღიმოდა, გაბუტული ტუჩებიდან, თითქოს ეს-ეს არის რაღაც გულუბრყვილო და სასაცილო უნდა მოსწყვეტოდა.

— ნუთუ ერთი ბეწო შებრალება აღარა გაქვთ? განა შეიძლება ამ თითების პატრონი გოგონა ხარაჩოებზე დარბოდეს! — ამბობს გოგონა გაბუტული ბავშვივით, თავს კეკლუცად არხევს და ხელებს დავითისაკენ იშვერს. თითებია მართლაც ბავშვისას ჰგავს. გინდა აიღო ხელში და მიუალურსო. მაგრამ იცის დავითმა — მმართველი წინააღმდეგია ღილი მოდებამის ტრესტის აპარატში გადმოყვანისა და უხერხულად სდუმს.

„ხვალვე გადმოვიყვან ტრესტში!“ — ფიქრობს ახლა დავითი.

კაბინეტში ტექნიკური განყოფილების უფროსი, პავლე გამყრელიძე შემოვიდა. დავითს მას ჩვეულებრივზე გულითადად მიესალმა.

საქმეზე ისაუბრეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლამაზი კაცი დავითთან მეგობრულად იყო განწყობილი, საიდუმლო მაინც არ გაანდო.

— ჩვენ სახლის მშენებლობაზე თუ იყავი დღეს? — იკითხა დავითმა.

— სამღესაო სამუშაოები მთავრდება. ქვედა სართულზე მღებავები უკვე შეუდგნენ საქმეს.

— მმართველის ბინაში ტიხარები თუ მოხსნეს?

— მან ხომ უარი თქვა ახალ ბინაში გადასვლაზე!

— მდგომარეობა შეიცვალა. გაეცით განკარგულება და მესამე სართულზე ორ და სამოთახიანი ბინები გააერთიანონ. ასეა საჭირო.

— ბატონი ბრძანდებით. ხვალვე გავცემ განკარგულებას.

— მათეშვილს უთხარით, ბინა განსაკუთრებით მოაპირკეთონ. პარკეტი მუხისა დააგონ.

— ბატონი ბრძანდებით.

მდივანმა ქალმა შემოყო თავი და მოახსენა, ილია გორდელს სურს თქვენი ნახვაო.

— შემოვიდეს! — უთხრა დავითმა მდივანს და გამყრელიძესთან დაწყებული საუბარი განაგრძო.

კაბინეტში საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი კაცი შემოვიდა. ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, თმა კი მთლიანად გათეთრებული ჰქონდა. ლურჯი სატინის სამუშაო ხალათი, ხამი ტილოს შარვალი და ქირხის ჩექმები ეცვა; შემოვიდა და მორიდებით გაჩერდა. ტრესტის მმართველის მოადგილეს სტუმრისათვის ყურადღება არ მიუქცევია, თავი კი დაუკრა მისალმების ნიშნად და ტექნიკურ განყოფილების უფროსთან განაგრძო საუბარი. საუბარმა კარგა ხანს გასტანა. ახალმოსული კარგა ხანს იდგა ერთ ადგილას, მერე კედლის გასწვრივ ჩამომწკრივებულ სკამებთან მივიდა და ერთ-ერთზე მსუბუქად ჩამოჯდა.

კალანდაძემ უცებ შეწყვიტა გამყრელიძესთან საუბარი და სტუმარს მიუბრუნდა.

— რაზე შეწუხებულხართ?

— ერთ უჩვეულო საქმეზე გეახელით, ამხანაგო დავით. — გაუბედავად წამოიწყო მოსულმა.

— უჩვეულო საქმეზე?! — გაოცდა მთავარი ინჟინერი.

— ამ საღამოს მინდოდა ჩემთან ვახშმად მობრძანებულიყავით.

ასეთ წინადადებას დავითი მართლაც არ მოელოდა, მაგრამ რატომღაც ასე უპასუხა:

— უჩვეულო რატომია? განა კაცის დაპატივება ასე იშვიათია?!

გორდელი დაიბნა, ერთხანს პასუხიც ვერ მოახერხა, მერე მორცხვად თქვა:

— მე თქვენ პირველად მოგმართავთ ასეთი თხოვნით, ფრონტელი ამხანაგები ვიკრიბებით ხოლმე ამ დღეს. მართალია, ერთად არ გვიმსახურია ჩვენ, მაგრამ...

— მაღლობელი ვარ გახსენებისათვის, თუმცა ვერ შეგპირდებით...

— ამხანაგ პავლესაც ვთხოვე და...

— მე ნამდვილად მოვალ, — დაადასტურა აღრინდელი შეპირება გამყრელიძემ და დაურთო, — მე მგონია, არც პატივცემული დავითი იტყვის უარს.

— უარს არ ვიტყვოდი, დრო რომ მქონდეს. ხომ იცით, იქითა კვირას მშენებლების რესპუბლიკური თათბირია. სიტყვა მაქვს მოსამზადებელი.

— სიტყვის მომზადებაში მოგეხმარებით, — ნაჩქარევად შეპირდა გორდელი. კალანდაძე გორდელის დაპირებამ გააოცა: რა მოხმარება შეუძლია ამ სიტყვაძენუნ ადამიანს, ორი წინადადება ვერ გადაუბამსო, გაიფიქრა მან.

გორდელმა განმარტა:

— მომავალი თათბირის ძირითადი საკითხი ასაწყობი რკინაბეტონი იქნება: ამ საქმეს ასე თუ ისე ვიცნობ.

კალანდაძემ გაიცინა:

— ვიცე, ამ საქმის წამომწყები ხარ. მაგრამ სამწუხაროდ დასაკეცხნი არაფერი გაქვს. შენი ასაწყობი რკინაბეტონი მონოლითურზე ძვირი ჯდება.

— სამწუხაროდ, ასეა, — დაადასტურა გამყრელიძემაც.

— ახალი ყლორტი ყოველთვის სუსტია, სამაგიეროდ მომავალი მისია, — თქვა გორდელმა.

— ოჰო, დილექტიკაც გცოდნია, — ისევ გაიცინა დავითმა, მერე დასძინა: — ეს კარგია, მაგრამ ეკონომიკა უნდა გაითვალისწინო. ჩვენამდე პარტულს სამუშაოზე ხომ არ მუშაობდი?

— არა, ფრონტზე ვიყავი ხუთი წელი.

— კომისრად?

— მესანგრეთა ნაწილში, ხიდებს ვაშენებდი და ვანგრევდი. სასიამოვნო საქმე არ იყო.

— გამოცანა გერგება. ფრონტზე სხვა რა იყო სასიამოვნო.

— გამარჯვება!

— ჰო, გამარჯვება კი იყო, მართალი ხარ, — დაეთანხმა დავითი.

— ამხანაგო დავით, იმედი მექნება, — დაუბრუნდა თავის თხოვნას გორდელი.

კალანდაძე პასუხს აგვიანებდა. შესცქეროდა ამ კაცს და კვირობდა: „უცნაური ადამიანია — ვერ გაიგებ, მორიდებულია თუ მშიშარა. ქუჩაში საღამს ისე მოგვემს, თითქოს ეშინია, ვაი თუ პასუხი ვერ მივიღოო. ახლა

ჩემი დაპატიჟება რამ აფიქრებინა! ერთმანეთს არასდროს მეგობრულადაც არ დავლაპარაკებდით, ვახშმად კი მიწვევს. სათხოვარი თუ აქვს რამე... — დასკვნა ბოლოს და გორდელისათვის სრულიად მოულოდნელად შეეკითხა:

— ბინა კარგი გაქვს?

— ბინა პატარა მაქვს, მაგრამ სტუმრებს მაინც მოვათავსებთ.

— მაგიტომ როდი გეკითხებით, — იწყინა კალანდაძემ. — კმაყოფილი თუ ხარ-მეთქი?

— ბავშვები არა მყავს. ოჯახი თუ გაიზრდება, ალბათ ბინასაც ვიშოვი.

— სამსახური მოგწონს?

— სამუშაოთა მწარმოებლად ჩემი სურვილით წავედი... ბევრი დრო წაგართვით. თუ დროს გამონახავთ და მობრძანდებით, მასიამოვნებთ. ნახვამდის. — მოტრიალდა და გადაწყვეტილ პასუხს აღარ დაუცადა, ისე წავიდა.

— უცნაური ადამიანია. — თქვა კალანდაძემ. — რა ჯურის ხალხი არ დიდის ამ ქვეყნად.

— კარგი კაცია, — შეესიტყვა გამყრელიძე, — უწყინარია, ჩემი, შრომისმოყვარე. ერთი წელია ჩვენთან მუშაობს და ჯერ მაგის ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია.

— უნდლია, კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს. ცეცხლი არა აქვს, ცეცხლი.

— წარმოიდგინეთ, მუშებსა და ათისთავებს უყვართ. წესრიგითა აქვს მშენებლობაზე.

— ვერ წარმოიდგენია, როგორ უძღვება სამუშაოს. სამუშაოთა მწარმოებლებს ერთის აყალმაყალით ძლივს გააქეთ ცემენტი ან რკინა. ეგ ალბათ მივა, გაჩერდება პირდაღებული, აქ რომ იდგა წელიან, ისე. აბა ვინ რას მისცემს! მარილი აკლია, მარილი.

— მართალი ბრძანდებით, უმარილო კაცსა ჰგავს, ისე კი უაღრესად პატიოსანია.

— განა საქმეა, მაგან რომ საცდელ-საჩვენებელ ობიექტზე გააკეთა; ხუთი თვე ვირივით, იმუშავა, დღე და ღამე გაასწორა, მშვენიერ მაჩვენებლებს მიღწია და რაღაც წვრილმანი სამუშაოების გამო ობიექტი დროზე არ გააფორმა. სულ ორი დღის სამუშაო კი იყო დარჩენილი. ხომ შეიძლებოდა მშენებლობა დამთავრებულად გაეფორმებინა და პარკეტი მეორე ან მესამე დღეს დაეგო.

— დიდი ჯილდო კი დაკარგეთ აი! — დანანებით თქვა პავლემ.

— მარტო ჯილდო? სახელი? ზარიძის ტრესტი საქვეყნოდ ცნობილი გახდა. ჩვენზე უარესი მაჩვენებლები კი ჰქონდა.

— ზარიძესთან რომ ობიექტი გაფორმდა, მერე მთელი კვირა მუშაობდნენ დაუმთავრებელი წვრილმანის მოწესრიგებაზე.

— მაგას ვამბობ მეც. კაცი მთლად უფხო, უნდლი უნდა იყო, ეს რომ დაგემართოს. ნამეტანი უმარილოა.

— სამაგიეროდ ცოლი ჰყავს ცეცხლივით, — გაიცინა პავლემ.

— კარგი ცოლი ჰყავს? — დაინტერესდა კალანდაძემ.

— ავ თვალს არ დაენახება.

— ავი თვალი არც ერთს არა გვაქვს, აბა წავიდეთ, ვნახოთ.

— რასაკვირველია, უნდა წავიდეთ. ეგეც არ იყოს, ეწყინება. არ გეკადრო, იფიქრებს.

— ჩემზე ეგ არ ითქმის. დემოკრატი კაცი რომ ვარ, შენც კარგად იცი,

მაგრამ ასე მგონია, რაღაც სათხოვარი აქვს და ხაფანგს მიგებს-მეთქი, — დაფიქრებით წარმოთქვა კალანდაძემ.

— ვითომ?!

— ასე ვფიქრობ. თუმცა, ბინა არ მინდაო, თვითონვე აღიარა. შეიძლება ტრესტში უნდოდეს გადმოსვლა, რომელიმე განყოფილებაში.

— არა მგონია. გორდელი ისეთი კაცი არ არის, ანგარებით გვეპატიუებოდეს.



სტუმრებმა ბნელი ეზო გაიარეს და ხის კიბეს აუყვნენ, მესამე სართული-საკენ. დავით კალანდაძე უკვე ნანობდა, რომ გამყრელიძეს დაუჯერა და ამ უცნაურ სტუმრობაზე დათანხმდა. „ვინ იცის რა ხალხში მომიხდეს ჯდომაო“, გული მოსდიოდა საკუთარ თავზე და ჭრაქუნა კიბეებზე რომ აღიოდა, ფეხები უკან რჩებოდა. ბოლოს, როგორც იქნა მიადწიეს მესამე სართულს და ჩუქურთმიან ხის მოაჯირთან ძველებურ აივანზე გავიდნენ.

კაშკაშა ელნათურით განათებულ ფართო აივანზე სტუმრები უკვე შეკრებილიყვნენ. კალანდაძეს და გამყრელიძეს დიასახლისი შეეგება, თვითონაც გაეცნო, სტუმრებიც გააცნო და თავისუფალი ადგილი მიუჩინა. კალანდაძემ კრიტიკის თვლით გადახედა შეკრებილთ და გაცოცხლებულიც კი დარჩა. არ მოელოდა, თუ ასეთ ხალხს ნახავდა გორდელთან ვახშამზე: აიენის ბოლოში სამხედრო ფორსმაში გამოწყობილი მაიორი თბილისში ცნობილ ქირურგს ნარდს ეთამაშებოდა; საშუალო ტანის, ჩასუქებული რუსი გენერალი მოაჯირს დაყრდნობოდა და ღამის თბილისის ხედით ტკებოდა; გენერლის იქით ერთი პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი, რომლესაც კალანდაძე მხოლოდ შორიდან იცნობდა, ცხარედ ეკამათებოდა გორდელის ათისთავს, უკანასკნელ მოღაზე გამოწყობილი რომ მოსულიყო ვახშამზე. ამ კამათს ინტერესით უსმენდა გორდელის უზნის რამდენიმე ხელოსანი, რომელთაც კალანდაძე პირადად იცნობდა, რადგან ისინი ერთი დიდი გამოგონების ავტორები იყვნენ, მაგრამ ახლა ვერც ერთის გვარს ვერ იხსენებდა. მოკამათეთა ჯგუფის გვერდით ნიურნბერგის პროცესზე დამსწრე ჟურნალისტი და ლენინგრადელი არქიტექტორი რაღაცას ყვებოდნენ და ისე იცინოდნენ, ღამის ერთმანეთი წაეჭიათ. დანარჩენი სტუმრებიც მხიარულობდნენ, ერთმანეთს ენამოსწრებულობაში ეჯიბრებოდნენ.

ქირურგმა ნარდში სამარცხვინოდ წაგებული მაიორი სკამიდან წამოაგდო და გენერალს გასძახა:

— ამხანაგო გენერალო, თუ უკვე მოინელებთ პირველი დამარცხება, გთხოვთ მეორედ იგემოთ.

გენერალმა გაბრაზებით დაიკავა მაიორის ადგილი და კიდევ უფრო გაბრაზებით უბასუხა:

— მე შენ, სისხლის მღვრელო ყასაბო, ცხვრის რქასავით მოგლუნავ, ისე დაგვრებ, რომ გორდელმაც ვეღარ გიცნოს.

— გეშლებათ, გენერალო, პოლკოვნიკი შულცი როდი ვარ, მაიორი ლომინაძე გახლავართ.

— ცრუობ უსინდისოდ, მაშინ მაიორი კი არა, საცოდავი კაპიტანიშკა იყავი, რომელიც დაჭრილ ფეხს საღისგან ვერ არჩევდა.

— ღვთის მადლით თქვენ ორივე ფეხი ზედ გაბიათ.

— ეს იმიტომ, რომ ორივე საზიზღრად მქონდა ნამსხვრევებისაგან დახვრეტილი. საღი ფეხებით რომ მოვეტანე, ორივეს დამაჭრიდი.





— გერწმუნებით, შეცდომები მქონდა. როგორც ჩანს ერთი ასეთი თქვენთანაც დავუშვი. შემთხვევით ფეხის მაგივრად თავი ხომ არ წაგაჰყვით? ექვსი ხელი ნარდიდან ექვსის წაგება მხოლოდ უთავოდ შეიძლება.

— ასეთი ცოდვა ბევრი გაწერია, — აივნის მეორე ბოლოდან გამოეხმაურა ქირურგს უურნალისტი. — გორსკიმ რომ ზედიზედ გამოიცვალა წოდება და ლეიტენანტიდან უცბათ მაიორი გახდა, ასე ამბობდნენ, ლომინაძის წყალობით მოხდაო.

— ღმერთმანი, მაგაში ბრალი არ მიმიძღვის, — უპასუხა ქირურგმა და კამათლები გაავგორა.

— ასე ამბობენ, საოპერაციოდ გორსკი და გორდელი ერთად მიუყვანეს ლომინაძესო. ორი გვარი ისე წააგავდა ერთმანეთს, რომ ჩვენს ქირურგს მიბმის დროს თავები შეეცვალაო.

— სიცრუეა, — დაიძახა გენერალმა. — გორდელს რომ გორსკის თავი ჰბმოდა, ბრესტის ბანაკიდან ვერ გამოგვიყვანდა!

კალანდაძე გაკვირვებული უსმენდა ფრონტელი მეგობრების ოხუნჯობას. ყველაზე მეტად ის უკვირდა, რომ ქარცეცხლგამოვლილი ადამიანები სიყვარულითა და პატივისცემით ასხენებდნენ გორდელს, რომელიც კალანდაძის აზრით სრულიად შეუფერებელ ქებასაც ისევე გულდინჯად იღებდა, როგორც ტრესტის მმართველის მოადგილის საყვედურებს ისმენდა ხოლმე სამუშაოზე. „ჩემგან მაინც რა გამოჩინას მოელის?!“ — ისევე ეკითხებოდა თავს კალანდაძე და პასუხი ვერ მოენახა. გულისყურით უსმენდა აქა-იქ გამართულ საუბარს, ცალკეულ ფრაზებს, სიტყვებს, მაგრამ საგულისხმო ვერაფერი გამოჰქონდა. „ნამდვილად ბინა უნდა“, — დაასკვნა ბოლოს და გორდელმა გვერდით რომ ჩაუარა, შეაჩერა.

— პატარა ბინა გქონია, ჩემო ილია. სახლიც ძველია, უხერხულადაა აგებულიო.

— ასეთი წვეულება წელიწადში ორჯერ თუ მაქვს, მაშინ ცოტა ვიწროობას განვიციდი, თორემ ისე ამ ბინას ბევრი კარგიცა აქვს, აქ ზაფხულს ვერ გაიგებ, დღენიადგ გრილი ნიავე უბერავს.

— ახალი გეგმით აგებული სახლი მაინც სხვაა, აი, მე რომ ბინა მიკავია...

— ომამდე, სხვათა შორის, მაგ ბინაში ვცხოვრობდი, — შეაწყვეტინა კალანდაძეს სიტყვა გორდელმა. — ჩავარდნილი ადგილია. ზაფხულში საშინელი სიციხე იცის, არ შეგინიშნავთ?

— ჩემს ბინაში ცხოვრობდით? — გაოცდა კალანდაძე. — იქ ხომ საბავშვო ბავშვი იყო!

— მაშინ ოჯახი დიდი მქონდა, — თითქოს კალანდაძის შეკითხვა არც გაუგიაო, განაგრძობდა ხმამაღლა ფიქრს გორდელი, — ექვსნი ვიყავით: დედა, სამი ძმა და ორი და. შემდეგ დები დათხოვდნენ, ჩვენ ფრონტზე წავიდით. ძმები პირველსავე წელიწადს დაიღუპნენ, დედა მათს ჯავრს გადაჰყავდა. ჯარისკაცი რომ დავბრუნდი, ტრესტს დაცარიელებულ ბინაში საბავშვო ბავშვი მოეწყო. აბა რად მინდოდა მარტოხელა კაცს ასეთი ბინა! აქ შემოვსახლდი. ჯგერჯერობით მეტი არც მინდა. ომში ნათრევსა და ნაწვალევს ესეც სასახლე მგონია. არც ცოლი წყავს განებივრებული, ისიც ობლობაში გაიზარდა და ფრონტზე დაქალდა.

კალანდაძე გაკვირვებისაგან გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მოსაუბრეს, თითქოს არა სჯერა მისი ნათქვამიო. მერე შეეკითხა:

— ეს სახლი ხომ ტრესტის იყო, თქვენ იქ როგორ მოხვდით?

— ამ ტრესტში დაარსების დღიდან ვმუშაობ. ომამდე მმართველიც ვიყავი.

კალანდაძე კიდევ უფრო გაკვირდა.

— თქვენ ის გორდელი ხართ, ტრესტს რომ ხელმძღვანელობდა ომამდე?!

— იმ განსხვავებით, რომ მაშინ უფრო ახალგაზრდა ვიყავი, — იხუმრა ილიამ.

— მაშინ ტრესტიც სხვა იყო, — მცირე დუმილის შემდეგ ჩაურთო კალანდაძემ, როცა გაოცებისაგან გაბრუებას თავი დააღწია, — სამუშაოს მოცულობაც მცირე იყო და მექანიზმებსაც ნაკლებად იყენებდნენ. ახლა ხელმძღვანელობა ჯართულდა.

— გეთანხმებით. ახლა მშენებლებს მეტი ტექნიკური მომზადება მოეთხოვებათ.

მოსაუბრეებმა ერთმანეთს თვალეში შეხედეს. კალანდაძემ ვერ გაუძლო სამუშაოთა მწარმოებლის გულმართალ მზერას და თვალეები დახარა.

გორდელი არ მიდიოდა, ტრესტის მმართველის მოადგილე კი უნერხულობას გრძნობდა, ფეხს ინაცვლებდა და რა ეთქვა არ იცოდა.

მდუმარედ იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ და ვერც მოსცილებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს დუმილი ისევ კალანდაძემ დაარღვია. თითქოს ბოდვის იხდისო, დაწეული ხმით თქვა:

— ჩემს ეხლანდელ ბინაში არ გადავედი, სანამ საბავშვო ბაღისათვის სპეციალური შენობის აგება არ დამთავრდა. მერე ეს ბინა დაცარიელდა და...

— თქვენ ერთი ბავშვით მაინც დიდი ოჯახი გაქვთ ჩემზე. — ამ პასუხში კალანდაძემ დაინახა გამართლება თავის მოქმედებისა, რომელმაც ერთი წუთის წინ თვალი დაახრევენა. ისე გაიგო ეს პასუხი, თითქოს გორდელს ეთქვას — თქვენზე უფრო უპრიანია ეს ბინაო; თუ ეს ასეა, მამ ემოცივნელება, მაგრამ რისთვის? რა მიზნით? კვლავ გამომცდელი თვალით შეხედა ილიას.

„რა უნდა ჩემგან, რა სახლათურს მოითხოვს?“ — მოსაუბრის ფართოდ გაღებულ, მოწმენდილი მხერგა არაფერს ეუბნებოდა. კალანდაძეს კი ეს აკვირებელი კითხვა მოსვენებას არ აძლევდა. აწვალებდა, ანერვიულებდა. „რა უნდა ჩემგან?“ — კვლავ და კვლავ ფიქრობდა და გონებას ძალას ატანდა, რომ კითხვაზე პასუხი მოეძებნა. უცბათ ისე გაუბრწყინდა სახე, ისეთი სიხარული გამოესახა თვალეში, თითქოს რაღაც დიდი აღმოჩენის გასაღებს მიაგნო. „ან აქამდე როგორ ვერ მივხვდი, რა მოუფიქრებელი ვარ“, — მსჯელობდა ახლა გუხნებაში და ერთი წუთის წინ მის თვალეში ბუმბერაზად ქცეული სამუშაოთა მწარმოებელი უცბად ჩია კაცამდე დაპატარავდა. „აი თურმე რა გნებავთ თქვენ, ამხანაგო ილია. — ფიქრობდა დავითი და წინ გაჩერებულ გორდელს ირონიით შესცქეროდა. — ჩემი ადგილი გინდათ, ხომ? სადღაც დაყნოსეთ, რომ დავით კალანდაძე ტრესტის მმართველად გადაჰყავთ და მთავარი ინჟინრის ადგილი თავისუფლდებაო, ხომ ასეა?.. აბა ვის შეეფერება ეს თანამდებობა, თუ არა ტრესტის ყოფილ მმართველს — ილია გორდელს. განა მართალს არ ვამბობ, ჩემო კარგო? მე შენ ახლა თავით ფეხებამდე გამკვირვალეს გხედავ, როგორც შუშის კაცს.“

— გთხოვთ მაგიდასთან მობრძანდეთ! — მიიპატიჟა სტუმრები დიასახლისმა და თითქოს ამ ნიშანს ელოდნენო, ყველა უცბათ შელაგდა ოთახში. მართო ქირურგი და გენერალი განაგრძობდნენ გაცხარებულ თამაშს. დიასახლისის გამეორებულ მიპატიჟებაზე მხოლოდ კამათლების გორება ააჩქარეს. ვერც მესამე მიპატიჟებამ გასჭრა, ფეხზე კი წამოდგნენ, მაგრამ ისევე გაავრძელეს თამაში ნარდის მაგიდაზე წახრილებმა.



ბოლოს, როგორც იქნა, ყველა დალაგდა. სკამების რახუნი მიწყნარდა და სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა.

პირველი ჭიქა მასპინძელმა ასწია:

— მეგობრებო, ნება მომეცით რიგის მიხედვით სუფრის ხელმძღვანელად ვვგენი გორსკი დავასახელო. ხომ არა ვცდები, ანდრეი აფანასევიჩი? — მიუბრუნდა ის გენერალს. — რიგით თამადობა მაიორს ეკუთვნის, ვანა ასე არაა? — ილია გორდელი დარწმუნებით ლაპარაკობდა. ჩანდა მასპინძლის როლი მტკიცედ ჰქონდა შეთვისებული. გენერალი დაემოწმა და სტუმრებმა მაიორს თამადობა მიულოცეს.

გორსკიმ სუფრის ხელმძღვანელობა იმით დაიწყო, რომ სტუმრებს შეკრებილობის მიზეზი გააცნო.

— დღეს აქ რამდენიმე სტუმარი გვესწრება, — თქვა მან. — მათგან ნაწილი პირველადაა ჩვენს ტრადიციულ დღესასწაულზე, საჭიროა ზემის მიზეზი მათაც გავაგებინოთ.

დიდხანს ლაპარაკობდა გორსკი. მას სხვებიც აჰყვნენ, ბავშვებივით დელავდნენ და ერთმანეთს არ აცლიდნენ. გაკვირვებული კალანდაძე ყურდაცქვეტილი უსმენდა. არანაკლებად კვირობდა გამყრელიძეც.

ომის უკულმართობამ 1944 წლის გაზაფხულზე ასობით საბჭოთა მემომარს მოუყარა თავი ბრესტის მახლობლად ტყვეთა ბანაკში. პირველი ბელორუსიის ფრონტის იერიშების შედეგად გერმანელთა ნაწილები უკან იხევდნენ და ტყვეთა მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. უშველებელ თავლაში შიმშილით გაძვალტყავებული ადამიანები სულს დაფავდნენ. გარეთ მარტის სველი ქარი ჰქროდა, თავლაში კი ტყვეები საკუთარი სუნთქვით ითბობდნენ გათოშულ ხელებს. ერთხელ, როდესაც აუტანელი მუშაობით ქანცგაწყვეტილები უხმოდ ეყარნენ სველ მიწაზე და სიცივით კვკვავებდნენ, კარი გაიღო და სუსხიანმა ქარმა ბარაკის შორეულ კუთხემდე მოახნია ნამქერის ხორხომელა. ხორხომელას რამდენიმე ახალმოყვანილი ტყვე შემოჰყვა. სათვალეებიანი ეფრეიტორის მუჯღუგუნით წაბარბაცებულებმა იქვე კართან ჩაიკეცეს.

ასე მოვიდა ტყვეთა ბანაკში ილია გორდელი. ქართველებმა ძლივს მონახეს საერთო ენა ახალმოსულ თანამემამულესთან. გაზით აძრობდნენ სიტყვებს. ერთი მაინც შეიტყეს ტყვეებმა ამ პირქუშ ადამიანისაგან: ფაშისტები თავპირისმტვრევით იხევენ უკანო.

— მამ ტანჯვასაც მალე მოეღება ბოლო! — სიხარულით წამოიძახა ლომინაძემ.

გორდელმა თითქოს დააცადა, სანამ ლომინაძეს გულში ჩასახული სიხარული ფრთებს გაშლიდა და სხვების გულშიც დაანთებდა იმედის ნაპერწკალს, და მშვიდად თქვა:

— დიახ, ტანჯვას მალე მოეღება ბოლო. გერმანელებს ტყვეთა თრევის თავი აღარა აქვთ, უკანდახევისას ერთიანად სპობენ.

ეს თქვა და მერე დიდხანს ხმა აღარ ამოუღია. ერთი წუთით აფორიაქებული ბიჭები აჩრდილებივით წალასლასდნენ და თავთავიანთ კუთხეებში მილაგდნენ. ორი დღის შემდეგ ილია გორდელი და კიდევ ორი ოფიცერი, რომელთა ოფიცრობაც ბანაკის უფროსებისათვის ცნობილი იყო, ბარაკიდან გაიყვანეს. ტყვეებმა გამოიტირეს ერთი ახალი და ორი ძველი მეგობარი. საღამოს სამივენი დაბრუნდნენ. გორდელი უხმოდ მივიდა თავის ადგილთან, გულაღმა დაწვა და თვალეები ჭერს მიამტერა. ორი სხვა სიბრაზით თითებს იჭამდა, იგინებოდა და იფურთხებოდა. გამოირკვა: ბანაკის კომენდანტს წინადადება მიეცა — გერმა-

ნული ფორმა ჩაიცივით, გერმანული იარაღი აიღეთ და კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად გადითო; გერმანელი ჯარისკაცის ყველა უპირატესობას დააბრუნებია, წინააღმდეგობისათვის კი გერმანული ტყვია აღუთქვამს. ესეც ეთქვა: ტყვეთა შორის აგიტაცია გასწიეთ, მსურველთა სია შეადგინეთ და დაგვახვედრეთო. სიის შესადგენად ქალაღი და ავტომატური კალმისტარიც გამოეტანებინა.

ამ ამბავმა ტყვეთა უსაზღვრო აღშფოთება გამოიწვია. წარმოდგენაც არ შეიძლებოდა, თუ ამ დავარდნილ, დაბეჩავებულ და ერთი შეხედვით ადამიანის სახედაკარგულ ხალხს აღშფოთების ასეთი უნარი გააჩნდა. სულმოკლე ადამიანი ყველგანაა და აქაც გამოჩნდა. ერთმა ცეცხლისფერთმიანმა ღურგალმა თქვა:

— რას შეეწიროთ თავი? დღეს თუ ხვალ საბჭოთა ხელისუფლება აღარ იქნება. წინადადება აზრიანია. უარს მხოლოდ სულელი იტყვის!

ღილით ტყვეები სამუშაოდ გარეკეს, ცეცხლისფერთმიანი ჭაბუკი კი იქვე დარჩა — სახე გაღურჯებოდა, თვალები გაღმოკარკლოდა და ენა გაღმოვარდნოდა.

სალამოს რამდენიმე ტყვე გამოიყვანეს, იქვე ბარაკის მახლობლად საფლავი გაათბრვეინეს და ის გვამი ჩაფლეს. არც სიკვდილის მიზეზი გამოუძიებიათ და არც დაუსჯიათ ვინმე, — სიკვდილი ტყვეთა შორის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ბარაკში სამარისებური სიჩუმე იდგა. ყველა ფიქრს მისცემოდა. უფრო სწორედ, ყველა ფიქრს გაურბოდა. არც ღამით მომხდარი ამბის გახსენება სურდათ და არც მომავალზე ფიქრის თავი ჰქონდათ. აქა-იქ ისმოდა ხენგშა, კენგსა და ღრმა სუნთქვა, უფრო დაფარულ ოხერას რომ ჰკავს. ბარაკს ვარედან შემოსული მთვარის მკრთალი შუქი ანათებდა. ამ შუქზე ადამიანები აჩრდილებს ჰკავდნენ. უმეტესობას ჯერ კიდევ არ ეძინა, როცა ილია გორდელი წამოდგა, ერთმანეთზე მიყრილ სხეულებს გადააალაჯა და ანდრეი აფანასიევიჩთან მივიდა.

— უნდა მივიღოთ კომენდანტის წინადადება. ერთადერთი ხსნა ესაა. — თქვა და მოსაუბრეს თვალი თვალში გაუყარა.

ანდრეი არ აღეღვებულა, არც გაბრაზებულა, ზიზღით მიუგო:

— თქვენ გყოფნით გამბედაობა მომმართოთ ასეთი წინადადებით იმის შემდეგ, რაც... — სიტყვა არ დაასრულა, მხოლოდ თვალით ანიშნა იმ ადგილზე, სადაც გუშინ სალამოს ცეცხლისფერთმიანი ღურგალი იწვა.

— მარტო გამბედაობა არა კმარა, რაღაც უფრო მეტია საჭირო. — დინჯად უბასუხა გორდელმა. — თქვენ იმისათვის მოგმართავთ, რომ ჯერ ერთი, წოდებით ყველაზე უფროსი ხართ, მერე...

— თქვენ რა იცით ჩემი წოდება — მკაცრად იკითხა ანდრეიმ და წამოჯდა.

— როგორც ხედავთ, ვიცი, სამწუხაროდ, თქვენ მარტო ჩინი გქონიათ, საზრიანობა კი არა.

— რაო?!

— დიახ, დიდი გონება როდია საჭირო იმისათვის, რომ მიხვდეთ — გულხელდაკრეფილი ჯდომა ყველაზე ცუდი გამოსავალია.

— მერე?

— ბედი იარაღს გთავაზობს.

— იარაღს გთავაზობენ შენიანების წინააღმდეგ.

— ავტომატს ტუჩი საით ექნება მიმართული, დამოკიდებულია იმაზე, ვისაც ავტომატი უჭირავს, და არა იმაზე, ვინც ის მისცა.

— საქმე ისაა, ვის უჭირავს იარაღი.



- მეც სწორედ ეგა მაქვს მხედველობაში.  
ანდრეი დაფიქრდა, მერე თქვა:
- ჩემი აზრით, თქვენ ამარტივებთ მდგომარეობას.  
— ჩვენს მდგომარეობაში გამარტივება სჯობია. გართულებას უმოქმედობამდე მივყავართ, უმოქმედობა კი უშუველი სიკვდილია.
- ის, რასაც თქვენ ამბობთ, განა უშუველი სიკვდილი არაა?  
— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ იმედის ნატამალი მაინც არის. გარდა ამისა, ესაა სიკვდილი ბრძოლაში, იარაღით ხელში.
- ანდრეი გამოცოცხლდა, თვალეზში ნაპერწკალი აუციმციმდა. წინ წამოვიდა და მოსაუბრეს სახეში შეხედა.
- მაგრამ ისინი იარაღს ისე არ მოგვცემენ. ფიცს ჩამოგვართმევენ. — თქვა ბოლოს იმედდაკარგულმა.
- ფიცი უნდა მივცეთ.  
— ფიცს ფურცლებზე დაბეჭდავენ და ჩვენს ნაწილებში ჩამოყრიან სააგიტაციოდ.
- ამას მაინც იზამენ, მისცემთ ფიცს თუ არა. რა დაუშლით?  
— ადვილი შესაძლებელია, ბრძოლაში ყველა გავწყდეთ, საბუთები კი დარჩება. მოღალატის დალი შერჩებათ ჩვენს სახელებს სამუდამოდ.
- ყველა არ გავწყდებით, ხოლო თუ ასეც მოხდა, რა ეუყოთ, განა სამშობლოს იმიტომ ვეწირებით, რომ გმირებად გვიხსენიებდნენ?  
— მოღალატის სახელი სულ სხვაა! — წამოიძახა გაფთობებულმა ანდრეიმ, და შიშით შეხედა ამ უცნაურ ადამიანს.
- თვითეულ ჩვენგანს ათი ფაშისტის მოკვლა შეუძლია. ასი კაცი ათას ფაშისტს მოკლავს. ეს იქნება სამშობლოსათვის გაკეთებული რეალური საქმე. დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს.
- ანდრეის გააყრცოლა.
- მხოლოდ უგულო ადამიანს შეეძლო ასე აუღელვებლად მსჯელობა. „არც მანამდე და არც მერე აღარასოდეს განმიცდია ის, რასაც მაშინ განვიცდიდიო“ — ამბობდა ახლა ანდრეი. მაშინ კი იდგა უცნაური ძალით შებოჭილი და გაკვირვებული შესტკეროდა კაცს, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანის შეხედულება ჰქონდა, მაგრამ ღმერთების გულდინჯობით კი მსჯელობდა.
- ოფიცრებს თქვენ მოელაპარაკეთ, ჯარისკაცებთან მე მექნება საქმე. პირადად უნდა გავესაუბრო თვითეულს, ისიც ისე, ვითომ მას პირველს ვანდობ საიდუმლოებას; თუ ვინმე გამცემი აღმოჩნდა, მხოლოდ ჩვენ ვაგებთ პასუხს. — ამას ისე ლაპარაკობდა გორდელი, თითქოს ანდრეის უკვე თანხმობა ეთქვას.
- ანდრეი აფანასიევიჩმა შეაჩერა.
- გამცემი შეიძლება არ აღმოჩნდეს, მაგრამ ისეთი კი ნამდვილად აღმოჩნდება, რომელიც შენ ჩაგთვლის გამცემად და მაშინ...  
— მაშინ თქვენ გააგრძელებთ... ყოველი შემთხვევისათვის კი ერთი თანაშემწე იყოლიეთ, ვისაც ენდობით.
- სამოცდათოთხმეტმა კაცმა მიიღო გერმანული იარაღი, ჩაიცვა გერმანელი ჯარისკაცის ფორმა და გავიდა ფრონტის ხაზზე.
- 25 აპრილს, ზუსტად დათქმულ დროზე, სამოცდათოთხმეტი ავტომატი აკანდა. გერმანელთა ნაწილში სულაც არ მოელოდნენ განგაშს. თითქოს ცელით ძოთიბესო, ისე წაწვენენ მიწაზე ავტომატების ჯერით დაცხრილული ჯარისკაცები. საშინელი აურზაური ატყდა. ძალღი პატრონს ვერ ცნობდაო, ამაზე

ითქმის: ვინ ვის დევდა, ვინ ვის ესროდა, ვინ რას აკეთებდა — არავინ იცოდა. სანამ აურზაურით თავგზაბანეული უფროსობა გამოერკვეოდა, გერმანულ ფორმაში გამოწყობილი სამოცდაათოთხმეტი კაცი ფრონტის ხაზს გადაეწვოდა. ადვილი სათქმელია, გადაეწვოდა. ტყვიის თქეში სცემდა. უკანიდან გონსმოსული გერმანელების ბატარეა ავლებდა მუსრს გაქეულებს, წინიდან საბჭოთა ტყვიამფრქვევების ცეცხლი ცელავდა. ბოლოს საბჭოთა მხრიდან ცეცხლი შეწყდა და ცოცხლად გადაჩენილი, თუმცა დაჭრილი, დასახიჩრებული და სისხლისგან დაცლილი ოცდაცამეტი საბჭოთა მოქალაქე მიიღო დედა-სამშობლომ.

მამინ დათქვეს ეს დღე, ოცდახუთი აპრილი. მას შემდეგ ყოველწლიურად აღნიშნავდნენ ხან მოსკოვში, ხან ლენინგრადში, ხან კიევში. ერთხელ თბილისშიც შეიკრიბნენ. ახლა კვლავ თბილისის ჯერი დამდგარიყო.

— ორმოცდაერთის ხსოვნის საღმრთო მშენებელი შეგვსათ! — წარმოთქვა თამადამ და ფეხზე ადგომით შესვეს 25 აპრილს დაცემულთა მოსაგონარი. გაიხსენეს მეგობრები, მოიგონეს ათასი შემთხვევა, შემდეგ ისევ ამაშურდნენ, იციანოდნენ; ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, ხან კი ცრემლს იმშრალავდნენ თვალებზე.

— მერე რა, თქვენ გგონიათ მოვრიხით უბედურებას თუ? — ანდრეი აფანასიევიჩი კალანდაძეს მიუბრუნდა. — გერმანელთა ტყვეობას გადავურჩით და ლომინაძეს ჩავუცვივდით კლანჭებში. როგორც ყველა ჯაღოქარი, ეგეც უწინებელი გამოვიდა წარლენიდან, სამაგიეროდ ჩვენ ჩამოგვამწყრივა ჰოსპიტალში. გაიგებდით ალბათ, შარშან დისერტაცია დაიცვა. ისიც გეცოდინებათ, არც ერთი ასეთი დისერტაცია ბაჭიების გარეშე არ იწერება... ჰოდა ბაჭიებზე გვიყენებდა. ზოგს რა წააჭრა, ზოგს რა.

გენერალი ენამახვილობდა, არკი გამოუდიოდა. ჯერ ისევ ბრესტის ბანაკის შემზარავი სურათები ედგა თვალწინ. გონების თვალიდან ვერ მოცილებინა მთვარის მკრთალი შუქით ოდნავ განათებული ბარაკი და მიწაზე მიყრილი, ცხედრებს დამსგავსებული ადამიანები; ყრუ სუნთქვა, კვნესა და გულგამგმირავი კივილი; თავზე წამოდგარი გორდელის შთამავონებელი, მაგრამ შიშის მომგვრელი სახე; მისი ხანჯალივით მჭრელი, ცივი და გაშიშვლებული ფრაზა: „განა სამშობლოს იმიტომ ვეწირებით, რომ გვირებად გვიხსენიებდნენ!“. ტანში ჟრუანტელი უვლიდა, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს აი, ეს არის რკინიგზაზე გაწოლილს მატარებელმა გადაუარა და ცოცხალი კი დატოვაო.

— იცით რას ვეტყვი, ბიჭებო, — დაიძახა უცბათ გენერალმა. — დმერთმანი, ხელახლა რომ განმეორდეს ყველაფერი, რაც მოხდა, გაბედულად ვერ შეგპირდებით, რომ ასევე მოვიქცეოდი, თუმცა ყველაფერი კარგად კი გათავდა.

— კარგად როგორ გათავდა, როცა სამოცდაათოთხმეტიდან ორმოცდაერთმა თავი დატოვა, — შეესიტყვა კალანდაძე.

— ეეჰ, ჩემო ძმობილო, — უპასუხა გენერალმა. — როგორც ჩანს, შენ ამ ამბიდან ვერაფერი გაგიგია. განა თავის დატოვებაზეა ლაპარაკი!

ჟურნალისტი წამოდგა. ალვისხესავით ქანაობდა. უკვე საკმარისად იყო შეზარხოშებული. ქარვისფერი ღვინით საგსე ჭიქას აქანავებდა და წვეთებს სუფრაზე აქცევდა.

— მინდორში კაცი წვეს, წვეს და ძინავს, — თითქოს ძილში ლაპარაკობსო, ისე წამოიწყა. მიდიხარ და ხედავ: უშველებელი, ჭრელი, შხამიანი გველი მიჰპარვია და საკბენად ემზადება... რას იზამდი შენ... თუნდაც შენ, ლომინაძე, რას იზამდი?..

— მივიდოდი და გველს მოვკლავდი, — უპასუხა ლომინაძემ ისე, როგორც პასუხობენ ხოლმე მთერალ კაცს, რომლის თავიდან მოცილებაც სურთ.

- მერე?
- მერე რა?
- მერე რას იზამდი?
- არაფერს. გველს გადავაგდებდი.

— სტრუობ! გააღვიძებდი იმ კაცს და ვააგებინებდი, რომ გველი შენ მოკალი.

— შეიძლება ეგეც ყოფილიყო, — უინტერესოდ დაემოწმა ლომინაძე.

— ხოლო თუ ვინმე შეგეკითხებოდა, რატომ გააღვიძეო, უპასუხებდი: 'შეიძლება სხვა გველმა დაშხამოსო, ან სხვა რაღაცას მოიგონებდი... მიხვდი?'

— როგორ ვერ მივხვდი, შარშან შენ ღვინოს უკეთესად იტანდი... ხომ არ ბერდები?

— ნამდვილი კაცი კი გველს მოკლავდა და წავიდოდა.

თამადამ სიმღერა წამოიწყო. დიასახლისი სასიამოვნოდ უკრავდა. დიასახლისის მშვენიერებით მოხიბლული კალანდაძე პიანინოსთან გამოვიდა და რამდენიმე სიმღერა იმღერა.

— თქვენ საუკეთესო ქმარი გყავთ, — კალანდაძე დიასახლისისაკენ გადიხარა და ეჩურჩულებოდა, თითქოს საიდუმლოებას ანდობსო.

— იცნობთ ჩემს ქმარს?

— როგორ გეკადრებათ, მე ხომ იმ ტრესტის მმართველი ვარ, სადაც ილია მუშაობს!

— მაგაზედ როდი მოგახსენებთ, ილიას რომ იცნობდეთ, მასთან ძალიან ახლო უნდა იყოთ. იცით, იგი ნოტების რვეულს ჰგავს, თითქოს რაღაც ნაჯღაბნია — უნაზესი ჰანგი კია, ვინც ამოკითხვა იცის.

— ნამდვილად შევნატრი მას. რა ბედნიერი უნდა იყოს ადამიანი, თქვენისთანა ქალს რომ ასეთი შეხედულება ჰქონდეს!

— რატომ ჩემისთანას?!

— პირველად ვხვდები ქალს, ქმარზე რომ ასე ლაპარაკობდეს.

— ქალები ზშირად აქებენ ქმრებს, თუ კი...

კალანდაძემ შეაწყვეტინა:

— აქებენ იმისათვის, რომ მამაკაცს აგრძნობინონ, არც ისეთი იოლი მისაწვდომი ვარო... ამას კეკლუცობით ჩაღიან.

— თქვენ ილიაზე წარმოდგენაც არა გქონიათ.

— იცით, მე...

— აბა მოუსმინეთ, ეს ილიას მეგობარი ლაპარაკობს.

კალანდაძე თავის ადგილას დაჯდა. გორდელის უბნის ხელოსანი ლაპარაკობდა.

— ორი წელიწადი ვმუშაობდი ამ გამოგონებაზე, არაფერი გამოგვივიდა. ამხანაგი ილია რომ მოვიდა, დაინტერესდა. ცოდევა გატეხილი სჯობია — ვმაღავდით ნამუშევარს, ჩაზიარებისა გვეშინოდა. იმდენი ქნა, სანამ არ დაგვაფქვევინა ყველაფერი. ერთი კვირის შემდეგ ხელახლა დაგვიბარა და გვითხრა — ასეო და ასეო. სულ სხვა რამე გამოდიოდა. მაინც დაუუჯერეთ და აი, გაგვიმართლა კიდევ. ახლა ჩვენ დაუუწყეთ ხევეწა — თანავეტორად შემოდიო. არა ქნა. გამოგონებლები თქვენა ხართ, მე რა შუაში ვარო. აი, როგორი კაცია ილია გორდელი.

კალანდაძე უსმენდა, მაგრამ გონებით სხვაგან იყო. თვალდან ვერ მოეცილებინა დიასახლისის ბეჭებზე დაყრილი ხშირი შავი თმა, ყუყუნა თვალები და



შოქნილი ტანი. იქით გაიხედა: ქმარს მისჯდომოდა, სიცილით რაღაცას უყვებოდა. ცთუნებას ვედარ გაუძლო და ცოლ-ქმარს მიუახლოვდა.

— ამხანაგო ილია, ერთი აზრი მომივიდა თავში, რას იტყვი... —

— ბრძანეთ, ბატონო დავით.

ეს აზრი კალანდაძეს ადრევე დაეზადა. ან რატომ არ უნდა წაეყენებინა ტრესტის მმართველის მოადგილის თანამდებობაზე ილია გორდელის კანდიდატურა? მხოლოდ ეს კია, მანამდე ფიქრობდა, დღეს ამ საკითხზე კრინტსაც არ დაეძრავო. ახლა კი რატომღაც გადაწყვიტა, უკეთესს დროს სხვას ვერა ვნახავო.

— ჯერ ეს ამბავი საიდუმლოდაა, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი კია, მმართველი ჩვენგან გადაჰყავთ... — წამოიწყო კალანდაძემ საიდუმლო კილოთი.

— ვიცი. — უბრალოდ თქვა გორდელმა.

— იცი? საიდან?

— ხუთი დღის წინ მითხრეს ცენტრალურ კომიტეტში.

— ხუთი დღის წინ? — გაოცდა კალანდაძე.

— როგორ იყო, იცი? — თითქოს ბოდიშს იხდის, რომ ამდენი იცისო.

შეეცადა განმარტებას გორდელი. — დამიძახეს, უნდოდათ ტრესტის მმართველობა დაეკისრებინათ, მაგრამ ხომ იცი, ასაწყობ რკინაბეტონზე ცდები წამოვიწყე და სანამ არ მოვათავებ, წარმოებას ვერ მივატოვებ. თქვენი კანდიდატურა შევთავაზე. შემპირდნენ, განვიხილავთო.

გაოცებულ კალანდაძეს ენა მუცელში ჩაუვარდა. რა ეთქვა, აღარ იცოდა. ერთხანს უხერხულად ტოკავდა, მერე ღვინო დაისხა და მოსვა.

— თქვენ რაღაცის თქმა გინდოდათ, — მოაგონა დიასახლისმა.

— არა, იცი, ბოდიში, შემდეგისათვის იყოს... — დაიბნა კალანდაძე. —

ახლა კი ნება მომეცით დაგემშვიდობოთ.

ქალს ხელს რომ ართმევდა, ზედაც არ შეუხედავს, გატრიალდა და წავიდა.





## ჩეხუხუ ასაჰი

### ნორჩი სიმღერა

სოფელ ერმანში მკაუნთან ველს დარძევებულს,  
 კოშკი ამშვენებს დაბამული ყვითელი ხავსით,  
 აქ, სხვათაშორის, ახსოვთ ალბათ კედლებს ძველებურს,  
 როგორ ცხოვრობდა საუკუნენახევრის კაცი.  
 მათი გვარიდან წასულები ომში დაეცნენ,  
 დამარცხებულებს არ უნდოდათ შეხედვა დილის...  
 მე ჩემს ძმადნაფიცს ვეფერები გეორ ხამიცევს,  
 — გეორ! — ვეძახი და ჩემი ხმა სივრცეში ტირის.  
 ეგების იმის ღრუბელისებრ მცირე ყორღანზე  
 ნორჩი მუხის ხე ჩვენი ეშხით ამოიყლორტა.  
 ვაჟი სიკვდილის ანაბარა და უმოყვასო  
 სადაა, სადა, რომ მივიდეს იქამდე ხოტბა.  
 გეორის მამა ცხრაასოცში დაეცა ომში  
 და როგორც ვხედავთ, შეილსაც მალე ეწვია თოში.  
 შეილი, რომელიც დაიბადა ამა და ამ წელს —  
 ჩვენი ოსეთის საბჭოეთში დაბადების წელს.  
 გეორ, ძვირფასო,

შენი კერა დაცარიელდა.

ქვრივ დედას ხელი უკანკალებს, სული ზვიადობს.  
 ეზოში შენს კვალს თვალს წაატანს სადმე იელთან,  
 მოხუცის გულში სხივი ჩნდება საგანთიადო.  
 კოშკო მაღალო, უდარაჯე გეორის აჩრდილს,  
 ჩემი ძმის ლანდი არ დაახრჩო კელის ტბავ... მშვიდად!  
 არა! ძმას ვხედავ, ქონგურებზე ქარად შევარდნილს,  
 უსურვაზეზე ქარის სუნთქვა ძლიერ გახშირდა.

### შვილის სახილავ

ზღვის მომქუხარე მღვრიე ტალღები,  
 კედლებად ჩანან, არა კრთებიან.  
 ვაავებულან და ხელადებით  
 სიბ კლდეებს მკერდზე ეხეთქებიან.  
 დაეცემიან მერე ნაპირზე  
 ველზე დაცემულ მებრძოლთა ტოლად.

წყლის ჭავლი ქვებზე წვება მზის ფერში  
მინდვრად მოცელილ ბალახის ზოლად.  
ოცნება წლების ტალღებზე გადის,  
ოცნება — მწვანე ნაძვის რამ მორჩი.  
გულს ეჩვენება მეგობრის ლანდი,  
ძირს დაცემული მრისხანე ომში.  
ომმა გადახნა პირველყოვლისა  
მისი ოცნება დაბურულ კვამლში.  
ბასრი ბრჭყალები შავი ყორნისა  
ჩაასო სულში,

ჩაარქო თვალში.  
ომმა იმსხვერპლა შურისძიებით,  
ომები რამდენ ცოდვას არ ზიდავს.  
შენ, მეგობარო, რად იცქირები  
აგრე დამწველად შვილის სახიდან.  
შვილის სახეში შენ ზედავ ალბათ  
შენს წმინდა ყრმობას, წყალ-ჯავარს გაშლილს;  
რომელიც მამულს დაადნა ნამად,  
რომელიც გასხლტა თევზივით წყალში.

### შენი სათვალე

ვოლგის პირას თათრის ქალთან მოვხვდი;  
მზის სათვალეს ატარებდა მშვიდი.  
უსათვალოდ შემოხედვას ვთხოვდი,  
მპასუხობდა: — თვალებს ზომ არ გყიდი.  
— რად იჩრდილავ ჯერ ამ ველის შველი,  
შენს სამოსზე ბრჭყიალია ციცრის.  
მომიგებდა: — მეშინია შენი,  
მთიელებმა მოტაცება იციო.  
ნუ მაჯავრებ,  
ლახვარი რად დამეც,  
რად შემომხვდი ამნაირი ხატი...  
მზის სათვალე გადაადგო და მე  
ახლა თავად მიტაცებულს ვგავდი.

თარგმნა ზურაბ ლორთქიფანიძემ



## ეპიგონი ბაკთაია

### ჩემი სოფელი პატარა

ჩემი სოფელი პატარა,  
მზე და ვარდების სურნელი,  
სიცოცხლის ძალის მომცემი,  
მუდამ სიმღერის მსურველი.

ჩემი სოფელი პატარა...  
დილა რომ გამითენდება  
გაცისკროვნებულს ოცნებით,  
გულს სიხარული მედება.

«ცისკრის ბინდია საამო,  
ვარდის თვეა თუ შინდობის —  
ასე გგონია ხეებიც  
ამბობენ: „დილა მშვიდობის!“

ბავშვობის ტკბილი ფიქრები  
და ოცნებათა ფართქალი —  
ბავშვის გულივით ნათელი,  
ბავშვის გულივით მართალი —  
ჩემი სოფელი პატარა!

\*

მე შენს თვალებში ვხედავ კრთომას  
ნამიან დილის.  
ჯერ არ მიხილავს მე თვალები  
ასეთი თბილი.

ასეთი სანდო ცქერა არსად  
არ შემხვედრია,

თუ სიყვარული სადმე კაცთა  
ტკბილი ხვედრია, —

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის და  
სულის ნაწილი.  
მოდით, მიშველეთ, —  
გვევდრები  
ხელებგაწვდილი.



მიხეილ ღოზიძე

# ბიუროს სუფრა

სერჟანტმა ლადო ბუაჩიძემ ჩემით მოტყეპნა საფლავის ბორცვი, გზაზე გამოვიდა, სატვირთო მანქანის საფეხურზე ჩამოჯდა, წეკოს უკანასკნელი ნაფშხენები ქალაქში გაახვია და კვეს-აბედის გაჩაღებას შეუდგა. დანესტიანებულ ბამბას, რომელიც აბედის მაგივრობას უწევდა, არ ეკიდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, შავად შერუჯულ ბამბაში წითელი წერტილი გაჩნდა და ნელინელ გაღვივდა.

ლადომ ნიავს აუქნია ბამბა, პაპიროსზე მიიღო, ხარბად მოქაჩა წეკო, საფლავს გახედა და ჩაფიქრდა.

ასეა ყოველთვის — კაცი რომ მოკვდება, უკეთესი გვეჩვენება. ახლაც ასე მოხდა. შოფერი ვასია კოზლოვი მთელი დავიდარაბა იყო სერჟანტისათვის, შეკლული ჰყავდა ხელში: ტანისამოსი ყოველთვის აჩეჩილი ჰქონდა, ხალათზე ღილები აკლდა და სამხრებებიც მუდამ მრუდედ ეკერა.

ვასიას ბრალი იყო, ავტობატალიონსაც რომ ჩამორჩნენ. შოფერმა ავტოლი დროზე არ ჩაუმატა და ძველისძველ „გაზიკს“ საკისურები გაუფუჭდა.

სანამ ლადო და ვასია ბაბიტს იშოვნინდნენ და მანქანას წესრიგში მოიყვანდნენ, ავტობატალიონმა შორს წაიწია, გზები აიკიჭუნა და სალამქრო სახელოსნო — ფანერისძარბანი მწვანე „გაზიკი“ გამუდმებით ტალახში ეფლობოდა.

ამ დილით ფაშისტთა თვითმფრინავი პიკირებით დააცხრა „გაზიკს“. ტყვიამფრქვევი დაუშინა და რამდენიმე ყუმბარაც ჩამოაგდო. ერთი ზედ გზაზე აფეთქდა. ყუმბარის ნამსხვრევმა მინა გაამტვრია და შოფერს შუბლი შეუნგრია. ვასია საკვს წაემხო, ლადომ ძლივს მოასწრო ძრავის გამორთვა.

თვითმფრინავი გაფრინდა. ლადომ ამხანავი კაბინიდან გადმოიტანა, გიმნასტურის ჯიბიდან საბუთები ამოუღო, მანქანიდან ლომი და ბარი ამოაწყო და საფლავის გათხრას შეუდგა.

ატალახებული მიწა გამზრალი და ტინივით მაგარი აღმოჩნდა. ქვის კოდვას ჰგავდა საღარის გაჭრა. ღრმად ველარ გაჭრა, — სისხლიანი ბებერები დააჯდა ხელისგულბზე.

როცა დამარხა და მოტყეპნა, სალუტი მისცა ავტომატის სამი ჯერით და ფიცრის ნაჭერზე გვარი, სახელი და თარიღი ამოჭრა.

მოშიებოდა. პაპიროსი ჩააქრო. ზურგჩანთიდან პურის ყუა და ლორის ნაჭერი ამოიღო.

გამხმარ პურს ლოდნიდა, თან სტეპს — მღვრიე-ნაცრისფერ, უსაზღვრო, აქა-იქ რილოჭრილოთი მოფენილ სივრცეს ათვალიერებდა. ლაყვარდ, გამკირვა-





ლე ცაში ნელა მიცურავდნენ მრგვალი, გუნდა-გუნდა რძისფერი ლეწამლები. გზისპირად კაცი, მანქანა და ბაწია, თითქმის შეუძინეველი საფლავის ბორცვი— ეულად ჩანდნენ უსაზღვრო ტრამალში. როცა დანაყრდა, სერყანტმა ლორის მორჩენილი ნაჭერი ისევ ზურგჩანთაში ჩადო, ამოიხვნეშა და კაბინიდან მანქანის დასაქოქი სახელური გამოიღო.

დიდხანს მოთმინებით ატრიალა სახელური, მოტორი ამუშავა, — და მანქანა სხლტომითა და ზიგზაგებით გასრიალდა ატალახებულ გზაზე.

მთელი დღის განმავლობაში ლადო ბუაჩიძემ სულ რამდენიმე კილომეტრი გაიარა. ორჯერ თბილისიდან მანქანის ამოთრევა მოუხდა. ბინდისას ჯერ ნაცრისფერი კვამლის სვეტი გამოჩნდა, მერე კი გადამწვარი სოფელი, — ეტყობოდა მტერს ახლახან გაველო აქ.

თეთრ ქოხთან ბუაჩიძემ მანქანა დაამუხრუჭა და კაბინიდან გადმოვიდა. ეს იყო ერთადერთი გადარჩენილი სახლი მთელ სოფელში.

— ვინა ხარ მანდ? — შიშით შეეხშიანა სერყანტს ვილაც.

ბუაჩიძე შეკრთა, ქოხისაკენ მიბრუნდა. აივანზე თავშიშველი ქალი იდგა. კისერი წავერძელებინა და სერყანტსა და მის მანქანას ათვალიერებდა.

— შინაური! — უპასუხა ბუაჩიძემ, — რა მოხდა, რამ გაჩინა ხანძარი?

— ყუმბარა ჩამოაგდო თვითმფრინავმა ამ დილით.

— დაიღუპა ვინმე?

— არავინ. ან ვინღა უნდა დაიღუპოს, სოფელში აღარავინაა მე და დედაჩემის მეტი... გადავრჩით, ისიც სტანიცაშია წასული. ძროხებიც დიდი ხანია აღარ გვყავს. თქვენ ვინღა ხართ?

— სერყანტი ვარ, გვარად ბუაჩიძე, ნაწილს ჩამოვრჩი, უნდა დავეწიო. ჩვენც დაგებობებს ამ დილით, შოფერი მომიკლეს. ღამეს გამათევინებთ?

— კი... — ყოყმანით უპასუხა ქალმა.

— ერთი ეს მითხარით, ორი დღის წინ აქ მანქანებს ხომ არ ჩაუვლიათ?

— აქ არა, შარავგზაზე კი ბევრმა ჩაიარა.

— შარავგზა სადღაა?

— აგე, — ხელი გაიშვირა ქალმა, — აქვე, ხუთიოდე კილომეტრზე, კონსტანტინოვსკისაკენ რომ გზა მიდის.

— აგაშენათ ღმერთმა! სწორედ იქითაა ჩემი გზა.

— მანქანა ახლოს მოაყენეთ და შინ შემოდით. კარტოფილით გავიმასპინძლდებით, სხვა არაფერი გამაჩნია.

— დიდებულია! — გაუხარდა სერყანტს — მე ლორის ნაჭერი მაქვს.

ვიღრე ბუაჩიძე მანქანასთან ფუსფუსებდა, არც ქალი გაჩერებულა, რაღაცას საქმიანობდა: ჯერ ვედროთი წყალი შეიტანა ქოხში, მერე — მთელი იღლია შეშა. როცა სერყანტი ქოხში შევიდა, იქ უკვე ლამპა ენთო. ლამპის შუშა მოკლე, თავწაბეხილი იყო. დიდ ლუმელში ცეცხლს ტკაცატკუცი გაჰქონდა.

— აჰა, ლორი და პური! — მომცრო შეკრულა გაუწოდა ბუაჩიძემ, — ხელპირის დაბანა თუ შეიძლება?

— აივანზე გამოდით, წყალს დავისხამთ, — წარმოთქვა ქალმა.

— რა გქვიათ? — ჰკითხა ლადომ და სახეზე წყალი შეიშხაპუნა.

— მარია... მაშა. თქვენ?

— ელადიმერი, ლადოს მეძახიან.

— ლა-დო, — დამარცვლით გაიმეორა ქალმა, — სახელი რაღაც რუსული არ უნდა იყოს, არა?... აჰა, პირსახოცი.

— რუსი არცა ვარ! ქართველი ვარ. გამოთქმაზე ვერ მატყობთ? ბუაჩიძემ შეიმშრალა ცივი წყლით აწითლებული სახე და პირსახოცი მაშას გაუწოდა.

— გმადლობთ.

— შემოდით. ამ წუთში მზად იქნება კარტოფილი.

ლადო ტაბურეტზე ჩამოჯდა, სუფთა, კირით შეთეთრებულ ოთახს თვალი მიახლო. კუთხეში ფართო რკინის საწოლი იდგა, გვერდით — კამოდი, იქვე, კედელთან — თარო. კამოდის თავზე კედელზე მიმაგრებული ფოტოსურათები მოჩანდა და ფერადი პლაკატიდან ლოყაწითელი ტრაქტორისტი ქალი იღიმებოდა. ოთახში კიდევ ორი ტაბურეტი და მაგიდა იდგა. ფანჯრის რაფაზე ქოთნებით ყვავილები იდგა.

უკეთ შეათვალიერა ლადომ მაშაც: სრულიად ახალგაზრდა — ოცი-ოცდაორი წლისა თუ იქნებოდა. ძველი ჩითის კაბა ზედ შემოსხებოდა, მაღალი მკერდი და მკვრივი ტანი ძლივს ეტეოდა კაბაში. წინდა არ ეცვა და დამოკლებული სამოსი შიშველ მუხლებს უჩენდა. ოთახში მსუბუქად, უხმაუროდ დადიოდა. სახე არცთუ მთლად სწორი ფორმისა ჰქონდა: სქელი ტუჩები, ნიკაპზე პაწია ფოსო... სქელ, ვადაბმულ წარბებსა და დიდ თავლისფერ თვალეში ჩუმი სევდა ჩასახლებოდა.

ლადოს მზერა რომ დაიჭირა, ჩაბნელებულ ფანჯარას გახედდა და ცივად თქვა:

— რაღაც დედაჩემი აღარ გამოჩნდა.

— სად არის წასული?

— სტანიცაში, ფქვილის საშოვნელად... აჰა, მიირთვით.

მაშამ შემწვარი კარტოფილი მოიტანა, თხლად დაჭრილი პური და თეფში დადგა, კბილმოტეხილი ჩანგალი მიაწოდა ლადოს და გაიმეორა:

— მიირთვით.

— თქვენ?

— მე არ მინდა.

— აგრე ვერ მოგრიგდებით, — თქვა ლადომ, კარტოფილი თანაბრად გაპყო ჩანგლით, ერთი ნაწილი თეფშზე გადააწყო და თეფში მაშასაკენ წასწია: — ეს თქვენ, ჩანგალიც აიღეთ. მე ჩემი ჩანგალი მაქვს — ლაშქრული.

ბუაჩიძემ ჩექმის ყელიდან ჩვარში გახეული ჩანგალი ამოიღო და მალლა ასწია:

— აი, ჩემი ავტომატი! ზუსტად ურტყამს ნიშანში!

მაშამ გაიღიმა და აუჩქარებლად, ვითომდა უგულოდ შეუდგა ქამას, მაგრამ თვალეების გამომეტყველებაზე შეატყო ლადომ — მასპინძელი მშვიდი იყო.

— ასე, — თქვა ლადომ, პურის ქერქით ტაფა გულდასმით მოასუფთავა, — ახლა კი ხვალამდე არაფერი გვიჭირს. თამბაქოც რომ მოგვცა...

მაშამ სუფრა აალაგა და კამოდთან ჩაცუცქდა. მერე ლადოს გაზეთის ნახევი და მთელი ბლუჯა შინაური თამბაქო გაუწოდა.

— უჰ, შენი ქირიმე! — გაუხარდა ლადოს — აი, ეს მესმის! გმადლობ, მაშა. თამბაქო საიდანღა შემოგრაჩა? მაშას დარჩებოდა, ან... ქმარს...

მაშა იჯდა გაუჩქრეველად, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, ხელისგულები ნიკაპქვეშ ეწყო. დიდხანს დუმდა, არაფერს პასუხობდა. მერე უცებ ატირდა.

ლადო შესცქეროდა ქალის მითრთოლვარე ბეჭებს, არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს მაშამ თვალზე ცრემლი შეიმშრალა და ისე, რომ არც შეუხედავს ბუა-

ჩიძისათვის, უამბო: მამა დიდი ხანია აღარა მყავს, ის და დედამისი მწველავებ-  
დად მუშაობდნენ აქვე, ფერმაში. სწორედ ომის დაწყების წინ, თვრამეტ ივნისს  
იქორწინა მამამ, ოცდასამ ივნისს კი ქმარი ომში გაიწვიეს, აგვისტოში დაიღუპა.  
ბაღლი მაინც მყავდეს! თორემ ფოტოსურათის მეტი არაფერი დარჩენია ქმრი-  
სგან.

— თქვენ თუ გყავთ ვინმე შინ? — ჰკითხა მამამ და ამოიხსრა.

— დედ-მამა. ცოლი არა მყავს, უცოლო ვარ.

— საქართველოში ცხოვრობენ მშობლები?

— დიახ.

— ამბობენ, ლამაზიო საქართველო. ზღვა, პალმები...

და რატომღაც ლადოს მოუნდა ეამბნა ამ უცხო ქალისათვის ყველაფერი  
საკუთარ სოფელსა და სახლზე, საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე.

ლაპარაკად იქცა...

ზღვა იმ კუთხეში, სადაც ის ცხოვრობს, არ არის. არც პალმები. მაგრამ  
მალალი ფიჭვნარები ღრუბლებს ებჯინებიან იქ. მკვირცხლი მდინარე ჩამო-  
ურბის სოფელს, მდინარეში ბევრი კალმასია. ვერცხლისფერ კალმასს წითელი  
ფორეჯი აყრია გვერდებზე. ქორბუდა ირმები და წერწეტი შვლები დახტიან  
ტყე-ტყე. კორტანეთი ჰქვია სოფელს, ბროლივით წყარო სცემს კორღზე, ტყის  
პირას, — ისეთი ცივია, კბილს ვერ დააკარბ.

ყველაფერი განსაკუთრებულია იქ: მზე — მწველი, ჰაერი — სუფთა. დაუბე-  
რავს ნიავე მთიდან და აავსებს ყველაფერს მათრობელა სურნელით, ტყეში კი  
სიწყნარება. დროდადრო ყრუ ხმაურით ცვივა ძირს ფიჭვის გირჩები.

ახლა მიწა რა დოვლათიანია! რამდენი წაბლი იცის! რამდენი ქლიავი, კომში  
და შინდი! რამდენი ბალახი! ლადო თნებს მწყემსავდა ბაღლობაში: შერეკავდა  
ონავრებს ციკაბოზე, ჩამოჯდებოდა მთის წვერზე და აწყრიალებდა სალამურს...

მამა ყურადღებით უსმენდა, ოდნავ თავი დაეხარა და თვალით ზომავდა  
სერჯანტს — მის ფართო მხარბეჭსა და ვიწრო წელს, შავგვერემან სახესა და შავ  
ულვაშს, შავ წარბებსა და ნაცრისფერ თვალებს. სრულიად ახალგაზრდა იყო  
სერჯანტი, ალბათ მისი კბილა იქნებოდა, მაგრამ გინნასტურაზე, ჯიბეს ზემოთ,  
ორი ვიწრო ლენტე ეკერა — წითელი და ყვითელი — მძიმე და მსუბუქი ჭრი-  
ლობების ნიშნად.

მამას შეაყრყოლა და ბეჭებში აიწურა.

— შეგცივდათ? — ჰკითხა ლადომ.

— ცოტათი. ჩასაცმელი აღარაფერი მაქვს, ერთი დაბამბული ქურთუკი და  
დაგვრჩა, ახლა დედას აცვია.

— ჩემი ჯუბა ჩაიცვით, — უთხრა ბუაჩიძემ.

— გმადლობთ, — უპასუხა მამამ და ბენზინის სუნით გაყენთილი დაბამ-  
ბული ჯუბა წამოისხა, — მითხარით, შეყვარებული თუ გყავთ იქ, სამშობლოში?

ლადო ჩაფიქრდა. მოაგონდა: ერთი შავი, გამხდარი გოგო მოსწონდა —  
თბილისში წავიდა, ინსტიტუტში მოეწყო. ხშირად იგონებდა მას მერე... ჰოს-  
პიტალში ერთი მოწყალების და თავს დასტრიალებდა — ტანია ერქვა. ჰოსპი-  
ტლიდან რომ გამოეწერა, ტანიამ მაგრად გადაჰკოცნა და სთხოვა, წერილები  
მომწერეო. კიდევ დედა სწერდა საქართველოდან მეზობლის გოგოზე: ლელა  
გაიზარდა და დამშვენდაო. მაგრამ ვერც ერთ მათგანს ლადო შეყვარებულს ვერ  
დაარქმევდა.

— არა. — თქვა ლადომ, — არავინა მყავს.



— ეტყობა, დედა აღარ დაბრუნდება, — ჩაილაპარაკა მაშამ ფიქრიანად, — მოდი დავიძინოთ. ლოგინს გავიშლით.

— როგორ გეკადრებათ! მერე თქვენ? მე მანქანაში დავიძინებ, — შეწუხდა ლადო.

— მე — ღუმელის თავზე დავწვები. მანქანაში რად უნდა დაიძინოთ, საწოლში მოისვენეთ. ვინ იცის, კიდევ როდის მოგიწევთ ადამიანურად გამოძინება! სერჟანტი აივანზე გავიდა, მანქანას თვალი მოავლო. სოფელ ~~აბაქაძე~~ კიდევ იწოდა. ყური მიუვდო: ისეთი სიჩუმე იდგა, ყურს ეხამუშებოდა. თრთვილი დაედო. ყინვამ მოუჭირა. „ადრე ადგომა სჯობს, მოყინულ გზაზე მეტის გავლას მოვასწრებ“, — გაიფიქრა ლადომ.

ოთახში რომ შებრუნდა, ლოგინი გაშლილი დახვდა, მაშა კი ღუმელის თავზე იწვა.

— კარი ჩაკეტეთ, — ჩამოსძახა მან, — თუ სინათლემ შეგაწუხოთ, პატრუქს დაუწიეთ.

ლადომ შეუსრულა თხოვნა, ტანთ გაიხადა, დაწვა და უმაღლ მკვდარივით ჩაეძინა.

ნაშუალამევს გაეღვიძა. აღარ ეძინებოდა. წამოდგა, თამბაქო გაახვია, მბეჭეტვ პატრუქზე მოუკიდა და კვლავ დაწვა.

— არ გძინავთ? — ჩუმად, კრთომით ჩამოსძახა მაშამ.

— არა, არც თქვენ?

— არ მეძინება. ვფიქრობ და ვფიქრობ სულ...

საღდაც მალლა-მალლა გულისწამლებად ზუზუნებდა თვითმფრინავი. ლადომ ყური მიუვდო ზუზუნს, პაპიროსის ნამწვი ჩააქრო, ჩაიცინა და გაუბედავად უთხრა მაშას:

— ჩამოდი ჩემთან, ერთად ვიფიქროთ.

მაშამ არაფერი უპასუხა. სერჟანტმა გაიგონა მისი ფუსფუსი. ქალი ღუმელიდან ჩამოცოცდა და იატაკზე შიშველი ფეხების ტყაპუნით საწოლს მიუახლოვდა. კაცმა დააპირა რაღაც ეთქვა, მაგრამ ქალის სუნთქვა შეეხო მის სახეს. სერჟანტმა ხელი მოხვია ქალს. მაშას ცხელი, მკვრივი ტუჩები ზედ მიეკრა მას ტუჩებს. უცებ სერჟანტს გაუელვა: „იქნებ გუშინ, გუშინწინ იგი ასევე ჰკოცნიდა სხვას?“

და ხმამალა თქვა, რასაც ფიქრობდა.

ქალმა ხელისკვრით მოიცილა კაცი:

— როგორ არ გრცხვენია?!

იგი გულამოსკვნილი ტიროდა. ძლივს, დიდი ხვეწნით გამოსთხოვა ლადომ პატივბა....

მაშას ჩაეძინა. თავი მამაკაცის მკლავზე ედო. ლადო ყურს უგდებდა ქალის გულისცემას და ფართოდ გახელილი თვალებით გასცქეროდა წყვილიად.

ინათა.

ლადო წამოდგა.

მაშა აწრიალდა:

— საით?

— წასვლის დროა.

მაშამ ღუმელი გააჩაღა, წყალი დადგა გასათბობად.

სანამ სერჟანტი ლორის ქონზე შემწვარ კარტოფილს შეეჭკეოდა, ქალი პირისპირ უჯდა და სევდიან, დაბინდულ თვალებს არ აცილებდა. მამაკაცმა



თამბაქოს მოუკიდა, ქალთან მივიდა, მისი თავი მკერდზე მიიკრა და ჩასჩურჩულა:

— სიმართლეს მეტყვი?

— გეტყვი.

— პირველი ვარ შენთვის?

როგორ მიხვდა? სახეზე სისხლი შემოაწვა და მიუგო:

— პირველი ხარ.

ვედროში წყალი წამოდუღდა.

„გაზიკი“ ხელად ათუხთუხდა.

ამ დღითაც ისევ ის ძველი ჩითის კაბა ეცვა მაშას, მხრებზე ლადოს დაბამული ჯუბა წამოგებურა, ლოყები დილის სუსხისაგან წამოსწითლებოდა.

როცა სერჟანტი სამგზავროდ გაემზადა, მაშა მკერდზე მიიკრა, სახე დაუკოცნა და სევდით ჩასჩურჩულა:

— ერთი დღეც დარჩენილიყავი, მოესწრები წასვლას.

ლადომ ყური მიუგდო — გაზაფხულის ჭექა-ქუხილივით მოისმოდა დასავლეთიდან საარტილერიო კანონადა.

— არ შეიძლება, უნდა წავიდე.

— მაშ მშვიდობით, ჩემო კარგო!

— მშვიდობით კი არა, ნახვამდის! ნახვამდის, მაშენკა!..

— ნახვამდის!

ლადომ კომკავშირის ბილეთში ჩაიდო მაშას მისამართი და გულის ჯიბეში შეინახა. მაშას თავისი დაბამული ჯუბა გამოართვა, ჯუბა კაბინაში მიაგდო, თვითონ კი მანქანის ძარაში აძვრა და წაიდუღუნა:

— დაიცა...

ძარადან რომ გადმოვიდა, თან თვთრი შალის სვიტერი გადმოიტანა.

— აჰა, — გაუწოდა მაშას, — დედის ნაჩუქარია, ჯარში წამოსვლისას მომიქსოვა, აიღე, სულ ახალთახალია, ძალიან თბილია...

მაშამ გამოართვა სვიტერი და მაგრად მიიკრა მკერდზე. დიდხანს იდგა ასე. თითქოს აღარც გრძნობდა დილის სუსხს; იდგა მას შემდეგაც, როცა ფანერის მწვანე ძარა შორეულ ყორღანს იქით თვალს მიეფარა.

შინ შებრუნდა და ზღურბლთან შეჩერდა — რაღაც შეცვლილიყო ბავშვობიდან ნაცნობსა და მშობლიურ ოთახში, ბენზინისა და წვეკოს სუნი იგრძნობოდა, მამაკაცს, რომელმაც ღამე გაათია შიგ, თავისი სუნი დაეტოვებინა. მაშას გაეღიმა, საწოლთან მივიდა და ლოგინის გაწყობას შეუდგა.

სვიტერი ისევ ილღისქვეშ ჰქონდა ამოჩრილი. მის სითბოს მამაკაცის მხურვალე ხელის შეხებად გრძნობდა. ლოგინზე დაემხო, სვიტერში ჩარგო სახე და ასე იყო ერთ ხანს. მერე წამოდგა, დაქმუნული ნაქსოვი ხელით გაასწორა და ჩაიცვა. სვიტერი მჭიდროდ შემოადგა მკერდზე. ფანჯარასთან მივიდა და ანგარიშმიუცემლად მინაზე თითს უსვამდა.

უეცრად მინა აწყრიალდა — საღდაც აფეთქების გრიალი გაისმა... ერთი, მეორე, მესამე... შემდეგ თვითმფრინავის სტვენა-წივილმა მოაღწია...

მაშამ უცებ მოაცილა თითი მინას და ყური მიუგდო. შემდეგ თავს ძალა დაატანა და აივანზე ნელი ნაბიჯით გამოვიდა.

მზე სუსტად დაჰნათოდა ჭირხლიან სტეპს. დასავლეთით ყორღანს უკან, წვრილ სვეტად აღმართულიყო შავი კვამლი.

მაშა ავნიდან ჩამოვიდა და დაადგა გზას, რომელსაც მკვეთრ, შავ ჯვრებად აჩნდა ავტომანქანის საბურავების კვალი.

აუჩქარებლად მიაბიჯებდა, ხელები ძირს დაეშვა. ისე მიაბიჯებდა, თითქოს უკვე იცის ყველაფერიო. მაგრამ ფეხს აუჩქარა და ბოლოს გაიქცა.

დიდხანს მირბოდა, რამდენჯერმე წაიფორხილა კიდეც. მძიმედ სუნთქავდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. არ შეჩერებულა. ყორღანი უკან მოიტოვა. მარჯვნივ და მარცხნივ, გზის ორივე მხარეს, თრთვილით შეჭირხლულ მინდორზე შავად მოჩანდა მომცრო ორმოები. აფეთქებით ამობრუნებულ მიწაყრილებს თბილი ორთქლი ასდიოდა. ცოტა მოშორებით გვერდზე წაფერილი დამწვარი „გაზიკი“ ეგდო. ხანძრის თეთრი ენები უხმოდ ლოკავდნენ ჩანახშირებულ კაბინას.

თარგმნა ელენე ჭავჭავაძემ



მედეა კახიძე

ვინ ჩაგიწყვიტა მამილო ეგ ხმა,  
დავალ შენს ალერსს უზიარები.  
ქიშკართან შენი ძახილი შეწყდა  
ვით ჩემთვის რეკვა სკოლის ზარების.

და ჩვენი სახლი უწინ ქებული  
გახდა ყველასთვის კარჩაკეტილი  
და ჩვენს წინაშე უწინდებურად  
მხოლოდ მურია დარჩა კეთილი.

ვინ დაგიწყველა ქულბედი, მამი,  
ღვთისგან რა უღვთო ცეცხლი მოგეზლა,  
რომ სიცილის ხმა ჩაუწყდა ლამის  
ოჯახს, რომელიც დულდა ოდესღაც.

რომ სავაჟეთი ამოწყდა ისე,  
აღარ ყიოდა ხეზე მამალი,  
და ღვინის ნაცვლად ბროლის ჭიქაში  
წლითი წლობამდე იდგა წამალი.

არ მოგიმარჯვა ღმერთმა კეთილი,  
ადრე მოგადგა კარზე ფუფალა,  
შენი ცხოვრება ჯერ გაკვეთილი  
ხურდა ფულივით გადაითვალა.

და განა შენ კი ვერ დაგიტევედა  
ჩვენი ორი წყრთა მიწის ნაგლეჯი,  
და შენს მადლიან საქართველოში  
ველარც მოკვდი და ველარც დაბერდი.

შენ დაიკარგე ჩვენი დაბიდან,  
როგორც ჭალიდან ძველი ბილიკი.  
ღედა ფერადში ველარ დაბერდა  
და ეკლიან გზებს ხელით მიიმკის.

მე როცა მზეზე ლექსებს ვამბობდი,  
როცა ტოლებში უქმად დავრბოდი,  
შენ მიწვენილი იყავ სიკვდილზე  
და ზღვას მიჰქონდი როგორც ნაფოტი.

შენ ცხოვრების ხეს უღვთოდ მიენდე,  
და სიმართლის ხეს ფოთლად შეახმი.  
შენ დაშრი როგორც მზეში სინედლე  
და ამოგადეს, როგორც ვენახი.



## თამარ პარსთავი

### როგორ ვირწმუნო გზაზე თქვენი ფეხის აცდენა

ჯუმბერ მეტარიაშვილს და თემურ კუხანიძეს

ისევ გაუკვლევ ფიქრის ბილიკს ტიანშანისკენ  
და მოგონების თოკით კლდეზე დავეკიდები,  
გული რაღაცას საგანგაშოს ისევ მანიშნებს,  
ისევ ვამშვიდებ, სასწაულის მოსვლას ვპირდები;

იქნებ ნანობენ ტიანშანის მთათა ლოლები  
და არ გაგწირონ ალაღბედზე, როგორც იმგზობას, —  
თქვენს დაბრუნებას ამ კლდის ქიმთან მოველოდები;  
გული კერპობს და ნამცეც-ნამცეც იმედს იზოგავს.

თქვენ ხომ თან გდევდათ გამარჯვება და სიხარული,  
მკვიდრად იდექით ყინულზეც და ფირნის ველზედაც,  
ღრუბლის ზვირთებში გასცურავდით მზისკენ მხარულით  
და ერთმანეთის მოიმედეს შიში ვერ გძლედათ;

არ გაშინებდათ მთა ყინვარის ცივი ენებით,  
კლდე ალესილი, როგორც ბასრი პირი დანისა,  
გაუხედნავი მწვერვალების ჭენებ-ჭენებით  
გაჯირითება პამირის და ტიანშანისა.

და ვუდარაჯებ, ველოდები თქვენს გამოჩენას,  
ცივი ბრჭყალებით ეჭიდება ყინვა პიტალოს,  
ძალა ვის შესწევს, გადაურჩეს ყინულთა ღრქენას  
და გული მაინც მზით გამთბარი ჩამოიტანოს, —

ეს თქვენ გჩვეოდათ, მზის ღიმილით მოსალბუნება,  
მოიყოლებდით თოვლში ნაკრფე ედელვეისებს;  
როგორ ვირწმუნო, ძმებო, თქვენი არდაბრუნება,  
თბილისის თავზე ძველებურად ნათობს მზე ისევ.

როგორ ვირწმუნო გზაზე თქვენი ფეხის აცდენა,  
არა, მე ისევ ამ კლდის ქიმთან მოველოდებით,  
იქნებ შევიძლო დროზე თქვენთვის ხელის გაწვდენა,  
იქნებ შევბოჭო ტიანშანის მთათა ლოდები...



## იოჰანეს ბეჰეი

### სიმღერა ცისფერ დროზაზე

ხოვდივართ ფართო ქუჩებით  
ახალი ქვეყნის შვილები,  
ხოგვაქვს ხალისი უჩვევი,  
ხოვდივართ მხარგაშლილები.

ლაყვარდებს შეერთებიან  
დროშები ლაყვარდისფერი,  
სიმებიც ლაყვარდებს სწვდებიან  
ჩვენი ახალი სიმღერის.

სწორად ავაწყით ნაბიჯი  
და მწკრივში მწყობრად ვიართო,  
ჩვენმა დროშებმა ქარიშხლის  
მძლე ფრთებით რომ იფრიალონ.

აწვდილა ზეცის თალამდი  
ახალი დროშის სიმღერა,  
მზე გამოცურდა ლაყვარდით  
და ჩვენს გულებში იღვრება.

ვაშენებთ ახალ ცხოვრებას,  
ჩვენ დაგვემგზავრა მშვიდობა,  
არასდროს განმეორდება  
ომი და უამინდობა.

მოვდივართ ახალგაზრდები,  
მოგვაქვს დროშები ცისფერი,  
იფრქვევა ტკბილი ჰანგები  
განახლებული სიმღერის.



\* გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალი ახალგაზრდობის დროშა.

დიდ მეგობრობის უშუქითა ბრწყინავს

ჯერ კიდევ როდის ურტყამდა რისხვით  
მტერს მიუნცერის მძლავრი მარჯვენა,  
ო, რაოდენი დაღვრილა სისხლი  
თავისუფლების გადასარჩენად.

წინაპართ ძვლებით ნაპოხი მიწა,  
თბილი და ტკბილი დედის რძესავით,  
დღეს მეგობრების უშუქითა ბრწყინავს,  
განახლებული დილის მზესავით.

რარიგ აყვავდი, სამშობლო მიწაე,  
შენვე ხარ შენი ბედის მკვდელი,  
ქვეყნად უდიდეს მშვიდობას იცავ,  
უდგახარ, როგორც რკინის კედელი.

სამშობლოს რწმენის და ძლიერების  
ჰანგი ჟღერს აწვდილ დროშის შრიალში,  
ხალხთა უდიდეს ბედნიერების  
რესპუბლიკაა გერმანიაში.

წინაპართ ძვლებით ნაპოხი მიწა,  
თბილი და ტკბილი დედის რძესავით,  
დიდ მეგობრობის უშუქითა ბრწყინავს,  
განახლებული დილის მზესავით.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა



## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

### იმ გზაზე შავი მაცვლები იცის

გაგრის მახლობლად, კოლხიდის გზაზე  
შვის ცხელი ტვირთი წელში მომხრინდა,  
პირამდე საგსე ზაფხულის თასი  
ამაყად ეპყრა ხელში კოლხიდას.

იმ გზაზე შავი მაცვლები იცის...  
ვისმენდი მე შენს წკრიალა სიცილს,  
ულმერთოდ მწვავდნენ თვალნი  
და მიჰყვებოდნენ ბარბაცით გზის პირს  
მაცვლები, როგორც მთერალი მაცურები.

იმ გზაზე შავი მაცვლები იცის...

თეთრად ვუთევდი იმ შავი ზღვისპირს,  
შენ გქონდა მართლაც შავი თვალები  
და თუ კვლავ ვნატრობ შენს წმინდა  
სიცილს,  
ისე, ხუმრობად ჩამითვალე მე.

გაგრასთან შავი მაცვლები იცის.  
ზაფხულის წისქვილს ვუხდიდი მინდად  
გულს, და შენ იყავ ჩემი მემინდევ...  
ისევ მწყურია და ისევ მინდა  
ტალღები მღვრიე, ტალღები წმინდა,  
ამ წყურვილისთვის მოდი, შემინდევ...  
გულმა ყოველთვის წყურვილი იცის.

### მოხუცი მონადირე

ჰეი იმ სახობიჭალას,  
ხოხბების ფრთებით მოღობილს!  
სახობიჭალის ბოლოზე  
ამაყად ყივის ხოხობი.

იერის გაღმა და გამოღმა  
დგას ყანის თეთრი კედლები,  
იმ კედლებს შიგნით დახტიან  
დასუქებული ქედნები.

აქ კი, ქუჩის პირ, კაკლის ქვეშ  
ზის ძია გიგო გულდინჯად,  
ჭაბუკებს — კუნთებს ხელისას,  
ბაღებს ხმის კილოს უსინჯავს.

ეტყვის, ვინც თვალში მოუვა;  
ხარ მონადირე ნამდვილი,  
გასწავლი თოფის სროლასაც,  
ჩემთან ჩამოდი ხვალ დილით.

თვით ძველი მონადირეა,  
რა სათქმელია ანდა ეს, —

ამ ჩენი სოფლის გარეთაც  
კარგად იცნობენ ყანდარელს.

ყანწს რომ აღარებს კაი თოფს,  
წყალსაც კი ჭიჭით არ დაღვეს,  
უცნაურ ამბებს მოჰყვება,  
იტყვის და მსმენელს გადარევს.

იტყვის და წარბსაც არ დახრის  
გაკვირვებულთა ხმაურზე,  
ახლა მის გვერდით რომ იჯდეს,  
შერცხვება მიუნჰაუზენს.

— თავს გადავევლე ბებერ კლდეს,  
ბოლი სდიოდა ორლულას...  
ჰეი იმ სიჭაბუკესო...  
თქვა და თვალები მოლულა.

ერთხელ მეც თვალში მოუველ,  
ყანწებს მიგავდა კანჭები,

უბეში, როგორც ტყვიები  
მეყარა ივრის კენჭები.

ჩემივე ნაოსტატარი  
ყელზე შურდული მეკიდა,  
მიხმო, მუხლებზე დამისვა!  
წიბურტი გამკრა ნეკითა.

გამიღიმა და დამლოცა.  
იყავი მონადირეო,  
შენი ბიჭობის ამბავი  
პოხუცსაც მომაწვდინეო.

... გავმტყუნდი, მომიტევებდე  
უკვე ჩამქრალო ღიმილო...  
ვარ სიტყვას ადევნებული,  
ცერზე შემჯდარი მიმინო.

ვერც ტახი მოვკალ, ვერც დათვი,  
ვერც სადმე დავჭერ ირემი...  
აი ეს ლექსი მოგართვი  
როგორც რამ ნანადირევი.

საოცარ ამბებს ვერ ვყვები,  
გვერდით ვერ ვისხამ გოგო-ბიჭს...  
სახოხბიჭალის ბოლოზე  
კვლავ ფრთებს ისწორებს ხოხობი.





## იან ზვიგომი

# საქართველის ქვეყნის სახელმწიფო

აქ აღწერილი ამბებიდან ოცდახუთი წლის წინ, როდესაც ავუსტ რანსონი თავის ახალგაზრდა და, შეიძლება ითქვას, საუკეთესო ნახევართან ხელგაყრილი გამოვიდა ეკლესიიდან, ხალხი ამბობდა: „ლამაზი წყვილია!“ მართალია, ხალხი ამას ამბობს თითქმის ყველა ახალდაქორწინებულ წყვილზე, მაგრამ ახლა მათი სიტყვები შორს როდი იყო სიმაართლისგან.

ამბობენ, რომ ბუნებაში ყველაფერი, რაც განვითარების პროცესშია, სრულქმნას ესწრაფვის. თუმცა ადამიანთა გარეგნობაში ეს კანონი ხანდახან თავს იჩენს მოულოდნელი სახით. ვერცხლის ქორწილის დღეს „ლამაზი წყვილი“ დაემსგავსა არამქვეყნიური სულელების წყვილს, რომელიც ბაუერის საუკეთესო სურათებიდან გეგონებოდათ გადმოხატული. მოხუცი ქალის ცხვირი დაგრძელდა და გამახვილდა; ასეთი ცხვირით მხოლოდ ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით სიარულია ხელსაყრელი. მაგრამ, რომ შეგვხედათ რანსონის ცხვირისათვის, რომელიც ქალაქში მისი პატრონის ხშირი ყოფნის გამო შესამა სოკოს დაემსგავსა, აღიარებდით, რომ მისი ცოლი ჭეშმარიტად კლასიკური პროფილის პატრონი იყო.

როდესაც საქადრაკო პარტიაში, რომელსაც ქორწინებას უწოდებენ, ერთი მხარე იწყებს სმასა და ზარის თამაშს, მოწინააღმდეგე მხარე აკეთებს საპასუხო სვლას და ეძლევა კეთილმსახურებას. მაგრამ გულგრილი, მშრალი, ოფიციალური ეკლესიისკენ როდი იწევს მბორგავი, გაუგებარი სული. არა, ჭეშმარიტ ნუგეშს იგი პოულობს ყავისა და ზაფრანის სურნელებით გაყდენთილი მისიონერული სამლოცველოს ჭერქვეშ.

წლების განმავლობაში რანსონი რელიგიურ შეკრებულობათა ხშირი სტუმარი იყო, და სანამ იგი ღვთის სიტყვებს ისმენდა, მისი მეუღლე მრუდეებს ხაზავდა ცოდვის ბილიკზე, რომელსაც ეწოდებოდა გზა ქალაქისკენ და რომელიც გაასწორეს და გააგანიერეს გზის სამმართველოს ბრძანებით.

ერთად ცხოვრების მრავალი წლის განმავლობაში ბებრუხუნა რანსონმა ბევრი შესამანი სიტყვა დახარჯა მეუღლის სულის გადარჩენის ცდაში, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯიჩკივით ყრუ იყო. ხვეწნისა და მუქარის პასუხად მოურჯულებელი ცოდვილი მხოლოდ იცინოდა. რანსონმაც განაცხადა, რომ თუ მისი ცოლი და ყველა დანარჩენი, ვინც მისიონერთან დადის, ზეცაში მოხვდება, მაშინ იგი ჯოჯოხეთში გამგზავრებას ამჯობინებს.



როგორღაც ერთხელ, ახალწლამდე ცოტა ადრე, კეთილმსახურმა დემმა გადაწყვიტეს აღენიშნათ შობის დღესასწაული მისიონერულ სამლოცველოში. რანსონი ფხიზელი იყო. და რა თქმა უნდა, მას არ მიუძღოდა ამაში ბრალი: უბრალოდ არაყი ვაუთავდა, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ მეუღლემ გადამალა მისი მარაგის ნაწილი. იგი არაერთხელ აკეთებდა ამას, როცა რანსონი ვერ მოახერხებდა ბოთლში სითხის დონის დამახსოვრებას.

— მომეცი, დავლიო, — ეღრიჯებოდა მაგდასთან მჯდომი რანსონი.

— არ მოგცემ!

რანსონი გაჩუმიდა, იფიქრა, მერე კი თქვა:

— სამლოცველოში რომ წამოგყვე, მომცემ?

— შეგიძლია წახვიდე იქ უარყოფად: აუცილებელი არაა, ღვთის სახლში სპირიტით აყროლებული მიხვიდე!

— გზაზე იის ფესვს დავღვქავ და ვერავინ ვერაფერს შემამჩნევს. მე ვიცი შენ მუდამ გაქვს რაიმე გადამალული კარადაში, ასე დაგჩემდა მას შემდეგ, რაც ბავშვებს კბილები გაეჭრათ.

ბებერი ჩაფიქრდა. თუ ის მიიყვანს სამლოცველოში ქმარს, რომლის სული ნახევრად ეშმაკს აქვს მიტაცებული, ეს იქნება უდიდესი გამარჯვება. იგი გონებაში შეეკითხა წმინდა სულს და დაუყოვნებლივ მიიღო პასუხი, რომ ღვთის სურვილიც ნამდვილად ასეთია.

— თუ ჩემთან ერთად წამოხვალ სამლოცველოში და იქ ისე მოიქცევი, როგორც ყველა პატიოსანი ადამიანი იქცევა, შეიძლება ჩავაცეცხო კიქა არაყი, — განაცხადა მან, სულის სიღრმეში აღფრთოვანებულმა იმით, რომ მოახლოვდა ჟამი, როცა უფალმა სასწაული უნდა მოახდინოს.

შელამებისას საუკეთესო საგარეო ტანისამოსში გამოწყობილი ცოლ-ქმარი სამლოცველოსკენ მიდრავდა. რანსონმა წვეთი არ დატოვა იმისგან, რისი გადამალვაც შესძლო მისმა მეუღლემ, და ახლა ყველაფრისთვის მზად იყო. იგი ღეჭდა იის ფესვს, მიბარბაცებდა და ცოლთან ბასობდა.

— ჭიჭის დაღვვა, სულაც არაა ცოდვა, — დაბეჯითებით ამბობდა იგი. — განა თქვენს ბიბლიაში არ სწერია, რომ იესომ წყალი ღვინოდ გადააქცია! აბა ახლა ეცადა ეს, — ლენსმანი მაშინვე ციხეში გამოამწყვდედა. რაო, მართალს არ ვამბობ, თუ? განა იესომ წყალი ღვინოდ არ გადააქცია?

— ის უალკოჰოლო ღვინო იყო, — წაიშიშინა ცოლმა.

— ჰმ, ვინ მოგახსენათ?

— მოძღვარმა, და საერთოდ ჩაიწყვიტე ეგ ცოდვილი ენა და ღმერთს ნუ სცოდავ.

— ცოდვილი? შე სულელო, შენა! ცოდვილები რომ არ ყოფილიყვნენ ამ ქვეყანაზე, ვის დასჭირდებოდა თქვენი რჯულზე მოქცეულები და თვით უფალი ღმერთი! აბა როგორ! მომშორდა არყის სუნი თუ კიდევ ვღეჭო?

— ღეჭე, სანამ მივიდოდეთ. — და ცოლმა ისე მოკუმა უკბილო პირი, რომ მისი წვეტიანი ნიკაბი და ცხვირი გაშლილ მაკრატელს დაემსგავსა.

რანსონს მისი გულის მოგება სურდა და საუბრის თემა შეცვალა:

— როგორი სინათლეა, — შენიშნა მან, — შეხედე, მთელი ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი.

— აა, შენ ახლა შენიშნე ვარსკვლავები. აი, უკვე ოცდახუთი წელია, რაც შენ არყის ბოთლებზე შეთითხნილი ვარსკვლავების გარდა სხვა ვარსკვლავს ვერ ხედავ.

— შენ რა, ვითომ ჩემზე მეტს ხედავ? შემთხვევით კვრები, ღვთის სახლ-

ში რომ მიირთმევთ, ვარსკვლავებად ხომ არ მოგეჩვენა? შენც ხომ მხოლოდ მათ უტყერ.

საუბარი ამაზე შეწყდა და არც განახლებულა, სანამ ცოლმა და ქმარმა სამლოცველოს არ მიადწიეს.

სამლოცველო სავეს იყო ხალხით. მის სიღრმეში იდგა უზარმაზარი საახალწლო ნაძვის ხე ანთებული სანთლებით, გვერდზე კი მომხიბვლელი, საჩუქრებიანი პარკებით დატვირთული მაგიდა. ბავშვები იჯდნენ წინა სკამებზე, აქეთ-იქით იტყირებოდნენ და ყოველ გაფაჩუნებაზე თავებს ატრიალებდნენ.

როდესაც სამლოცველოში რანსონი გამოჩნდა, სკამებზე გაოცებულმა დრტვინვამ გადაირბინა. რანსონი მტკიცედ მოიწვედა ნეულდის უკან და ცდილობდა უფრო ღრმად ჩაეტენა ჯიბეში იის ფესვი. სკამზე ჩამოძვდარი ბებერი ჩაფიქრებული დაეყრდნო ხელს თავის წვეტიანი ნიკაბით, რანსონი კი გარშემო იყურებოდა და ნაცნობებს ესალმებოდა. გასეირნებამ წაახალისა იგი, და ქეიფის მოლოდინში წინასწარ დამტკბარი, ხარბად ისუნთქავდა ყავის სურნელს თავისი უზარმაზარი ცხვირით.

თავიდან, რა თქმა უნდა, ქადაგების მოსმენა მოუხდებოდა: ამას რანსონი მიხვდა სხვადასხვა ნიშნების მიხედვით. ქადაგი ცუდის მომასწავებელი სახით ახველებდა. არც უფსალმუნობა იქნება. აი, უკვე ამოიღეს დავითი.

— ვიმღეროთ ჩვენი ძმობის ძველი დავითის ორას ორმოცდა მეთექვსმეტე ფსალმუნი, — განაცხადა ქადაგმა — „ო, კრავისთვის სიცოცხლე შეწირულა“. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ძველ დავითში.

ერთი და ორდანოსაკენ გაცუნცულდა. შეკრებილი მღეროდნენ ფსალმუნს, სანდომიანი ქალიშვილები კი ფეხაკრფით უვლიდნენ უზარმაზარ მაგიდას და უქანასკნელ მზადებას ამთავრებდნენ. რანსონი ცნობისმოყვარეობით უტყერდა მათ და თანდათანობით ასკვნიდა, რომ იგი საკმაოდ კარგად მოუტიგდა მეუღლეს. ღმერთმანი აქ სულაც არ არის ურიგო. ოღონდ ეს ზავ ანაფორიანი ძალიან გრძელი ქადაგების კითხვას არ დაიწყებდეს.

მაგრამ სწორედ ასე მოხდა. ქადაგის ხმა უღერდა ხან ხმაჟღერდა, ხან ხმადაბლა, და როდესაც იგი უშველებელი თათების ქნევით ემუქრებოდა მსმენელებს ცეცხლის ჯოჯოხეთით, გეგონებოდა, მის ქადაგებას ბოლო არ ექნებოდა. ზოგჯერ მისი ჰაერში გაშვებული ხელი მალა აწეული თითით უჩვენებდა გზას, რომლითაც კეთილმსახურ ძმათა სულელები გაფრინდებოდა.

მაგრამ მერე მისი თითი იწეოდა ქვემოთ და შეკრებილთ ავდებდა წმინდა და სათნო ძრწოლაში, და როდესაც ქადაგი დაწვრილებით აღწერდა მარადის უფსკრულს და თავიანთი მსხვერპლის დაუღალავად მღრღნელ ქვეწარმავლებს, მისი კიბოსნაირი თვალები რანსონს ესობოდნენ.

„ეშმაკმა წაგიღოს, — ფიქრობდა სკამზე მჯდარი რანსონი. — ალბათ ბრაზობ, რომ მე მიხედებოდა შენი ნახვა სასტუმროში, როცა უალკოჰოლო დღინოს წრუპავდი“.

რანსონმა ცოლს გადახედა. აი, უკვე ოცდახუთი წელია არ შეუნიშნავს მას მეუღლის სახეზე ასეთი გრძნობამორევა. იგი ხშირად ამბობდა, რომ ქრისტეს საცოლუა. და ნამდვილად, სიბერითა და სიბრაზით დაღმეჭილ სახეზე აღფრთოვანებული გამომეტყველება გაეყინა, როგორც პატარძალს.

რანსონმა მიმოიხედა გარშემო და აღმოაჩინა მრავალი ასეთივე საცოლე. მაგრამ, სხვათაშორის, არ შეუშურებია მათი ზეციური საქმროსი. თითქმის ყველა ქალი გახვედა უსიტყვო აღფრთოვანებაში, მაგრამ კაცები მოუსვენრად ტოკავდნენ სკამებზე, იფხანდენ კისრებს საყელოებს ქვეშ. ახალგაზრდა გოგო-



ნები თავიანთი ადგილებიდან უყურებდნენ უფროს ამხანაგებს, ისინი კი შეგროვილიყვნენ სამზარეულოს შესასვლელთან და ცდილობდნენ არ ეჩვენებინათ, რომ მათ უნდოდათ ეშმაკთან გაეგზავნათ ქადაგი-ყბედი, რომელიც არც ახალგაზრდა იყო, არც უცოლო და არც მოხდენილი.

რანსონი ისე ცუდად გახდა, თითქოს სწორედ იმ ადგილებში მოხვედრილიყოს, რომელიც ქადაგმა საქმის ასეთი ცოდნითა და სიზუსტით აღწერა. მაგრამ ქადაგი სწორედ ახლა პირდებოდა ცოდვილებს გადარჩენას, ოღონდ ერთი პირობით, მათ ამ საღამოსვე უნდა მოენანიებინათ ცოდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში სასუფეველი სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა მათთვის.

— მოდი, ღღესვე, საღამოს, — წამოიძახა ქადაგმა, მაგრამ ამ დროს მარცხენა კუთხეში მჯდომთ შორის დაიწყო რაღაც ღელვა. ქადაგი შედგა და სიჩუმის დამრღვევთ მრისხანე მზერა ესროლა.

და აქ ყველამ დაინახა პატარა თავგი, რომელიც გამოძვრა კუთხიდან და კედლის გასწვრივ პირდაპირ ნაძვის ხისაკენ გაიქცა. ბავშვებმა გაიცინეს და ჩურჩული დაიწყეს. მალე თავგი გამოჩნდა ნაძვის ხის ქვედა ტოტებს შორის. ის აუჩქარებლად მიფოფხავდა ტოტებით ზემოთ, თითქოს სურდა წასულიყო იმ გზით, რომელიც ქადაგის სიტყვებით, მომავალში გამზადებული იყო მისი სულისათვის.

დაბრკოლებამ, რომელიც ქადაგად დაცემულს გადაეღობა, მარტო რანსონი როდი გაახარა. კრებული გამოცოცხლდა, როგორც გამოვეკლული მინდორი ზაფხულის თავსება წვიმის შემდეგ. ქადაგი ცდილობდა მზერით დაეფერფლა თავგი, მაგრამ მის მცდელობას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია პატარა ნადირზე. იგი მშვიდად ყნოსავდა ტოტზე ლოყაწითელა ვაშლს და შავი მძივებზე თვალებს აელვარებდა. მალე ჩურჩული ხმაურად გადაიქცა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მოხუცი დარაჯი. ხელში ნახშირის მაშა ეჭირა და მტკიცედ იმზირებოდა. თავგი უფრო მალა აფოფხდა. დარაჯმა ჩააქრო ერთი სანთელი, რომ ნაძვთან უფრო ახლოს მისულიყო, დიდხანს უმიზნებდა მაშას და, ბოლოს, დაარტყა.

— ბუმი! — აღტაცებით წამოიყვირა რანსონმა. აღშფოთებული მზერის ზვირთი დაეტაკა მას, და მახვილი იდაყვი მტკიცეულად ეძგერა გვერდში. როდესაც ნაძვის ხემ, ბოლოს, გაათავა ქანაობა, თავის დრუნჩი გამოჩნდა კიდევ ერთი ტოტით მალა. ქადაგმა ზიზლით წაიბლუქუნა. მერე ნათელმა აზრმა გაუელვა თავში და ორღანთან მჯდომ დას ჩურჩულით წინადადება მისცა, სანამ დარაჯი თავეს ებრძოდა, ფსალმუნი დაეკრა.

რამდენიმე კაცმა ფსალმუნის გალობა წამოიწყო. მაგრამ ყველას მზერა მიჯაჭვული იყო დარაჯზე, რომელმაც სწორედ ამ დროს დაუმიზნა თავებს. პირველი მარცხით გაბრაზებულს სახეზე სისხლი მოსწოლოდა და დიდხანს და მონდომებით უმიზნებდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, მაღალმა ღმერთმა ზურგი შეაქცია თავის ერთგულ მონებს. დარაჯმა თავეს მიაყენა დარტყმა, რომელშიც მან მთელი თავისი სულიერი და ხორციელი ძალები ჩააქსოვა, მაგრამ თავგი ჩამოხტა იატაკზე და ფეხებშუა გაუძვრა მას. დარაჯს უნდოდა კიდევ ეტაცა ხელი მაშისთვის, რომ ერთი დარტყმით ბოლო მოეღო თავისისთვის, მაგრამ მაშა ტოტებში გაეჩხირა და ნაძვის ხე გადააყირავა. წვერო მოედო მაგიდას, რომელიც საშინელი გრუხუნით გადაბრუნდა. ორღანმა შეშინებული ყალბი ბგერა გამოსცა და გაიშუმა.

ის, რაც მოჰყვა ამ სცენას, შეიძლება შეედაროს მხოლოდ სოდომსა და ჰომორასს, ცეცხლმოკიდებული ნაძვიდან ცეცხლის ენები ერთიმეორის მიყო-



ლებით ტკაცანით მიიწვედნენ ჭერისკენ. ცეცხლი მოედო ფარდას, შეჰყვა ზემოთ, შთანთქა იგი და ახალი მსხვერპლის ძებნაში დატრიალდა...

მრევლთაგანნი ლოცულობდნენ, ყვიროდნენ, ტიროდნენ, ზოგი კარებისკენ გაიქცა, ქადაგმა ცეცხლს ზემოთ აღაპყრო ხელები და მჰქექარე ხმით დალაძყო: „ჩაქრა“, მაგრამ ცეცხლმა, ეტყობა, უკუღმა გაუგო მას, რადგან აღის ენები გაწვრთნილი ლეკვეზივით აახტნენ მის გაშვერილ ხელებს. ახლა უკვე აგიზგიზდა მთელი ნაძვის ხე, სკამები და ფარდები. და უცებ გაისმა ხმამაღალი, უხეში ხმა, რომელმაც მთელ ხმაურს წააჭარბა:

— ჩაქრობთ თუ არა ცეცხლს, თქვე უბედურებო! მამაზეციერო, ზომ ხედავთ, არ აპირებს ჩაქრობას, იგი ალბათ, უბერავს კიდევ ძალად, რომ ცეცხლი უარესად დაანთოს. აბა, ჩქარა, აიღეთ კასრები, ქოთნები, მოკლედ ყველაფერი, რაც თქვენს ღვთის სახლში მოიძებნება!..

და გამოვიდა ისე, რომ რანსონი მეთაურობდა ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლას. ორი წუთის განმავლობაში მან ჭიდან ხანძრამდე ვეება მწყრივი ვაჭიმა, თვითონ კი წინ, ცეცხლთან დადგა. ცხვირი უზზინავდა და მთელი სახე სიამოვნებისაგან უბრწყინავდა, სანამ ცეცხლს ებრძოდა, რომელსაც გველუშაპივით ახალ-ახალი თავები ეზრდებოდა. ქადაგი არ მონაწილეობდა მუშაობაში, იგი სამლოცველოს შორეულ კუთხეში იდგა და სახეს ხელებში მალავდა. ნახევარი საათის შემდეგ ცეცხლი ჩაქრა, მაგრამ სამლოცველო მთლიანად შემოიწვა და გაშავდა, მოაკლდა მყუდროება და სითბო.

— გამდლობთ შენ, უფალო, რამეთუ ყურად იღე აჯა ჩემი და ღირსი მყავ შემწეობის, — თქვა კუთხიდან გამოსულმა ქადაგმა.

რანსონმა გოცებისაგან პირი დაალო.

— შენ რა, ვითომ მამაზეციერმა ჩაქრო ხანძარი?

— რა თქმა უნდა, აბა ვინ კიდევ?

— ერიპა! მაშინ მე რაღას ვაკეთებდი?

— თუკი უფალი ღმერთი მოინდომებს, დამტვრეულ ვიოლინოზედაც კარგად დაუკრავს, — მედიდურად განაცხადა ქადაგმა.

— არ მესმის, რა შუაშია აქ ხანძარი. იქნებ ის გინდა სთქვა, რომ ეს მე ვარ — დამტვრეული ვიოლინო!

ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა.

— აბა, მე წავედი სახლში, აწი თქვენაც კარგად გაერკვევით, — განაცხადა რანსონმა. — წავედით, ბებერო!

როდესაც რანსონების სახლში ჩაქრა სინათლე და ცოლ-ქმარი დაწვა დასაძინებლად, უცებ რანსონმა თავისი ტახტიდან იკითხა:

— გძინავს?

— რა გინდა?

— ერთი ეს მითხარი, თუ ქალი ხარ, მე ჩავაქრე ხანძარი თუ სხვამ?

— დაიძინე, ნუ ლაყობ. შენც კარგად გაიგონე, რა სთქვა ქადაგმა: ღმერთმა შეისმინა ვედრება.

— რაც მართალია-მართალია, მან ეს თქვა, თან მე დამტვრეული ვიოლინო მიწოდა. კარგი ბატონო, ასე იყოს, მაგრამ კიდევ განდგება ხანძარი, ჰოდა, მე მაშინ ხელსაც არ გავანძრევ, სულაც რომ ამოიწვათ, — თქვა რანსონმა, ცხვირი კედლისკენ მიაბრუნა და ჩაიძინა.

თარგმნა დავით გორდელაძემ



## ნორა შამანაძე

### დიდ სოფალში

ნიავეით წამოვფრინდი უთენია,  
ორლობიდან ორლობეში გადაეძვერი,  
ღელეს გავყევ ნაპირ-ნაპირ კუნელიანს,  
ვჩქარობდი და შევიმოკლე შარა გრძელი.

მზის ლოდინში აზმორებდა მთას და მდელს,  
აღმოსავლით ცას სიწითლე მოეძალა,  
ღობემძვრა ღობეს თავზე გადაევლო,  
ჩამეცინა: მე თვით გავზდი ღობემძვრაღა.

ღიმილსავსე და შუქსავსე იდგა დილა,  
ჩამირბინა სიომ აღვირაშვებულმა,  
შაშვნი კაკბებს შეჰყურებდნენ ისე ტკბილად,  
თითქოს მართლა თავის დღეში არ შებმულან.

ჩიფჩიფებდა ღელე როგორც ღელაბერი,  
სხივთსატყორცნად მზემ ჩაზმახი შეაყენა,  
მაღხენდა და მაჩერებდა ყველაფერი,  
ვჩქარობდი და...  
მივდიოდი ნელა-ნელა.



სოსო იორაგაშვილი

# სავიხლი

გამაგრებული რაიონის უფროსის შტაბი იმავე ფრონტისპირა ქალაქში იმყოფებოდა, რომელშიაც მე სამხედრო კომენდანტად დამინშნეს. თვით გენერალთან უშუალოდ არავითარი ურთიერთობა არ მქონია, მხოლოდ მისი შტაბის უფროსთან — პოლკოვნიკ მიხაილოვთან კი ხშირად მიხდებოდა შეხვედრა.

მიხაილოვი დაბალი, პირხმელი კაცი იყო.

— აბა, გახსოვდეს! — მითხრა მან, — ოღნავე წესრიგის დამრღვევნიც კი, თუ ასეთები აღმოჩნდებიან, უნდა დაისაჯონ, თორემ მტერი ამას ათასნაირ პროვოკაციისათვის გამოიყენებს.

ნუ მოერიდებით, რომელი ნაწილის ჯარისკაცებიც არ უნდა იყვნენ წესრიგის დამრღვევნი, საპატიმრო და მისი ჯანი. ხოლო თუ საჭირო იქნება, ზოგჯერ სამხედრო ტრიბუნალიც გამოიყენებ. არ დაინდო, თორემ მათი დანდობა ხშირად ძვირად გვიჯდება ხოლმე. სახელს გვიტეხენ, — მარიგებდა პოლკოვნიკი.

მართლაც, ერთ საღამოს, როდესაც საკომენდანტო სამმართველოში გასაგზავნ დეკადურ ცნობებს ვაღვენდი, მორიგე შემოვიდა და მითხრა, რომ ერთი აჭაური ქალია და მოითხოვს — აუცილებლად კომენდანტთან შემიშვიტო. ქალი შემოვაყვანიხე. გამოირკვა, რომ მისთვის სახლიდან ერთ-ერთ ჩვენს ჯარისკაცს ქმრისიული საათი მოეპარა.

— რა იცით, რომ მაინცდამაინც ჯარისკაცმა მოგპარათ საათი? რითი შეგიძლიათ ქურდობა დაუმტკიცოთ?

— ისინი იყვნენ, პან კომენდანტ, ჩემს სახლში. სხვა არავინ შემოსულა. ორნი მოვიდნენ არყის საყიდლად. ერთი მე გამომყვა საკუჭნაოში ბოთლით, მეორე კი ოთახში დარჩა. საათი კომოდის თავზე იდო. ჯარისკაცები რომ გავაცილე, საათი აღარ დამხვდა. აბა, მამ ვინ წაიღებდა?

— იცნობ იმ ჯარისკაცს?

— ძალიან კარგად. აი, ამ წუთშიაც იგი კლუბშია და ცეკვავს.

მართლაც, ქალს პატრულები გვაყოლე და თხუთმეტიოდე წუთში ჩემს სამუშაო ოთახში შემოიყვანეს ატლეტური აგებულების ჰაბუკი.

ქალს ვთხოვე გარეთ მოეცადა, და მარტო რომ დავრჩით, დავუწყე გამოკითხვა — ვინ იყო, რომელ ნაწილში მსახურობდა... გამოირკვა, რომ განსაკუთრებულ მშვერავთა ასეულში ირიცხებოდა. დავუწყე დამშვიდებულმა პირდაპირ, ყოველგვარი ყვირილის გარეშე:

— აი, ალექსანდრე! ჩვენს მეტი აქ არავინ არის და მე და შენს გარდა



ვერც ვერაინი გაიგებს რაც მოხდა, რა თქმა უნდა, ერთი ქალის მეტი, რომლის სახლიდანაც შენ საათი წამოიღე. თუ გინდა, რომ ამ ამბავმა ასე უხმაუროდ ჩაიაროს და შენმა ასეულის მეთაურმა არაფერი გაიგოს, წადი, მოიტანე საათი, პატრონს დავუბრუნოთ და თავისუფალი ხარ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგაპატიმრებ. მერე ყველაფერს ვეტყვი შენს უფროსს, კაპიტან ფილიპოვს, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ და ვთხოვ, რომ სასტიკად დაგსაჯოს.

ჯარისკაცს ჩემი ნათქვამი არ გაჰკვირვებია და არც ჩემი მუჭარისა შეშინებია. იგი ცოტა ხანს იჯდა დაფიქრებული. მერე თავი მაღლა აიღო და მითხრა:

— ამხანაგო კაპიტანო! არ იფიქროთ, რომ მე რაიმე სასჯელის შემეშინდეს. ასეთი არ არის „საშკა მეზღვაური“. არასოდეს ცხოვრებას არ ვაგუენებოვრებივარ. აქაც საჯარიმო ასეულიდან წამომიყვანეს და რომ იცოდეთ არც კი მოვლევდი. ისე კი, თუ არ ეტყვიოთ ჩემს უფროსს, უკეთესია. თუმცა არც მაგას აქვს დიდი მნიშვნელობა, — თან ჯიბიდან საათი ამოიღო, ჩემს წინ მაგიდაზე დადო და გაიღიმა. — რას იზამთ, თქვენ თვითონ იცით! სულ კი იმ სულელი დედაკაცის ბრალია. კომოდზე მაცდურად დაუღვია საათი; ვითომ არ იცის ჩვენი ძმების მდგომარეობა, რომ არყის ფულს სიდერები და დეიდები არ გვიგზავნიან. ნებას მომცემთ წავიდე?

წადით-მეთქი, — ნება დავრთე, მაგრამ ერთი აზრი ამეკვიატა! თითქოს, სადღაც მენახა ეს ჭაბუკი და კი ვერ მომეგონებინა, თუ სად მენახა. ბოლოს რომ ვერ გავიხსენე, ხელი ჩავიქნიე და ჩემს თავზე კიდევ გამეცინა: რა არის აქ გასაკვირი, ომის დროს სადღაც ნანახი სახე ხელმეორედ რომ შემხვდეს-მეთქი. მაგრამ მაინც ვერ დავმშვიდდი და ვერ მოვიშორე ის აკვიატებული აზრი, თუ სად მენახა, რადგან ისე, უბრალოდ ნანახი კი არა მყავდა, არამედ, რაღაცას მაგონებდა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ჩემს მეხსიერებაში ერთი ამბავი ამოტივტივდა:

1943 წლის შემოდგომა იყო. ჩვენი ეშელონი ჩრდილოეთ კავკასიის ერთ რომელიღაც სადგურზე დიდხანს გაჩერდა და ხალხი სადგურთან ახლოს მყოფ პატარა ბაზარში გაიშალა. ზოგი რას ყიდულობდა და ზოგი რას.

ერთ ადგილას ალიაქოთი ატყდა. ჯარისკაცებს ვილაცაათვის ხელდახელ თხა აეცალათ. პატრონი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ თხა ვერსად ვერ აღმოაჩინა. მაშინ თხის პატრონმა სადგურის კომენდანტი მოიყვანა და თავის ჭკუით ვაგონებიც დაჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. თურმე საცოდავი რას მოიფიქრებდა, თუ მის თხას ყელი გამოსჭრეს, მაზარა წააფარეს, ფეხებზე მაღალყელიანი ფეხსაცმელი ჩააცვეს, ზედ ტოლალები დაახვიეს და მჩხრეკავები გააფრთხილეს: ავადმყოფი მებრძოლია, ძლივს ჩაეძინა, ხელი არ ახლოთ და არ გააღვიძოთო. გამახსენდა, რომ ყველა ამას მაშინ ეს ჭაბუკი ხელმძღვანელობდა და ბევრიც გვაციანა.

რას ვიზამდი? საათი პატრონს დავუბრუნე და თანაც ჩემი სიტყვა შევასრულე — კაპიტან ფილიპოვისათვის არაფერი მითქვამს.

მაგრამ არ გასულა დიდი დრო. რომ კიდევ შევხვდით ერთმანეთს მე და ის ყმაწვილი.

ერთ საღამოს ჩვეულებრივ ვმუშაობდი. შემატყობინეს, კლუბში სადაც კინოს უჩვენებდნენ, ჩხუბიაო. რა თქმა უნდა, წესრიგის აღსადგენად თვითონვე წავედი, რადგან ძალიან ხშირად კინოსურათების საყურებლად უფროსი ოფიცრებიც მოდიოდნენ ხოლმე და არ მინდოდა მათ ეთქვათ, რომ თვით კომენდანტის ხელი არა ჩანს და ქალაქში წესრიგის დაცვა მარტო მორიგ პატრულებს აქვთ მინდობილიო.



ავტომატებით შეიარაღებული პატრულებით რომ შევედი დარბაზში, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მოჩხუბრები თავისით გაზავდნენ. გამარჯვებულები უმალ მიიმალნენ, მხოლოდ ერთი ნაცემი მფრინავი ლეიტენანტი შემერჩა ხელში, რომელიც ტუჩებიდან ცხვირსახოცი თიწმენდა სისხლს და ეტყობოდა, ცოტა დაღუულიც იყო.

ჩემს შეკითხვაზე, თუ ვისთან ან რაზე წაიხუბნენ, მან მიპასუხა:

— არ ვიცი, ამხანაგო კაპიტანო! კინოსურათს ვუყურებდი ფეხზე მდგომი. სივიწროვის გამო, ხალხი ერთმანეთს ვიყავით მიკრულნი. უცებ ჩემს გულისჯიბეში რაღაც ფათური ვიგრძენ. ხელი ვტაცე და ვუთხარი: — არა გრცხვენინა? შენ ძმასა პარავ, ან რა მაქვს, რა უნდა მომპარო-მეთქი, და ამ დროს გამარტყა ძეორე ხელი. ამაზე მეც გავარტყი, მაგრამ მეორედ ისეთი დარტყმით მიპასუხა. რომ ჩემს ღღეში ისეთი რამ არასოდეს მომხვედრია, თუმცა ერთ დროს გამოჩენილ მოკრივედ ვითვლებოდი.

სხვა არაფერი არ იცოდა იმ კაცისა, მხოლოდ თქვა: რომ შემხედეს, სახეზე ვიცნობო.

რაკი სხვებმაც მითხრეს, მზვერავთა ასეულის ბიჭები იყვნენ აქაო და მეც დაეშვებული ვიყავი ერთი მათგანის პატიოსნებაში, კაპიტან ფილიბოვთან წავედი. რა თქმა უნდა, ამომცნობად ნაცემი ლეიტენანტი მინდოდა წამეყვანა, მაგრამ იგი ჯერ არ მომყვებოდა და მითხრა:

— გაუშვი, ამხანაგო კაპიტანო! მე აღარ ვუჩივი.

ლეიტენანტის „სულგრძელობა“ ჩემთვის გასაგები იყო: მას, რაც მოსახვედრი იყო. უკვე მოხვდა და აღარაფერი ეშველებოდა. პირიქით, ახლა დროსაც ვაკარგვინებდი და, რა თქმა უნდა, ერჩინა უდავიდარაბოდ წასულიყო თავის ნაწილში, მაგრამ შემთხვევით კლუბში აღმოჩენილ პოლკოვნიკ მიხაილოვისათვის რაღა პასუხი უნდა გამეცა? იგი ხომ მუდამ იმას მიჩიჩინებდა. ოდნავი წესრიგის დამრღვევიც არ უნდა დარჩეს შენს ქალაქში დაუსჯელი და მაშინ იქნები ნამდვილი კომენდანტიო.

აი, ამიტომ ვაიძულე ლეიტენანტი წამომყოლოდა კაპიტან ფილიბოვის „მეურნეობაში“ წესრიგის დამრღვევის აღმოსაჩინად.

— ჩემს ბიჭებს ყველას სძინავთ, — გვითხრა კაპიტანმა ფილიბოვმა და მაჯის საათზე დაიხედა, — ახლა მათთვის უკვე ძელის დროა, მაგრამ მაინც წამობრძანდით და შევამოწმოთ თუკი ვინმე აკლია და არა სძინავს, ვნახოთ. დანარჩენების გაღვიძება კი, მე მგონი. ახლა არაფერს არ მოგვეცემს, — და წაგვიყვანა იმ შენობაში, სადაც მის ასეულს ეძინა.

შევედით თუ არა შენობაში, ღლიურმა მორიგე გამოიძახა და თავიანთ უფროსს მოახსენეს, რომ ყველა მებრძოლი სახეზეა და სძინავთო. მაგრამ ჩემმა ერთერთმა პატრულმა წამჩურჩულა. ამხანაგო კაპიტანო, შევამოწმოთ ერთი როგორა სძინავთო, და ჩვენც დავიწყეთ მათი შემოწმება შიშოვანად: მძინარე მებრძოლს სახეზე ჯიბის ფარანს დავანათებდით და შევახედებდით დაზარალებულს.

აი, ერთ საწოლზე მივედით. მძინარეს საბანი თავზე წაეფარებინა და ისე იწვა. გადავხადეთ საბანი და ვაჩვენეთ ლეიტენანტს. იგი დიდხანს აკვირდებოდა მძინარეს, რის გამო მეც განსაკუთრებით დავაკვირდი და მძინარე მებრძოლი ჩემი ნაცნობი საშვა მეზღვაური აღმოჩნდა.

ლეიტენანტი ჯერ არაფერს ამბობდა. მერე როგორც იყო, მე შემომხედა და წაიხურჩულა:

— ეს არის, მაგრამ გაუშვით, იყოს, მე არ ვუჩივი, რაც მოხდა, მოხდაო.

მხოლოდ ამის თქმა მოასწრო ლეიტენანტმა, რომ საწოლიდან ვეფხვევით წამოხტა „მძინარე“ საშკა და ერთი მუშტის დარტყმით ლეიტენანტი იატაკზე დასცა. შემდეგ წიხლის ჩარტყმას უპირებდა და, ალბათ, მის სიცოცხლეს საფრთხეში ჩააგდებდა, რომ დროზე არა სცემოდნენ პატრულები და ხელი არ შეეშალათ, მაგრამ გაცოფებული საშკას დაოკება არც ისეთი ადვილი გამოდგა. იგი ლომივით იწვედა მისი „ძილის დამფრთხობი“ ლეიტენანტისაკენ და იძახდა:

— იქ არ გეყო, რაც მოგხვდა? აჰა, აქაც მიიღე! ძაღლის შვილო! ჯერ თავზე კომენდანტი დამაყენა და ახლა ვითომ გულკეთილობაც უნდა გამოიჩინოს — არ უჭიციო. თუ არ მიჩივი, აბა, აქ რაღას მოეთყოლი?

ნაცემმა ლეიტენანტმა მერე მე დამიწყო ხევწინა:

— გაშიშვით, ამხანაგო კაპიტანო! მაგისაგან არაფერს მოვითხოვ, რაზე აკვლევინებთ ჩემს თავს. — და წავიდა. რა თქმა უნდა, მეც აღარ დამიკავებია, მხოლოდ მისი ნაწილის საველე ფოსტის ნომერი ჩავიწერე ყოველ შემთხვევისათვის.

საშკა მეზღვაურის დასჯა კი აუცილებლად საჭირო იყო. მე კაპიტანი ფილიპოვი ცალკე გავიყვანე მოსალაპარაკებლად. ვუთხარი, რომ ეს მხვერავი უკვე მეორედ არღვევდა წესრიგს ქალაქში. პირველად, მართალია, სიტყვა არ შოუტია, რომ აღარ იჭურდებდა, მაგრამ მე მაინც ვაპატიე მაშინ და ახლა კი ნამდვილად უნდა დაისაჯოს, როგორც ქურდი და დებოშის ამტეხი-მეთქი. მას გაეცინა.

— ვიცი, ამხანაგო კომენდანტო, მართლაც თავზეხელაღებულია. მაგრამ მოდი ნუ გავწირავთ, ვზასადღენილი კაცი ჩანს, ისე ცუდი ბიჭი არ უნდა იყოს. იქნებ ვუშველოთ რამე. თანაც კარგი მეომარია — ვაჟკაცი და უშიშარი.

ეს მართალია, მაგრამ, როგორ ენდობი ეგრეთ კაცს და ისეთ საპასუხისმგებლო დავალებაზე აგზავნი, როგორიც არის დახვეწვა, „ენის“ შოვნა?

კაპიტანმა გაკვირვებით მითხრა:

— რას ამბობ? არც ასეა საქმე. ეგ არის ცოტა „ცივი ხელი“ აქვს, თორემ მტრისადმი მძულვარებაში კიდევაც გადაგვაჭარბებს. თუ არ ვენდეთ, მთლად დაიღუპება.

რაც შეეხება საშკა მეზღვაურის ტყვედ ჩავარდნა, პირადად ჩემთვის. ყოველად წარმოუდგენელია. იყო ასეთი შემთხვევა: ჯერ ისევ დასავლეთ უკრაინაში ებრძოდით. დაზვირვაზე წასული ჯგუფი მტრის მოწინავე ასეულის გარემოცვაში მოხვდა. რაზმის უფროსი მძიმედ დაიჭრა და მდგომარეობა, მართლაც, უიმედო იყო, მაგრამ საშკა მეზღვაური არ დაბნეულა. მან თავის თავზე აიღო უფროსობა. მხვერავები დარაზმა, ხელყუმბარების ტყორცნით ალყა გამოარღვია, დაჭრილი მეთაურიც გამოიყვანა და მხვერავების ჯგუფიც ტყვედ ჩავარდნას გადაარჩინა.

აი, ხვალ საღამოს ვაგზავნი ვისლის გაღმა „ენისათვის“ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით მაგის ბიჭობაში. რაც შეეხება სასაჯელს, მე შემძლია ახლავ საპატიმროში ჩავსვა, მაგრამ მისთვის შეიძლება კიდევაც სჯობდეს ეს. სხვა სასაჯელი კი, დახვრეტის მეტი, მაგისთვის აღარ არსებობს. როგორც გითხარით, ყველაზე მძიმე სასაჯელი — საჯარიმო ასეულში ყოფნა. — ჩვენ თვითონ შევეუმსუბუქეთ. პირიქით, კიდევაც ვეხვეწე, რომ აქ წამომყოლოდა. მაშ, რიღათი შემძლია დავსაჯო ამჟამად?

არ ტყუოდა კაპიტანი ფილიპოვი. მართლაც და, როგორ შეიძლებოდა საშკა მეზღვაურის დაპატიმრება იმ დროს, როდესაც მისი მეგობრები ისეთ სახიფათო დავალებაზე მიდიოდნენ. ამიტომ მეც ვავიზიარე მისი აზრი. ვიფიქრე,

თავისი დანაშაული მტერთან პირისპირ შეხვედრით გამოისყიდოს და თავისი ჯანიც იქ გამოსცადოს-მეთქი.

მართლაც, მეორე საღამოს ლეიტენანტ კრუგლოვის მეთაურობით, მდინარე ვისლის გაღმა „ენის“ საშოვნელად პატარა ჯგუფი გაიგზავნა, რომელშიც ჩვენი ნაცნობი საშუაჯე შედიოდა. ჯგუფს წარმატება ვუსურვეთ. ფილიპოვი კი შემპირდა, შედეგს შემატყობინებდა და შეიძლება გაღმიდან „მოწვეული ფრიციც“ გაჩვენო.

საშინელი ქარბუქიანი ღამე დადგა, რითაც კაპიტანი ფილიპოვი კმაყოფილი იყო: — სწორედ ასეთი ამინდი უყვართ ჩემს არწივეებს. ამალამ არ შეიძლება „რუხმა მგელმა“ საკბილო არ იშოვნოსო, — ამბობდა იგი. „რუხ მგელად“ საშუა მებზღაურს გულისხმობდა.

შინ რომ მივედი, ქალაქის ბურგომისტრი დამხვდა და აღელვებულმა ერთი დალუქული, ფრიად „საიდუმლო“ პაკეტი გადმომცა:

აი, პან კომენდანტი! ვილაც თქვენს ზემდეგს წუხელის ერთ ქალთან გაუთევია ღამე, და ეს პაკეტი იქ დარჩენია თუ დაჰკარგვია, არ ვიცი. სახლის პატრონმა გადმომცა, კომენდანტს მიუტანე, იქნება რა ცნობები იყოსო.

პაკეტს, თითქოს, ლუქი ოდნავ დაზიანებული ჰქონდა. ეს რაღაც არ მესიამოვნა და ბურგომისტრს ვკითხე, თუ როდის გადასცეს მას პაკეტი. ხოლო როდესაც ბურგომისტრმა მითხრა, რომ ამ დილას გადმომცესო, ვიფიქრე — უკვე გვიან ხომ არ არის-მეთქი და იმ წუთში პოლკოვნიკ მიხაილოვთან გავიქეცი, რადგან პაკეტზე მათი მისამართი ეწერა.

პოლკოვნიკმა პაკეტი სასწრაფოდ გახსნა, გადაიკითხა ქალაქი და შემფოთებულმა მიყვირა:

— გაგიჟდი? პასუხისგებაში ხარ მისაცემი! რაღას აყოვნებდი ამდენ ხანს? დილის მოტანილს ახლა მაძლევ?

— არა, ამხანაგო პოლკოვნიკო! მე ამ წუთში მივიღე. დილას ბურგომისტრისათვის გადაუცია იმ სახლის პატრონს, ვისთანაც საბჭოთა არმიის ზემდეგს ღამე გაუთევია-მეთქი. მაგრამ მიხაილოვს უკვე ჩემთვის აღარ ეცალა, ისე იყო ამოკითხული ამბით აფორიაქებული. იგი ჯარასავით დატრიალდა, მეკავშირე ტელეფონისტებიც ააფორიაქა. აზუზუნდნენ ტელეფონის აპარატები, გაფრინდნენ მავთულში სასწრაფო განკარგულებები.

ნახევარ საათში ყველაფერი გათავებული იყო და ნაწილობრივ დამშვიდებული შტაბის უფროსი ცხვირსახოცით შუბლს იწმენდა. შემდეგ ჩემთვისაც აშუკარა გახდა მისი აფორიაქება.

თურმე, იმ პაკეტით ფრონტზე ახლად მოსული ერთერთი საარტილერიო შენაერთი ატყობინებდა პირობითი ნიშნებით თავის დისლოკაციას გამაგრებული რაიონის შტაბს და მიუთითებდა იმ ნაძვენარს, რომელშიაც თვითონ იყო მოთავსებული.

— შეიძლება სულაც არაფერი მოხდეს, მაგრამ მე ხომ არ შემიძლია იღბალს დავენდო. განკარგულება გავეცი, სასწრაფოდ სხვა ადგილზე გადაინაცვლოს საარტილერიო შენაერთმა, რადგან მათი ადგილსამყოფელი შეიძლება მტერმა უკვე იცის. — მითხრა პოლკოვნიკმა და თან ისიც დაატანა — ხეალ ბურგომისტრი და ის სახლის პატრონი უნდა შევეამოწმებინო და მიინდა ისიც გამოარკვიონ, დოცლაპია ზემდეგი რომელ ქალთან ათევდა ღამეს, ან როგორ ჩაუვარდათ უცხოელებს ეს საიდუმლო პაკეტი.

სახლში რომ წავედი, ჩემის მხრივ, მეც ვფიქრობდი, თუ რით დავხმარებ-



ბოდი, მაგრამ დილით რომ ისევ ვეწვიე პოლკოვნიკ მიხაილოვს შტაბში, ყველაფერი გათავებულყო.

— იცი, რა მოხდა, კაპიტანო! ამ დილას ის ნაძენარი, რომელშიაც საარტილერიო შენაერთი იყო განლაგებული, მტრის ავიაციამ სასტიკად დაბომბა. სასწრაფო ზომები რომ არ მიგვეღო და იმ ადგილიდან სხვაგან არ გადაგვეყვანა, მთელს ნაწილს გაანადგურებდა მტერი. — თან მხარზე ხელი დამკრა და მაგრძნობინა, რომ კარგად მოვიქეცი. მერე სიტყვიერადაც მითხრა:

— ეს უკვე კარგია. საკმარისი იყო წუხელის დაგზარებოდა ან ჩემს შეწუხებას მორიდებოდი, რომ ამ დილას უკვე გვიან იქნებოდა.

პოლკოვნიკისგან კმაყოფილი დაებრუნდი შინ და ვფიქრობდი: აშკარაა, ის ქალი, ვისთანაც ზემდეგმა დამე გაათია, მტრის ჯაშუში არის. მან დოყლაპია ზემდეგი აიყოლია, დაათრო, საიდუმლო პაკეტი მოპარა, ცნობების შინაარსი ამოიწერა, მიაწოდა გერმანელებს და მათაც დაბომბეს ის ნაძენარი, რომელშიაც საარტილერიო შენაერთი ეგულეობდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ხოლო ერთი რამ კიდე მეჭკვებდა. სახელდობრ ის, რომ თუ ქალმა პაკეტი მოიპარა, რატომ თან არ წაიღო, ან რატომ არ მოსპო და რად დატოვა იქ მეთქი. მაგრამ ეს მგონი მან განგებ გააკეთა, ეჭვი არ აიღონო, და ამის შემდეგ, ალბათ, კიდე გამოჩნდება და ძველებურად განაგრძობს თავის საქმიანობას — ცნობების შეგროვებას-მეთქი.

საკომენდანტოში რომ მივედი, მორიგემ ამბავი დამახვედრა. მზვერავთა ასეულის მეთაური ყოფილიყო ჩემს სანახავად და ეთქვა:

კაპიტანი რომ მოვიდეს, ჩემთან შემოიაროს, მზვერავები დაბრუნდნენ აქ დილას; ერთი „ფრიცი“ ჩაუგდიათ ხელში, მაგრამ სამწუხაროდ, ლეიტენანტი კრუგლოვი მძიმედ დაჭრილი მოიყვანეს ბიჭებმაო.

ძალიან მეწყინა მამაცი ლეიტენანტის დაჭრა და სასწრაფოდ წავედი მის სანახავად. გულში ვფიქრობდი: რა უცნაურია ომი, წუხელის საღსალაძათი ბიჭი წავიდა, ამ დილით კი მომაკვდავი მოუყვანიათ-მეთქი. მაგრამ, თურმე, არც ისე ყოფილიყო საქმე, როგორც მორიგემ მიაბო. მართალია, როყო ტყვიას მარჯვენა ილღის ქვეშ გაეგლო და სირბილე გაეხვრიტა, მაგრამ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ელისო, მითხრა ექიმმა. მხოლოდ იმ ხანად ლეიტენანტთან ლაპარაკის ნება კი არ მომცა.

რაკი იმ ქარბუქიან და მოუსვენარ ღამეს დადლილ მზვერავებსაც მკვდრებივით ეძინათ, მათი თავგადასავალი ისევ კაპიტანმა ფილიპოვმა მიაბო.

— როგორც გუშინ ვამბობდი — ჩემი არწივებისათვის სწორედ ხელსაყრელი ამინდია-მეთქი, მართალი გამოდგა. გაყინულ მდინარეზე თეთრი ხალათებით გადასვლა ისიც ისეთ ამინდში, როგორც წუხელის იყო, შავათთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და მოენეც მალე ეშოვნათ. მისთვის პირში ცხვირსახოცი ჩაეჩარნათ, აეწიათ და ისე წამოეყვანათ, ზურგიით, რადგან „ს“-ლი ყოფილიყო და ნებით არ წამოჰყოლოდა, მაგრამ ის ოჯახდასაქცივი ნამეტანი მძიმე გამოდგარიყო და წამდაუწუმ ენაცვლებოდნენ ბიჭები ერთმანეთს.

ბოლოს რომ დადლილიყვნენ ძალიან, ის თქვენი ნაცნობი საშუა გაბრაზებულიყო და ეყვირნა ამზანავებისათვის:

რა ეშმაკად გვინდა ამოდენა სპილოსავით „ფრიცს“ რომ მივათრევთ? ასეთებმა მარტო „პალტ“ და „ჰენდე ჰოს“ იციან. ათასი რომ ჰკითხო, ერთს არ ვიპასუხებენ. პატარა „ფრიცი“ ავარჩიოთ, რომელიც სატარებლადაც ადვილი



იქნება და ლაპარაკიც ეყვარება. ერთი სილა რომ სტკიცო სიფათში, პატეფონივით მოიძარებოდა სალაპარაკოდ.

იმ დიდი „სს“-ლისათვის კი გამოეკრა მუცელში ბებუთი და იქვე დაეგლო: როდემდე უნდა გათრიოთ, მამაცხონებულო! თუ არ წამოხვალ, აქა ბრძანდებოდე, ჩემი დარდიც ეგ იყოსო.

მეორედ გაბრუნებულან და მართლაც ისეთი პატარა, მოცუცნული გერმანელი მოიყვანეს, რომ სიცილს ვერ შეიკავებ. ვირთაგვასავით გამოუტყუსავს თვალეზი და, იმით შეშინებული, რომ არ მომკლანო, მართლა ერთი რომ ჰკითხო, ათს გიპასუხებს. მერე რიგითი ჯარისკაცი კი არ არის, უნტეროფიცერია. საინტერესოა, სად იზოვნეს და სად აარჩიეს? — დაამთავრა კაპიტანმა.

მეც დავინტერესდი ტყვე გერმანელის ნახვით და მართლაც მაჩვენეს სიკვდილის შიშით თვალეზაფართოებული კაცუნა, მაგრამ თურმე უკვე დამეგვიანა. ველარ ვალაპარაკეთ. სანამ კაპიტანი მათ ამბავს მიყვებოდა და სანამ თარჯიმანს მოვიყვანდი, გერმანელი პირდაპირ ფრონტის სარდლის შტაბში გააქანეს მანქანით.

ერთხელ გავიგე, რომ გენერალს სასტიკი ბრძანება გაეცა — მუვერაფთა ასეული იმ ქალაქიდან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით ტყეში დაებანაკებინათ, მაგრამ არც ამან მიშველა. გავიხედავდი და ორ-სამ დღეში ერთხელ ისევ შემოირბენდა ხოლმე რამდენიმე ბიჭი საშკას თანხლებით თავიანთ ნაცნობ „მანდილოსნებთან“. არაყს დალევდნენ, იქეიფებდნენ, კაპიტან ფილიპოვისაგან მოკითხვას შემომითვლიდნენ ჩემი პატრულების მეშვეობით და გაუჩინარდებოდნენ.

მალე ზამთრის დიდი შეტევები დაიწყო. ჩვენმა არმიებმა ვისლა გადალახეს და გაქცეულ მტერს დაედევნენ. ჩემს საკომენდანტოში კი ისეთი მოწყენილობა ჩამოვარდა, რომ ვნატრობდი — ნეტავ ერთხელ კიდევ შემომიარონ იმ მოუსვენარმა ბიჭებმა და ისევ ამაფორიაქონ-მეთქი, მაგრამ მათ სადღა ეცალათ ჩემთვის? ალბათ შორს, დასავლეთით, ოდერის ნაპირებზე მისდევდნენ მტერს და ახალ-ახალი საგმირო საქმეებით ახარებდნენ თავიანთ უფროსს.

ხოლო როცა რამდენიმე ხნის შემდეგ საკომენდანტო სამმართველოში გამომიძახეს და ისევ ფრონტისპირა ქალაქში მომცეს ახალი დანიშვნა, გამეხარდა. იქ ისევ დავიწყე მოუსვენარი ფრონტული ცხოვრება და თითქოს ხალისზე მოვედი, გამოეცოცხლდი.

ნადავლად დარჩენილი მტრის საწყობები აღვრიცხე, ყარაულები მივიყენე და შეძლებისდაგვარად ქალაქში წესრიგი დავამყარე. მაგრამ სხვა ნადავლთან ერთად მტერს ასოცი ტონა სუფთა სპირტი დარჩენოდა საწყობებში და იმის გამო მოსვენება არა მქონდა ზოგიერთებისაგან. დიდის მოწიწებით მოდიოდნენ, ათასნაირი ტკბილი სიტყვებით მამკობდნენ, თითქოს რაც ომი დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ჩემნაირი გულისხმიერი კომენდანტი არსად არ შეხვედროდათ, მაქებდნენ, რომ სპირტი მიმეცა ერთხელ მონოხნების დელეგაციაც მეწვია და ცოტაოდენი შაქარი და სპირტი მთხოვეს საავადმყოფოსათვის, რომლის შეფთობაც მათ ჰქონდათ აღებული. სხვათა შორის, ისიც მითხრეს. რომ — საავადმყოფოში თქვენი ჯარისკაცებიც არიან სამკურნალოდ და მეც იმავე დღეს წავედი მათ სანახავად. მართლაც, შვიდი დაქრილი ჯარისკაცი იწვა საავადმყოფოში და როგორ განეცვიფრდი, როცა ერთი მათგანი საშუა მეზღვაური გამოდგა. მარჯვენა ფეხის ბარძაყში ნაღმის ნამსხვრევი მოხვედროდა, იგი



გაეჭვრათ. ამის გამო კუნთები დაზიანებოდა და ექიმები ამბობდნენ — საშუალო კუნთები არ აღსდგება, ავადმყოფი იკოტლებსო.

საშუა ექიმებს აგინებდა, ერთი ბევრი ნამსხვრევის ამოსაღებად მთელი ფეხი შუაზე გამიჩხეხეს ყასბებივით და ძალით დამაკოტლესო.

თუმცა დროებითი იყო საშუას დაკოტლება, მაგრამ მაინც მეწყინა. ვერ წარმომედგინა იმ თავგზეხლადებული ბიჭის ყავარჯენებით სიარული. ხოლო იმის კი კმაყოფილი ვიყავი, რომ მას იქ შევხვდი და შემდეგში ხშირად ვნახულობდი ხოლმე, არაფერს არ ვაკლებდი და მისი მეოხებით მთელი საავადმყოფოც სარგებლობდა, რადგან თავიანთი გაწეული სამსახურით წათამამებული მონოზნები ორ ღღეში ერთხელ საკომენდანტოში იყენენ და შაქარსა და სპირტს მოითხოვდნენ ჩვენი „ზოლნეეებისათვის“ (სალდათებისათვის).

ამასობაში საშუა მეზღვაური თანდათან გამოკეთდა, ფეხი აიდგა და ხანდახან ყავარჯენის დახმარებით საკომენდანტოშიაც შემოგვივლიდა ხოლმე. ეტყობოდა, თავის ასეულში მიუწევდა გული. იგონებდა კაპიტან ფილიპოვს და ამბობდა:

აი, კაცი! აი, მეთაური! ნამდვილი მზრუნველი მამა იყო ჩვენთვის. მაგნიორი კაცისათვის თავს ისე გავწირავ, რომ ოღსადაც არ დაეფიქრდებო. მე მჯეროდა, რომ საშუა არ ტყუოდა.

სხვათა შორის, საშუამ ისიც მიაბო, როგორ გამწარა ერთხელ ფილიპოვმა იგი:

— არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ისე არა მტკენია გული და ისიც ჩემთვის ყველაზე უსაყვარლესმა ადამიანმა მატკინა — მითხრა საშუამ — ერთხელ საჭირო იყო შეგვემოწმებინა ერთი პოლონელი პანის მიერ მიტოვებული სასახლე, სადაც ოთხი ბებერი ქალბატონი დარჩენილიყო და მათთან თურმე თავს იყრიდნენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები.

ეს დავალება ისე უნდა შეგვესრულებინა, რომ იქ მტხოვრები მოხუცი ქალბატონების მყუდროება არ უნდა დაგვერღვია და არაფრით არ უნდა შეგვეწუხებინა ისინი.

ოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა კრუგლოვმა გამოგვეყო საჭირო რაოდენობის მხვერავეები და წაგვიყვანა ფილიპოვთან დაწვრილებითი დავალების მისაღებად. მე რომ დამინახა მწყობრში კაპიტანმა, შუბლი შეიკრა და მომმართა:

— გამოდი წყობილებიდან და ასეულში ნაბიჯით იარ!

რომ მოემკვდარიყავ, ის მერჩინა. მივხვდი რატომაც არ გამაგზავნა იქ. — რამე არ აწაპნოსო: მერე ბიჭებმაც მითხრეს, თუ როგორ უსაყვედურა ლეიტენანტს:

— გაგიყდი? მაგის იქ გაგზავნა როგორ შეიძლება?

ესე იგი, გამოდიოდა, რომ მარტო მტერთან გასაგზავნად ვვარგოდი, მოყვრებთან კი გამოსაჩენი არ ვარ-მეთქი და ჩემი თავი შემძავდა.

მიყვებოდა საშუა და ეტყობოდა, მართლაც, ზედ მუწუკზე დაედგა ფეხი ძისთვის კაპიტან ფილიპოვს და თავის მოქმედებაზე მწარედ ჩაეფიქრებინა საშუა.

ბოლოს საშუა ისე გამოჯანმრთელდა, რომ საავადმყოფოდანაც გამოსწერეს ექიმებმა და თავის ასეულში აპირებდა წასვლას, მაგრამ სანამ სულ გამომრთელდებოდა, ვურჩიე, ჩემთან დარჩენილიყო. ცოტა შეყოყმანდა ჩემს წინადადებაზე და მიზეზიც მითხრა: დავრჩებოდი, მაგრამ ვაი თუ კაპიტან ფილიპოვს წწყინოსო. ამაზე დავამშვიდე: კაპიტან ფილიპოვთან თავდებად მე დაგიდგები. წერილს მიეწერ, რომ მე დაგტოვე მოსალონიერებლად გარკვეულ დრომდე-

მეტეი და საშკაც იმ დღიდან დამშვიდებული შეუდგა ჩემთან საკომენდანტო სამსახურს.

\*

ერთხელ უცბად ხმა გავარდა, რომ მტრის მიერ გამაგრებულ პოზნიანს დაჯგუფების ნაწილმა, ექვსი ათასმა კაცმა ალყა გამოარდგია, თავს უშველა და სრული საბრძოლო აღჭურვილობით ჩვენსკენ მოდიანო. როგორც თავდათან ახუსტებდნენ ამბავს, მტერს გეზი მართლაც ჩვენსკენ აეღო, რადგან ნოტეჩის არხზე აპირებდნენ გადასვლას და ჩრდილოეთისაკენ თავისიანებთან გზის გაკაფვას, ხოლო არხზე გადასასვლელი ერთადერთი ხიდი და ისიც დაუტყველი, სწორედ ჩვენს ქალაქთან გადადიოდა.

ჯერ ისევ ჭორი მეგონა, მაგრამ პოზნიანიდან ჩვენსკენ მომავალ გზაზე მდებარე საკომენდანტოებს დაუუკავშირდი ტელეფონით და მართალი გამოდგა. ისინი უკვე დაფეთებულები იყვნენ მტრის სახლოვით. რამდენიმე საკომენდანტო უკვე უკან მოეტოვებინათ გერმანელებს და როგორ გადარჩენენ, ან რა ბედი ეწიათ ჩვენებს, არავინ იცისო.

მთელი პოლონელი მოსახლეობა ქალაქში შიშმა მოიცვა. ადვილი ხომ არ იყო, ექვსი ათას შეიარაღებულ კაცს უნდა გამოეცვლო ქალაქზე და ვინ იცოდა, რას ჩაიდენდა გამოქცეული, გაბოროტებული მტერი?

იმ დროს ჩვენი საკომენდანტო ძალზე შორს გაჭრილ საბჭოთა არმიისათვის საკმაოდ ღრმა ზურგს წარმოადგენდა და ახლომახლო არავისი დახმარების იმედი არ გვქონდა. აღარც ერთი სამხედრო ნაწილი არსად არ გვეგულებოდა. რომ შეეღა გვეთხოვნა.

მტერი კი მოდიოდა სრულიად თავისუფლად და წინააღმდეგობის გამწევი არავინ იყო. პირველ რიგში ჩემი ბიჭებით სასწრაფო დაზვერვა მოვაწყვე. გამოირკვა, რომ გერმანელები ძალიან ნელი ტემპით და ფრთხილად მოდიოდნენ. თან შეტაკებებსა და თავის გამომყვანებას ერიდებოდნენ, მაგრამ თუკი ვინმე შეაფერხებდა მათ სვლას და ხელს შეუშლიდა, იარაღსაც იყენებდნენ. იმ საკომენდანტოებს, რომლებსაც ხელი არ შეეშალნათ გერმანელებისათვის, არაფერი ზარალი არ მოსვლოდათ და ცოცხლებიც გადარჩენილიყვნენ.

ყველა ამასთან ერთად, მზვერავეებმა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცნობაც მომაწოდეს. თურმე გერმანელებს არავითარი მძიმე იარაღი არა ჰქონოდათ და შეიარაღებულნი ყოფილიყვნენ ავტომატებით, კარაბინებით, შაშხანებით, რევოლვერებით, ხელყუმბარებით და ისე მიიკვლევდნენ გზას ღამით. დღისით კი ტყეებში იმალებოდნენ. რაოდენობის შესახებაც საინტერესო ცნობები მომიტანეს მზვერავეებმა: ექვსი ათასი კი არა, ასე შეიდას-რვაას კაცამდე იქნებიანო.

სხვა საკომენდანტოების მაგალითი მე არავითარ შემთხვევაში არ გამოძადგებოდა, რადგან ჩემს ქალაქში უზარმაზარი სასურსათო საწყობები დარჩა მტერს. ალბათ მათ ეს ძალიან კარგად იცოდნენ და შეეცდებოდნენ სურსათი ჩემთან შეეცათ.

გარდა ამისა, ჩემს ქალაქში გერმანელი ტყვეების ბანაკი იყო, სადაც ორი ათასი კაცი იმყოფებოდა და პოლონელ მილიციასთან ერთად, ერთი ოცეული ჯარისკაცი იცავდა მათ. ხომ შეიძლებოდა ეს ტყვეები გაეთავისუფლებინათ! ჩვენს ქალაქში იყო აგრეთვე ტანკების შემკეთებელი საველე სახელოსნო რამდენიმე ხელოსნით.

ამისთვის სასწრაფოდ სამხედრო ბჭობა მოვაწყვეთ: გამოვიძახე იმ ტყვეთა ბანაკის უფროსი, ტანკების შემკეთებელი სახელოსნოს უფროსი, ჩემი სა-



კომენდანტო ოცეულის მეთაური ლეიტენანტი შარშაკოვი. მოკლედ გავაცხენი შექმნილი მდგომარეობა. ავუსხენი, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თავი მოვიძინა-როთ სირაქლემასავით, როგორც გაუქმებებით ზოგიერთ საკომენდანტოებს და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გამოქცეული მტერი ჩვენს ქალაქზე არ უნდა გამოვატაროთ და თუ საჭირო იქნება, ბრძოლაშიაც უნდა ჩავებათ-მეტყი.

მაგრამ ტყვეთა ბანაკის უფროსმა, კაპიტანმა გინდინმა არ მომიწონა და ნითხრა:

— რას ამბობთ? რვას კაცთან ორი ოცეულთ ბრძოლაში ჩაბმა, როგორ შეიძლება? ეს ხომ სიგიჟე იქნება და მეტი არაფერი.

— მაშ რას გვიბრძანებთ, ამხანაგო კაპიტანო! ხომ არ გვიჩვენებთ, რომ სადმე სოროებში ჩამძვრალეებმა ვუსუროთ, როგორ გაძარცვავენ საწყობებს. როგორ დაარბევენ ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას, ან ტყვეებს როგორ გაანთავისუფლებენ და მერე ჩვენ დაგვერევიან დასახოცად-მეტყი.

ხოლო გინდინის აზრის გაზიარება რომ აღარავის გაეხედა, ტონი შეეცვალე და უკვე ბრძანებაზე გადავიდა:

— ქალაქის კომენდანტი ვარ მე და ამავე დროს პასუხსაც ვაგებ ჩემს მოქმედებაზე... რამდენი ტანკია თქვენთან შესაკეთებელი და რა მდგომარეობაშია ამჟამად, ამხანაგო მაიორო? — მივმართე მტკიცედ სახელოსნოს უფროსს.

— სამი ტანკი უკვე შეკეთებულია და საბრძოლო მდგომარეობაში არის. დღესვე შეუძლიათ გაემართონ თავიანთ ნაწილში, მხოლოდ ერთს სამი დღის მუშაობა სჭირდება. ორი კი მთლად დაშლილია და მათზე ჯერჯერობით ლაპარაკიც არ შეიძლება.

— ყველა ტანკი დღეიდან ჩემს განკარგულებაშია თავისი ეკიპაჟით. მთელ ძალებს გაუქმეთ მობილიზაცია, პირადად თქვენც იმუშავეთ და ის ტანკი, რომელსაც თქვენი აზრით, სამი დღის მუშაობა სჭირდება, დილაზე მზად იყოს! გასაგებია?

— მესმის, ამხანაგო კაპიტანო!

— ამხანაგო კაპიტანო! — მივმართე ახლა გინდინს — თქვენი ოცეული მთლიანად ჩემს განკარგულებაში გამოგზავნეთ ახლავე, ხოლო ტყვეების მცველებად პოლონელთა მილიცია გამოიყენეთ, გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო კაპიტანო! — მიპასუხა ახლა უკვე გაბზარული ხმით გინდინმა.

ამავე დროს სასწრაფოდ ვიხმე პოლონელი მილიციის უფროსი და მტკიცედ დავალება მივეცი, რომ გარდა თავისი მილიციისა, მთელი ბრძოლისუნარიანი (შედარებით რა თქმა უნდა) მოსახლეობა შეეკრიბა და საკომენდანტოში მოეყვანა მეორე დღისათვის.

ჩვენი ვარაუდით, ორი დღის შემდეგ უნდა ყოფილიყვნენ ქალაქში გერმანელები და ამისათვის ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენეთ. მილიციის გარდა ოთხმოცამდე პოლონელი მოგვადგა დილით საკომენდანტოში, მაგრამ ახლა ის გამოიხდა საფიქრებელი, რითი შეგვიარაღებინა ისინი.

იმავე მოსახლეობის მიერ ჩაბარებული რამდენიმე გერმანული შაშხანა ეგდო საწყობში, ისინი ამოვატანინე ჩემს მეზობლებს, ვუთხარი, წესრიგში მოეყვანათ და პოლონელები შეგვიარაღებინათ, ვისაც კი ეყოფოდა. ხოლო ამ საქმიანობაში რომ ვიყავით, ერთი ჰქვიანური რჩევა მომცა საშუაგ:

ამხანაგო კაპიტანო! ბაღის ბოლოზე, ფარდულში რომ გერმანული ფაუსტ-პატრონები ალაგია, ისინი დაუპრიგოთ პოლონელებს, უფრო უკეთესი არ იქნება ამ დაფანგებულ შაშხანებს რომ ვაძლევთო.





მომეწონა საშკას ნათქვამი. მართლაც, სულ არ გამხსენებია ის აუზრებელი ფაუსტპატრონები, რომლებიც ჩემს მისვლამდე მოეგროვებინათ ბრძოლის ველზე, ფარდულში დაეღაგებინათ. ნაბრძანები მქონდა სარდლობისაგან, რომ მომესპო ისინი ქალაქგარეთ აფეთქებით. ამ ბრძანების შესრულება რომ ვერ მოვახერხე, ვწუხდი, მაგრამ ახლა კი ძალიან გამეხარდა. იმ წუთშივე, ვინც კი ფაუსტპატრონებს კარგად იცნობდა, დავავალე პოლონელებისათვის ესწავლებინათ მათი მოხმარება და საჭირო შემთხვევაში შეგვევიარაღებინა კიდეც.

ერთი სიტყვით, მეორე დღეს პოლონელი მილიციისა და ჩვენი ორი ოცეულისაგან ერთი საბრძოლო ასეული შევადგინეთ. გარდა ამისა, ვისაც შეეძლო, პოლონელი მოსახლეობა ფაუსტპატრონებით შევავიარაღეთ. ყველა ესენი ერთად აღებული და ოთხი მძიმე ტანკი საკმაო ძალას წარმოადგენდა, რომ რვაასი დამფრთხალი გერმანელი ქალაქზე არ გამოგვეტარებინა.

ორი დღის შემდეგ მხვერავებმა მომიტანეს ამბავი, რომ ჩვენი ქალაქიდან აღმოსავლეთით ექვსი კილომეტრის დაშორებით პატარა ტყეში შემოსულიყვნენ გერმანელები და დადამებას ელოდნენ. ჩვენც შეუმჩნეველად ადრევე მომზადებული სიმაგრეები დავიკავეთ და მოვემზადეთ თავდასაცავად.

სადაც გერმანელები იყვნენ დაბინავებულნი, იმ ტყეს სამხრეთით ნოტეჩის არხი ჩაუდიოდა, ჩრდილოეთით კი ახალშენი ტყით დაფარული მაღალი გორაკები ეკრა. თვით ტყეზე კი მოასფალტებული გზა გადიოდა და გერმანელების იქ ყოფნას ისიც ადასტურებდა, რომ თუ ადრე ახლომანლო სოფლებიდან აუარებელი მგზავრი მოდიოდა ხოლმე ამ გზით ჩვენს ქალაქში, ახლა ერთი კაციც კი არ გამოჩენილა. ცხადი იყო, ყველას გერმანელები აკავებდნენ, რომ ჩვენთვის ამბავი არ მოეტანათ, მაგრამ ჩვენ მათი იქ ყოფნა ისედაც ვიცოდით.

მეთაურთა თათბირი მოვაწყვე. ამოცანა დაწვრილებით გავაცანი, ვის როგორ უნდა ემოქმედნა იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართებოდა ბრძოლის ბედი. მაგრამ ახირებული საკითხი წამოჭრეს ჩემს წინაშე.

რაკი ჩემი ახსნა-განმარტება მხოლოდ ქალაქის დაცვას, მტრის უკუგდებას შეეხებოდა და მარტო ამაზე ველაპარაკებოდი, საშკამ, რომელიც ლეიტენანტ მარშაკოვის მაგივრად ოცეულის მეთაურად დავაყენე დროებით, გაკვირვებულმა მითხრა:

— ამხანაგო კაპიტანო! საბოლოო მიზანი ვერ გავიგე. მე მეგონა, რომ მტრის შეპყრობა და განიარაღება ვინდოდათ, თორემ მარტო მაგათი მოგერიება თუ კმარა, აი, ახლავე ოთხივე ტანკით გავუხსნი ტყეს ქვემეხების ცეცხლს და სულ ნაცარტუტს ავადენ იქაურობას, მაშინ რა საჭიროა მაგაზე ამდენი ფიქრი?

— აბა თქვენ რას ფიქრობთ და თქვენი გეგმის განსახორციელებლად რა წინადადება გაქვთ?

— აქ, მე მგონია, საფიქრებელი არაფერია. მტერი უნდა შევიპყროთ და განვიარალოთ. თუ არ დაგვენებდება, მოესპოთ. მორჩა და გათავდა.

— თქვენ ასე ფიქრობთ, მაგრამ ფიქრი ადვილია. პრაქტიკულად რა წინადადებას აყენებ ამ ნაფიქრალის შესასრულებლად?

საშკა აქ კი შეჩერდა. ეტყობოდა, ვერ გაიგო რასაც ვეკითხებოდი და გაკვირვებით შემომხედა.

— აი, საშკა! გაიგე რას გეუბნები? აქ ჯდომით ხომ მათ ვერაფერს დააკლებ და იმ ძალებით, რაც ჩვენა გყავს, როგორ უნდა იმოქმედო, რომ ისინი შეიპყრო?



— ჯდომას არც მე ვაპირებ, ამხანაგო კაპიტანო! თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ როგორც უნდა ვიმოქმედოთ.

— აბა, თქვი! გისმენთ! სწორედ მაგას გეკითხები.

— უპირველესად ყოვლისა, სამი ტანკი მაინც იმ ქედზე უნდა განვალაგოთ (საშუამ გაიშვირა ხელი ჩრდილოეთით, გორაკებისაკენ) და პირდაპირი ცეცხლით დავემუქროთ ტყეში დაბანაკებულ გერმანელებს. ხოლო საჭირო შემთხვევაში ტანკებს უნდა შეეძლოთ ცეცხლის მტრის ზურგში გადატანა, რომ მათ უკანდასახევი გზა მოუჭრას და დაეხმაროს ერთ-ერთ ჩვენს მსროლელ ოცეულს, რომელიც ახლავე უნდა გავაგზავნოთ, მტერს ზურგიდან მოუაროს. ორი ოცეული კი აქვე დარჩება, რომ დაზღის ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლის დაშენა აწარმოონ და წინ წამოსვლის ყოველგვარი ხალისი დაეკარგოს მტერს.

ფაუსტპატრონებით შეიარაღებული ხალხი კი სამ ნაწილად უნდა გაიყოს. ნაწილი აქ დარჩება, მეორე მტრის ზურგში გადასროლილ ოცეულს გააძლიერებს და მესამეც ტანკებთან ერთად ჩრდილოეთიდან გაუჩენს ტყეს ცეცხლს. აი ჩემი წინადადება ასეთი იქნება.

გამოვტყდები, საშუას გეგმა ისე მომეწონა, რომ მხოლოდ ოდნავი შესწორება შევიტანე. ისიც იმ მხრივ, რომ ტანკების დასაცავად ფაუსტპატრონებით შეიარაღებული პოლონელების ნაცვლად, მეავტომატეთა ერთი ათეული გავგზავნე. დანარჩენი კი უცვლელად დავტოვე, რადგან უკეთესს ვერც მე მოვიფიქრებდი და მტრის შეპყრობა-განიარაღება კი მეც კუკუაში მომივიდა. ამიტომ სასწრაფოდ შევუდექით საშუას მიერ შედგენილ საბრძოლო გეგმის განხორციელებას:

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ ტანკებმა გრუხუნით გადაიარეს ბეჭობი და ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ. მათ მიჰყვნენ მეავტომატეები, დაზღის ტყვიამფრქვევით გაძლიერებული მსროლელი ოცეული, ფაუსტპატრონებით შეიარაღებული პოლონელები და ისეთი სურათი შეიქმნა, რომ შორიდან მტერს ეგონებოდა, დიდმა ძალებმა გადაიარესო.

ამის შემდეგ გადაწყვიტე პარლამენტიორები გამგზავნა მოსალაპარაკებლად, რომ უბრძოლველად დაგვენებოდნენ გერმანელები. მაგრამ ვინ გაძეგზავნა, ვის შეეძლო ჩემი დანაბარების გადაცემა ისე, რომ დაეჯერებინა ჩვენს სიძლიერეში მტერი და აეწერა მათთვის მათი უიმედო მდგომარეობა. ამას ყველაზე უკეთესად ისევ საშუა შეასრულებდა, როგორც საბრძოლო ოპერაციის ავტორი და არჩევანიც მასზე შევაჩერე.

მართლაც საშუა და ერთი პოლონელი მილიციის პორუჩიკი, რომელმაც კარგად იცოდა გერმანული ენაც და რუსულიც, და ამავე დროს თარჯიმანის როლიც უნდა შეესრულებინა. გამოვყავი, მივეცი საჭირო დავალება, თუ რა უნდა ელაპარაკნათ იქ და თან გავაფრთხილე, რომ პირველ საათზე თუ არ გამოჩნდებოდნენ ისინი, გავხსნიდი ყოველი მხრიდან ცეცხლს. მაგრამ გერმანელების ამბავი ვიცოდი: თუ სათანადო ჩინის მქონე არ გავგზავნე მოსალაპარაკებლად, არც მიიღებენ და ხმასაც არ გასცემენ. საშუა კი უფროსი სერჟანტი იყო. ამიტომ ჩემი საპარადო კიტელი ჩავაცვი. სასწრაფოდ ლეიტენანტ შარშაკოვის სამხრეთელები მოვატანიე, გავუკეთე და ისე გავისტუმრე. ისინი რომ წავიდნენ, უკანასკნელად ჩამოვუარე სიმაგრეებს, შევამოწმე მებრძოლები და გავაფრთხილე, სამეთაურო პუნქტიდან გასროლილი რაკეტების მიხედვით, როდის გავხსნათ ცეცხლი.

აი, მოატანა პირველმა საათმა, ოცი წუთიდა დარჩა ცეცხლის გახსნამდე



და ტყვიდან კი ჩამიჩუმი არ ისმის. მე უკვე ვდღეღავ. ნუთუ მართლა გაბედავენ გერმანელები, რომ ასეთ პირობებში ბრძოლა გაგვიმართონ? არ მინდა დავიჯერო, მაგრამ გაგზავნილი კაცები არა და არ ჩანან.

უკვე ათი წუთი აკლდა პირველ საათს და მოთმინება გამომელია, სწორედ ამ დროს სამი კაცი გამოვიდა ტყვიდან. ისინი სწრაფად გვიანლოვდებოდნენ და როცა დავავივრდი, განცვიფრებული დავრჩი. საშკა არ ერია იმ სამ კაცში. პოლოხელი მილიციის პორუჩიკი და ორი გერმანელი ოფიცერი მოდიოდა.

ვერ გავიგე, რას მოასწავებდა ეს. ახლო რომ მოვიდნენ, შემდეგი გამოირკვა: მართალია, როგორც მიაშობ ცალკე გამოხმობის შემდეგ პორუჩიკმა, საშკას თავისი მისია შესანიშნავად შეესრულებინა და უკეთესად ვერავინ დაუხატავდა გერმანელებს თავიანთი მდგომარეობის უმწეო სურათს, მაგრამ თურმე ერთ რამეში დააუქვა გერმანელების სარდლობა. საქმე ის იყო, რომ საშკამ ვერ იქნა და ვერ დაისწავლა ჩემი გვარი — მურჯიკნელი და ყოველთვის ორჯონიკიძეს მეძახდა. ამისათვის მაშინ დიდი მნიშვნელობა არც მე მიმიცია და ვფიქრობდი, რაც უნდა ის დამიძახოს, ალბათ ეს გვარი მაგისათვის ძალიან მახლობელი და ადვილად გამოსათქმელია-მეთქი და ერთი-ორი შესწორების შემდეგ, რაკი ვერ დაისწავლა, მეც თავი მივანებე.

თურმე სწორედ ამით დაუქვდნენ გერმანელები, როდესაც საშკას დაემთავრებინა თავისი ულტიმატუმი იარაღის ჩაბარებისა და უბრძოლველად დაწებების შესახებ, ბოლოს დაეტანებინა:

ეს არის კაპიტან ორჯონიკიძის აზრი და თუ ამას არ შეასრულებთ, სრულ პირველ საათზე სამი მხრიდან ფრონტის ხაზებიდან საგანგებოდ ამ დილით გამოწვეულ ორი სატანკო დივიზიონის ცეცხლი დაგატყდებათ თავსო.

თურმე ურიგო დაზვერვა არც გერმანელებს ჰყოლოდათ და ძალიან კარგად სცოდნოდათ იმ ქალაქში კომენდანტად კაპიტანი მურჯიკნელი ვიყავი და არა ორჯონიკიძე. უფიქრიათ, ეს ვილაც ორჯონიკიძეა, აქვს კი იმის უფლება, რომ ჩვენთან მოლაპარაკება აწარმოოს, სიცოცხლე შეგვინარჩუნოს კომენდანტის გვერდის ავლითო და ის ოფიცრები გამოეგზავნათ შესამოწმებლად:

იქიდან მოსულმა ერთმა მაიორმა შესანიშნავად იცოდა რუსული ენა და სველაფერი გაგვაგებინა, როგორც იყო საქმე. ერთი სიტყვით, შეიდასორმოცი გერმანელი უბრძოლველად დავგნებდა და იარაღიც ჩაგვაბარა. საქმის ასე დაბოლოებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ თან აუარებელი დაჭრილი და ავადმყოფი ოფიცერი მოჰყავდათ ლტოლვილებს. გარდა ამისა, სურსათის უქონლობასაც ძალზე შეეწუხებინათ.

ასე უსისხლოდ დამთავრდა ეს ამბავი. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩაღვა. საკომენდანტოში გარეგნულად თითქოს ყველაფერი წესიერად მიმდინარეობდა, მაგრამ ერთი რამე მაინც მტკენდა გულს და ჩემი თავისთვის ვერ მებატიებინა. მთელი ქალაქი ჩვენი ნადავლი შაქრითა და სურსათით იკვებებოდა. ამასი მაშინ უფრო დავრწმუნდი, როდესაც ერთხელ საათი შევაკეთებინე ერთ მესაათეს და ეუთხარი, რომ მოსულიყო, ან ვინმე გამოეგზავნა — შაქარს მომცემ-მეთქი. მეგონა, ამით მესაათეს ვასიამოვნებდი, რადგან ომის დროს შაქარი ძნელი საშოვარი იყო, მაგრამ მოგტყუვდი.

მესაათე რაღაც უხერხულად დაიდრიჯა, ბოდიში მოიხადა და მაგრძნობინა, რომ პატენტის ფული მაქვს შესატანი, ამის გამო ფული უფრო მჭირდება და შაქარი ისეც ბევრი მაქვსო.

ცხადი იყო, მას ჩვენი შაქარი ჰქონდა, თორემ არცერთი მალაზია ქალაქში არა ჰყიდდა, მაშ, საიდან უნდა ჰქონოდა მას შაქარი?



იმწუთშივე მესაათეს თავიანთი ზლოტებით გავუსწორე ანგარიში, დავი-  
ბარე საშკა მეზღვაური და იმ ოპერაციებში ისეთი სიყოჩაღისა და გამპრიახო-  
ბის გამოჩენის შემდეგ ყველაფერში მივენდე. ვუთხარი ჩემი გაჭირვება, რომ  
ვერაფრით ვერ აღკვეთე ამოდნა დოვლათის განიავება-მეთქი და წინადადება  
მივეცი, ჩაებარებინა საწყობები, ებატრონებინა მათთვის და ჩემი განკარგუ-  
ლების გარეშე არავისთვის არაფერი მიეცა.

საშკას სახეზე გაკვირვება გამოიხატა.

— მცლით თუ მართალს მეუბნებით, ამხანაგო კაპიტანო?! — მკითხა საშ-  
კამ.

გამოსაცდელი რა გაქვს? განა ვერ ხვდები შენ რატომ მოგმართე? ქურდო-  
ბა ხდება, საწყობებს აცარიელებენ და ვერ მომისპია ეს საძაგლობა, რადგან არ  
ვიცი ვინ და როდის აკეთებს ამას. ისე კი ძალიან კარგად ვიცი, რომ ამ საქმეში  
შენ შეგიძლია დამეხმარო-მეთქი.

საშკას პირველად ეგონა, ვცდიდი, მაგრამ კარგა ხნის დაფიქრების შემდეგ  
მითხრა:

— ამხანაგო კაპიტანო! ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი თქვენი თანამ-  
შრომელი გადავიტერო. მე, რა თქმა უნდა, სულ მალე აღმოვაჩენ იმ ხერხელებს,  
საიდანაც სურსათს აცოცებენ და მათ საიმედოდაც დავგმანავ, მაგრამ ხომ იცით,  
ასეთ კაცს რას ეძახიან? არ მინდა ის არასახარბიელო სახელი დაემსახურო.

მივხვდი საშკას რისაც ერიდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, უხერხული იყო მის-  
თვის, მაგრამ ვუთხარი, რომ ჯერჯერობით ზომიერება დაეცვა, პირველადვე  
ნუ გადაიშტერებდა ხელმძრუდე ადამიანებს და მერე კი თანდათან შეეჩვეოდნენ  
იმ ამბავს, რომ ქურდობის აღკვეთა საქირო და აუცილებელი იყო.

ვარაუდში არ მოგტყუებულვარ. საშკამ აქაც დაუფასებელი სამსახური გა-  
მიწია. ორი კვირის შემდეგ ერთი მისხალი შაქარიც არ დაკარგულა.

ერთ მშვენიერ დღეს შაქრისათვის ის მესაათე მომადგა, რომელსაც  
„ბინიონები“ (ფული) უფრო სჭირდებოდა და შაქარი კი ბევრი ჰქონდა.

— მქონდა, პან კომენდანტ, მაგრამ გამოილია.

— პო, გამოილია? ჩვენც რომ არ გამოგველიოს, ვუფრთხილდები.  
და ისე გავისტუმრე ის მესაათე.









ვთქვით: „ერთხელ პეტრემ შაქროს შეუთვალა: ჩემთან გადმოდიო. შაქრო დაღქრდებო: აბა, რისთვის უნდა გადავიდეს, გადასვლა რო სდომოდო, ხომ თვითონ გადავიდოდა, ადრე გადავიდოდა და ახლა უკან გადმოსული იქნებოდა, არა, ვითომ რათაო? აქაოდა შემოგივალეო, მერე რო არ შემოვალაო? ან კიდევ იმას რო შემოვალა და მე ვერ ვამეგვო...“ შეთვალაც არის და შეთვალაც. აი შარშანაც სწორედ ამ დროს შემომითვალა, ჩემთან გადმოდიო, მერე მაშინ რო გადავსულიყავი, ეხლა რაღას შემომითვლიდა? არა მაინც ვითომ რათაო? ეგებ იმას სულაც არ შემოუთვლია და რომ კიდევაც შემოვთვალა, აბა მე რათ უნდა გადავიდე. იქნებ იმან ისე შემომითვალა, ვინცლო არც გადმოვიდესო და აბა ერთი შეუთვალეო: მე კი შემოვთვლიო და ვნახოთ, ის ჩემს შეთვლილზე რას შემომითვლისო...“ და ა. შ. ამ მწერლებს ალბათ ჰგონიათ, რომ მათ საკუთარი დაქირავებული მკითხველი ჰყავთ, რომელიც სხვას არაფერს კითხულობს, საერთოდ სხვა არაფერი საქმე აქვს და მისი ერთადერთი ვალდებულებაა, პირდაღებული უსმენდეს ყველაფერს, რაც კი ავტორს აზრად მოუვა.

მხოლოდ ამ ნამდვილად შესაშური ოპტიმიზმით შეიძლება აიხსნას იმ საოცრად გაქიანურებულ პროზაულ ნაწარმოებებს წარმოშობა, რომლებშიც მთელი თავები სწორედ ამგვარი ნატურალისტური სურათებისა და „ფსიქოლოგიური“ პასაჟებისაგან შედგება.

ჩემი აზრით დღეს ქართველმა მწერალმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ერთი გარემოება. სახელდობრ ის, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა განიცდის ძალზე სერიოზულ კონკურენციას მკითხველისათვის ბრძოლაში.

ქართული ლიტერატურა დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე, უაღრესად თვითმყოფადი ლიტერატურაა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მან რაიმე გარეშე ზემოქმედების გავლენით თავისი ნაციონალური სფეროები დაჰკარგოს. ამაში გვარწმუნებს, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის ისტორია, რომელიც ხშირად ყოფილა ამგვარ განსაცდელში, მაგრამ არასდროს არ გათქვდილა და თავისი საკუთარი იერი დღემდე შეინარჩუნა.

მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ თანამედროვე მკითხველი დღეს ახალი, ჩვენი დროის შესატყვისი მოთხოვნილებებით უფლება ქართულ მწერლობას. საქართველო დიდი ხანია აღარ არის კარჩავეტილი და მივარდნილი პროვინცია, და მის მკვიდრთა შეგნებული არსებობაც გათოშული არ არის იმ საერთო გულისთვისაგან, იმ დიდი ცხოვრებისაგან, რომლითაც დღევანდელი კაცობრიობა ცხოვრობს. ბუნებრივია, რომ დღევანდელ ქართველ

მკითხველს სურს თავის მშობლიურ მწერლობაში ეროვნული თავისებურების, ნაციონალური კოლორიტის გარდა დაინახოს ის ზოგადი, ის საერთოც, რაც დღევანდელი მოწინავე მსოფლიო ლიტერატურის განვითარებისათვის არის ნიშანდობლივი.

რასაკვირველია, სხვისი ფეხისხმის აყოლა და დროებითი სენსაციის შარავანდელით მოსილი სახელებით გატაცება ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს ვერც ახალგაზრდა და ვერც მწიკვან მწერალს. მაგრამ დღეს არსებობს ისეთი თემები, ისეთი პრობლემები, რომლებიც თითქმის ერთნაირი სიძლიერით აღელვებს როგორც ყოველ საბჭოთა ადამიანს, ისე მთელი თანამედროვე კაცობრიობის დიდ ნაწილს. თუ, მაგალითად, გადავხედავთ შარშანდელ რუსულ ლიტერატურას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მისი განვითარება ხასიათდებოდა უაღრესად მწვავე, პრინციპული ბრძოლით. კერძოდ, რუსულ მხატვრულ პროზაში ადვილად მნიშვნელოვან პროცესებს, ახალ, მრავალმხრივ საყურადღებო ტენდენციებს, რომლებიც მძაფრი კრიტიკული უთანხმოებისა და დავის საგნად იქცა. მართალია, დაშვებული იყო ზოგიერთი უკოდურესობა როგორც ერთი, ისე მეორე მხრითაც, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს უკოდურესობანი ცოცხალი ლიტერატურული დისკუსიის შედეგია.

სამწუხაროდ, ჩვენს ლიტერატურულ სემინარებს შარშან არ აღუნიშნავთ არც ერთი ისეთი ხასიათის ძეგრი, რომელიც ცხოველი კამა! თისა და ნაყოფიერი დისკუსიის სტიმულად ქცეულიყოს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, ქართველი ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედებაში არაფერი არ არის სადავო, არაფერი არ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას?

ჩემი შეხედულებით შარშანდელი ქართული მხატვრული პროდუქცია არც ისე ნეიტრალური იყო თავისი შინაარსითა და ფორმითაც, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა შეგეჩრდე თანამედროვეობისათვის უაღრესად სიმპტომური ერთ ტენდენციამზე, რომელიც უპირველეს ყოვლისა სწორედ ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედებასთან არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, რუსულ მწერლობაში უკვე რამდენიმე წელიწადია ლაპარაკობენ მსოფლიო ლიტერატურაში უკანასკნელ დროს გამოჩენილ ე. წ. „გაბარაზებულ ახალგაზრდებზე“. ალრე მათზე მსჯელობას უფრო აჯალღმითი ხასიათა ჰქონდა და მას ძირითადად



უცხოური ლიტერატურის სპეცილისტები აწარმოებდნენ.

უკანასკნელ დროს „გაბრაზებულეზზე“ ლაბარაკმა უფრო მწვევე ხასიათი მიიღო. საქმე ისაა, რომ მათი მსგავსი ახალგაზრდები გა-მოჩნდნენ რუსულ მწერლობაშიც და, შეიძლება ითქვას, რომ ამ გარემოებამ თავის მხრივ პირ-დაპირ გააყაპასა ზოგიერთი კრიტიკოსი.

უკანასკნელი კრიტიკული გამოსვლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ გ. რა-დოვის ვრცელი წერილი „Правдоха и мол-дери“, რომელიც მოსკოვის ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა. ამ წერილის ავტორი ეხება უმთავრესად ჟურნალ „Юность“-ში გამოქვეყნებულ აქსიონოვის მოთხრობას „Звездный билет“ და როზოვის ლიტერატურ-ულ სცენარს. „ა, ბ, ვ, გ, დ...“

გ. რადოვი ამ ნაწარმოებების პერსონაჟებს უპირისპირებს ვინმე „პრავდოხა“-ს გლებოვის მოთხრობიდან, რომელიც ჟურნალ „Новый мир“-ის მაისის ნომერში დაბეჭდილა და შე-უმჩვინველად ჩაუვლია მკითხველი საზოგადოე-ბისათვის. გ. რადოვი ვაკეირვებულია, რატომ არ გააჩნიათ აქსიონოვისა და როზოვის გმირებს პრავდოხის დაუშრეტელი ენთუზიაზმი. მისი ხა-სიათის მთლიანობა და სიმტკიცე, მისი ყოვლის-შემძლე ოპტიმიზმი და ენერჯია.

მართლაც რაშია საქმე? აქსიონოვისა და როზოვის გმირები თითქმის საბჭოთა ახალგაზ-რდისათვის უჩვეულო თვისებებს ამჟღავნებენ, უცნაურად მსჯელობენ, უცნაურად უყურებენ ცხოვრებას. აი, მაგალითად, როგორი ფიჭვები მოდის თავში როზოვის სცენარის გმირს: „ქუშ-მარტივბანი აღარ არსებობს“, „ყველა ავტორი-ტეტა მხოლოდ შეფარდებითი მნიშვნელობა აქვს“, „კაცობრიობამ დაიმსახურა, რომ იგი დასჯილი იქნას“...

საიდან შეიძლებაოდა გაჩენილიყო ეს უცნაუ-რი ნიპილიზმი, ეს მოულოდნელი მიზანტროპია 17 წლის საბჭოთა ბიჭის შეგნებაში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მართლაც ძნე-ლია. მაგრამ წერილის ავტორი არ იბნევა. რო-ზოვის სცენარის კონტექსტში ოსტატურად შე-აქვს ციტატი ამერიკელი მწერლის სელინჯერის ცნობილი მოთხრობიდან და როდესაც მკითხვე-ლი ამას ვერ ამჩნევს, იგი გამოცდილი კრიმინა-ლისტის ორატორიანი დიმილით გვეუბნება: აი, ხომ ხედავთ, ყველაფერი ნათელია და თქვენ კი აქამდე ვერ ხედებოდითო.

გ. რადოვის აზრით როზოვის გმირი ჰოლდენ კოლფილდის ორგულია. მისი შეხედულებებიც ცხადია, მხოლოდ ამ უკანასკნელის განწყობი-ლებათა გადამღერებას წარმოადგენს, ე. ი. საქ-მე გვაქვს უბრალო მიმბაძველობასთან, ლიტე-

რატურული მოდით გატაცებასთან, სხვისი ფე-ხისმხის აყოლის ტიპიურ ფაქტთან.

გ. რადოვი თავის საკმაოდ მოზრდილ წე-რილში, ერთ უმნიშვნელო ცდასაც კი არ აკე-თებს, რათა გამოარკვიოს: აქვს თუ არა რაიმე სერიოზული, ობიექტური საბაზი როზოვისა და აქსიონოვის გმირთა განწყობილებებს თვით ჩვენს სინამდვილეში.

„რა უესუსტრობაა, რა საბავშვო ბაღია“, — დასციინის იგი ამ ახალგაზრდა გმირების გან-ცხადებებს. „Стиляги“, „хлюпики“, „шалоп-пай“ — იმეორებს იგი სხვა კრიტიკოსების სიტყვებს მათ შესახებ, თუმცა ამავე დროს ისეთ პოზაში დგება, თითქმის შოკირებულია უკანასკნელთა ზედმეტი სიტლანქით.

მართალია, წერილის ავტორი ბევრს ლაპა-რაკობს დღევანდელი საბჭოთა ახალგაზრდობის ერთი ნაწილიათვის დამახასიათებელ ერთგვარ დაბნეულობაზე, უქმყოფილებაზე, შინაგან „მოუწყობლობაზე“, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ იმეტებს ამ მოვლენის ასახსნელად.

ამ წერილში პირადად მე განსაკუთრებით გამაყვირება ერთმა გმირმოვამ: მისი საერთო ინტონაცია თითქმის გაბედულია, ხოლო სტილ-გულწრფელი და უშუალო; მაგრამ ერთში ავ-ტორი უცნაურ სიფრთხილეს იჩენს. გ. რადოვის წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თით-ქმის ჩვენს სინამდვილეში არაფერი არ მომხდა-რიყის ისეთი, რაც შეიძლებაოდა ჩვენი ახალ-გაზრდობის გარკვეული ნაწილისათვის დამახა-სათებელი ამ სულიერი პროცესის საბაზა-მცაულოყო.

ჩემი ფიქრით, საბჭოთა ლიტერატურის იმ ახალ პერსონაჟებს, რომლებსაც რადოვი ჰოლ-დენ კოლფილდის ორგულად ასაღებს, მხოლოდ გარეგნული მსგავსება აკავშირებთ როგორც სელინჯერის რომანის გმირთან, ისე თანამედ-როვე ინგლისური ლიტერატურის „გაბრაზე-ბულ“ პერსონაჟებთან. მათს სუბიექტურ სამყა-როში მომხდარი თავისებური ძვრები სრულიად სხვა წარმოშობისაა და სრულიად სხვაგვარ სოციალურ-ეთიკურ ხასიათს ატარებს.

შეიძლებაოდა ცხოვრების ისეთმა კარგმა მცოდნე საბჭოთა კრიტიკოსმა, როგორადაც ამ წერილს ავტორი წარმოგვიდგება (ვაგისენოთა თუნდაც მისი საუბრები „ნაცნობ კუბანეთთან“ და ალტაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორ-თან) არ იცოდეს, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა ადამიანების შეგნებაში მოხდა მთელი რევოლუცია, რომ ჩვენ რამდენიმე წელიწადში გავიარებთ ისეთი მნიშვნელობის ფაზა, რომე-ლიც შეიძლებაოდა კაცობრიობის ისტორიაში „კერ-პების მსხვერვის“ ეპოქას შეედაროს.

ეს იყო არა რაიმე საწარმოო ან აღმინის-ტრაციული ხასიათის ღონისძიება, არამედ მთე-ლი გარდატეხა ადამიანთა ცნობიერებაში. და



სრულიად ბუნებრივია, რომ მას არ შეიძლება და უმტკივნეულოდ ჩაველო განსაკუთრებით იმ ადამიანთათვის, რომელთა შეხედულებები ცხოვრებაზე სწორედ ახლა, სამოციანი წლების დასაწყისში ყალიბდება.

მხოლოდ უსულო ავტობატებს ან ცხოვრებისაგან საბოლოოდ გამოშვებულ ადამიანებს შეეძლოთ სრულიად უმტკივნეულოდ, ყოველგვარი სულიერა გამწვავების გარეშე გვევლოთ ეს პროცესი.

პირადად მე არ ვეკუთვნი აქსიონოვის მოთხოვნით აღდროთვანებულ მკითხველთა რიგს, არც როზოვის სცენარის მიმართა უნაკლო ნაწარმოებად. მაგრამ ჩემის აზრით ის, რაც ამ ნაწარმოებებში (ისევე როგორც სხვა, იმავე ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მოთხრობებში) ხდება, არ არის თითქმის გამოწვეული. ისინი თავისებურად, შესაძლებელია განვითარდებულად, ან იქნებ, პირიქით, სუსტად და არასრულად გამოხატავენ საბჭოთა ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის შეგნებაში მიმდინარე რეალურ პროცესებს.

საქიროა აღვნიშნოთ, რომ თვით ამ ნაწარმოებთა ავტორები არაჲც და არაჲც არ იზიარებენ თავიანთი ქაბუჯი გმირების ცალკეულ, საქმაოდ ეკლექტიკურ შეხედულებებს, რომლებიც მათ ნაადრევი სექსუატიზმის მწვავე შეტევების დროს ებადებათ. ისინი კარგად ხედავენ, რომ ეს არის თუმაჲ ძალზე მწვავე, მაგრამ მხოლოდ დროებითი კრიზისი, რომლის მაღალი, კრიტიკული ტემპერატურა აუცილებელია ძველი ილუზიებისაგან გასათვისუფლებლად და რომელიც სულიერ განახლებასა და დეაჲკაცებას უძღვის წინ. ამიტომაჲც, ორივე ამ ნაწარმოებში აშკარად მინიშნებულია ნათელი, ოპტიმისტური პერსპექტივა.

შეიძლება იკითხოთ: რა კავშირი აქვს რადოვის წერილს და ჟურნალ „Юность“-ში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთა შემოქმედებასთანო.

ეს კითხვა თითქოს მართლაც ბუნებრივია. მაგრამ ვინც დაკვირვებით გადახედავს შარშან ჩვენს ჟურნალებში დაბეჭდილ მოთხრობებს, ალბათ ზედმეტად არ მოეჩვენება ამ წერილის შესავალი.

მართალია, არც ერთ ქართული ნაწარმოების პერსონაჲს არ გამოუხატავს თავისი აზრები: იმგვარი რადიკალური სახით, როგორც ამას სხადის, მაგალითად, როზოვის სცენარის გმირი; მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ისეთი ნაწარმოებების გმირები, როგორცია, მაგალითად, თამაზ ჭილაძის „გასეირნება პონის ეკლით“, თამაზ ნატროშვილის „გამოღვიძება“ და ნაწილობრივ არჩილ სულაჲაურის უკანასკნელი მოთხრობა „უკეთუ გაცთუნებდეს“, თავისი განწყობილებებით მაინც ენათესავენბიან რუ-

სული ლიტერატურის ხსენებულ პერსონაჲებს.

თამაზ ჭილაძის „გასეირნება პონის ეკლით“ ზოგიერთებს უიდეო ნაწარმოებად მიანიიოთ. სინამდვილეში თამაზ ჭილაძის მოთხრობას აქვს ჩვენი დროისათვის და საერთოდ საბჭოთა მწერლობისათვის უაღრესად აქტუალური იდეური ჩანადერი.

გავისენოთ, ვის უპირისპირდება ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, ახალგაზრდა მხატვარი ნიკა. მართალია, ამ ნაწარმოებში არ არის მკაფიო, დრამატულად გამოკეთილი კონფლიქტი, მაგრამ აქ ივარძონა შეურთებელი დამოკიდებულება, მწვავე შინაგანი უთანხმოება გმირისა იმ ადამიანებთან, რომლებიც თავისი არსებით თანამებრძოვე მეშჩანობის ნიარსხეობას წარმოადგენენ.

ყოველმა ჩვენთაგანმა იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მწერლობაში ახალი ეთიკური იდეალების დამკვიდრებისათვის მეშჩანობასთან შეურთებელ ბრძოლას. ამაზე ნათლად მოწმობს კერძოდ რუსული საბჭოთა მწერლობის ფუძემდებლების მაქსიმ გორკისა და მთავოსკის შემოქმედება.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მეშჩანური, ობიექტური ელემენტები სავსებით ლიკვიდირებულია. მეშჩანობამ მხოლოდ სახე იცვალა ან, უფრო სწორედ, ახალი ნიღაბი იშოვა. სწორედ ფილისტერული ფსიქოლოგის გადმონაშთებმა ვააჲხიერებს ნიადაგი და შესაძლებელი გახადეს ჩვენს სინამდვილეში იმ მახინჯი მცენარის გახარება, რომლის ძირფესვიანად აღმოფხვრა დღეს მთელი ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის ძირითადი ამოცანაა.

აღსანიშნავია, რომ თამაზ ჭილაძის გმირი თავისი სულიერი ინტერესებით, თავისი ფსიქოლოგიით, მთელი თავისი შინაგანი სამყაროთი უპირისპირდება არა მხოლოდ მის მეზობლად მცხოვრებ პეჲამოიან რეინიზელს, რომელიც თავისი წიწილებით არის ვართლი, არა მხოლოდ მარინეს მშობლებს — ბატონ მირიანს და ჭალბატონ ეკას, რომელთა ოჯახი ნამდვილ მეშჩანობის ბუდე წარმოადგენს, არამედ დათოს მამასაც, დამსახურებულ და გველენიან ხელოვანს, რომლისთვისაც კონიუნქტურა — „ალბათ ასე იყო საჭირო“ — ყველაფერზე მაღლა დგას: საკუთარ მრწამსზე, მეგობრობაზე, მოქალაქეობრივ სინდისზე.

ყველა ეს ადამიანი სხვადასხვა კუთხით მეშჩანურ ეგოიზმს განასახიერებს, ყოველნაირ სიტუაციაში მათი მთავარი საზრუნავი პირადი კეთილდღეობაა. დათოს მამა ისევე ზრუნავს თავის მდგომარეობაზე, თავის საზოგადოებრივ რეპუტაციაზე, როგორც პეჲამოიანი რეინიზელი თავის წიწილებზე, როგორც ჭალბატონი ეკა





თავის ავჯგუზ და თავისი ქალიშვილის კარგად გათხოვებაზე.

თამაზ ჭილაძის მოთხრობის მთავარი გმირი მხატვარია პროფესიით და ბუნებითაც. მას უყვარს, როგორ შეუძლიათ სხვა ადამიანებს უბრალოდ თქვან: „წვიმს“. იგი იმდენად აღშფოთებული არ არის ამ ადამიანთა საქციელით, რამდენადაც გარკვეულია, შეძარწებულია მათი ფსიქოლოგიით. მის შეგნებაში თანდათან იზრდება უკმაყოფილება, და მხოლოდ ქალბატონ ეკასთან უკანასკნელ დიალოგში იჩენს თავს.

„იცილეთ, რომ კანონი არსებობს“, — ამბობს ქალბატონი ეკა.

„მე ვიცი, რომ არსებობს ადამიანი, არსებობს სიყვარული და სიძულვილი, ცა, მიწა, ხალხი, და რომ ადამიანს შეუძლია თვითონ აირჩიოს სიყვარულიც და სიძულვილიც“, — პასუხობს ნიკა.

ასეთსავე კონფლიქტშია მემშინაობასთან თამაზ ნატროშვილის მოთხრობის „გამოდევების“ მთავარი გმირი, ახალგაზრდა გეოლოგი გია, რომლის პირველი კვაბუტური გატაცება სწორედ ობიექტურად ფსიქოლოგიის უიმედოდ დაბნულ და დალუქულ კარიბჭეებს ეჯახება.

ნიკას და გიას ბევრი რამ აქვთ საერთო. ისინი სულელებად უმწიკვლო ახალგაზრდები არიან. გიაც ისეთივე მეოცნებე და შთაბეჭდილებიანი ადამიანია, როგორც ნიკა. მათთვის მიუღებელია ყოველივე სიყალბე, ანგარება, ფარისევლური მალაფარდოვნება, რომელიც პირადი კეთილდღეობისადმი სწრაფვას ნიღბავს, ყოველივე, რასაც ფილისტერულ ენაზე „ცხოვრების სიბრძნე“ ეწოდება. მათი სახეებისათვის დამახასიათებელი თავისებურია შინაგანი „მოუწყობლობა“ სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ ისინი ვერ ეგუებიან, ვერ ურიგდებიან ამ თვისებებს. სწორედ ამ მხრივ ისინი სულიერად ენათესავენ ბრუსელი ლიტერატურის ზემოთსენებულ გმირებს. ნიკა და გია ახალგაზრდა ქართული ინტელიგენცია არიან და მათს ხასიათში ბევრი თვისება ტიპურია ჩვენი ინტელიგენციის ახალი თაობისათვის.

პირადად მე სინამდვილისადმი მათს დამოკიდებულებაში არ მაკმაყოფილებს მხოლოდ ერთი თვისება. ის, რომ ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკების გამოჩენა აღნიშნულ კონფლიქტში არიან ჩვენი საზოგადოების გარკვეული ფენის წარმომადგენლებთან, სრულიად ბუნებრივია.

მათი გმირების ერთგვარი შინაგანი უკმაყოფილება თავისი წარმომავალი და ბუნებით ჯანმრთელი, ჩვეთვის მისაღები ხასიათისაა.

მაგრამ როდესაც ეს მოთხრობები წავიკითხე, ბევრი რამ არა მხოლოდ მენიშნა, არამედ მეწყინა კიდევ. მეწყინა იმ თაობის მავიჯრად, რომელსაც ეს გმირები წარმოადგენენ. საქ-

მე ისაა, რომ ისინი ფაქტურად არ იბრძვიან. ისინი თითქმის შეუიარაღებელი აღმოჩნდებიან თავიანთი გამოცდილი და საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგის წინაშე. ნუთუ მართლა ასე უმწეო, ასე უხერხემლოა ჩვენი ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელსაც ამ მოთხრობების გმირები ეკუთვნიან, ნუთუ ასე ადვილია მათი დამარცხება?

მე არ მინდა აქ არავითარი დაპირისპირების მოხდენა, მაგრამ ჩემი ფიქრით, თამაზ ჭილაძისა და თამაზ ნატროშვილის მოთხრობებს აკლია სწორედ ის შინაგანი ძალა და შესაბამისი დრამატული სიმაძვრე, რომელიც ასე პაერივით გვესაჭიროება დღეს და რომლითაც განმსჭვალული იყო, მაგალითად, მათი თანატოლის, ჩვენგან უფროდ წასული ახალგაზრდა მწერლის გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება. გავიხსენოთ თუნდაც მისი უკანასკნელი მოთხრობა „ალავერდობა“, სადაც ჩვენს წინ არის ასევე შინაგანად „მოუწყობელი“, უკმაყოფილო ახალგაზრდა კაცის სახე, რომელიც თავის ამ შინაგან განწყობილებას თუმცა ფუჭ, შესაძლებელია ნამდვილად არარაციონალურ, მაგრამ მიიწვავტერად, ქმედით ფორმში გამოჰხატავს.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს ხშირად ლაპარაკობენ ქართულ პოეზიაში, კერძოდ ლირიკაში პროზის ელემენტების შექრახე.

ჩვენ ვიტყვით, რომ თ. ჭილაძის „გასეირნება პონის ეტლით“, ისევე როგორც არჩილ სულაპურის ზოგიერთი უკანასკნელი მოთხრობა და თ. ნატროშვილის მოთხრობები შესანიშნავი მაგალითია მეორე, თავისი ბუნებით სპირისპირო პროცესისა, რომელიც საზოგადოდ ოანამდებროვე პროზის განვითარების დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს.

შეველობაში გვაქვს მხატვრულ პროზაში პროზის, უფრო ზუსტად, ლირიკის ელემენტების შექრის პროცესი. სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ თანამდებროვე ქართულ მწერლობაში ეს არ არის სრულიად ახალი, ყოველგვარ ისტორიულ ტრადიციებს მოკლებული მოვლენა. საკმაოდია დავასახელოთ თუნდაც XX საუკუნის ქართული პროზის ორი ისეთი შესანიშნავი წარმომადგენელი, როგორც არიან ნიკო ლორთქიფანიძე და დემნა შენგელაია, რომ ნათელი გახლეს ამ მხრივ ჩვენი მწერლობის ნაციონალური ტრადიციების სიმდიდრე.

ლიტერატურის ერთი ვარიანტი ელემენტებით მეორის გამიღრმება ძალზე რთულ, შინაგანი წინააღმდეგობების შემცველ პროცესს წარმოადგენს და თავისი მტკივნეული მხარეებიც აქვს. მე ვფიქრობ, ამით არის გამოწვეული უმთავრესად ის წინააღმდეგობები, რომლებიც განსაკუთრებით თ. ჭილაძის მოთხრობაში იგრძნობა. თუ, მაგალითად, თ. ნატროშვილის მოთხრობა თავისი შინაარსით ნოველის ჩარჩოებ-



ში თავსდება, თ. ჭილაძეს ფაქტიურად ფართო-პლანინი ეპოქური ნაწარმოების — რომანის მასალა აქვს აღებული.

შეიძლება ითქვას, რომ თამაზ ნატროშვილის მოთხრობა „გამოდვიძება“ თანამედროვე ლირიკული ლექსის პრინციპებზეა აგებული. ყოველ შემთხვევაში, აქ გამოყენებულია ლირიკის ერთი ძირითადი პრინციპი — მოთხრობის გმირის (ამ შემთხვევაში თვით ამბის მოთხრობის) სტიქეტიკური ასოციაციითა თავისუფალი მდინარება.

თ. ჭილაძის მოთხრობა კიდევ უფრო მდიდარია პოეტური ელემენტებით; შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი, რაც ნამდვილად ძლიერ მხატვრულ შთაბეჭდილებას ახდენს, თავისი წარმომართული პოეზიის განუყოფელია. როგორც ვიცით, თამაზ ჭილაძე ქართულ პროზაში პოეზიიდან მოვიდა და აქ მას თან მოჰყვა ლირიკის ისეთი დამახასიათებელი თავისებური მსოფლმეგობრება, ადამიანის სულიერი მოძრაობებისადმი გამახვილებული ინტერესი, შესანიშნავი ფერწერული სახეები და მეტაფორული აზროვნება.

„გაგვირგნბა პონის ეტლით“ სავსეა მზის, ქარისა და წვიმის ფერებით. აქ თითქოს მსუბუქი აკვარელით შესრულებული ზღვისპირეთისა და თბილისის ვარიეტეტის სურათები გაცოცხლებულა იმ ფაქიზი შინაგანი თრთოლით, რომელიც მთავარი გმირის — მხატვრისა და მეოცნების ინტიმური საყაროდან იღებს სათავეს.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი ხელოვნება სინამდვილის ფაქტების თავისებურ შერჩევას მოითხოვს. მაგრამ ასევე ცნობილია, რომ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება — ჩვეულებრივი სინამდვილე სრულიად მოკლებულია მოვლენათა სწორხაზოვან, კანონზომიერ განვითარებას. იგი სინამდვილეში უამრავი შემთხვევითობის, სრულიად გაუმართლებელი გადახვევებისგან შედგება.

რეალური ადამიანის შეგნებაზე ერთდროულად შემოქმედებენ უამრავი, ერთმანეთთან თითქოს არავითარ ლოგიკურ კავშირში არმყოფი ფაქტები. განსაკუთრებით ეს თქმის ჩვენი დროის ადამიანზე. თანამედროვე დიდი ქალაქის მკვიდრზე, რომლის შინაგანი საყარო მხაფერი ობიექტური სტიმულების გაუმდებელ შემოქმედებას განიცდის. აქედან მოდის ის ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი ტენდენცია კლასიკური ერთიანობის, სწორხაზოვანების, კომპოზიციური სიმეტრიულობის უარყოფისა, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველ ეანრს ეხება.

თამაზ ჭილაძის მოთხრობას, მართალია, აქვს თავისი პირობითი მთავარი სიუჟეტური სქემა, მაგრამ ეს მთავარი სქემა დატვირთულია მეო-

რეხარისხოვანი ხაზების ისეთი რაოდენობით, რომელსაც თვისობრივი ცვლილებები შეაქვს ნაწარმოებში. აქ ფაქტიურად უარყოფილია პროპორციები მთავარსა და მეორეხარისხოვანს შორის, რადგან მოთხრობის გმირის შინაგანი ცხოვრების თვალსაზრისით ყველაფერი მთავარია: სიხშირე და სინამდვილე, რეალური ამბები და ბავშვობის ბუნდოვანი მოგონებები, წვიმა და საყვარელი ქალის ცრემლები.

მოთხრობის გმირი, ვიდრე იგი თავისი ცხოვრების გზაზე მთავარ ნაბიჯებს გადადგამდეს, აქეთუბს არაერთ მოძრაობას, უამრავ თითქოს ზედმეტ, შემთხვევით ნაბიჯს. იგი ხილდება, ესაუბრება და ყურს უგდებს არაერთ მეორეხარისხოვან პერსონაჟს, ვიდრე მოთხრობის სტვ მთავარ გმირთა პირისპირ აღმონწიფებოდეს. ავტორის მიზანია, ამ მრავალფეროვანი, ცვალებადი, ხელოვნურად შემოღობულ მასალის საშუალებით გახსნას მთავარი გმირის შინაგანი სამყარო, და მთელი თავისი სისავსითა და მრავალმხრივობით გვაჩვენოს მისი განვითარება. სწორედ ამგვარად, ამ გზით, წინასწარ აღებული სწორხაზოვანი სქემის გარეშე, ცდილობს იგი მიაღწიოს მხატვრულ ერთიანობას.

ასეთია, ჩემი ფიქრით ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი, რომელიც ორიგინალურად და თავისთავად სავსებით კანონზომიერად მიმდინია, მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრისას ავტორი აწყდება მთელ რიგ სინონელებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის დაძლეული მოთხრობაში.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობის პერსონაჟთა უმრავლესობა მხოლოდ მართალ სქემებს, ლანდებს წარმოადგენს. ამის ახსნა შეიძლებოდა იმით, რომ ისინი დინამიკური არიან არა ობიექტურად, არამედ მთავარი გმირის თვლით, მაგრამ მოთხრობაში სქემატურ ხასიათს ატარებს ზოგიერთი მთავარი პერსონაჟის სახეც (ყერძოდ ეს უნდა ითქვას დათოს მამაზე, რომლის ხასიათი და მოქმედება მოკლებულია საკმარის ფსიქოლოგიურ მოტივირებას).

და, რაც მთავარია, მოთხრობის კომპოზიციური შეუყვრელობა, მხატვრული მასალის დეკონსტრუქციული შესამჩნევ დაღს ასევე მთელი ნაწარმოების იდეურ ელემენტობას, მის სოციალურ-ეთიკურ გამოხზულობას. აქ აღვილი აქვს ერთ დამახასიათებელ წინააღმდეგობას: სწორედ ის გარემოება, რომ ავტორი ბოლომდე ვერ ძლევს მის მიერვე შეგნებულად აღებული ცოცხალი სინამდვილის დიდ და მრავალფეროვან მასალას, განაპირობებს ერთგვარი მანერულობისა და სქემეტიზმის ელემენტებს.

აქ შთაბეჭდილებების ხშირი ცვალებადობა თითქოს თვითმზნურ ხასიათს იძენს. ავტორი თითქოს განგებ ერიდება ცხოვრების ამა თუ იმ



მოვლენაზე დიდხანს შეჩერებას, მის ყოველ-  
მხრივ გაგებას და შეფასებას. მისი თვლი ხში-  
რად მხოლოდ საგანთა ზედაპირზე ჩერდება და  
გაკვრით, სხვათა შორის, ზერელედ აღმუქდავს  
მათს კონტრებს.

შეიძლება სხვა შემთხვევაში არ მოგვეთხოვა  
ავტორისაგან მეტი შინაგანი დაძაბულობა და  
სიმძაფრე, მეტი ტენდენციურობა, ამ სიტყვის  
საუკეთესო გაგებით, მაგრამ, ის კონკრეტული  
მასალა, ის სოციალურ-ეტიკური პრობლემატიკა,  
რომელიც ამ მოთხრობაშია არჩეული, იმდენად  
მტკიცუნელი და მწვავეა ჩვენი დროისათვის და,  
კერძოდ, ჩვენი თაობისთვის, რომ ამგვარი მო-  
თხრობილება თავისთავად იზადება და თავისებუ-  
რად ულტიმატუმის სახეს იღებს.

თ. კლაძისა და თ. ნატროშვილის მოთხრო-  
ბების მთავარი მხატვრული სპეციფიკა — მათი  
მიღრმეკლავება პროზაში პოეზიის ელემენტების  
შეტრისნავენ, უპირველეს ყოვლისა გამოწვეუ-  
ლია იმით, რომ მათს ნაწარმოებებში ძირითადი  
ამოსავალი წერტილი თვით ამ მწერლების პი-  
რადი, სუბიექტური გამოცდილებაა. ეს  
უთუოდ მისასაღმებელი ფაქტია ჩვენს დღე-  
ვანდელ მწერლობაში. მეტადრე, თუ გავითვა-  
ლისწინებთ საბჭოთა მხატვრულ პროზაში პირ-  
ბად არსებულ ისეთი ყაიდის ნაწარმოებებს,  
რომლებსაც არც თავისი თემით, არც პრობლე-  
მატიკით და არც პერსონაჟთა ინტერესებით  
აზღვრი საერთო არა აქვთ თვით ავტორის  
ნამდვილ სულიერ გამოცდილებასთან, და სა-  
დაც მხატვრული მასალა არ წარმოადგენს  
მწერლის შინაგანი სამყაროს ორგანულ ნაწილს.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხატვრულ  
პროზაში საზოგადოდ პრივილეგიირებულ როლს  
ვკუთვინებდეთ სუბიექტურ საწყისს.

თანამედროვე ახალგაზრდა ქართულ პრო-  
ზაიკოსთა შორის მოიპოვებთან ისეთი ავტორე-  
ბიც, რომელთა შემოქმედება ჩვენს ყურადღე-  
ბას იპყრობს სწორედ ობიექტურ დაკვირვე-  
ბათა სიმდიდრით, გარეგნამდვილის მოვლენა-  
თაში მიმდგომი ინტერესით, ე. ი. იმ თვისებე-  
ბით, რომლებიც თვით ამ ქანრის სპეციფიკურ,  
შეიძლება ითქვას, ტრადიციულ ნიშანთვისებებს  
შეესებაშეიძლება.

ასეთ მწერლად წარმოგიდგება, კერძოდ მე-  
რად ელიოზიშვილი, რომელიც თავისი შემოქ-  
მედების მხატვრული პრინციპებით დიამეტრა-  
ლურად საწინააღმდეგო პოზიციებზე დგას და  
განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩევა ზემოთ  
განხილული ნაწარმოებების ავტორებისაგან.

მ. ელიოზიშვილმა შარშან ჩვენს ლიტერა-  
ტურულ პრესაში, მხოლოდ ერთი მოთხრობა  
გამოაქვეყნა, მაგრამ იგი ამავე დროს უკვე მთე-  
ლი წიგნის ავტორიც არის. მე აქ არ შევჩერ-  
დები „საბჭოთა მწერლის“ მიერ შარშან გამო-  
ცემულ მისი მოთხრობების კრებულზე. ამ წიგნ-

ში განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას  
ტოვებენ „ბებური მეზურნეები“, „სარლო“,  
„უკანასკნელი კონწილა“ და „მოდლინი“.

შემთხვევითი არ არის, რომ მ. ელიოზიშვი-  
ლის შარშან გამოქვეყნებული მოთხრობა „ან-  
დალუზა“ თავისი კრიტიკული მახვილით აგ-  
რეთვე თანამედროვე შემანობის ერთ-ერთი  
ნაირსახეობის წინააღმდეგაა მიმართული.

მაგრამ აქ ეს თემა სრულიად სხვა კუთხითაა  
აღებული და გააზრებული. მ. ელიოზიშვილი  
თავის მოთხრობაში მსუყე და მკაფიო საღებვე-  
ბით გვიხატავს გონებაშეზღუდული, თითქმის  
ცხოველური ინსტინქტებით შეპყრობილი ახლ-  
გაზრდა ობიექტურის კოლორიტულ სახეს. აქ ეს  
ხასიათა რატიდან კი არ არის დანახული, არამედ  
შვიგნიდანაა გახსნილი, რაც საზოგადოდ ამ მწერ-  
ლის მხატვრული ნიჭისა და მანერის თავისებუ-  
რებაა.

ჩემი ფიქრით, უადრესად სასიხარულო ფაქ-  
ტია, რომ დღევანდელ ქართულ მწერლობაში  
შეგვიძლია ვილაპარაკოთ ერთმანეთისაგან  
მკვეთრად განსხვავებული მხატვრული ნიჭისა  
და მიმართულების ახალგაზრდა მწერლებზე,  
რომელთა შემოქმედება XX საუკუნის ქართუ-  
ლი პროზის მდიდარ ტრადიციათა კანონზომიერ  
განვითარებას წარმოადგენს.

თუ ზემოთ, როდესაც ქართული პროზის  
ზოგიერთ დღევანდელ ტენდენციებზე გვეწონდა  
ლაპარაკი, შესაძლებელი იყო ერთგვარი მემკ-  
ვიდრობითი კავშირის დადგენა ნიკო ლორთ-  
ქიფანიძისა და სხვა ქართველი მწერლების  
შემოქმედების გარკვეულ ნაკადთან, მაგრამ  
ელიოზიშვილის შესახებ შეიძლებაოდა გვეთქვა,  
რომ იგი თავისი შემოქმედების მთელი რიგი  
თავისებურებით პირდაპირ ენათესავება მიხეილ  
ჯავახიშვილის რეალიზმს, კერძოდ, იმ რკალის  
ნაწარმოებებს, რომელშიც შედის „ლამბალო  
და ყაშა“, „მართალი აბულაჰი“, „ყაზაჩაი დიი-  
გეიანა“ და, გარკვეული თვალსაზრისით, „ჯა-  
ყოს ხიზნიტი“.

საერთოდ მერაბ ელიოზიშვილს, როგორც  
მხატვარს, უფრო „მომგებიანი“ პოზიცია უკა-  
ვია ჩვენს მწერლობაში, ვიდრე იმს ზოგიერთ  
ახალგაზრდა თანამოკლებს, რადგან იგი ჩვეუ-  
ლებრივ თავის შემოქმედებაში ტრადიციულ  
ფორმებს მიმართავს. ამის გამო მას უფრო  
თავისუფლად შეუძლია იმ უკვე ჩამოყალიბე-  
ბული და გამოცდილი მხატვრული საშუალე-  
ბების გამოყენება, რომლებიც უკანასკნელი  
ორი საუკუნის ქართულ პროზას მოუპოვებია.  
ცხადია, აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს მწერ-  
ლის მკაფიო თვითმყვადი ნიჭი, რომელიც მის  
მხატვრულ დაოსტატებას სწორედ ამ გზით  
წარმართავს.

შარშან „მნათობსა“ და „ციხკარში“ ორ-ორი

მოთხრობა გამოაქვეყნეს ოტია იოსელიანმა და ედიშერ ყიფიანმა.

ჩემი ფიქრით ეს მოთხრობები არ წარმოადგენენ მათი შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს. ამის გამო მე მხოლოდ გაკვირებული ვიყავი მათზე. ჩემთვის, მაგალითად, უფრო საინტერესო იქნებოდა ოტია იოსელიანის ახალ რომანზე ლაპარაკი, რომელიც გასული წლის განსაკუთრებით საყურადღებო ლიტერატურულ მოვლენათა რიგს ეკუთვნის. ამ ახალგაზრდა მწერალმა უკვე მოასწრო თავის ადგილის დამკვიდრება ქართულ მწერლობაში. თავისი შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი პრინციპით იგი ახლო დგას ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსების იმ ნაკადთან, რომელზეც მერამ ელიზბეთის მოთხრობის განხილვისას მოგვიხდა ლაპარაკი. მაგრამ ოტია იოსელიანის პროზას აქვს სხვა თავისებურებაც. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მწერლის განსაკუთრებული ყურადღება შინაგანი პლანისადმი, რომლის განვითარებისაც იგი ხშირად ნამდვილ ექსპრესიულობას აღწევს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოებია მისი აღწერილობითი მოთხრობა „ლეიანა“.

ოტია იოსელიანის პროზაში შეიმჩნევა ძლიერი მიდრეკილება ლირიკული წილისკვლებისკენ. ე. ი. სწორედ ის ტენდენცია, რომელიც თანამედროვე ქართული პროზის მეორე ნაკადისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ ამ მხრივ იგი თავისი საკუთარი გზით მიდის და მკაფიო შემოქმედებით ორიგინალობას ინარჩუნებს.

ოტია იოსელიანი მომხრეა მხატვრულ პროზაში გაბედული იმპროვიზაციისა და თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით არაერთხელ დაგვიარწმუნა ამ ხერხის შინაგან შესაძლებლობაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პრინციპი ყოველთვის ვერ ამართლებს თავის თავს. მაგალითად, ახალგაზრდა მწერლის მიერ შარშან გამოქვეყნებული ორი მოთხრობიდან პირველში (მხედველობაში გვაქვს „მეფისქვილის ქალიშვილი“) არის ერთი აშკარა შეუსაბამობა.

მოთხრობის დასაწყისში, რომელიც მხატვრულად განსაკუთრებით საინტერესოა, სრული შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ნაწარმოებია დაწერილია სიყვარულზე. ყოველ შემთხვევაში აქ ყველა ხერხით აქცენტირებულია ეს ხაზი. ხოლო მოთხრობის ბოლოს ავტორი მოულოდნელად გადადის სრულიად სხვა თემაზე (კერძოდ, სოფლიდან ახალგაზრდობის გაქცევის პრობლემაზე), რომელიც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენი დროისთვის, მაგრამ არავითარ ლოგიკურ კავშირში არაა იმ რომანტიკული ხასიათის ამბავთან, რომელიც ნაწარმოების ცენტრალურ ეპიზოდს წარმოადგენს. მოთხრობას საფუძვლად უდგეს

მონადირის თავგადასავალი და მისი კითხვადროს უნებლიეთ იხადება ასოციაცია ცნობილი ანდაზისა იმ კაცზე, რომელმაც ორი კურდღლის დაჭრა დააბრა ერთდროულად.

რაც შეეხება ოტია იოსელიანის მეორე მოთხრობას „ნაცრისფერი დღე“, გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ჩემზე ამ ნაწარმოებმა ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. არ ვიცი რა კონკრეტული შემოქმედებითი სტიმული უდევს ამ მოთხრობას საფუძვლად: ცუდად გადახარშული ნეოროტიციზმი თუ რაიმე უფრო ახალი მოძღვრება, მაგრამ მისი წაკითხვის შემდეგ პირადად მე ძალიან ძლიერი სურვილი გამიჩნდა ხელახლა გადამეკითხა ჩვენი დალოცვილი ხალხისთვის ზოგიერთი მოთხრობა.

საბედნიეროდ ეს ნაწარმოები ორგანულად არ უნდა იყოს „ვარსკვლავთცვენის“ ავტორისათვის; ჩემი ღრმა რწმენით ის მხოლოდ დროებითი გატაცების ნაყოფი უნდა იყოს, რაც ხელს ვერ შეუშლის ახალგაზრდა მწერლის ზრდას. ოტია იოსელიანი დიდი შესაძლებლობების მწერალია და კიდევ ბევრჯერ მიიქცევს ჩვენი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. მისი განკარგულებაშია ხალასი ნიჭი, ლაღი, მდიდარი, უაღრესად ელასტიური ქართული ენა, სიბხლის გრძნობა და დიდი შემოქმედებითი ენერჯია.

ედიშერ ყიფიანის სახელს ქართველი მკითხველი უკვე კარგად იცნობს და იგი მხოლოდ პირობითად შეიძლება მივაუთუნოთ ახალგაზრდა პროზაიკოსების რიგს. რამდენიმე წლის წინათ მე უკვე მომიხდა ამ მწერლის მოთხრობებზე ვრცელი წერილის გამოქვეყნება. მინდა აღნიშნო, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი, როგორც პროზაიკოსი, საგრძნობლად გაიზარდა. მართალია, ამას ვერ ვიტყვით მის პირველ ნოველაზე „ძალია, რკინა და ადამიანი“, მაგრამ მეორე მოთხრობას („ოქროსფერი ანაფორები“) ნამდვილად ეტყობა გამოცდილი ნოველისტის ხელი. ეს იგრძნობა დიალოგის საინტერესოდ აგებაში, სიუჟეტური განვითარების მოლოდინელ პერიპეტეტიკაში, ორიგინალურ ფსიქოლოგიურ ჩანაფიქრში.

„ოქროსფერი ანაფორები“ მკაფიო ეთიკური პათოსის ნაწარმოებია. აქ მოთხრობილია, თუ როგორ მიჰყავს ერთი შეხედვით უგნებელი ადამიანი სულეერ სიმხდალესა და ბრმა ეგონიშს ნამდვილ ბოროტმოქმედებამდე; როგორ ჩადის იგი მორალური თვალსაზრისით არანაკლებად მეორე საზიზღარ დანაშაულს, როდესაც ამ ბოროტების ფორმალურ გამოსყიდვას ცდილობს.

ედიშერ ყიფიანის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ობივტელია სულით ხორცამდე და მისი მხილება მით უფრო თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს, რომ ამ ადამიანის დანაშაული შეგ-





ნებულად განაზოგადა ავტორმა. ამ მიზნით მწე-  
რალი არ ერიდება თავის მოთხრობაში თანა-  
მდროვეობის რეალური შტრიხების შეტანას  
და აშკარა პუბლიცისტურ ელერადობას აქ-  
ლევს ნაწარმოებს. ჩემი ფიქრით, ამ ნოველში  
საქმარისი მოტივირება, უფრო სწორედ ფსი-  
ქოლოგიური დამაჯერებლობა აკლია თვით ნა-  
წარმოების აღმოსავალ სიტუაციაში — ბოროტ-  
მოქმედის მოსვლას რეაქციაში.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ელიშერ ყიფი-  
ანის ნოველებისთვის საერთოდ დამახასიათებე-  
ლია ერთი თავისებურება, რომელიც ზოგიერთი  
სხვა ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსების შე-  
მოქმედებებშიც შეიმჩნევა: თავისი ნაწარმოების  
იდეური კონცეფტის გახსნისას მწერალი ხში-  
რად ეყრდნობა არა ცოცხალი სინამდვილიდან  
აღებული რაიმე რეალურ ფაქტს, რომელიც,  
ცხადია, შემდგომ მხატვრულ განზოგადება  
მოითხოვს, არამედ თავის მიერვე წინასწარ გა-  
მოგონებულ ამბავს.

მხატვრული განზოგადების ამგვარი მეთოდი  
უცხო არ არის დიდი ლიტერატურისათვის.  
მსოფლიო მწერლობის ისტორიაში ცნობილია  
არაერთი ოსტატის სახელი, რომლებიც სწორედ  
საუბრის პრინციპს ეყრდნობოდნენ თავის შემოქ-  
მედებაში, მაგრამ ამ მეთოდით სარგებლობისას  
აუცილებელია დიდი მხატვრული სიფრთხილე  
და რეალისტური ინტუიცია. წინააღმდეგ შემ-  
თხვევაში იგი მხატვრული სქემატურობის სა-  
შიშროებას ბადებს.

შარშან ჩვენს ლიტერატურულ პრესაში თავისი  
მოთხრობები გამოაქვეყნეს სხვა ახალ-  
გაზრდა პროზაიკოსებმაც (ყოთოდ მისასაღმე-  
ბელია, კერძოდ, ქართულ პროზაში ახალი სა-  
ხელების ზ. არსენიშვილის, ლ. მალაონიას, გ.  
დონაშვილის და გ. მახვილიძის გამოჩენა).

როდესაც ეს წერბილი უკვე დაწერილი იყო,  
გამოვიდა „მნათობისა“ და „ცისკრის“ პირველი  
უკვე წრეგანდელი ნომრები, რომლებშიც და-  
ბეჭდილია რ. ინანიშვილის, რ. ჭივიშვილის  
ო. იოსელიანის და გ. გოგიაშვილის მოთხრობე-  
ბი. თავისი ახალი მოთხრობის ბეჭდვა დაიწყო  
ავრთვეე ქ. ამირჯანიძე. სამწუხაროდ, ჩვენ აქ  
ვერ შეეჩერდებით ამ ნაწარმოებებზე, რადგან  
მათი მხოლოდ სახელდასახლოდ გადაიკითხვა მო-  
ვასწარით, ვინაიდან ყოველი მათგანი ცალკე  
განხილვისა და ყურადღების ღირსია.

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას რ. ჭივიშვი-  
ლის მოთხრობაზე „ბიჭიკოს ავადმყოფობის ის-  
ტორია“, რომელიც უპირველეს ყოვლისა საინ-  
ტერესოა თავისი თემით.

ჩვენ გვინდა აქ შევიჩინოთ არჩილ სულაკაუ-  
რის შარშან გამოქვეყნებულ ხუთ მოთხრობაზე:  
„დიდთოვლობისა“, „ხევით და ქვევით“ „გა-  
ბობა“, „ბიჭი და ძაღლი“ და განსაკუთრებით უკა-  
ნასკნელ მოთხრობაზე — „უკეთუ ვაცდუნებდეს“.

უნდა ითქვას, რომ არჩილ სულაკაური ყო-  
ველ თავის ახალ მოთხრობაში ახალ თემას ირ-  
ჩევს, ახალ მხატვრულ ხერხებს მიმართავს და  
ამის გამო ყოველი მისი მოთხრობა ახალი,  
მანამდე უცნობი კუთხით წარმოგვიდგენს  
ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებითს ინდივი-  
დუალობას.

არჩილ სულაკაური ავტორია სამი მოთხრო-  
ბისაგან შემდგარი წიგნისა, რომელიც მრავალ-  
მხრივ საყურადღებო მოვლენაა დღევანდელ  
ქართული პროზის განვითარებაში. თავის დრო-  
ზე ამ კრებულის პირველი მოთხრობის —  
„ტალღები ნაბირისკენ მიისწრაფვიან“ გამოქვეყ-  
ნებაზე აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა გამოიწვია  
ჩვენს მწერლობაში. განსაკუთრებით მწვავე  
ვის სავნად იქცა ამ მოთხრობის მხატვრული  
ფორმა, რომელიც აბსტრაქტულად იქნა მიჩ-  
ნეული.

მართლაც, „ტალღები ნაბირისკენ მიისწრაფ-  
ვიან“ მოკლედულია ლოკალურ კოლორიტს.  
პერსონაჟების ხასიათები და მათი ურთიერთ-  
დამოკიდებულება აქ ერთგვარი ზოგადობისა და  
პირობითობის დალითაა აღბეჭდილი. ზოგიერთი  
მკითხველის თვალში ეს მართლაც ერთგვარად  
უჩვეული მოვლენა იყო. მაგრამ, ჩემი ფიქრით,  
თანამედროვე ქართულ პროზაში ამგვარი ნა-  
წარმოების შექმნას თავისი საფუძვლიანი გა-  
მართლება აქვს. ამ მხრივ საკულისხმოა არა  
მხოლოდ თვით ავტორის მიერ აღებული თემის  
ინტერნაციონალური მნიშვნელობა, რომელიც  
შესატყვის გადაწყვეტას მოითხოვდა, არამედ  
ზოგიერთი საკუთრივ ლიტერატურული ფაქ-  
ტორიც.

როგორც ცნობილია, მხატვრული ლიტერა-  
ტურის და საერთოდ ხელოვნების განვითარე-  
ბაში არსებობს ზოგიერთი შინაგანი კანონიზა-  
ციები, რომელთა გათვალისწინება აუცილ-  
ბელია ამა თუ იმ კონკრეტული შემოქმედებით-  
პროცესის გასაგებად. ლიტერატურული გან-  
ვითარება, როგორც საერთოდ ყოველგვარი გან-  
ვითარების პროცესი, თავისი საკუთარი წინააღმ-  
დეგობებით არ, როგორც დიალექტიკის ერთ-  
იტვიანი, უარყოფის უარყოფით ხასიათდება.

შეიძლება ამის დამადასტურებელი არაერთ  
მაგალითის მოყვანა. ერთი გამოჩენილი ფრანგი  
მოაზროვნის სიტყვით, მაგალითად, ფრანგული  
კლასიციზმი, როგორც გარკვეული ფორმალუ-  
რი მიმართულებით, თავის დროზე წარმოადგენ-  
და შუასაუკუნეობრივი ველურობის და ამორ-  
ფულობის უარყოფას, ხოლო რომანტიკული  
სკოლის წარმოშობის ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ  
სტიმულად ის ბუნებრივად რეაქცია უნდა გამო-  
დარჩეს, რომელსაც იწვევდა სწორედ კლასი-  
ციზმის მიერ დათანხმებული მკაცრი და უსი-  
ცოცხლო ფორმები. თუ ამ თვალსაზრისს გავი-  
ზიარებთ, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ

ქართულ საბჭოთა მწერლობაში საქმოდ მომწოდებული იყო ნიადაგი ისეთი ფორმის ნაწარმოებთა შესაქმნელად, როგორცაა არჩილ სულაკაურის ხედავნილი მოთხრობა.

მათალია, უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ქართულმა პროზამ მოგვეცა არაერთი გაბედული რეალისტური განზოგადების შემდეგი ნაწარმოები, მაგრამ დასაძლი არ არის, რომ ჩვენს მწერლობაში სწორედ ამავე წლებში ძალზე გავრცელდა იმგვარი ყადის ბელეტრისტიკა, რომელიც ერთი გოჯითაც ვერ ცილდებოდა ყოველდღიური სინამდვილის ემპირიულ ფაქტებს: მე მხეველობაში მაქვს ის უზღვავი რაოდენობა ნარკვევის ტიპის მოთხრობებისა, რომლითაც წლითაწლებით ივსებოდა ჩვენი ქურნალ-გაზეთების ფურცლები. ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში შექმნილ ამგვარ ვითარებას შეუძლებელი იყო თავისი საპასუხო რეაქცია არ გამოეწვია.

„ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფიან“ ჩემი აზრით ერთ-ერთი მხატვრულად ყველაზე სინტერესო მოთხრობაა იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც ქართულ მწერლობაში შეიქმნა ომისა და მშვიდობის თემაზე.

უკვე თავის ამ პირველ მოთხრობაში არჩილ სულაკაური ისეთ სიმაღლებს შეეჭიდა, ისეთი ფართო რეზონანსის თემას შეახო ხელი და ისეთი შინაგანად მნიშვნელოვანი ფორმები აირჩია, რომ იგი ბუნებრივად აღმოჩნდა ჩვენი მკითხველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში. შეძლება ითქვას, რომ ეს იყო ახალგაზრდა მწერლის ძალზე გაბედული შემოქმედებითი განაცხადი და ამის შემდეგ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. შეძლებდა თუ არა იგი თავის მომავალ ნაწარმოებებში ამ მაღალი დონის შენარჩუნებას.

ალბათ ბევრ ჩვენთაგანს აეჭვებდა იმ დროს ერთი ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი საკითხი: იყო ეს ნაწარმოები თვით ავტორის შინაგანი სულიერი გამოვლილებისა და მისივე საკუთარი, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ძიების ნაყოფი, თუ მხოლოდ ლიტერატურული შეგვირდობის გზაზე მოპოვებულ დროებით წარმატებად უნდა მიგვეჩინა.

მართალია, არჩილ სულაკაურს არ გაუცია პირდაპირი პასუხი ამ კითხვაზე. თავის შემდგომ ორ მოთხრობაში „წყაღდილობა“ და „მტრედები“ მან სრულიად სხვა თემატიკურ მასალას და შესაბამისად განსხვავებულ მხატვრულ ფორმებს მიმართა, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს მისი მოოხრობების პირველი წიგნი, შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ მათი ავტორის სახით ქართულ პროზას შეემატა ნამდვილი შემოქმედებითი მომავლის მქონე, თავისებური მხატვრული ხედვისა და მასწავლი ინტელექტის მწერალი.

არჩილ სულაკაურის მოთხრობების ზოგიერთი თავისებურება უადრესად ნიშანდობლივია ჩვენი დროისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ახალი ქართული ლიტერატურა ხელოვნების სხვა სახეობებთან ინტენსიური ურთიერთშემოქმედების პროცესში ვითარდება. კერძოდ, ჩვენი დროისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის სერიოზული ზეგავლენა, რომელსაც ახდენს თანამედროვე კინოხელოვნება ლიტერატურის სხვადასხვა ენაზე, უპირველეს ყოვლისა მხატვრულ პროზაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი კინორეჟისორები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ არჩილ სულაკაურის შემოქმედებისადმი. მისი ნაწარმოებების უმრავლესობა ისეთ ელემენტებს შეიცავს, რომლებიც თითქმის მზა მასალას წარმოადგენენ ეკრანისათვის. კინემატოგრაფიული სიმბოლის პრინციპებზეა აგებული მთელი რიგი სცენებისა არჩილ სულაკაურის პირველ მოთხრობაში. გავიხსენოთ თუნდაც ღია სამარის სახე, რომელიც შეხანიშნავ მხატვრულ გაზრებას შეიცავს, კინემატოგრაფის საქმიანობის ენის აქტიურ შემოქმედებას. გვიდასტურებს აგრეთვე „მტრედები“ ძირითად მიზანსკენათა შინაგანი აგებულება.

თუ რამდენად ნაყოფიერი იყო არჩილ სულაკაურისათვის თანამედროვე რეალისტური კინოხელოვნების მთელი რიგი საიდუმლოებების შემოქმედებითი ათვისება, ამას ნათლად მოწმობს მისი პირველი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი მხატვრული წარმოსახვის პლასტიკურობა, წინა და მორეზარისხილვანი პლანების ოსტატური შეთავსება, და თვით სიუჟეტის აგებისა და განვითარების ახალი ხერხები, რომლებიც ნათლად შეიმჩნევა ლიტერატურული სცენის ელემენტებში. აქ, რასაკვირველია, პირველ რიგში ლაპარაკია ზოგადი ხასიათის მხატვრული პრინციპების შემოქმედების გამოყენებაზე და არა უბრალო მიმბაძვლობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ახალგაზრდა მწერალმა ვერ გაუძლო მეორე ხასიათის ცდუნებასაც, რაც პირადად ჩემთვის სრულიად გასაგებია და თავისთავად დიდი ცოდვა არ უნდა იყოს. შეიძლება ითქვას, რომ აქ ადგილი ჰქონდა ერთ დამახასიათებელ და საერთოდ ახალგაზრდა მწერლისთვის გასათვალისწინებელ კანონზომიერებას: როგორც კი აღნიშნული შემოქმედების პროცესი გასცდა ზოგადი ხასიათის პრინციპთა შემოქმედებითი ათვისების ფარგლებს და კონკრეტული სიუჟეტური მოტივების ან სხვა ელემენტების სფეროს შეეხო, იგი გაუმართლებელი და საზიანო აღმოჩნდა ავტორისათვის.

ასე, მაგალითად, მოთხრობებში „ხვეითი და ქვეითი“ და „უქეთუ გაცდუნებდეს“ ზოგიერთი თანამედროვე საზღვარგარეთული ფილმის უშუ-



აღო გავლენით შეტანილმა ელემენტებმა, ჩემი აზრით, ერთგვარი ხელოვნურობის ელფერი შესძინეს ხსენებულ ნაწარმოებებს. შეიძლება სხვა შემთხვევაში არ შევჩერებულაყვი ამ გზარემოებაზე, რომელიც თავისთავად ქერძო, წერილმან ფაქტს წარმოადგენს, მაგრამ, ჩემი ფიქრით, იგი გარკვეული თვალსაზრისით დამახასიათებელია არჩილ სულაკაურის შარშან გამოქვეყნებული მოთხრობებისათვის. უნდა ითქვას, რომ თავის პირველი სამი მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ, რომლებიც ჩვენი დროისათვის მნიშვნელოვან თემაზეა დაწერილი და ნამდვილ შემოქმედებითი ფიქრისა და დაცვირების ნაყოფს წარმოადგენს, არჩილ სულაკაურმა ერთგვარად შეტულა, ხელოვნურად დააწერა ილიმანა თავის თემატიკა. მან თითქოს სწავნებულად გააუხვია დროებითი ცდების, ახალი მხატვრული ხერხების მოსინჯვისა და დამკვიდრების გზისკენ.

შემოქმედებითი ექსპერიმენტი საერთოდ აუცილებელია ლიტერატურაში და განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლისათვის. ამის გამო მიზანშეწონილი არ იქნებოდა ამ მოთხრობების ავტორის მიმართ ზედმეტი სიმკაცრის გამოჩენა, თუ მან თავის ძიებებში რაიმე მარცხი განიცადა. მაგრამ პირადად მე სერიოზულად მაეკუვებს ერთი ტენდენცია, რომელიც აქ თვით სინამდვილისადმი, ობიექტური მასალისადმი მიდგომაში, ე. ი. მხატვრული შემოქმედების ძირითად სტერეოში იჩენს თავს.

არჩილ სულაკაურის ზოგიერთ შარშანდელ მოთხრობაში მეტნაკლებად იგრძნობა თავისებური მანერულობის, ხელოვნურობის საშიშროება და ამასთან ერთად ერთგვარი სქემატიზმი, ე. ი. სწორედ ის ელემენტი, რომელიც აღვნიშნე თამაზ ჭილაძის მოთხრობის განხილვისას.

მაგრამ აქ ეს თვისება სრულიად სხვა წარმოშობისაა. თუ თამაზ ჭილაძესთან იგი გაპირობებული იყო იმით, რომ ავტორმა ვერ შესძლო მის მიერვე ძალზე უხვად, ყოველგვარად ორიზრების გარეშე აღებული სინამდვილის დამორჩილება, არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში ეს ელემენტი, ჩემის აზრით, სწორედ ობიექტური მასალისადმი ერთგვარი მხატვრული ძალდატანების შედეგს წარმოადგენს.

არჩილ სულაკაურის უკანასკნელი მოთხრობების კითხვისას ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მას თავის ნაწარმოებში მიმდინარე მოქმედება, პერსონაჟების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება წარმოდგენილი აქვს როგორც ფიგურების გარკვეული დისპოზიცია საზადრკო დაფაზე. და იგი ხშირად ისეთ სვლებს აკეთებს, რომლებიც შესაძლებელია ოსტატობის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტური შთაბეჭდილებას ახდენენ. მაგრამ ბოლომდე გამართლებულნი არ არიან თვით

პერსონაჟების, ე. ი. ცოცხალი შინაგანი ბუნებით, მათი ხასიათების შინაგანი აღმართული ლოგიკით.

ცხადია ეს არ ემება არჩილ სულაკაურის ყველა შარშანდელ მოთხრობას. კერძოდ, ამის თქმა არ შეიძლება „გაბოზე“, რომელიც, ჩემი ფიქრით ბრწყინვალე რეალისტური ნაწარმოებია და სწორედ დიდი აღმართული სიმართლით და სითბოთი გვაღვლეებს. მაგრამ ამგვარი ტენდენცია მკვეთრად იგრძნობა, მაგალითად, მოთხრობაში „უკეთუ გაცდუნებდეს“.

ეს ნაწარმოები დაწერილია მეგობრული ეთაქის, მამაკაცი გამტანობის თემაზე. მოთხრობას საფუძვლად უდევს ინტიმური ხასიათის ამბავი, მაგრამ მისი თემა შეიძლება უფრო ფართოდ იქნას გაგებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საერთოდ ეგოისტური ფსიქოლოგიის, სულიერი სიმხდალის, „გულნამკეთობისა“ და ფარსევლობის წინააღმდეგ დაწერილი ნაწარმოები. ამ მხრივ თავისი შინაარსით „უკეთუ გაცდუნებდეს“ მკვეთრად გამოირჩევა არჩილ სულაკაურის სხვა შარშანდელი მოთხრობებისაგან, ენაიდან თავისი ჩანაფიქრით ეს არის შინაგანად პოლემიკური, ჩვენი დროისათვის ნამდვილად აქტუალური ნაწარმოები. მაგრამ აქ სინამდვილიდან თითქოს ცოცხლად აღებული, თავისთავად ნამდვილად მწკვევე და ამდღევანდელი ამბავი ისეთ პირობითს ქარგავსა გადატანილი, რომ იგი შესამჩნევად ჰკარგავს თავის ამ არსებით თვისებას.

მინდა ვთქვა, რომ პირადად მე ნამდვილად მეგვრა ავტორის გულწრფელობა, ის ნამდვილი აღმართული მოთხრობილება, რომელმაც მას ეს მოთხრობა დააწერინა. მაგრამ წერის პროცესში წმინდა ფორმალურმა და, შეიძლება ითქვას, ტექნიკურმა მხარეებმაც თითქოს პირველ პლანზე გადმოინაცვლა და საგრძნობლად შეანელა, დაჩრდილა ის მთავარი, რისთვისაც მოთხრობა იყო დაწერილი. სინამდვილის ცოცხალი მასალისადმი ერთგვარი ძალდატანების ელემენტები იგრძნობა თვით ამ ნაწარმოების სიუჟეტურ მონახაზში, რომელიც პერსონაჟთა მოქმედებას განსაზღვრავს; ამიტომ ამ უკანასკნელთა საქციელისა და მსჯელობის მანერა ზოგჯერ ხელოვნურობის, პირობითობის შთაბეჭდილებას ტოვებს, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ავტორს შეგნებულად შეაქვს მათში ბუნებრივობის, ჩვეულებრივობის ელემენტები (თუმცა, ჩემი აზრით, პერსონაჟთა ლექსიკაში ძნელად შეიძლება გავამართლო ისეთი საწინააღმდეგო ელემენტების ერთდროულად არსებობა, როგორცაა, მაგალითად, „მერმე“ და „იქისრა“).

მაგრამ მთავარი აქ ენა და მეტყველების სტილი როდია. არაბამაჯერებელია ზოგჯერ თვით დიალოგის შინაგანი მოტივირებაც, ძნელია, მაგალითად, იმის დაჯერება, როდესაც მოთხ-



რობის მთავარი გმირი (რომელმაც ეს-ეს არის შეიტყო, რომ მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი შეეწირა მისივე მეორე მეგობრის სრულიად მოულოდნელ მდაბალ საქციელს) მიდის ამ უკანასკნელთან და ობიექტური გამოძიებლის სიამეფილი უსვამს მას ერთადერთ კითხვას: „მოთხარი, იყავი თუ არა შენ იმ საღამოს სოფლისთან?“. აქ ეს გადაჭრული, ქარაგმული კითხვა, რომელიც შესატყვისი ქვეტექსტს გულისხმობს, მით უფრო შეუსაბამოა, რომ ადამიანს, რომელიც ამ სიტყვებს წარმოთქვამს, არ შეიძლება ამ შესწევადეს არა თუ ქვეტექსტებით საუბრის, არამედ საერთოდ ხმის ამოღების ძალა. აქ მოთხრობის გმირს შეუძლია ჩაიღინოს ყველაფერი, რაც საღი გონებისთვის წარმოუდგენელია, რაც მართლა არღვევს ჩვეულებრივ, ფხიზელი ადამიანური საქციელის ლოგიკას.

მაგრამ ავტორი თავის გმირს კარნახობს, სწორედ იმ სიტყვებს, რომლებიც ყველზე მეტად ესაიკრება თვითონ მას (ავტორს, და არა გმირს), რადგან ავტორის ჩანაფიქრით სწორედ ეს გმირი უნდა ჩაღვეს გამოძიებლის როლში; წინააღმდეგ შემთხვევაში დაიშლება ნაწარმოების მთავარი მიზანსცენის გეგმა, არ შედგება „სასამართლო“, რომელიც ამ მოთხრობის კულმინაციურ ეპიზოდს წარმოადგენს.

ამგვარად მოთხრობის ფორმალურ, ტექნიკურ გამართულობას ეწირება ნამდვილი ცხოვრებისეული სიმართლე. მე მიინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ ნაწარმოებებში არის უდავოდ ბრწყინვალედ შესრულებული ადგილები, შენაწინაფი მხატვრული დეტალები. არჩილ სულაკაური ფრთხილი და დაკვირვებელი მხატვარია, მას ძლიერად აქვს ვანვითარებული მხატვრული ზომიერების გრძნობა; შეიძლება ითქვას, რომ, როგორც შემოქმედელი, იგი ყოველთვის მაღალი გემოვნების მკითხველს გულისხმობს. იგი, როგორც წესი, ერიდება მყვირალა საღებავებს და უფრო ხშირად ნახევარტონებისა და თავშეკავებული მინიშნებების ენას მიმართავს. მაგრამ არის მომენტები, როდესაც ხელოვნებაში ზომიერება და ნახევარტონები თავის მხატვრულ გამართლებას ჰკარგავენ. ასეთ შემთხვევაში მხატვრის თავშეკავება გულგრილობაში გადადის, ხოლო ზომიერება ინდიფერენტისმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩემი ფიქრით ეს არის დიდი ხელოვნების ერთ-ერთი კანონზომიერება და აქ ვერ გამოგვაღდება ვერც ჰემინგუეის მავალით, რადგან ჰემინგუეისთან დიალოგი მაშინაც კი, როდესაც იგი ვარჯუნულად სრულიად უმნიშვნელო და განურჩეველია, შინაგანად საოცრად მძაფრი და ვნებიანი განცდით არის დატენილი.

როგორც უკვე აღვნიშნე, არჩილ სულაკაურს გარკვეული რებუტაცია აქვს ჩვენს მწერლობა-

ში. პირადად ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი და ამაღლებელია როგორც ყოველმისი გამარჯვება, ისე შეცდომებიც, რადგან ის წარმოამდგება მწერლად, რომელსაც ბევრი რამ აქვს, რათა თავისი თაობის ნამდვილი სულისკვეთება და სათქმელი გამოიხატოს.

მე მგონია, რომ ის, რაც აქ არჩილ სულაკაურის ზოგიერთ შარშან გამოქვეყნებულ მოთხრობაზე ითქვა, გარკვეული თვალსაზრისით საველისხმო და დამასასათებელია ჩვენი თაობის სხვა წარმომადგენელთა შემოქმედებითი პრაქტიკისათვის, კერძოდ იმ მწერლებისთვის, რომელთა ნაწარმოებებს განსაკუთრებით ვერცაღ შეეხებ ჩემს წერტილში.

ეს ახალგაზრდა, ქართულ მხატვრულ პროზაში სულ ახლახან მოსული ავტორები, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვან და რთულ საქმეს აკეთებენ. მათ მიზნად აქვთ დასახული გამოხატონ თავისი თაობის თანამედროვე ქართველი მოწინავე ახალგაზრდა ადამიანის ახალი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მისი ეთიკური მარწმანი და ესთეტიური იდეალები.

მათი ნაწარმოებების მთავარი გმირი თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტია. ენაა საკმაოდ რთული შინაგანი აგებულების ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ მოქმედებს, არამედ აზროვნებს, ფიქრობს, განსაკუთრებულ სიმახვილით რეაგირებს სინამდვილის ობიექტურ მოვლენებზე. ეს ის ადამიანია, რომლის სულიერი სამყაროს გამოხატვა განსაკუთრებულ სიღრმეს, დაკვირვებასა და სიფაქიზეს მოითხოვს მხატვრისაგან.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მწერლობაში გარკვეული პერიოდის მანძილზე ინტელიგენციის თემა მეორეხარისხოვან და ერთგვარად საეჭვო თემადაც იყო მიჩნეული. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები. ინტელიგენციის ხასიათი ჩვენს მწერლობაში ხშირად წარმოსახებოდა სტანდარტული წინასწარაღებული სქემით, და იგი ზოგიერთების შეგნებაში თანდათან იქცა სულიერი დაძაბუნების, მეტყობისა და უსუსტრობის სინონიმად.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამის გამო სრულიად კანონზომიერია ამ თემისადმი ყურადღების გამახვილება და სწორედ ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიე ამ წერილში ვსვოდენ დიდი ადგილი დამეთმო სწორედ იმ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს მივიდნენ ამ თემისთან. მე ფიქრობ, რომ ისინი შედარებით უფრო რთული ამოცანების წინაშე დგანან, ვიდრე მათი სხვა არანაკლებ ნიჭიერი თანამოაკლებები.





რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ საბჭოთა მწერლების უფრო მდიდარ ტრადიციებს დაეყრდნონ.

ლიტერატურაში ახალი თემის დამკვიდრების, სინამდვილის ახალი კუთხით ასახვის გზა მძიმე და რთული გზაა. კიდევ უფრო ძნელია შენი შეოქმედებით გამოხატო ის მთავარი და არსებითი, რაც შენი დროის ადამიანთა ნამდვილ სულისკვეთებას, ნამდვილ სულიერ საჭიროებას შეესაბამება.

არჩილ სულაკაურისა და თამაზ ჭილაძის მოთხოვნებს აქვთ ერთი უდავო ღირსება. მათს ნაწამოებებში გათვალისწინებულია ის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ძეგრა, რომლებიც ჩვენი დროის ადამიანთა შეგნებაში, განწყობილებებში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მხატვრულ გემოვნებაში ხდება.

ჩემი ფიქრით ამ მხრივ მათი შემოქმედება საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რაც მასში პოზიტიურად არის მოცემული, არამედ იმიტომ, რასაც ისინი ებრძვიან და უარყოფენ.

არჩილ სულაკაური და თამაზ ჭილაძე ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობის მხატვრები არიან.

მაგრამ ორივე ამ მწერლისათვის ლიტერატურა, მხატვრული შემოქმედება წარმოდგენილია გარკვეული არტისტიზმის გარეშე. აქედანაა მათი გამახვილებული ყურადღება ფორმისადმი. მათს პირველ ნაწარმოებებში განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენის არა მხოლოდ მსოფლმხედველობრივი და ეთიკური, არამედ ესთეტიკური შეფასების ცდაც, რის გარეშე ხელოვნების არსებობა საერთოდ გაუმართლებელია. მაგრამ ამ მწერლების მხატვრულ პრაქტიკაში შეიმჩნევა ზოგი ისეთი უკიდურესობის საშიშროებაც, რომლის შემდგომი განვითარება შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს მათი შემოქმედებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით მინდა შევჩერდე ერთ დამახასიათებელ გარემოებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შარშან ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსების შემოქმედება გარკვეული კრიტიკული პათოსით იყო აღბეჭდილი, განსაკუთრებით მძაფრი იერიში იქნა მიტანილი თანამედროვე მეშინაობის წინააღმდეგ.

ეს არ არის შემთხვევითი. მეშინაობას თავისებური დამოკიდებულება აქვს ინტელიგენციასთან. ყოველ ჩვეულებრივ ობიექტულ სულის სიღრმეში თავისი თავი რჩეულ არსებულ მიაჩნია და მას განსაკუთრებით თავი მოსწონს ე. წ. „სული არისტოკრატიასთან“ სიახლოვეთ. ხშირად სწორედ ინტელიგენტურ ფრაზეზასა და

მანერებს მიმართავს, წლებზე ფენი იღვამს, რათა მისი ჩვევები გადაიღოს და სწორედ ამგვარად ჩირქს ცხებს, ლაფში სვრის მის სახელს. შემთხვევითი არ არის, რომ მეშინაობის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში ხშირად სწორედ ინტელიგენციის თემასთან იყო დაკავშირებული.

როდესაც მწერალს ნამდვილად სძულს თავისი მტერი და მასთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს იგი ბუნებრივად უნდა ცდილობდეს არც ერთი ხერხი არ დაუტოვოს მას; მითუმეტეს, თუ ეს უკანასკნელი გამოცდილი და გარკვეული სოციალური იმუნიტეტის მქონე მოწინააღმდეგეა. აქ საუბრობა დიდი სიფრთხილე და მკაფიო შეურაცხებელი პოზიცია. სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენისადმი მხოლოდ ესთეტიკური კრიტიკიუმით მიდგომა ზოგჯერ სწორედ მწერლის პოზიციისთვის ხდება საზიანო.

ახალგაზრდა ინტელიგენტის თემა ის დიდი თემაა, რომელზეც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ეპოქალური მნიშვნელობის ნაწარმოებები შეიქმნა.

ახალგაზრდა ინტელიგენტები არიან შექსპირის ჰამლეტი და გოეთეს ვერტერი, ბალზაკის „დაკარგული ილუზიებისა“ და ალფრედ დე მიუსეს „საუკუნის შეილის აღსარების“ გმირები.

ჩემი ფიქრით თანამედროვე ქართველი ინტელიგენტის სულიერი ცხოვრება საესეა ისეთი შინაგანი კოლიზიებით, რომელთა შესატყვის მხატვრულ ფორმებში აღბეჭდვა მნიშვნელოვნად გაამძიდრებს ჩვენი მწერლობის საგანძურს.

მაგრამ აქ აუცილებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება.

დღევანდელი ქართველი ინტელიგენცია არამც და არამც არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სოციალურ კასტას. მისი სულიერი სიმდიდრე, მისი შინაგანი სამყაროს ობიექტური მნიშვნელობა სწორედ იმით არის გაპირობებული, რომ იგი განუყოფლად შერწყმულია თავისი ხალხის ბედობალებთან, და ამ ხალხის ისტორიულ ინტერესებისა და სწრაფვის გამოხატვა მართებს.

მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ქართველ ხალხს დღეს ესპირობება არა მხოლოდ მწერლის შინაგანი მხატვრული სიმართლე, ე. ი.



არა მხოლოდ ლიტერატურის სპეციფიური კანონებით გამართლებული და სწორი სახეება, არამედ ის მთავარი საზრდოც, რომელიც მწერლობამ უნდა მიიტანოს ხალხთან.

არსებობს ერთი სიტყვა, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქართულ ლექსიკონში, ეს არის „სნობიზმი“. ამ უცხოური წარმოშობის სიტყვას თავისი ისტორია აქვს. მწერლობაში იგი დაკავშირებულია არა მხოლოდ ლიტერატურული მოდიო გატაცებასთან, არამედ ესთეტიკურ ხელუკარებლობასთანაც, სინამდვილისადმი გულგრილ ან განუჩიველ დამოკიდებულებასთან.

მე არ მინდა ეს სიტყვა დაეუკავშირო ჩვენი

ახალგაზრდა ქართველი მწერლების შემოქმედებას, რადგან ვიცი და მჯერა, რომ მათ სულის სიღრმეში თავისი საქმე, თავისი შემოქმედებითი აწყობა და მერმისი წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ თავისი ხალხის ცხოვრებასთან, მის დღევანდელ დღესთან და მომავალთან, მის ნამდვილ ტკივილებთან და ნამდვილ იმედებთან ურღვევ კავშირში. მე მწამს, რომ ისინი გაუძლებენ იმ დიდი ლიტერატურის გამოცდას, რომელიც ქართველი ერის შეგნებაში არის არა მხოლოდ ხელოვნება, არამედ მეორე სინამდვილეც, და რომლის სამსახური ქართველი მწერლისგან მხოლოდ ნამდვილ ვნებებს, ნამდვილ ტკივილსა და კემპარიტ მსხვერპლს მოითხოვს.





## კომუნიალიზმის დღეები დათვლილია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც ერთსულადაა მოიწონა და მიიღო სკკპ XXII ყრილობამ, თანამედროვეობის უდიდესი დოკუმენტია. იგი წარმოადგენს გაცივროვნებული ხვალისდელი დღის — კომუნისტური საზოგადოების შენების დიად პროგრამას, ხალხთა ბედნიერების, საყოველთაო მშვიდობისა და თავისუფლების ქართის. მასში უდიდესი სიღრმითა და სიცხადითაა გაშუქებული საბჭოთა ხალხისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ამოცანება კომუნიალიზმის მშენებლობის საქმეში. მეტად დიდაა მისი კეთილშობილური ზემოქმედება მსოფლიოს ხალხებზე, პირველ რიგში კი იმ ხალხებზე, რომლებიც ახლახან გამოვიდნენ დამოუკიდებლობის გზაზე ან განაგრძობენ ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ასეთივე მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ისტორიული XXII ყრილობის რეზოლუციის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო. ამ დოკუმენტშიც დასახულია კომუნიალიზმისაკენ საბჭოთა ხალხის წინსვლის ნათელი ამოცანები.

სკკპ ახალ პროგრამაში თანადროულობის სხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად მოცემულა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი პროცესის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, განსაზღვრულა მასი ისტორიული შედეგები და განვითარების პერსპექტივები. ამ დოკუმენტებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციათა გამარჯვება შეფასებულია, როგორც მეორე უდიდესი მოვლენა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის შემდეგ. ეს პროცესი, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია მშვიდობისა და დემოკრატიულობის განადგებულ სახალხო მოძრაობასთან, მიჩნეულია იმპერიალიზმის რევოლუციური ნგრევის მძლავრ ფაქტორად.

მსოფლიო ცხოვრობს მღვლეარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქაში — ვეითხულობთ პროგრამაში, — სოციალიზმის წარმოშობა მოასწავებს, რომ დადგა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების ერა<sup>1</sup>. მოტანილი შეფასება ისტორიული სინამდვი-

ლის ზუსტი ანარეკლა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციათა ქართველი, რომელიც დიდი ოქტომბრის გამარჯვებით დაიწყო და სოციალიზმის სისტემის შექმნით განტურ მასშტაბს მიადწია, ამჟამად კოლონიური სისტემის დანგრევით გვირგვინდება. ერთობის მანძალზე მაღიარდ ნახევარზე მეტადამიანი საბოლოოდ განთავისუფლდა კოლონიური ჩაგრვის უღლისაგან და ეროვნული აღორძინების ნათელ გზას დაადგა. მსოფლიოს პოლატიკური რუკა მკვეთრად შეიცვალა, კოლონიური იმპერიის ნანგრევებზე გაჩნდა 43 სუვერენული სახელმწიფო.

თითქმის ორმოცი წლის წინათ (1922 წლის დეკემბერში) დიდი ლენინი ნაშრომში „ეროვნებათა საკითხისათვის ან „ავტონომიურობის შესახებ“ წერდა: „ხვალისდელი დღე მსოფლიო ისტორიაში სწორედ ისეთი დღე იქნება, როცა საბოლოოდ გამოიღიებებენ იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები და როცა დაიწყება გადამწყვეტი ხანგრძლივი და მძავე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის“<sup>1</sup>.

ცხოვრებამ სავსებით დაადსტურა ლენინის ეს გენიალური წინასწარჩედა.

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების მძლავრა ტალა სპობს კოლონიურ სისტემას, არყევს იმპერიალიზმის საყრდენებს ყოფილი კოლონიებისა და ნახევარკოლონიების ადგილას შეიქმნა და იქმნება ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოები“<sup>2</sup>.

ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე შეაჯამა რა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რევოლუციური ნგრევის ეპოქალური წარმატებანი, განაცხადა: „ჩვენი საუყუნის საშროციანი წლები ისტორიაში შევა როგორც იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის სრულ ნგრევის წლები“, „კოლონიალიზმი განწირულია და იგი საბოლოოდ იქნება დისამარბული, ასეთია ხალხთა ნება. ასეთია ისტორიის მსვლელობა“<sup>3</sup>. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი-

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1961 წლის 1 ნოემბერი.

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1956, № 9, გვ. 26.

<sup>2</sup> პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, გაზ. „კომუნისტი“, 1961 წლის 2 ნოემბერი.

<sup>3</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1961 წლის 18 ოქტომბერი.



მძრობის მძლავრი დარტყმებით, — ვითხოვლობით სკპ XXII ყრილობების რეზოლუციაში, — ფაქტურად დაიშალა კოლონიური სისტემა<sup>1</sup>.

კოლონიალიზმის რევოლუციურ მსხვერვისა და ეროვნულ-განმათავსებელი მძძობის მრისხანე გრივალმა ძველი წესების უდიდესი ნგრევა ყველაზე აღრე აზიის დიდ მატერიაზე გამოიწვია. აზიის იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ევროპელ და ამერიკელ მოძალადეთა მძიმე უღლის ქვეშ გმინავდნენ, ზედნივდ მოიპოვეს პოლიტიკურა და-მოუკიდებლობა და სუვერენულ სახელმწიფოთა დიდი ოჯახის სრულფლებიანი წევრები გახდნენ.

აზიის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლებში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვება საერთაშორისო იმპერიალიზმსა და შინაგან რევოლუციურ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა. იგი წარმოადგენდა საერთაშორისო მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ყველაზე დიდ აქტს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მან ლახვარი ჩასცა კოლონიალიზმის პოზიციებს აზიაში და მით განაპირობა მასი სრული კრაზი მომავალში.

სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორის — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინელმა ხალხმა მოკლე დროში განახორციელა ქვეყნის დემოკრატიული გადახალისებისა და მის ბაზაზე სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დიდი და საპატიო საქმე. ამჟამად 670 მილიონი ჩინელი ხალხი წარმატებით აგვირგვინებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებას და მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიას, განვითარებული სოციალისტური მიწათმოქმედებისა, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის ქვეყნად აქცევა.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უშუალო დახმარებით იაპონელ კოლონიზატორთა ბატონობის უღელი დაამხეს და თავისუფლება მოიპოვეს ჩრდილო კორეის მშრომელებმა. იმავე საბჭოთა კავშირის უნაგარო დახმარებით მათ შექმნეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, განავითარეს ეროვნული ეკონომიკა და კულტურა, და ენერგიულა ბრძოლა დაეწაღეს ქვეყნის სრული ერთიანობისა და დემოკრატიული გარდაქმნებისათვის. ამერიკელ იმპერიალისტთა და ლი სინ მანის რეაქციული ხროვის აგრესიის განადგურების შემდეგ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა უშუალოდ ხელა მოკიდეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას. ამ საქმეში მათ უდიდეს დახმარებას

უწევენ საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო-რესპუბლიკა და სხვა სოციალისტური ქვეყნები. კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით ხანგრძლივი და მწვავე განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმატებით დაავითარვინეს ვიეტნამელმა მშრომელებმა. მათ თავადნი მოიშორეს ფრანგ კოლონიზატორთა და იაპონელ ოკუპანტთა მძიმე უღელი, შექმნეს დემოკრატიული რესპუბლიკა და ენერგიულად მიყვეს ხელი ახალი ცხოვრების მშენებლობას. ამჟამად ვაეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელი ინდოჩინეთის მშრომელთა მოწინავე ავანგარდს წარმოადგენს.

აზიაში კოლონიალიზმის კრაზის თვალსაზრისით დადმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინგლისის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ლეგიდაცია ინდოეთში და ამ დიდი სახელმწიფოს გამოსვლა ეროვნული სუვერენატეტის ასპარეზზე. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ფორუმის სრულფლებიანი წევრი გახდა აზიის მეორე უდიდესი სახელმწიფო, რომელიც თავისა ძველისძველი, მაღალი და თავისთავადი კულტურით საუკუნეთა მანძილზე უდიდეს გავლენას ახდენდა აზიას სხვა ხალხებზე, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შედარებით მოკლე ისტორიულ მონაკვეთში, ინდოეთმა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების, ეროვნული ეკონომიკისა, კულტურას განვითარებისა და კოლონიური წარსულის მძიმე მემკვიდრეობის დაძლევის საქმეში. თავისი სამშეადობო საგარეო პოლიტიკით, სხვადასხვა სოციალური სისტემების შქონე სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირ-ურთიერთობის დამყარებით და მშვიდობისათვის ენერგიულა ბრძოლით მან მალე მოიპოვა მსოფლიოს ხალხთა ავტორიტეტი და საერთაშორისო სზოვების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ინგლისელ, ფრანგ და ჰოლანდიელ კოლონიზატორთა ხანგრძლივი ბატონობის მძიმე უღელი მოიშორეს და დამოუკიდებელი განვითარების ასპარეზზე გამოვიდნენ ბირმის კავშირი, ანდონეზია, ცეილონი, კამბოჯა, მაღალი, ლაოსი... აზიის ამ ახალი სუვერენული სახელმწიფოების უზრაველსობამ პოზიტიური ნეიტრალიტეტის კურსი აიღო, დაგმო კოლონიალიზმი, ახალი ომის მზადება და აქტიური როლი შეასრულა მშვიდობის შენარუნების საქმეში. შინაგანი რეაქციისა და იმპერიალისტ კოლონიზატორთა გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად მათ მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს სოციალისტურ სისტემაში შმავალ სახელმწიფოებთან და მიიღეს მათა ეკონომიურ-ფინანსური და კულტურულ-მეცნიერული დახმარება. ბირმამ, ინდონეზიამ, ცეილონმა, კამბოჯამ პრაქტიკულად გამოიყენეს საბჭოთა კავშირას და სხვა სოციალისტური ქვეყნების მდი-

<sup>1</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1961 წლის 2 ნოემბერი.





დარი გამოცდილება, კერძოდ კი გვემუხი სა-  
წყისები ეროვნული ეკონომიკისა და კულტუ-  
რის განვითარების საქმეში.

თავის დროზე დიდი ალბა გულისტევილით  
აღნიშნავდა: აზია, რომელიც საუკუნეთა გან-  
მავლობაში კაცობრიობის კულტურისა და ცი-  
ვილიზაციას აყენად ითვლებოდა, ახალი დრო-  
სთვის იმდენად ჩამორჩა, დამატუნდა და ყვე-  
ლა ჯურის მოძალადეთა თვითნებობის ობიექ-  
ტად გახდა, რომ აზიელობა სამარცხვინო, სა-  
ბაიბურო სახელად იქცაო.

ახლა ეს დრო ისტორიას ჩაბარდა, წარსულის  
მიძიე მოგონებდა იქცა და არასოდეს განმე-  
ორდება. ამჟამად აზიის მატერიაში ისევ მალა  
აღმართა კაცობრიობის მოწინავე იდეალების,  
ახალი საყაროსაკენ წინსვლას დროში. აზიე-  
ლობამ ისევ დაიბრუნა მოქალაქეობრივი უფ-  
ლება. სიტყვას „აზიელი“ სიამაყით წარმოთქე-  
ვენ ამ დიდი კონტინენტის მცხოვრებლები.

კოლონიური სისტემის კრახი, ისიც მოკლე  
დროში, ყველაზე რელიეფურად გამოვლინდა  
აფრიკაში.

სულ ცოტახნის წინათ იმპერიალისტ-კოლო-  
ნიზატორებმა აფრიკის კონტინენტი, ან „შავი  
მატერია“, როგორც დაცინიეთ უწოდებდნენ  
მას, მშვიდ, უდრტივენელ პერიფერიალ ჰქონ-  
დათ წარმოდგენილი. არარაობამდე იყო დასუ-  
ლი მისი როლი მსოფლიო ისტორიულ პროცეს-  
ში. იმ მოკალათებული უცხოელი მოძალადეე-  
ბა საშუალებას არ აძლევდნენ მას მონაწილეო-  
ბა მიეღო თანამედროვეობის აქტუალური პრობ-  
ლემების გადაწყვეტაში.

იმპერიალისტებს ეკუთვნოდათ აფრიკის სა-  
ზღვაო, სახმელეთო და საჰაერო სამხედრო-  
სტრატეგიული ბაზები, მათ ხელში იყო მოქე-  
ული დიდი ბუნებრივი სიმდიდრე. იგი იყო  
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სანედლეული წყა-  
რო ინგლისისათვის, საფრანგეთისათვის, აშშ-  
სათვის, ბელგიისათვის, პორტუგალიისათვის, და  
ა. შ. აფრიკა იმპერიალისტური სახელმწიფოე-  
ბისათვის წარმოადგენდა ბაზარს, სადაც არაეკე-  
ვივალენტურ ფასებში იყიდებოდა დიდძალი  
სამრეწველო ნაწარმი, დასასრულ, აფრიკა კა-  
პიტალის დაბანდების მეტად ხელსაყრელ ასა-  
რებს წარმოადგენდა. იმ დაბანდებული მილი-  
არდები ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის-  
ა და მოსახლეობის იძულებითი შრომის მტა-  
ცებლური ექსპლოატაციის გზით დიდძალ ზემო-  
გებას იძლეოდა, რაც ათეულ საერთაშორისო  
მონოპოლისტთა ჯაბეში ჩადიოდა.

სოფლის მეურნეობის პრიმიტიული დონე,  
მრეწველობის თითქმის არარსებობა, მკვიდრი  
მოსახლეობის ცხოვრების უკიდურესად დაბა-  
ლი დონე, წერა-კითხვის უცოდინარობა, იძუ-  
ლებითი შრომის საყოველთაოდ გავრცელება,  
რასობრივა დისკრიმინაცია, სრული უუფლებო-

ბა, აი როგორი იყო კოლონიური ადრეული  
ნამდვილე.

ამ საეკალაო კოლონიურმა სინამდვილემ და  
მეორე მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიოში  
მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა მკვეთრად  
შეცვალა მდგომარეობა აფრიკის მატერიაზე.  
აზიის ხალხების განმათავისუფლებელი მოძრა-  
ობის დიდმა წარმატებამ, თავის მხრივ, წარუშ-  
ლელი შთაბეჭდილება მოახდინა მის მოსახლე-  
ობაზე და აამხედრა იგი კოლონიალიზმის ხუნ-  
დების დასაღწად, თავისუფლებისა და დამო-  
უკიდებლობის მოსაპოვებლად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად  
ამორჩავდა და ეროვნული სუვერენიტეტის მო-  
საპოვებლად გადაწყვეტი ბრძოლა გააჩნდა  
არაბულმა საყარომ. 1951 წელს იმპერიალის-  
ტურა მონობისაგან განათავისუფლდა და და-  
მოუკიდებლობა გამოაცხადა ლიბიაში. 1956  
წლის 1 იანვრიდან დამოუკიდებლობის ალბა  
ამართა და ბრიტანეთის კოლონიურ ბატონობას  
თავი დააღწია სუდანში. იმავე 1956 წელს  
ეგვიპტელმა ხალხმა ზედიზედ სამი ასტორიუ-  
ლი გამარჯვება მოიპოვა ინგლისისა და საერ-  
თაშორისო იმპერიალიზმზე; უკანასკნელმა ინ-  
გლისელმა ოკუპანტმა-ჯარისკაცმა დატე-  
ვიტის ტერიტორია, მოხდა სუეცის არხის  
საერთაშორისო კომპანიის ნაციონალიზაცია და  
სამარცხვინო კრახათ დამათვრდა ინგლის-საფ-  
რანგეთ-ისრაელის იმპერიალისტური აგრესია.  
1956 წელს აღინიშნა ტუნისელი და მ ა-  
როკოელი ხალხების განმათავისუფლებელი  
ბრძოლის დიდი წარმატებით. საფრანგეთის იმ-  
პერიალიზმი იძულებული გახდა ეცნო დამარ-  
ცხების ფაქტი და ხელი აეღო შემდგომ წინა-  
აღმდეგობაზე, 1956 წლის 2 და 20 მარტის  
ხელშეკრულებებით მაროკო და ტუნისი სუვე-  
რენულ სახელმწიფოებად გამოცხადდა. 1954  
წლიდან აღჭერელმა ხალხმა მიძიე, სის-  
ხლიანი სამეკდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და-  
იწყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის  
მოსაპოვებლად.

1957-1958 წლებში განმათავისუფლებელმა  
ბრძოლამ, რომელიც უშუალოდ „შავ აფრიკას“  
მოედო, თავისუფლება და დამოუკიდებლობა  
მოუტანა განისა და გვინეას ხალხებს.

1960 წლის პირველი იანვრისათვის აფრიკის  
კონტინენტზე უკვე 10 სუვერენული სახელმწი-  
ფო იყო, რომელთა მოსახლეობა მთელა აფრი-  
კის მოსახლეობის 40%-ს შეადგენდა. 1960  
წელმა უდიდესი წარმატებები მოუპოვა აფრი-  
კელ ხალხს. ტყუილად როდი უწოდეს 1960  
წელს აფრიკის წელი. 1960 წლის 1 იანვრიდან  
1961 წლის 1 იანვრამდე აფრიკის 17 კოლო-  
ნია შეემატა სუვერენულ სახელმწიფოებად დიდ  
ოჯახს (კამერუნი, ტოგო, სომალი, სენეგალა,  
მალი, ნიგერი, ზემო ვოლტა, დაგომეა, ჩადი,



სპილოს ძეგლის ნაპირი, ცენტრალური აფრიკა, გაბონი, მადრიტანაა, კონგო (ც. ბრაზვილი), კონგო (ც. ლეოპოლდვილი), მადაგასკარი, ნიგერია. 1961 წლის 1 მაისს კოლონიური უღლისაგან განთავისუფლდა ინგლისის ყოფილი კოლონია გვინეის ყურეში — ს ი ე რ ა ლ ე ო ნ ი. 1961 წლის 8 დეკემბერს დამოუკიდებლობა მოიპოვა ინგლისის ყოფილმა სამეურვეო ტერიტორიამ აღმოსავლეთ აფრიკაში — ტ ა ნ გ ა ნ ი კ ა მ. პლემბიციტის შედეგად 1961 წელს გაუქმდა ინგლისის მეურვეობა კამერუნის ინგლისის ნაწილზე. მისი ჩრდილო ნაწილი შეუერთდა ნიგერიის რესპუბლიკას, სამხრეთა — კამერუნის რესპუბლიკას.

ამგვარად, 1962 წლის დასაწყისისათვის აფრიკის სუვერენულ სახელმწიფოთა რიცხვმა 29-ს მიაღწია. მათზე მოდის აფრიკის ტერიტორიის 2/3-ზე მეტი და მოსახლეობის 78—79%. ეს აფრიკელი ხალხების მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებაა, რომელიც ძირეულად ცვლის ვითარებას ამ კონტინენტზე.

ამ უკანასკნელ წლებში სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებმა, რომლებმაც სერიოზული დარტყმა აგემეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმს და შინაგან რეაქციას.

ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ (პუერტო-რიკოს, მიკრო ანტილის კუნძულების, საფრანგეთ-პოლინდიის გვიანის და სხვათა გამოკლებით). მაგრამ ეს არის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რომელთანაც გადანაკვეთლია ეკონომიურ-ფინანსური დამოკიდებულება, საუფუნოებრივი ჩამორჩენა, ცხოვრების დაბალი დონე და მშრომელი მასების უუფლებობა. ჩამორჩენილი ეკონომიკის ცალმხრივ-მონოკულტურული ხასიათი, საერთაშორისო მონოპოლიტიკურ გავრთიანებათა (პირველ რიგში აშშ-ს) პარაზიმი, ეროვნულ-რასობრივი დისკრიმინაცია, სოციალური და ეროვნული კაბალა, შიმშილობა, უმუშევრობა, რეაქციული წრეების ბატონობა, ამერიკელ იმპერიალისტთა მუდმივი ჩარევა მათ შინაგან საქმეებში, აი ლათინური ამერიკის ქვეყნების სავალალო სინამდევლე.

მაგრამ ყველაფერს თავის დასასრული აქვს. ლათინური ამერიკის ხალხთა მოთმინების ფილა აივსო. არაადამიანურმა ცხოვრებამ და უკანასკნელ წლებში მსოფლაოში მომხდარი ცვლილებებმა ლათინური ამერიკის მოსახლეობა ააზნდრა შინაგან რეაქციისა და უცხოურ მონოპოლიათა ძალმომრეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. დემოკრატიულა ძალების ხელმძღვანელობით ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდნენ ინდიელები, კრეოლები, შაკანიანები, მულატები, მეტისები. მათ გააჩაღეს ბრძოლა

ეროვნული და სოციალური ჩაგვრის, უუფლებობის, შიმშილის, დისკრიმინაციის ყველა ფორმების, ამერიკელ იმპერიალისტთა თვითნებობის წინააღმდეგ. არგენტინაში, ჩილში, ბრაზილიაში, ვენესუელაში, ბოლივიასა და პანამის ყელის ქვეყნებში, თანდათანობით იგრძნობა დემოკრატიული ძალების ზრდა, მათი აქტიუობა, მათი მზარდი ზემოქმედება მთავრობათა პოლიტიკაზე.

ამ უკანასკნელ წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის ფართო ფენების განწყობილებასა და ცხოვრებაში მომხდარი ძირეული მობრუნების ყველაზე მკაფაო მაჩვენებელია სახალხო რევოლუციის ძღვევამოსილი გამარჯვება კუბაზე, უკანასკნელი ამებზე ბრაზილიაში, „ინგლისის“ გვიანასა და ღომინგოს რესპუბლიკაში.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ლათინური ამერიკის მშრომელთა უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს ბატისტას რეაქციული დიქტატურის დაშობა და ამერიკელ იმპერიალისტთა ბატონობის ლაკვიდაცია კუბაზე. ეს უდიდესი რევოლუციური აქტი კუბელმა ხალხმა განახორციელა დიდი პატრიოტის, მებრძოლსა და რევოლუციონერის ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით.

ბატისტას დიქტატურის დაშობამ კუბელ ხალხს შესაძლებლობა მისცა შეექმნა ეროვნულ-ხალხური ხელისუფლება, გაეტარებია რევოლუციური აგრარული რეფორმა და ხელი მოეციოდა მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის. რევოლუციამდე კუბა ამ შტატების ფაქტურ უუფლებო კოლონიას წარმოადგენდა, სადაც ამერიკული მონოპოლიები იყენებდნენ გაბატონებულნი. მათ ხელში იყო ამ კუნძულის წიაღისეული ნედლეული. რევოლუციამ ბოლო მოუღო ამერიკელ მონოპოლისტთა პარაზიმს და ქვეყანას დაუბრუნა დაკარგული თავისუფლება. რევოლუციის შედეგად შექმნალმა ახალმა ხელისუფლებამ ძირითად ამოცანად დასახა უცხოური ეკონომიურ-ფინანსური მონობისაგან სრული განთავისუფლება, საკუთარ ეროვნულ ნიადაგზე დადგომა, ფეოდალურ-მემამულურ მონათმფლობელობის რეკვიდაცია, და მშრომელი მასის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი ამაღლება და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგება.

აი რატომ შეეგება კუბის რევოლუციის გამარჯვებას სიხარულით და თანაგრძნობით თავისუფლებისა და დემოკრატიის ყველა მეგობარი; რატომ გამოიწვია მან საერთაშორისო იმპერიალიზმის გაბოროტება. კუბის რევოლუციის გამარჯვებამ აღაფრთოვანა ლათინური ამერიკის მშრომელი მოსახლეობა, იგი მათთვის გაბრძობის, თავდადების, საშუაველ მტრებზე გა-



დამწყვეტი ბრძოლის მისაბაძი ნიშნუი გახდა. ამიტომაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი კუბის რევოლუციის ჩასახშობად ინტერვენციასაც არ მოერიდა. მაგრამ დრონი იცვალენ, სამარცხვინო სამხედრო კრახათა და მორალური შერცხვებით დამთავრდა ეს ავანტიურისტული „წამოწყება“. გამარჯვებული კუბელი ხალხის გმირულმა წინააღმდეგობამ ლათინური ამერიკის მშრომელთა მრისხანე პროტესტმა, საბჭოთა კავშირის გაბედულმა მხარდაჭერამ ჩაშალა იგი. ასეთივე ბედი მოვიდა ამერიკელ იმპერიალისტთა ახალ ხერხგულ ზრახვებს თავისუფალი კუბელი ხალხის წინააღმდეგ.

ბრაზილიის დემოკრატმა პრეზიდენტმა ეანიო კუადროსმა და მისმა მთავრობამ ანგარიში გაუწიეს რა მოსახლეობის ფართო ფენების ერთსულოვან მოთხოვნას, მიიღეს რა მკვლევლობაში მსოფლიოში მომხდარი დიდი ცვლილებები, კერძოდ კუბის რევოლუციის მზარდი გამარჯვოლუციონერებელი ზემოქმედება ლათინური ამერიკის ხალხებზე, გადადგეს ზოგიერთი პროგრესული ნაბიჯები. მათ შეიმუშავეს აგრარული რეფორმის ჩატარების გეგმა, გვიჩაიდეს ეროვნული ეკონომიკის დანჭარებით განვითარებასა და ამერიკის მონოპოლისტურ გავრთიანებათა ეკონომიურ-ფინანსური დიქტატურისაგან თანდათანობით განთავისუფლებაზე; საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს სოციალისტურ ქვეყნებთან, მეტი ყურადღება მიაქციეს მათთან ვაჭრობას, განზრახეს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან და ა. შ. აღნიშნული ნაბიჯები წააწყდა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტ მაგნატების და მათი ადგილობრივი აგენტურის გააფთრებულ წინააღმდეგობას. მათ შეთქმულებაც კი მოაწყეს და იარაღის გამოყენების მუქარით აიძულეს პრეზიდენტი გადამდგარიყო. ბრაზილიის რეაქციულ-მილიტარისტული ძალები ამასაც არ დასჯერდნენ. ამ შტატების იმპერიალისტური წრეების მოთხოვნით ისინი შეეცადნენ ხელი შეეშალათ ერცეპრეზიდენტ უოო გულარტისათვის დაეკავებია პრეზიდენტის პოსტი და განზრახეს სამხედრო დიქტატურის დამყარება. ბრაზილიის მუშათა კლასმა, გლეხობამ, პროგრესულმა ინტელექტუელმა და სხვა პატრიოტულმა ძალებმა კარგად დაინახეს, თუ რა სერიოზული საფრთხე მოელოდა მათ ქვეყანას, მათ სასიცოცხლო ინტერესებს. მოსახლეობის უმრავლესობა აღსდგა კანონიერებისა და დემოკრატიულ უფლებათა დასაცავად. გულარტმა დაიკავა პრეზიდენტის პოსტი.

უოო გულარტის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის დაკავება, როგორც აღნიშნავდა თავის განცხადებაში ბრაზილიის კომპარ-

ტის გენერალური მდივანი ლუის კარლოს პრესტევი, ბრაზილიელი ხალხის დიდი გამარჯვება იყო. ბრაზილიის ამებემა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ „...ამერიკელ იმპერიალისტებს აღარ შეუძლიათ გააყეთონ კონტინენტზე ის, რაც სურათ“<sup>1</sup>. ბრაზილიის დემოკრატიული და პატრიოტული ძალების გამარჯვებამ მორიგი დარტყმა აგვიმა ამ შტატების იმპერიალიზმის პოზიციებს და ავტორიტეტს მთელ ამერიკაში.

სამხრეთ ამერიკაში ამაზონასა და ორინოკოს შორის მდებარეობს საკმაოდ ვრცელი ქვეყანა გვიანა, რომლის უდიდესი ნაწილი განაწილებული ჰქონდათ კოლონიურად ინგლისის, საფრანგეთსა და ჰოლანდიას. ინგლისელები ამ ბოლო დრომდე არჩინად გრძნობდნენ თავს „თავიანთ“ გვიანაში. ბრიტანეთის კოლონიურ ალამს იქ, თითქოს, რაიმე საფრთხე არ მოელოდა. უფლებო, დამშუული მკვიდრი მშრომელა მოსახლეობა მშვიდად ემსახურებოდა მეტროპოლისის გაბატონებულ კლასების ინტერესებს. მაგრამ ბრიტანეთის გვიანის მოსახლეობამაც გამოაღვიძა და მალა ამართა ეროვნული სუვერენიტეტის დროშა. მოსახლეობამ ერთსულოვანდ მოითხოვა დემოკრატიული კონსტიტუცია საყოველთაო არჩევნების ჩატარება და საკუთარი მთავრობა. ბრიტანელმა იმპერიალისტებმა კარგად დაანახეს, რომ ორი სისტემის ძალთა თანამედროვე განწყობისა და კოლონიალიზმის მსხვერვის პირობებში ძალის გამოყენება და აღნიშნულ მოთხოვნათა სავსებით უგულბებლყოფა უაზრო იქნებოდა. ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, გაეუქმებინათ კოლონიური კონსტიტუცია და 1960 წელს ახალი კონსტიტუცია მიეცათ გვიანსათვის. 1961 წლის 21 აგვისტოს ამ კონსტიტუციის საფუძველზე ბრიტანეთის გვიანაში ჩატარდა არჩევნები, რომელიც დამთავრდა დამოუკიდებლობის მომხრე სახალხო-პროგრესული პარტიის გამარჯვებით. უკვე შეიქმნა ეროვნული მთავრობა, რომელსაც გამარჯვებულ პარტიის ლიდერი მისი გენერალური მდივანი დიქტორი ჯანეტ ჯაგანს ჩაუდგა სათავეში.

დომინგოს რესპუბლიკის მშრომელმა მასებმა „თავი იწყვიტეს“, გაბედული ბრძოლა გამართეს ტრუხილოს სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ და დაამხეს მისი ხანგრძლივი ბატონობა. მაგრამ ამაზე არ შეჩერებულა მათი მედგარი შეტევა. აქამად ისინი არბქვიან ტრუხილოს ნაძირალების, ამ შტატების ფასიანი აგენტებისა და თვით ამერიკელ იმპერიალისტთა თეთნებობის წინააღმდეგ. მათ განზრახვა აქვთ ბოლომდე მიიყვანონ ეს ბრძოლა, დაძლიონ ყველა წინააღმდეგობა და მოიპოვონ.

<sup>1</sup> „კომუნისტი“, 1961 წლის 16 სექტემბერი.





ადამიანური უფლებები. დომინანტს მშრომელთა ბრძოლა ისევე საყოველთაო სახალხო და რევოლუციური ხასიათისაა, როგორც იყო კუბელი ხალხის ბრძოლა ბატისტას სისხლადანი დიქტატურის წინააღმდეგ. ასეთივე ბრძოლა მიმდინარეობს ამჟამად ეკვადორში, ვენესუელასა და სხვა ქვეყნებში.

1961 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში კოლონიალიზმმა კიდევ ერთი სასაკედილო კრილობა მიიღო. დიდმა ინდოელმა ხალხმა პორტუგალურ კოლონიზატორთა საუკუნოვანი ბატონობისაგან განათავისუფლა და დედამშობლოს დაუბრუნა გოა, დამანი და დიუ. აღწარმული ტერიტორიების მოსახლეობის ერთსულოვანი მოთხოვნების მიუხედავად, პორტუგალური კოლონიზატორები დიდა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხარდებურით დაეინებით უარყოფდნენ ინდოეთის რესპუბლიკის არაერთ მოთხოვნას — მშვიდობიანად მოგვარებულყოფილი მათი განთავისუფლება და ინდოეთის ამ განუყოფელ ნაწილებში რესპუბლიკის ალამი აღმართულიყო. 500 წლის განმავლობაში ძალით ჩამოშორებული ტერიტორიების დაბრუნებამ დედამშობლოსადმი ინდოელი ხალხის და მთელი პროგრესული მსოფლიოს აღფრთოვანება გამოიწვია.

1962 წლის პირველ იანვარს დამოუკიდებლობის ალამი აღმართა დასავლეთ სამოას არქიპელაგის (წყნარ ოკეანეში) მოსახლეობამ. ამ აქტით იგი შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახს და ეროვნული აღორძინების გზას დაადგა.

1962 წლის მარტში წარმატებით დაგვირგვინდა საფრანგეთის მთავრობასა და ალჟირის გამათავისუფლებელი ფრონტის დროებითი რესპუბლიკური მთავრობის წარმომადგენლებს შორის წარმოებული მოლაპარაკება — ალჟირში ცეცხლი შეწყდა. საფრანგეთმა იცნო ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება. ეს არის ალჟირელი ხალხის გმირული ბრძოლის იდილი გამარჯვება და საერთაშორისო კოლონიალიზმის მორიგი გამანადგურებელი მარცხი.

კოლონიური მონობის უღლის რევოლუციური მსხვერვის და ხალხთა განთავისუფლების იდილი პროცესის ისტორიული დამარჯვებების საყოველთაო აღიარებას წარმოადგენდა კოლონიალიზმის სრული და საბოლოო ლაკვიდაციის საკითხის დასმა გაერთიანებული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე 1960 წლის სექტემბრის თვეში, როგორც ცნობილია, ეს საკითხი მსოფლიოს ხალხთა ამ დიდი არეოპაგის წინაშე დასვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

კოლონიალიზმმა თავისი საშინელი ბოროტმოქმედებისათვის სასტიკი პასუხი უნდა აგოს,

სამარცხენო კოლონიური სისტემა, რომელიც აქა-იქ კიდევ ინარჩუნებს არსებობას, საბოლოოდ უნდა აღიგვას პირისაგან მიწისა. კოლონიური ხალხები საბოლოოდ უნდა გათავისუფლდნენ კოლონიური მონობისაგან, ეს ისტორიის კანონზომიერი და უღმობელი მოთხოვნა და განაჩენია. აი რას ნიშნავს აღნიშნული საკითხის დასმა მსოფლიოს სამსჯავროს წინაშე.

კოლონიური მონობის წინააღმდეგ მკაცრ საბრალმდებლო აქტად გაისმა საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული სიტყვა გენერალური ასამბლეის აღნიშნულ სესიაზე, რომელიც მიმდევნა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობას მინიჭების დეკლარაციის დასაბუთებას.

„განადრო არ არის დავიწყობ დამამთავრებელი შეტევა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა გენერალური ასამბლეის საპატიო ტრიბუნიდან, — იმის მსგავსად, როგორც ერთი საუკუნე-საუკუნე ნახევრის წინათ ცივილიზებულმა კაცობრიობამ დაიწყო შეტევა მონათავკობისა და მონათმფლობელობის წინააღმდეგ, დაასამარა ისინი და ამით ფართო გზა გაუხსნა საზოგადოების არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ განვითარებასაც“<sup>1</sup>.

ურყევი ფაქტებით დაასაბუთა რა კოლონიური რეჟიმის ყველა სახეობის სრული და დაუყოვნებლივი მოსპობის აუცილებლობა, ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით ასამბლეაში განსაზღვრულად შეიტანა რეზოლუციის პროექტი კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ<sup>2</sup>.

კოლონიალიზმის განწირულობა იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ამჟამად აღარ წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას და ამიტომ საჭირო აღარ არის მის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის წარმოება. ალჟირისა და ანგოლის ტრაგედია, დასავლეთ ირანისა და კუბის ამბები, ინგლისის კოლონიურა ძალადობა არაბეთის ნახევარ-კუნძულზე და სხვა მსგავსი ფაქტები ამის მჭერმეტყველი მაგალითებია.

კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ყველა კოლონიურ ქვეყანას როდა მთუშორებია თავიდან კოლონიური ჩაგვრის საზიზღარი უღელი, ამავე დროს თუ დღემ-

<sup>1</sup> გზ. „კომუნისტი“, 1960 წ. 25 სექტემბერი.

<sup>2</sup> იმის გამო, რომ კოლონიზატორულმა სახელმწიფოებმა არ შესარტლეს გენერალური ასამბლეის XV სესიის გადაწყვეტილება კოლონიური ხალხებისათვის უმოკლეს ვადაში თვითგამორკვევის მინიჭების შესახებ, გენერალური ასამბლეის XVI სესიამ ხელმოკრედ მიიღო სათანადო რეზოლუცია.





დე განმთავისუფლებელ ბრძოლის ძირითადი მიზანი იყო პოლიტიკურა და მოუკიდებლობის მოპოვება, ამჟამად, როდესაც სახელმწიფოების უმრავლესობამ მოიპოვა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ძირადად საბრძოლო ამოცანა მათი ეკონომიური და მოუკიდებლობის მოპოვება, კოლონიალიზმის ნაშთების აღმოფხვრა და საუკუნოვანი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

1962 წლის დასაწყისისათვის კოლონიური ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა 85 ტერიტორია 70 მილიონამდე მოსახლეობით. აფრიკაში კოლონიური მონობის ხუნდები ჯერ კიდევ ადევს 30—35 მილიონ აფრიკელს, აზიაში კოლონიზატორებს ხელთ უპყრიათ 15 კოლონიური ტერიტორია 10-11 მილიონი მოსახლეობით. დასავლეთ საყვაროში ამ შტატების უღელქვეშ იტანჯება 7 მილიონი მკვიდრა; ოკეანის აპასებით კუნძულის 3 მილიონი მკვიდრი მცხოვრები დღემდე კოლონიური მონის მდგომარეობაში იმყოფება.

კარგად გრძნობენ რა ისტორიისაგან განაჩენ-გამოტანილი იმპერიალიზმის კოლონიური სასტუმრის სრულ განწირულობას, კოლონიზატორული სახელმწიფოები მაინც ებღუშებიან მას და ცდილობენ გადასწიონ მისი სრული და საბოლოო აღსასრულის თარიღი. აფრიკა კოლონიალიზმის უკანასკნელი საყრდენია. ამიტომაც, რომ ინგლისელი, ფრანგი, ამერიკელი, ბელგიელი, პორტუგალიელი იმპერიალისტ-კოლონიზატორები და მათი დამქაშები ასე გააფთრებით, უხამსი საშუალებების ყველა ფორმების გამოყენებით აბრძვიან თავიანთი პრივილეგიების შენარჩუნებისათვის. ამიტომაც, რომ კოლონიალიზმის ფორმალური დაგმობისა და კოლონიებისათვის თავისუფლების მინაქების დაპირების მიუხედავად, საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებენ და აფრიკის ხალხთა თავისუფლების უზოროტესი მტრების როლში გამოდიან. აქმნება კოლონიზატორულ, სამხედრო-ავრისულ ბლოკებში გაერთიანებულ სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტი უკანასკნელი კოლონიური სამფლობელოების შესანარჩუნებლად.

აფრიკის მატერიკზე ჯერ კიდევ სისხლი იღვრება. ანგოლელი, მოზამბიკელი, პორტუგალის გვინეის პატრიოტები ახალ ენერჯიას იკრფენ პორტუგალელ კოლონიზატორთა ბატონობის დასამხობად. სამხრეთ აფრიკის კავშირში, სამხრეთ და ჩრდილოეთ როდესიაში, ნიასალენდში, კენიასა და სხვა ადგილებში აფრიკელი მოსახლეობა დღემდე განაგრძობს ბრძოლას იქ გამიფრებულ რასობრივი დისკრიმინაციის, უფუფლებობისა და მათხოვრული ცხოვრების წინააღმდეგ. იმპერიალისტური ხრთვის პარპაშისა და მაქინაციების შედეგად ბოლო არ უჩანს იმ ტრაგედიას, რომელიც თავს დაატყდა კონგოლზელ ხალხს. საერთაშორისო იმპე-

რიალიზმის დაქირავებული აგენტები ცდილობენ ბოლო მოუღონ ლუმუმბას ერთგულ თანამებრძოლს, კონგოლზელი ხალხის თავისუფლებისათვის ერთგულ მებრძოლს ანტუან გიზენგას. გმირ ალყირელ ხალხს, უკვე მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი სრულყოფილ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და ეკონომიური თავისთავადობის მოსაპოვებლად. ასეთივე მდგომარეობაა აფრიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ეროვნული აღორძინების გზაზე დამდგარი აზიის სახელმწიფოებისათვის, აფრიკის ახლად განთავისუფლებული ქვეყნებისა და ყველა კონტინენტის დამოკიდებული ქვეყნების ხალხებისათვის ყველაზე დად საფრთხეს წარმოადგენს ნეოკოლონიალიზმი, რომელიც ძველი კოლონიალიზმის ადგილს იკავებს. ნეოკოლონიალიზმი კოლონალიზმის შენიღბულ, მოქნილ და აძვენად მეტად საშიშ ფორმას წარმოადგენს. იგი გარეგნულად არ ემუქრება ახალ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, „მეგობრობას“ და „ეკონომიურ-ფინანსურ“ დახმარებასაც კი სთავაზობს მათ.

ამ პოლიტიკის უშუალო სულისჩამდგმელები და გამატარებლები არიან აშშ-ს უმსხვილესი მონოპოლისტური გაერთიანებები, მათთან კავშირში მყოფი ევროპელი მაგნატები და მთხურგს უკან მდგომი იმპერიალისტურა ძალები. ეკონომიურ-ფინანსური და ტექნიკური დახმარების საბაზით ისინი ასეულ მრჩეველს და სპეციალისტს აგზავნიან და სინამდვილეში ფესვიედებენ ამ ქვეყნებში მათი ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდების, დაბანდებულ კაპიტალზე სარფიანი მოგებას, მათი ბაზრის, ნედლეულის დაუფლების, მათ საგარეო ვაჭრობაზე კონტროლის დაწესების მიზნით.

მაგრამ ისტორიის ჩარხის უკულმა შეტრიალება არ შეაძლება, არ არსებობს მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს დამონებულ ხალხთა განთავისუფლებული მოძრაობის დიადი პროცესი. იმპერიალისტ-კოლონიზატორთა ყველა ცდა ხელი შეუშალოს აფრიკის კოლონიური ხალხების განმთავისუფლებული ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას და შეინარჩუნონ უკანასკნელი ბაზები, განწირულია სამარცხვინო კრახისათვის. ასევე უნიადგობა ეროვნული აღორძინების გზაზე მდგარი ხალხების ეკონომიურ-პოლიტიკური დამონების გვეგმებიც. ანგარიშგასწორების რა ველური საშუალებებიც არ უნდა გამოიყენონ იმპერიალისტ-კოლონიზატორებმა ამ ხალხების წინააღმდეგ, როგორი მოქნილი, შენიღბული მეთოდებიც არ უნდა მოიმარჯვონ ნეოკოლონიალიზმის ძალებმა, ხალხთა განთავისუფლებისა და ეროვნული



აღორძინების დიადი პროცესი თავის ლოკატურ ფინალამდე მივა.

კოლონალიზმს — თანამედროვე მონათმფლობელობის ამ საზიზარ სისტემას ისტორიამ დიდი ხანია გამოუტანა თავისი დასკვნა, მსოფლიოს ხალხებმა უმძიმესი ბოროტმოქმედებებისთვის იგი ვაკურეს სამარცხვინო ბოძზე, შეაჩვენეს და გამოუტანეს თავისი სასიკვდილო განაჩენი.

კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისა და ეროვნული აღორძინების პროცესი ამჟამად მიმდინარეობს მეტად ხელსაყრელ ვითარებაში. ეს ვითარებაა სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალის შეუჩერებელი აღმავლობა და იმპერიალიზმის სამოქმედო სფეროს პროგრესული შეზღუდვა, მისი ძალების თანდათანობით შესუსტება.

დიდი საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას სოციალიზმის ბანაის ძალებს, კოლონალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხების საიმედო ბურჯი, მეგობარი და მასწავლებელია. «საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია დაეხმაროს ხალხებს, რომლებიც დაადგნენ ეროვნულად დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განმტკიცების გზას, ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალური სისტემის სრული მოსპობისათვის»<sup>1</sup>.

დიდი, უანგარო და მრავალფეროვანია ის დახმარება, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი უწევს აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ახლადგანთავისუფლებულ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ეს დახმარება ელანდება თავისი უმიდრესი გამოცდილების განხორციელებით, პარტიკულ-ტექნიკური და მეცნიერულ-კულტურული თანამშრომლობაში, შედეგათიანი კრედიტების მიცემაში, სპეციალისტების გაგზავნაში, ეფექტურ დიპლომატიურ მხარდაჭერაში და სხვ. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ახლად განთავისუფლებული ქვეყნები საკუთარ გამოცდილებით რწმუნდებიან, თუ რამდენად დიამეტრალურად განსხვავებულია ე. წ. დასავლეთის «დახმარება» იმ უანგარო დახმარებისაგან, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები უწევენ მათ.

ამ ახალმა ხელსაყრელმა ვითარებამ, პირველ ყოვლისა კი, სოციალისტური ბანაის ყოველმხრივმა დახმარებამ, შექმნა რეალური შესაძლებლობა ახლად განთავისუფლებული ქვეყნების არაკაპიტალისტური განვითარებისათვის. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ხალხთა

უმრავლესობა, რომელიც კარგად ხედავს კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის განვითარებისა და მიღწევების სხვადასხვა შედეგებს, საბოლოოდ რწმუნდება კაპიტალისტური გზის მიუღებლობასა და სოციალისტური განვითარების უდიდეს უპირატესობაში. მათთვის ნათელი ხდება, რომ არაკაპიტალისტური განვითარება გამოიყვანს მათ საუკუნოებრივი ჩამორჩენილობიდან, აღმოფხვრის კოლონიალიზმის წყვეულ მეგვიდრეობას, განათავისუფლებს მათ იმპერიალისტ კოლონიატორთა ბრძკალებისაგან და ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის გზით წაიყვანს ეროვნული აყვავებასაკენ. აღნიშნული ქვეყნების უმრავლესობის ცხოვრებაში მომხდარი უკანასკნელი ძვრები მკაფიოდ ავლენს ამ გზით განვითარების ტენდენციას. აფრიკის ქვეყნები ვანა, მალი, გვანეა, ნაილობრივ ინდონეზია, კამბოჯა და ა. შ. რომ არაფერი ვთქვათ რევოლუციურ კუბასა და სოციალისტურ სისტემაში შემავალ აზიის სახელმწიფოებზე, პრაქტიკულად დგამენ ეფექტურ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. ისანი სულ უფრო მკიდროდ თანამშრომლობენ სოციალისტურ სახელმწიფოებთან, ეფექტურად იყენებენ მათ დახმარებას და გამოცდილებას, ზღუდავენ კერძო კაპიტალის მოქმედების არეს, ახორციელებენ მკვეთრ ანტიკოლონიალურ ღონისძიებებს და მტკიცედ მიემართებიან არაკაპიტალისტური განვითარების გზაზე.

პოლიტიკური სისტემა, საზოგადოების ორგანიზაციის გარდაამავალი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი გზით განვითარებას, საბოლოოდ ჩამოაშორებს ჩამორჩენილ ქვეყნებს იმპერიალიზმის გავლენას და მტკიცედ დაკავშირებს მათ სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებთან, არის ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო. ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო პოლიტიკურ ფორმას კი წარმოადგენს პარტიოტული, დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტი (ბლოკი), რომელიც მუშათა კლასის, ხალხის მასების ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს.

თუ გავითვალისწინებთ ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხების უდიდეს მიღწევებს კოლონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ მხედველობაში მივიღებთ ეროვნული აღორძინების გზაზე გამოსულ ხალხთა სერიოზულ წარმატებებს თავისთავადი ცხოვრების მშენებლობის საქმეში, მაშინ შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ კოლონიალიზმის მზე ჩაესვენა; დგება მისი ავონის საათი. სულ მალე კოლონიალიზმი, რა ფორმისაც არ უნდა იყოს იგი, საბოლოოდ იქნება ლიკვიდირებული. ეს იქნება ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის სრული ამოთვოზი და თანამედროვეობის უდიდესი სასიხარულო აქტი.

<sup>1</sup> პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, ვაზ. «კომუნისტი», 1961 წლის 2 ნოემბერი.

სიკა ჭიჭინაძე  
ქათავან ხაჩიაშვილი

უცნობი ფურცლები პოეტის არქივიდან

ვანიდან სოფელ ჭყვიშისაკენ მიმავალი გზა ერთხანს სოფლებზე მიემართება. შემდეგ რიონის ნაპირზე გადის. გზის მარჯვნივ მოჩანს წვიმის ბურუსში გახვეული თეთრად გაშლილი რიონის ქალა, ხოლო მარცხნივ — წვიმიანი დღით ჩამუქებული სოფელი.

ორღობე, ბოლო ჭიშკარი, მწვანით დაფარული ეზო, იქვე პატარა ჭა, ორი მრავალწლიანი ჭადარი, ფართო ფოთლებიანი თუთის მაღალი ხეები...

ირგვლივ სიჩუმეა, ღრუბლის ნაპრალში მზე იცქირება.

მზე დასცქერის იმ სახლს, რომელშიაც თავისი ბავშვობა გაატარა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ვალაქტიონ ტაბიძემ. აქ ინახება ტაბიძეების ოჯახის საგვარეულო არქივი, პოეტის ავტოგრაფები, საოჯახო წიგნები, ძველი ყურნალ-გაზეთები და მოწაფეობის დროინდელი რვეულები, პოეტის წერილები, დედისადმი, ძმისადმი, რძლისადმი, ძმისშვილებსადმი; აგრეთვე დედისა, ახლობლებისა და ჭაბუკობის დროინდელი მეგობრების წერილები ვალაქტიონისადმი.

არქივში დაცულია ვალაქტიონის ძმის — პროკლეს ნაწერები და XX-საუკუნის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ფელეტონები და კრიტიკული წერილები, რომელიც პროკლეს შეუგროვებია.

აქვეა პოეტის კონტურული ჩანახატე-

ბი, XIX და XX საუკუნის მწერალთა კარიკატურები და მეგობრული შარჟები. ამ ჩანახატებში პოეტისათვის დამახასიათებელი მძაფრი იუმორი იგრძნობა.

საოჯახო ბიბლიოთეკის წიგნები მისი შენიშვნებითაა აჭრელებული. ზოგიერთ წიგნზე მიუწერია: „რაც კარგია, კარგია“, — დღეს მე ამ წიგნმა გადამარჩინა“, „ბაიყუშების სარკე“, „გამიჭირდა უნიჭო სტრიქონების ბოლომდე ჩაკითხვა“ და სხვა მრავალი.

ტაბიძიანთ უბანში ახლაც ბევრს ახსოვს პოეტის ბავშვობა...

\*

XVIII საუკუნის დასასრულს სოფელ ივანდიდის მკვიდრი გიორგი ტაბიძე ჭყვიშში გადმოსულა საცხოვრებლად. ტყავზე ნაწერი საგვარეულო სიგელი, რომელიც სოლომონ მეფეს გიორგი ტაბიძისათვის უბოძებია, აღნიშნავს, რომ გიორგი ტაბიძე სოფელ ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლად დაუნიშნავთ და მისთვის სამრევლო მამულებიც მიუციათ. გიორგი ტაბიძეს ერთი შვილი ჰყოლია, სახელად ივანე, რომელსაც შემდეგ სამი შვილი გასჩენია: სტეფანე, გიორგი და ნიკოლოზი. ამ უკანასკნელის შვილი ვასილ ტაბიძე არის პოეტის მამა.

ვალაქტიონის მამა ვასილ ტაბიძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი იყო და სოფელ ჭყვიშში მასწავლებ-



ლობდა, მაგრამ მისი მოღვაწეობის სფერო მარტო პედაგოგიური საქმიანობით არ იფარგლებოდა, ვასილი თავდადებით ასწავლიდა გლეხობას წერა-კითხვას. მას ჩინებულად სცოდნია საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა. იმ დროს ვასილ ტაბიძე მთელს სოფელში ერთადერთი მწიგნობარი, უადრესად კეთილშობილი და მაღალი ადამიანური თვისებებით აღჭურვილი პიროვნება ყოფილა. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ მემუარულ ლიტერატურულ მასალებში აღნიშნულია, რომ ვასილის სახლი ჭყვიშელი გლეხების შესაკრები ადგილი ყოფილა და ჟურნალ-გაზეთებით დაინტერესებული მოსახლეობა დიდი გულსყურით უსმენდა ტკბილად მოუბარ ვასილ ტაბიძეს.

მაგრამ ვასილის მამა დაჟინებით სთხოვდა სასულიერო ტრადიციის მიხედვით მღვდლად აღკვეცილიყო, რაც შეუძლებლად მიაჩნდა პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებელს. მიუხედავად ამისა, მამამ მაინც აიძულა ქუთაისში წასულიყო ამის თაობაზე.

1892 წლის აპრილის საძაგელ ამინდში, თოვლსა და ტალახში ვასილს სამტრედიიდან სოფელ ჭყვიშამდე ფეხით მოუხდა მგზავრობა. მსუბუქად ჩაცმული მგზავრი მთლად დასველდა, ჩექმებში თოვლ-წყალი შეუვიდა და შინ მისვლისთანავე ფილტვების ანთება დაემართა. მიუხედავად მეუღლის თავდადებული მზრუნველობისა, ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. ორი კვირის განმავლობაში ებრძოდა სიცოცხლეს ჯანღონით საესე ვაჟკაცი, და როდესაც მის ლამაზ ეზოში აპრილის დამლევს მზემ შემოანათა, ავადმყოფმა ათრთოლებული ხელი გადაუსვა თავის ორი წლის პირმშოს, პროკლეს, ფეხშიძემე მეუღლეს დაუბადებელი შვილი ჩააბარა და სიცოცხლეს გამოესალმა...

„ვასილს სიკვდილის წინ გაეგო, რომ მეუღლე ფეხშიძემე იყო მეორე შვილზე. ვასილს მამისთვის უთქვამს: მაკრი-

ნე • ფეხშიძემედაა და ყურადღება მიაქციეთ, თავს არაფერი მოსწიოსო. ყველას თურმე უნდოდა, გოგო დაბადებულიყო, მაგრამ ბიჭი დაბადებულა და გალაქტიონი დაურქმევიათ“.<sup>1</sup>

ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ გულისტკივილით აღნიშნა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების აქტიური წევრისა და ნიჭიერი მასწავლებლის ვასილ ტაბიძის გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი.

\*

უდროოდ დაქვრივებულ ახალგაზრდა ქალს მაკრინე გიორგის ასულ ადეიშვილს ცხოვრების მძიმე უღელი მარტოხელას დააწვა... მაკრინე (მაკა) იქვე ახლო თემიდან იყო, მაშინდელი საპაიჭოლან, ახლანდელი ყუმურიდან. გიორგი ადეიშვილის კულტურული და შეძლებული ოჯახი მოწინავე იყო სოფელში და შვილებს ღირსეული აღზრდა ჰქონდათ მიღებული.

„გალაქტიონის დედა მაღალი ტანის, ლამაზი, თეთრი ქალი ყოფილა, წერა-კითხვის კარგად მცოდნე. მეტად გონებაგახსნილი, ყველაფერი ეხერხებოდა; ჩონგურს უკრავდა ძალიან კარგად და ტკბილად მღეროდა. იცოდა უამრავი ზღაპრები“<sup>2</sup>.

მამის გარდაცვალების მეექვსე თვეს, 1892 წლის ნოემბერში მუხის ხით ნაშენი დაბალი სახლის პატარა ოთახში დაიბადა გალაქტიონი. და იმ დღიდან მზრუნველი, დინჯი და ენერგიით აღსავსე დედა მხნედ შეუდგა ორი ვაჟის აღზრდას. კარგი მეოჯახე დედა შვილების დახმარებას დიდად არ საჭიროებდა მეურნეობასა და ოჯახურ საქმეებში, ამიტომ იყო, რომ აიღვეს თუ არა ფეხი ბავშვებმა, ქართულ ანა-ბანაში, წიგნი ხელიდან აღარ გაუშვიათ. ძალზე დატვირთული მაკრინე ოჯახს ჩინებულად უძღვებოდა. ჭრა-კერვაც კარგად იცოდა. მთელ სოფელში მარტო მას ჰქონდა

<sup>1</sup> ტატიანა ცინცაძე — ტაბიძის მოგონებებიდან.

<sup>2</sup> იქვე.





თურმე საკერავი მანქანა და, მიუხედავად დიდი მოუცლევლობისა, ახლობლებისა და მეზობლებისათვის არასოდეს არ დაიზარებდა გარჯას. გარდა ამისა, მაკა ამზადებდა წამლებს კარაბადინის მიხედვით და უსასყიდლოდ ასმევდა ავადმყოფებს. მაკრინე თავმოყვარე და კეთილი ადამიანი ყოფილა. აი რას ვკითხულობთ მისი ახლო ნათესავის მოგონებაში: „მასოვს, ბავშვობაში ხშირად მასმევდნენ მაკა ბიცოლას დამზადებულ ხველების ტკბილ წამალს. ერთხელ ჩვენი მეზობელი პორფილე წიქაძე ხანჯლით დპურეს თავის არეში და ბიცოლა მაკამ იგი სულ მოკლე ხანში განკურნა მალამოთი. მკურნალობისათვის იგი გასამრჯელოს არ იღებდა, მაგრამ თუ განკურნებული ჩააცივდებოდა, ეტყოდა: „მოიცა ახლა არაფერი მინდა, და თუ ვინციბობა ყანის თონხაზე ან ხენაზე დავიძახო და გეცალოს, მომეხმარე, თუ არა და კარგად იყავიო“. ვერც საკერავში გაუბედავდა ვინმე გასამრჯელოს ხსენებას. ჩვენ, ბავშვებს, ძალიან გვიყვარდა მისი შეკერილი ტანსაცმელი, მაგრამ დედა გვიშლიდა, ისედაც მოუცლელი ქალია და ნუ აწუხებთო. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენდათავად შევეხვეწებოდით ხოლმე და როცა შეგვიკერავდა და ჩაგვაცმევდა, ალერსით ხელს გადაგვისვამდა თავზე, დავგლოცავდა, გვაკოცებდა და გვეტყოდა: „წაიღეთ, დედას აჩვენეთ, მოეწონება თუ არა“.<sup>1</sup>

„ხშირად მინახავს, სემინარიელი პროკლე და გალაქტიონი, რომელიც მაშინ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე იყო, დიდის ხვეწნით დედას ხელში ჩონგურს მისცემდნენ ხოლმე, დედა უკრავდა და სამივენი მღეროდნენ. ახლაც მესმის ყურში მათი „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, „სამი ქალი თივას თიბდა“, „სერზე მოდის სამი მგელი“ და სხვა მრავალი“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ვასილ ტაბიძის მოგონებიდან.

<sup>2</sup> ს. ტაბიძის მოგონებიდან.

მარტოხელა მაკრინე ტაბიძის საგლის წყარო იყო მხოლოდ და მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთი და მცირე სახნავ-სათესი მიწა, რომელსაც რიონი დრო და დრო ამცირებდა.

მუდამ მოუხეხარი, მკვირცელი და დედასთან საოცნარი მიჩვეული პატარა გალაქტიონი მხიარულად დახტოდა რიონის ნაპირას. ხშირად ბიძასაც მიჰყვებოდა ხოლმე სათევზაოდ. ბიძა მდინარეში ჩასვლას უკრძალავდა. ბავშვი თევზების ჭურჭელთან იდგა და თვალებითა და ხელებით ვალერსებოდა ვერცხლისფერ თევზებს.

მისი თანატოლი სიმონ ტაბიძე მოგვითხრობს:

„ტიციანს და გალაქტიონს ძალიან უყვარდათ თევზაობა, განსაკუთრებით კი ბრტყელი ქვებით თამაში რიონის ზედაპირზე, ამ თამაშს „ქვესალობას“ ვეძახდით; ბრტყელ ქვებს რიონის ზედაპირზე გავისროდით და ვითვლიდით თუ რამდენჯერ შეეხებოდა ქვა მდინარის ზედაპირს. ანკესებით თევზაობას არ გვანებებდნენ, ვინაიდან რიონი სანდო არ იყო.

ბავშვობაში გალაქტიონი ძალიან გამხდარი ყოფილა და სირბილში მეტად აწრაფი. მოძრაე ბავშვს ძალიან უჭირდა თურმე ერთ ადგილას ყოფნა.

წერა-კითხვა ბავშვებს მაკრინემ შეასწავლა, და ამავე დროს ღრმად ჩაუნერგა კეთილსინდისიერების, სიმართლის დაცვის, სიბეჯითისა და წიგნის უსაზღვრო სიყვარული.

\*

1900 წლის ზაფხულის მიწურულში მაკრინემ თავისი პატარა ბიჭუნა ქუთაისში ჩაიყვანა და არქიელის გორაზე ნესტორ ყუბანეიშვილის ოჯახში დააბინავა.

დრო გადიოდა, სკოლიდან დაბრუნებულ მეოცნებე ბავშვს ხშირად მონატრებია დედა და ყელში მობჯენილ ცრემლებს შებრძოლებია. ამ დროს იგი ყუბანეიშვილის სახლის უკანა აივანზე გადიოდა ხოლმე და მალდიდან ხარბად დას-



ცქეროდა ქუთაისის იმ ნაწილს, სადაც ქალაქს ვერცხლის ქამარივით გადაჰიმუ-ლი რიონი შუაზე ჰყოფდა.

სოფლად კი მკერდიდან მოწყვეტილი პატარა შვილის სიმორე აწუხებდა მაკრინეს. ოჯახში საზრუნავი საშუალებას არ აძლევდა ქუთაისში ხშირად ჩასული-ყო და დედა შვილს ამანათებითა და წერილებით ასაზრდოებდა:

„ფიქრიდან განუშორებელო, საყვარე-ლო შვილო, ჩემო გატო! პირველად ვი-სურვებ შენთვის ყოველივე კეთილს, რომ შენი დედა არ დატანჯულიყოს.

გატო, შვილო, შენ ნამეტანი იყავი ჩემთან მოჩვეული და მე შენთან. ეხლა მოშორებული მყავხარ და თუ ივარგებ უჩემოდ, არა მგონია. რა ვქნა დედა, ამ წრეულ არაფერი მიხერხდება, აქაობის მიტოვება არ გვარგია.

აბა შენ იცი, თუ ივარგებ. თავი საქმეა ყოფაქცევა და მერე კარგი სწავლა. კარ-გი თვარა, გაჭირვებული რა არის. როცა მაგ კლასში მივაბარე, ინსპექტორმა მით-ხრა, თუ კაი ყოფაქცევას და კაი სწავლას გვიჩვენებს, ჩვენგან დიდი ხელის წყობა ექნებაო.

ნუ იქ, დედაშვილობას, შენ საზი-ანოს, — ცელქობას ან სიზარმაცეს. ეს წერილი მალ-მალე წაიკითხე და შენი დედის დარიგება არ დაგავიწყდეს.

შენი დედა მაკინე.

პატარა გალაქტიონი სწავლას ბეჯი-თად შესდგომია და დიდი ინტერესით დასწავებია ნესტორ ყუბანეიშვილის მდიდარ ბიბლიოთეკას.

ასაკთან შეუფერებლად დადინჯებუ-ლა, თითქოს სოფელს დაუტოვა მხი-არული ბავშვობა, გადაუკითხავს სასუ-ლიერო მწერლობის მისთვის ნახევრად მისაწვდომი თხზულებანი და ძველი სა-ერო მწერლობის ნიმუშებით გატაცებუ-ლი ხშირად ისეთ წიგნს მოეჭიდებოდა ხოლმე, რომ ნესტორ ყუბანეიშვილის ქალიშვილი ხუმრობით ეუბნებოდა თუ-

რმე: „ერთი დაეტოლე, ბიჭო მაგ წიგნს და მერე წაებოტინეო“.

მის არქივში ინახება გალაქტიონის ხელით ნაწერი სია ქუთაისის სასულიე-რო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოს-წავლეებისა<sup>1</sup>, ხსენებული ნუსხის მიხედ-ვით ქუთაისში მოვნახეთ ის პირნი, რომ-ლებიც ამჟამად ცოცხლები არიან და ვესაუბრეთ პოეტის ცხოვრების ამ პე-რიოდზე.

საქართველოს ისტორიით დაინტერე-სებული მოსწავლე, რომელიც ერთბაშად პატარა სოფლიდან უცებ არქიელის გო-რაზე აღმოჩნდა და ყოველდღიურად ჰქელი საუკუნის დიადი ძეგლის ნანგრე-ვებს შესცქეროდა, ღრმად განიცდიდა წარსულს; მაშინ დაუწერია ყრმა პოეტს ლექსი სათაურით „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“<sup>2</sup> ამ ლექსში იგი ერთმა-ნეთს უპირისპირებს საქართველოს წარ-სულსა და აწმყოს.

„ცის კაბადონს ანათებს შოვარე ცეცხლად  
ნთებული,  
ვარსკვლავთ ფერხულს ღიმილით, წყნარად  
უახლოვდება.  
ჯაძრისებურ ნანგრევთან ვდგავარ  
გარინდებული.

და ფიქრები ჩემს გულში, გროვდება და  
გროვდება...

ამ დროს თითქოს საფლავით დგება ჩვენი  
წარსული,

დგება ძველი გვირგვინი. რაშიმ ქუხილით დგება-  
ილიძებს მკვდართ სავანე, დამფრთხალი,  
გაძარცული,

ხედავს დანგრეულ ტაძარს და გული ეთუთქება...  
გვირგვინოსანს ეძახის, და მწარე ხმით  
ქვითინებს,

აბა, ირყევა ლოდი, გვირგვინოსანი დგება,  
ყვის და კვლავ ბრძოლისკენ იწვევს

მამულიშვილებს<sup>2</sup>.

ქუთაისმა წარუშლელი კვალი დასტო-ვა პოეტის სულიერ ცხოვრებაში. ქუთა-

1. სია დაწერილია გალაქტიონის ერთ-ერთთ ლექსის V-ზე.

2. ეს ლექსი სულ სხვა ვარიანტით გამოქვეყნდა შემდეგ.



ის ეკუთვნის მისი ყრმობა, ჭაბუკობა და დავაყვაცება. ქუთაისის პერიოდს ეკუთვნის ეს პატარა ლექსიც:

„დაპჭროლა სიომ. დაპჭროლა წყნარად,  
ტყეში შეიჭრა და უწინარად  
ფოთოლთა გუნდი აატივტივა...  
მოსწყდა მზის სხივი მათ მწვერვალიდან,  
ვარდზე მზის ნამი ააციმციმა,  
დაპჭროლა ისევ ნიავეს მშვიდ მთას  
და გადმოეშვა ფოთოლთა წვიმა“.

გალაქტიონი სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში რომ გადავიდა, დედამ ყუბანეიშვილის სახლიდან წერეთლის ოჯახში გადაიყვანა საცხოვრებლად.

მზრუნველი დედა შვილს ისევ წერილებით ესაუბრებოდა:

„ფიჭრიდან განუშორებელი ჩემო გატო!

პირველად შენ მშვიდობას შევეთხოვ ზეცას. ძალიან მაკლია გულს, რომ შენ ხელისწყობაზე გღალატობ უქონლობით. მარა აწი მე ვიცი. გატო, დედა, ძროხამ კაი ხბო მოიგო და ახლა ჩვენმა ოჯახმა წამოიწია.

ეს ფული ხაზეიკას მიეცი და მაღლობა გადაუხადე; ვაშლებთან, რომ ქაღალდში გახვეული სამი აბაზია, იმითი დათხოვნებზე წამოდი. ახლა დიდი ბიჭი ხარ და მარტო იმგზავრე. გაფიცებ დედაშვილობას, ჭკუით იარე.

ბიძაშენმა გიჩივლა ჩემთან, ბევრ ქაღალდებსა და წიგნებს კითხულობსო და ეგზამენებს ჩამორჩებაო. ვერ დავიჯერებ, დედა, შენს საზიანოს რასმეს იზამ და დედაშენს დატანჯავ. დაგიკოცნი ჭკვიან თვალებს და შენ მოლოდინში ვარ. რომ მოხვალ კარგი საშარვალით გაგახარებ.

შენი ერთგული დედა მაკინე“.

წერეთლის სახლის დიდს, ლამაზსა და მაღალხეობიანი ბაღის ხან ერთ და ხან პეორე კუთხეში იჯდა სკოლიდან მოსუ-

ლი ბავშვი და ერთთავად წიგნებს ჩასცქეროდა, ოცნებობდა და ბავშვური სილალით ხატავდა ბუნების სურათებს.

ნიჭიერმა და ცნობისმოყვარე მოსწავლემ ზედმიწევნით შეითვისა, როგორც ჰველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ისე XIX საუკუნის ლიტერატურა. ჰომეავალმა შთაგონებულმა შემოქმედმა ამთავითვე შეიცნო და მუხლი მოიყარა თავისი წინაპრების წინაშე. ლექსში „ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი“ გალაქტიონი უმღერის რუსთაველის ქნარს, ხელოვნების წმინდა ცრემლად დამდნარ ბესიკსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს:

„ამ წიგნში მთელი საუკუნის ეპოვე ბინა...  
უცხო წალოტში, სადაც კალთა გადაეფინა  
მზის ელვარებას და უსაზღვრო ძებნის

სურვილებს,  
ყოფნის ტალღებით დაღუმებულს და  
დაბორკილებს;  
მშვენიერებას უმღეროდა რუსთაველის ქნარი,  
მისღამი ტრფობის უკანასკნელ შხედად  
დაცლილი,  
ბესიკი წმინდა ხელოვნების ცრემლად  
დამდნარი,  
და ველურ ხმებით გარდაქმნილი ბარათაშვილი.  
მშვენიერების პანგებს ისმენს საქართველოსას“.

გალაქტიონის მოსწავლეობისდროინდელ არქივში ერთი უცნაურად აკინძულ რევეულია, რომელშიაც ბავშვს თავისი შენიშვნები ჩაუწერია წაკითხული და ნახული წიგნების შესახებ. მაგალითად: „რა მშვენიერია ლამბერტის წიგნი! ამიერიდან მე ვიცი:

1. როგორი იყო იმერეთის მეფისა და სამეგრელოს მთავრის შეხვედრა.
2. ვიცი ჩოგნით ბურთათობის წესები.
3. მისიონერების ბინა სამეგრელოში.
4. მეგრელების ნადირობა.
5. როგორი ყოფილა მეგრელი გლეხი ქალი.
6. მეგრელი მაღალი წრის ქალი... და სხვ.“.

ეს მაშინდელი ჩანაწერი არქანჯელო ლამბერტის ალბომს შეეხება; რომელშიაც მოთავსებული შესანიშნავი



სურათები მე-17 საუკუნის სამეგრელოს ყოფას გამოხატავს.

რა თქმა უნდა, მცირეწლოვანი გალაქტიონი უცხო ენაზე შედგენილ ახსნაკანმარტებას ვერ წაიკითხავდა, მაგრამ, უხადია, დიდი ყურადღებით შეუსწავლია ხსენებულ გამოცემაში მოთავსებული სურათები, შესაძლოა სურათების წარწერების ამოკითხვა და გადმოთარგმნაც სხვების დახმარებით ან ლექსიკონის საშუალებით მოახერხა მან და შეიმუშავა მთლიანი წარმოდგენა მე-17 საუკუნის სამეგრელოზე. იმავე ზეუღლში ჩაწერილია: „რა კარგი ხელია! ნაბეჭდი მეგონა, ნეტავ ვინ დასწერა? რა დიდი ნებისყოფის ადამიანი უნდა ყოფილიყო ასე თანაზომიერი და ამდენი ნაწერის შემსრულებელი!“. იქვე ფურცელზე ლამაზი კალიგრაფიული ხელის შთაბეჭდილების ქვეშ თვითონ უცდია შეექმნა ასოების სილამაზე და სიმეტრიულ ხაზებში ჩაუწერია:

„ნეტარ არს კაცი, რომელმა შექმნა გონიერება და მოკვდა მან, რომელმან პოვა მეცნიერება“. ქვეშ მიწერილია: „სოლომონის იგავი... ამით დადიოდნენ და ამას იმეორებდნენ ჩვენი სწავლეულები წინათ“.

არადეგებზე სოფელში ჩამოსულ გალაქტიონს ძალზე უხაროდა მონატრებული დედის სითბო და სიახლოვე. „ერთხელ, როდესაც გალაქტიონი სოფელში მოვიდა“, — გვიამბობს მისი თანამედროვე, ტიცვიან ტაბიძის ძმა სიმონ ტაბიძე, — დილითვე მივედი მასთან, ჩავიკარ გულში და დიდხანს ვკოცნეთ ერთმანეთი. მერე წავიყვანე, დავატარე მთელი ეზო... პატარა გალაქტიონი ხედავდა, თუ როგორ ეღვარებდა მზეზე წითელი ვაშლები, როგორ დახეთქილიყო ბროწეულები და ხეებზე ასულ ვაშზე როგორ აკინძულიყო ქარვისა და გომრისფრად დაბურული თეთრი და შავი ყურძნის მტევნები. „იმ დღეს ერთად ვისადილეთ მე და გალაქტიონმა, — ამბობს სიმონ ტაბიძე, — მეორე დღეს გათენებამდე დავადექი თავზე და ვთხო-

ვე, ჩქარა ამდგარიყო, მაგრამ კენის მიბასუხა: ძალიან ავად ვარ და ვერ ავდგებიო. დავაცქერდი სახეზე, შინდისფრად ჰქონდა აპრელებული ლოყები. შეშინებული დედა თავს დასტრიალებდა. მე მაშინვე შინ გავიქეცი და ჩვენები მოვიყვანე. მამაჩემმა ექიმთან გამგზავნა. სასწრაფოდ მოვიყვანე რომანოზ ბახტაძე, რომელიც მივიდა ავადმყოფის ლოგინთან, დააცქერდა თვალებზე და ჩაიჩოქა. ჩვენ გაოცებულნი შევცქეროდით რომანოზს, რომელიც ხელაპყრობით წარმოთქვამდა: დალიოცოს შინი გზა და სავალი, დიდო ბატონებო ამით დავრწმუნდით, რომ გალაქტიონს ყვაილი ჰქირდა, სამწუხარო ის იყო, რომ სახადა არ იყო მოხდილი გალაქტიონის დედა და არც ჩვენი ოჯახის წევრები. წარმოდგინეთ, არც ახლო მეზობლის ბავშვები. რომანოზი კი გამოვლილი იყო ამ ავადმყოფობას და იკისრა თავს დადგომოდა გალაქტიონს. ვადიოდა დღეები, გალაქტიონს მთლიანად გამოფინა და წუხილს უმატა. ჩვენ ყველანი გახიზნული ვიყავით მეზობელ სოფელში — იანეთში.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ვადა გავიდა, მე იანეთიდან ვადმოვედი. პირველად გალაქტიონთან შევიბრინე. ის ისევ იწვა, მთელი სახე ნაპრალებით ჰქონდა დაფარული, მიახლოება არ დამანებეს, მითხრა, რაღაც დამემართა სიმონიკა, ხელით ვგრძნობ, მაგრამ სარკეს არ მაძლევნო. მერე წამოჯდა ლოგინზე და მხიარულად მიაბმო რომანოზ ბახტაძის ამბავი. არაჩვეულებრივი სიხარულით მოგვეთხრობდა იგი რომანოზის მიერ ჩონგურზე დამღერებული სასიმღერო ლექსების შინაარსს. ზოგჯერ მეც გამოვართმევდი ჩონგურს და ვსწავლობდი მისგან დაკვრასა და დამღერებასო, მითხრა გალაქტიონმა, ბოლოს გაიხუმრა კიდევ: ბიჭო სიმონიკა, კაი კაცია რომანოზი, მაგრამ მას ეგონა ბატონებს უმღეროდა და ბატონებს ასიამოვნებდა, ის კი არ იცის, რომ მე მიხაროდა სიმღერები და არა ბატონებსო“.





გალაქტიონის ქვეყნისეული არქივის ერთ ფურცელზე გალაქტიონის ხელით მიწერილია: „ტკბილია, როგორც რომანოზი“, იქვე პატარა ლექსია რომანოზისადმი, რომლის სტრიქონები წითელი მელნით მთლიანად გადაშლილია. ეტყობა რომანოზის მზრუნველობა და რომანოზის მიერ წამართქმული სასიმღერო ლექსები გალაქტიონს ღრმად ჩარჩენია და ლექსი მიუძღვნია, შემდეგ აღარ მოსწონებია და წაუშლია. ავადმყოფობიდან თავდაღწეული გალაქტიონი იმ შემოდგომის სოფლად დარჩენილა და სოფლის სიმყუდროვეში სევდა უგრძობია. ამ დროის ერთ-ერთ ლექსში პოეტი თავის ბედის სამღურავს გამოსთქვამს:

„ცა მხიარულობს... ქვეყნად კი ისევ სიჩუმე შეფობს გულმოსაკლავი, სადა ხარ, ბედო, სადა ხარ, ბედო, ბრწყინავს, კანკალებს ჩემი ვარსკვლავი.“

ცას სქელი ნისლი გადადგენია, ნისლმა წაიღო ოცნების ნაეი. სურს, რომ გაიგოს ისევ ცოცხლობს თუ გაქრა, მიწელდა, ჩემი ვარსკვლავი. ეკ, არა, არა მას კიდევ ძალუძს ისევ ინათოს, ისევ იბრწყინოს. ბედის მგმობელი ეკლიან გზაზე შარავანდელით დამავიგირგვინოს.“

მზრუნველი დედა ხედავდა, რომ მის შვილებს სხვები კარგად ვერ უვლიდნენ. შინ მარტო ყოფნაც ეძნელებოდა, ამიტომ გადასწყვიტა ქუთაისში შვილებს თავზე დასდგომოდა. წლის მოსავალი დააბინავა, ოჯახი მახლიშვილებს დაუტოვა. ზამთრისთვის საჭირო სარჩო მოკრიბა და ქუთაისისაკენ გზას გაუდგა. ქალაქში ჩასულმა მაკინემ ერთი ოთახი დაიქირავა, სხვა მოსწავლეებიც აიყვანა მოსავლელად და მეორე ოჯახი გამართა. დედის მზრუნველობით ბავშვები ბეჯითად მეცადინეობდნენ. საყვარელი დედის ალერსით გამთბარმა გალაქტიონმა ფრთები გაშალა და გაკვეთილებთან ერთად ხარბად დაეწაფა გარეშე ლიტერატურის კითხვას.

„გალაქტიონი ძალიან კარგად მეცადინეობდა, ბევრ გარეშე წიგნებს კითხულობდა. ის ჩაწერილი იყო ქალაქის ბიბლიოთეკაში, იქიდან გამოჰქონდა წიგნები... გალაქტიონს მე ვნახულობდი ყოველთვის წიგნით ხელში... ან გაკვეთილს კითხულობდა, ან სხვა რომელიმე წიგნს. გაკვეთილის სწავლა უყვარდა სიარულით“<sup>1</sup>.

„გალაქტიონი ბუნებით მოძრავი, მოუსვენარი და სიჭაბუკეში საგრძნობლად მშფოთვარე ბუნებისა იყო. ხშირად მთელ ქუთაისს მოივლიდა ხოლმე ფეხით; ავიდოდა გელათში, ინახულებდა მოწამეთას, აირბენდა მწვანე ყვავილის ქუჩას, მდინარე წყალწითელამდე და დაღლილ-დაქანცული შევიდოდა ოთახში. მერე მიუჯდებოდა მაგიდას, წერდა ან გვიან ღამემდე კითხულობდა“<sup>2</sup>. ამ პერიოდის ლექსებს შორის საყურადღებოა „დანგრეული ტაძარი“.

„წმიდათა წმიდას ვინ შეახო ხელი გრძნული? ვინ შეარყია საფუძველი ლალისა მცნების? წმიდა ტაძარი, აჟ მოთხრილი და დანგრეული, მაინც ნაშთია წარსულთ დღეთა ტკბილის

ოცნების...  
გარნა ვინ მიხვდეს, საღ ვაფრინდა ლოცვა მფარველი,  
როს იხრწნებოდა უღმობელად მის

შემნახველი...  
ციღვან ქვეყნიურ გულის თქმასა ცით თუ იწოდებს,  
ან მაღალ მთასა ობლად მღვარი მოსთქვამს, თუ გოდებს

გულის სატრფოო, რად დაამხე წმიდა ტაძარი? მხურვალე ლოცვა ცრემლად დენად დაადინარე... მხოლოდ არ ვიცი იგი ეხლა ვისთან სად, არის, გულისა სატრფოო, რად დაამხე წმიდა ტაძარი“.

ლექსების ამ ციკლში შედის სხვა ლექსებიც: „მზის კაშკაში“, „მაისი“, „ბაღში“, „კოლიზიეთში“, „დავასავლავეთ“, „მთვარე ღრუბელ ქვეშ“ და სხვა.

ზარის რეკავსავით გაისმა ჭაბუკი პოეტის ლექსები ქუთაისში და უჩვეულ

<sup>1</sup> ს. ტაბიძის მოგონებიდან.  
<sup>2</sup> ქეთევან ხუნდაძის მოგონებიდან.



ლო ხმების წკრიალმა დიდი გამოძახილი ჰპოვა თანამედროვეთა შორის. ნიკიერი დრამატურგი შალვა დადიანი წერდა: „გალაქტიონის ლექსებიდან გამოდის ხმები ნაზი და სალუქი, გულის მომწვედომი, ამაღლევბელი და სულში ჩამწვდენი. ადამიანი განცვიფრებული დგები მის წინაშე, თითქოს გაბედნიერდი“. ხოლო ცნობილი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი ჭაბუკ პოეტს ხალხის კუთვნილებად აცხადებდა და ამბობდა: „გალაქტიონის განცდანი მართო მას კი არ ეკუთვნიან, — იგი ჩვენი და ამიტომაც გვიყვარს იგი და გვიტაცებს“. ქართველი პროზაიკოსი ვასილ ბარნოვი ახალგაზრდა პოეტს მოუწოდებდა: „შენი საოცნებო სახეები წვრილ ლექსებში ვეღარ ეტევა და პოემებს გთხოვენო“. გალაქტიონ ტაბიძის მხატვრული ხერხებითა და აზრის სისადავით მოხიბლული ია ეკალაძე აღნიშნავდა: „წმინდა ქართული, წკრიალა ლექსები, უაღრესად მხატვრული მოსმა კალმისა, სისადავე და ბუნებრივობა აზრთა გამოთქმისა გვხიბლავს“. პოეტის თანატოლი მწერალი ქალი განდევილი კი ქუთაისის საზოგადოებრიობას აფრთხილებდა: „გალაქტიონ ტაბიძე, — ეს დიდი პოეტი, უდიდესი განცდებით და უნაზესი ოცნებით. ეს სულ სხვაა, განცალკავებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, გალაქტიონი არ არის ჩვეულებრივი პოეტი და ამიტომ მას სათუთის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერიო“.

„ცა ღრუბლებით დაიბურა,  
მზე მიწელდა, სხივმიქრალი,  
სჩანს ახლოა ქარიშხალი,  
სჩანს ახლოა ქარიშხალი  
სიო არ ქრის, მგარამ მაღლა  
აშრიალდა ხის მწვერვალი,  
სჩანს ახლოა აღლევება,  
სჩანს ახლოა ქარიშხალი!  
ჩქარა, ჩქარა, ქარიშხალო,  
აღლევე მთა და ბარი,  
ეს სიჩუმე მე გულს მიკლავს,  
სხვა ძალა მსურს, სხვა სიზმარი!“

ბრძოლის წყურვილით შეპყრობილი პოეტი უკან არ იხევს და მისი ვაჟკაცურად შემართული სტრიქონები ახალგაზრდობას საბრძოლველად მოუწოდებს. ლექსი „ტყვიები“ მკვეთრად ამჟღავნებს რევოლუციისადმი მის დამოკიდებულებას:

„გადავაფრინე მე ტყვიები ორბის ფრთიანი,  
და როგორც გველი შხამიანი, განგებიანი,  
ტყვიები ცაში გატყორცნილი ამაჟ ქვეყნიდან,  
და ის ტყვიები, რომელთ ძალუთ მგზნებარე  
ფრენით  
ოქროს სიმძიმე მოიტანონ ლაქვარდი ციდან...  
შექმნილი ქვეყნად მხოლოდ მიწისთვის.  
ვერც ერთს დაფარავს დავიწყების მტვერი  
და ჟანგი,  
რევოლუციამ შეაერთა ორი სიმღერა!..“

ასეთივე განწყობილებისაა ლექსები: „პიმიწი“, „მრავალჯამიერ“, „შუალამისას“, „წყურვილი თავისუფლებისა“, „ბლაკატების ხელოვნება“, „მაისის ვარდი“ და სხვ.

ერთ ხანს ქუთაისში, მოსწავლე გალაქტიონ ტაბიძე დამსახურებული მასწავლებლის ამბაკო სულაქველიძის ოჯახში ცხოვრობდა. სულაქველიძე და მისი შვილები აქტიურად მონაწილეობდნენ 1905 წლის რევოლუციაში და განსაკუთრებით მწვავედ განიცადეს 1905 წლის რევოლუციის მარცხი. კაბუკი პოეტის ხმაც მათთან იყო; ლექსები „ღრუბელი“, „ღამე“, „შუალამი-

გალაქტიონის ყრმობა იმ დროს დაემთხვა, როდესაც რუსეთიდან კავკასიაში ისმოდა რევოლუციის ჭეჭა-ჭახილი და ახალგაზრდობა, მცირე წლოვანი მოსწავლეებიც კი გაბედულად ებრძოდნენ თვითმპყრობელობას. გალაქტიონ ტაბიძე მჭუხარე ლექსით გამოსთქვამდა თავის მისწრაფებებს ლექსში „სჩანს ახლოა ქარიშხალი“.



სას“ ღრმა მწუხარებითაა გამსჭვალული.

გალაქტიონის ლექსების მომდევნო ციკლი გამოხატავს ჭაბუკურ ალტერინებასა და სიხარულს.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა ქუთაისში გვესაუბრა გალაქტიონის თანატოლებთან ლილი ჯაფარიძესთან, ქეთევან და შალვა ხუნდაძეებთან, მარიამ ოკუჯავასთან, იბოლიტე ბახტაძესთან, ფილიპე შავგულიძესთან, ავთანდილ ნემსაძესთან და სხვებთან. ისინი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ასაკის გალაქტიონის შესახებ თითქმის ერთსა და იმავეს აღნიშნავენ: საოცრად მოუსვენარი, მთრთოლვარე და ყველას გამკილავი გალაქტიონი, როცა თავის ლექსებს გვიკითხავდა, ზედმიწევნით დინჯი, გარეგნულად დამშვიდებული და ნაზი იყო.

მომავალში დიდი ჭეშმარიტი ლირიკოსი გზას სიჭაბუკაშივე მედგრად მიიკვლევს. ჭაბუკი პოეტი ლექსებს წერს სიყვარულის თემაზე.

ერთ-ერთი ლექსის ყოველი სტრიქონის საწყისი ასო სატრფოს სახელზე მიგვითითებს:

„რისთვის ტოკავს ხშირი ჩქერი,  
ან ნაკადი, ან ჩანჩქერი,  
იმიტომ, რომ რაც კი სძულდა —  
სულის სევდა, ფიქრთა მტვერი,  
აიცილა, გაზაფხულდა“.

გამიჯნურებული ჭაბუკი პოეტი სულისსწორის მიმართ საყვედურებს გამოთქვამს; სწუხს, რომ მან ვერ შეიძინო სატრფოს გული და ამიტომ არ ასვენებს მას სევდის ზადე და განცდილი სიდუხჭირე:

„რომ იცოდე, რა რიგ მომდევს  
შავ ბურუსში სევდის ზადე,  
ყოფნის ზღვაზე მარტოობის  
სიდუხჭირეც განვიცადე...  
გამოვცადე ყველაფერი,  
რაც კი ძალუძს ცნობის ჯადოს,

რაც კი ძალუძს ობოლ ყვავილს  
ღამის ძილში გამოცადოს...  
ვიგრძენ, რაც კი შეიძლება,  
კაცი შესწვდეს და გაიცნოს.  
მხოლოდ ერთი სამუდამოდ  
საიდუმლოდ დაფარული,  
შენ თვალეში ვერ გავიგე,  
ვერ გავიგე შენი გული“.

ამ სატრფიალო ლექსებში სატრფოს ღალატით გამოწვეული გულის კვნესაც ისმის და საკუთარი შეცდომების მხილვაც:

„დამწავე ხარ... შენ ხომ პირველად  
ჩასტეხე ჩვენი საერთო ხილი,  
მაგრამ ყველაფერს შენის ტანჯვებით  
და შენი ცრემლით გამოისყიდი.  
ვცდებოდი, როცა მოღალატედ და  
ცხოვრების ამრევ არსებად გთვლიდი,  
მაგრამ ამასაც, ჩუმი ნაღველით  
იდუმალ ლოცვით გამოვისყიდი...  
სებუტაც სიყვარულს მე თვალთმაქცობად  
და ჩვეულებრივ სისუსტით ვხსნიდი,  
მაგრამ ამასაც, ჩუმი ნაღველით  
და მწველ ნაღველით გამოვისყიდი.“<sup>1</sup>

ასეთი ლექსები მრავალი მოიპოვება გალაქტიონის არქივში. მაგალითად: „მონაზონ ქალს“, „ალბომში“, „მდინარის პირზე“, „ყოველ დილით“ და სხვ.

გალაქტიონის ამ გამოუქვეყნებელ ლექსებში არის ერთი საყურადღებო პოემაც. რომლის სათაურია „თასი“ და რომელშიაც პოეტი აღწერს რუსუდან დედოფლის სიკვდილის ამბავს. პოემა იშლება წყლის პირას დაბანაკებული ქართველ ლაშქართა ლხინით, სადაც, დედოფალი რუსუდანი ღვინომორეულია და ამიტომ პოეტის მიერ გაიცხებული:

„მწარე ღუღუნით იგონებდა  
განვილ დროს მტკვარი,  
ამ დროს მის პირზე ლხინს ებრძოდა  
ქართველ ლაშქარი,  
და დედოფალი რუსუდანი  
კახურით მთვრალი,  
ცის დასავლეთით გასცქეროდა,  
სუსტი, ფერ-მკრთალი...  
წყნარი ოცნება დაღალულ სულს  
შორს მიაფრენდა,  
მთვარე ფერმკრთალი მის სახეზე  
მკრთალ ნათელს ფენდა,

<sup>1</sup> „სანთელი თრთის“.



თითქო კვირობდა დედოფალი  
 ამ ლხინის ხმებით,  
 რომ ვნების მორევს მისცემოდა  
 მთელის არსებით...  
 ისევ ისმოდა მტკვრის ნაპირზე  
 სიმღერა ნელი,  
 გულის სიღრმიდან მოსუნთქული,  
 განუწყვეტილი...“

პოეტი სწუხს, რომ თამარის ასულს,  
 რუსუდანს „დავიწყებია ქვეყნის ჭირი“  
 და ვნებებს შეუპყრია მისი არსება. ამის  
 გამო პოეტი აღშფოთებით წარმოსთ-  
 ქვამს პოემად: „ვაი ჩვენს ბედსა და  
 სივალახეს, მტრით გარემოცულ სამ-  
 შობლოს, ბრძოლა ესაპიროება და არა  
 ლხინი და ჟინთა მოკვლა“ ამბობს იგი  
 რუსუდანის შესახებ. ხოლო პოემის  
 ფინალში კი სასტიკი განაჩენი გამოაქვს  
 რუსუდან დედოფლისთვის.

პოეტი სახელოვანი დედის უღირს  
 შვილს თამარისეული თასით ხელში  
 კლავს: „აწ რისთვის, ვისთვის, ვარ სა-  
 ჭიროო“, წარმოსთქვამს რუსუდან დე-  
 დოფალი და უკანასკნელად საჯაროდ  
 აცხადებს:

„მამულიშვილო! თამარ მეფის  
 ხელთა მაქვს თასი,  
 ვინ უწყის რამდენ შვების წვეთი,  
 წვეთი ძვირფასი  
 უგემებია მისგან ქალურს,  
 ჩემს დედას თამარს...  
 რომელიც ძღვეის ნათელსა ჰყენდა  
 ქართველთა მთა-ბარს...  
 დიდი ხანია, რაც მე ამ თასს  
 დავატარებდი,  
 სხვის არ ეუმხელდი და ნიავსაც  
 არ ვაკარებდი...  
 დადგა ეს ჟამი, ჩემთვის მწარე  
 და სავალალო,  
 უნდა დავცალო!

დასცალა კიდევ და დაიმსხვრა  
 თასი ნარნარი...  
 და დედოფალიც ძირს დაეცა,  
 უსულო მკვდარი...  
 მიწყდა ლხინის ხმა... გაიფანტა  
 შვების სიზმარი...  
 მწარე დუღუნით იგონებდა  
 განვლილ დროს მტკვარი“.

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების ეს  
 ციკლი შემდეგდროინდელ გამოქვეყნე-  
 ბულ ლექსებს, რა თქმა უნდა, ვერ შე-  
 ედრება. მაგრამ ამ ლექსებში უსათუოდ  
 იგრძნობა ქეშმარიტი პოეტური ტალან-  
 ტი, ვაჟკაცური სული, უშუალობა და  
 ადამიანური ქეშმარიტებისაკენ სწრაფვა.  
 იგრძნობა ისიც, რომ ამ ლექსებზე  
 ვარჯიშობდა, იწვრთნებოდა და იზრ-  
 დებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელში  
 ჩასვლისას ამ ლექსებს იგი მრავალჯერ  
 გულმოდგინედ კითხულობდა, ასწორებ-  
 და და იქვე ტოვებდა. მის მერმინდელ  
 და ცნობილ ლექსებში ბევრგან მეორ-  
 დება ამ ლექსების სახელები და თემები,  
 ზოგჯერ მთელი სტროფებიც, მაგრამ  
 უკვე მაღალმატერულ სიმაღლეზე აყ-  
 ვანილი და განზოგადებული.

ყველა ეს ლექსი კუთვნილება იყო  
 პოეტის ერთადერთი ძმის პროკლე ტა-  
 ბიძისა, რომლის გარდაცვალების შემ-  
 დგ უსაზღვრო გლოვის ნიშნად გალაქ-  
 ტიონმა წვერი მოუშვა.

ამ ლექსების დღემდე გამოუქვეყნებ-  
 ლობის მიზეზად თვით პოეტისავე სი-  
 ტყუები უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მას  
 ამ ლექსების ბოხჩაზე მიუწერია:

„მე უფრო ვიცი ჩემი ამბავი,  
 ჩემი ლექსები დაუსტამბავი“.







მოგვაგონებენ. ამიტომაც ეტრფის პოეტი ასე გატაცებით ფერების დიდოსტატს.

მე ვუსმენ ყველას, წარმოვიდგენ ცხოვრებას  
 მისას,  
 ცოცხლდება ჩემს წინ მკრთალი სახე ფერების  
 მგოსნის,  
 მთვარეულივით დაემხობი თბილისის მიწას  
 და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს  
 მკოცნი.

ლალო ასათიანის სატრფიალო ლექსები მეტად ხალასი განცდით არის შექმნილი. ამ ლექსებში ჩაქსოვილია ქართველი ქალის კდემამოსილება და პატრიოტული სიამაყე. ხოლო მისი ინტიმური ლირიკა პოეტური ავტობიოგრაფიაა, მისი სულიერი აღსარებაა მკითხველის წინაშე. ამიტომაც არის, რომ ულამობელი სენის ბრჭყალებში მოქცეული ქაბუკი-მგოსნის სიმღერებში წამიერად დაიკვნესებს ხოლმე სიცოცხლისაგან განშორების მწარე შეგნება:

გაფრინდება სიყმაწვილე შფითიანი,  
 წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!  
 მკითხველმა ღრმად შეიყვარა ლალო ასათიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ვინაიდან იგი მასში ხედავს საბჭოთა სინამდვილით შთაგონებულ პოეტს, ჩვენი სოციალური საზოგადოების სულიერ პირშოს. და თუ რამდენიმე ლექსში შეინიშნება სევდიანი ფიქრისა და განწყობილების ანარეკლი, იგი სრულიადაც არ არის დაკავშირებული ცხოვრების პესიმისტურ გაგებასთან. ასეთი განცხადების საფუძველს გვაძლევს ლ. ასათიანის ლირიკის საფუძველს ნიმუშები — „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, „სიმღერა თბილისზე“, „ქუჩა პალმებში“, „თებერვლის დილა“ და მრავალი სხვა. ლალო ასათიანის პოლიტიკური ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია ლექსი „ლენინის ტომი“.

მან მთარჩინა ჩუმი წუხილი,  
 ჩემს სიმღერებში გამოვლენილი,  
 მის ფურცლებიდან შუბლმკვებუნელი  
 მესაუბრება მამა ლენინი.

ის ლაქვარდით ფურცელგაშლილი  
 ჩემი მზე გახდა, ჩემი მშვენება,  
 მან შემასწავლა მე კომკავშირით  
 განახლებული ქვეყნის შენება.

ასე გულდაგულ ვერ ვიბრძოლებდით,  
 რომ არ გვიძოდეს მისი ცისკარი,  
 იგი წიგნია ჩვენი ცხოვრების  
 ყოველდღიურად წანაკითხავი“.

ლალო ასათიანს მოეპოვება ეპიური ნაწარმოების შექმნის ცდები. მისი ბალადა „ასპინძა“ და პოემა „ბასიანის ბრძოლა“ თვალწინ გვიშლის ქართველი ხალხის გმირული ისტორიის ფურცლებს. პოემაში „ბასიანის ბრძოლა“ არ არის გახსნილი ადამიანთა ხსიათები. იქ უფრო ძუნწი შტრიხებით გამოკვეთილი პორტრეტებია, ხოლო მხატვრული გარემო გულდასმით შესრულებული ფერწერა. მისი წაითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს აბჯარასმულ ქართველ ვაჟაკთა ბრძოლის სურათებს გხედავდეთ. პოემა გამსჭვალულია ხალხის გამარჯვების ურყევი რწმენით... და იგი იწერებოდა პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, 1942 წელს.

პოემა „კოლხიდა“ პოეტის მიერ სოციალისტური სინამდვილის ეპიკურ ფორმაში ათვისებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. იგი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად დაუფლებული სიუჟეტური პოემის კლასიკურ ფორმას, მაგრამ პოემის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ახალგაზრდა პოეტი ალღოიანად მიიკვლევდა გზას ქართული საბჭოთა ეპოსისაკენ.

ლალო ასათიანის ლექსების მთავარ სამკაულს მკაფიოდ გამოკვეთილი მხატვრული სახე და შედარება წარმოადგენს. მისი ლექსები ინტონაციურად მდიდარია. მას ნაკლებად ახსიათებს ფორმის ცალმხრივი ექსპერიმენტები, ფორმალური სიახლისადმი მისწრაფება. იგი ყოველთვის ცდილობს ამა თუ იმ მოვლენის მოულოდნელი, ლამაზი კუთხიდან მხატვრულად ასახვასა და შეცნობას.



## პახანგ პიხსთავი

### შექსპირის 107-ე სონეტის შესახებ

107-ე სონეტი შექსპირის ერთადერთი სონეტია, რომელიც ცნობილ ისტორიულ ფაქტს ეხება და ამიტომაც დათარიღების შესაძლებლობას იძლევა. მასში კიდევ ერთხელ მკლავნდება შექსპირის მტრული განწყობილება ინგლისის დედოფალ ელისაბედისადმი.

ინგლისელი კომენტატორების აზრით, მასში ნაგულისხმევა ელისაბედის სიკვდილი და ჯემს I გამეფება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს აზრი მცდარია. მოგვყავს ამ სონეტის ზუსტი პროზაული თარგმანი:

„მერც ჩემი შიში, ვერც მთელი მსოფლიოს წინასწარმეტყველური სიზმრები ჯერ ვერ აბრკოლებს ჩემს შრომას საყვარლისათვის, რომელსაც საპყრობილე ემუქრებოდა.“

მოკვდავმა (მომაკვდინებელმა) მთვარემ დაბნელება გადაიტანა და ვაი-მისნები საკუთარ მკითხაობას დასცილიან; მერყეობა თავის თავს ახლა სიმტკიცით აგვირგვინებს და მშვიდობა ზეთისხილის მარად უქკნობ რტოს გვიბრდება.

ამ უღარესიდ დამაამებელი დროის მკურნავმა წვეთებმა ჩემი საყვარელი ახლა ფერზე მოიყვანა; სიკვდილი მეც დაჰნებდა, რადგანაც, მის ჯიბრზე, მე ამ ღარიბ ლექსში ვიცოცხლებ, ის კი, როგორც მას სჩვევია, უბირ, უენი ხალხს სჩაგრავს; და შენ ამ ლექსში ნახავ შენს ძეგლს, როცა მტარვალთა აკლამები და მათი სახსენებელი მოსპობილი იქნება.“

უშეველია, რომ „მთვარეში“ იგულისხმება დედოფალი ელისაბედი, რომელსაც მისი სამეფო კარის მეხოტბენი ანტიკური მითოლოგიის მთვარის ქალღმერთს დიანას, არტემიდას ან სინთიას აღარებდნენ, რადგანაც ელისაბედი მისავით ქალწული იყო, მაგრამ, მთვარე განსხვავებით, შექსპირმა „მთვარეს“ ორატორიული ეპითეტი წაუშმღვარა: სიტყვა „mortal“ ინგლისურად მოკვდავსაც და მომაკვდინებელსაც ნიშნავს. შექსპირი ნართაულად გვეუბნება: „ელისაბედი მთვარისა და ნადირობის ქალღმერთს

კიდევ ერთი თვისებით გავს; ის გულქვაა, დაუნდობელი, მომაკვდინებელი. მან ჯალათებს მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები მოაკვლევინა“. ხსენებულ ეპითეტის ასეთ გაგებას მხარს უჭერს ბოლო სტრიქონები, სადაც შექსპირი „მტარვალებს“ სრულ დაიწყებას უქაღის.

შემდეგი მოსაზრებები გვაფიქრებინებს, რომ ასევე შეიძლება დაიწერა ელისაბედის მეფობის დროს და ანა მისი სიკვდილის შემდეგ.

„მოკვდავმა მთვარემ დაბნელება გადაიტანა“, დედანში ხმარებულ სიტყვას „ehdured“ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: „გადიქანა, განიცადა, გაუძლო, დარჩა, დაჰყო“. ამ სტრიქონის ფარული აზრის გახსნა გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ითარგმნოს „ehdured“. ელისაბედის ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში პირადად მას და ინგლისს არასოდეს არ გადაჰვარებია ისეთი საზარელი ჩრდილი, როგორც იყო ესპანეთის მიერ ომის გამოცხადება. ის ვაფთრებული ბრძოლა, რომელიც მთელს ევროპასა და კერძოდ, ინგლისში მძვინვარებდა პროტესტანტებსა და კათოლიკეთა შორის, უკიდურესობამდე გაიწვავდა, როდესაც ელისაბედი სიკვდილი მიუსჯავა მის მიერ დაპატარებულ შოტლანდიის დედოფალს მერი სტიუარტს. მთელი კათოლიკური ევროპა რომის პაპთან ერთად უკანონოდ სთვლიდა ელისაბედს გამეფებას, ხოლო მერი სტიუარტი ინგლისის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნდა. მერი სტიუარტის სიკვდილით დასჯამ მთელ ევროპა შეაბრწყინა. იმ დროის ფილოზოფებმა სახელმწიფომ, ესპანეთმა 1588 წლის ზაფხულში 130 სამხედრო ხომალდი, „უძლველი არმადა“, ინგლისის ნაპირებისაკენ დაძრა. არმადა ინგლისის საზღვაო ძალებს თითქმის ერთიორად აღემატებოდა, მასზე 30 ათასი მეზღვაური და ჯარისკაცი იმყოფებოდა. გარდა ამისა, ფლანდრიის სანაპიროზე, დუნეკერკში, ესპანელების

30 ათასიანი არმია ელრდა არმადას ინგლისში გადასახმელად, რა თქმა უნდა, მრავალი „გვიმისანი“ გარდუეულ დამარცხების უწინასწარმეტყველებდა ინგლისს. მაგრამ საზარელმა ჩრდილმა უენებლად გადაუარა ინგლისის გვირგვინოსან „მოკვლავ მთვარეს“. მან „დაბნელება გადაიტანა“. ინგლისელი მეზღვაურების თავგანწირულმა ბრძოლამ გასსაკუთრებით კი საშინელმა ქარიშხალმა, „უძლეველი არმადა“ გაანადგურა, მისი მესამედი-ლა დაბრუნდა ესაპენეთში.

ამის მომდევნო სტრიქონი: „მერყეობა თავის თავს ახლა სიმტიციტ აგვირგვინებს“ — ზედმიწევნით ახასიათებს ელისაბედის მეფობას. ელისაბედი მერყევი იყო. მერყევი იყო როგორც მისი ტახტი, ისე მისი პოლიტიკა, დიპლომატია. მისი გამეფების დღიდან, ე. ი. 1558 წლიდან დაწყებული, მერი სტიუარტი ინგლისის, შოტლანდიის, საფრანგეთისა და ესპანეთის კათოლიკეთა მხარდაჭერით შეუპოვრად ეცილებოდა ელისაბედს ინგლისის სამეფო ტახტს. რომის პაპმა ელისაბედის გამეფება უკანონოდ გამოაცხადა. ესპანეთსა და საფრანგეთს, ორ ძლიერ მტერს შუა მოქცეული, ცივირი ელისაბედი თავისი მერყევი გვირგვინის შესანარჩუნებლად მერყეობის, ყოყმანის, მოჩვენებითი დათმობის, მოტყუების, მიყიბულ-მოკიბული დიპლომატიის გზას დაადგა. ოცდაათი წლის განმავლობაში ის ამგვარად ახერხებდა ევროპის გაიძვრა დიპლომატიის გაამაჟულებას, მაგრამ, როცა საბედისწერო საათმა დაკრა, ელისაბედმა გაბედულება და სიმტიციტე გამოიჩინა. ამით გამხნეებული ინგლისის ხალხი, წოდებისა და სარწმუნოების განუტრეველად, ელისაბედის და მის მთავრობის გარშემო გაერთიანდა და დაიარაზა. ინგლისელი ისტორიკოსი გრინი წერს: „არმადის დამარცხება... კათოლიკური ტრორობის შიშის განქარავება, პროტესტანტებს სულს რომ უსუთავდა, ჭეშმარიტად მკედრებით აღდგომა იყო“. ამიერიდან ინგლისს ომი აღარ ემუქრებოდა. ესლა ევრაიენ ვერ წარათმევედა ელისაბედს მის გვირგვინს. შექსპირს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ ელისაბედმა მერყეობა უკუაგდო და გვირგვინი განიმტიციტა.

ესპანეთზე გამარჯვების შემდეგ, უმაგალითო ძლიერებით იფეთქა ინგლისელი ხალხის შემოქმედებით ენერჯიამ. ელისაბედის სიცოცხლეშვე დიდებულად გაიფურჩქნა ეროვნული პიუზი, დრამატურგია, მეცნიერება და ფილოსოფია; ინგლისის ვაჭრობა, სავაჭრო კაპიტალი უმაგალითო ზრდის და განვითარების გზას დაადგა. ნიშნობლივია, რომ სწორედ ამ წლებს ეკუთვნის შექსპირის შემოქმედების ე. წ. „მეორე პერიოდი“, რომელიც, პატრიო-

ტულ ისტორიულ დრამებთან ერთად, შექსპირის ყველაზე უფრო მზიარულ კომედიებს შეიცავს.

სწორედ ამ მშვიდობიანობის სულის ჩამდგმელ ხანას, არმადის დამარცხების უშუალო შემდეგს, უმღერის 107-ე სონეტი. განა დასაჯერებელია, რომ „უღრესად დამაამებელ ხანად“ შექსპირს ჯეიმს პირველის გამეფება მოენათლოს? ამ მახინჯმა, ლითმა, მრულშმა, ყოყობა აღამინამ მთელი ინგლისი გადაიმტიტრა. მთელი ხალხი ზიზღითა და აღმუთებით უყურებდა მეფე ჯეიმსს, მის სამეფო კარს და მთავრობას, აღვირ-ახსნილი გარყვნილების, მექრთამეობის, უნამუსობის, უგუნურების ჯერ არახალ სურათს. 1604 წელს, ე. ი. ჯეიმს I მეფობის პირველსავე წელს გამოქმედანდა ფართოდ ორგანიზებული შეთქმულება, რომლის მიზანი იყო ჯეიმსის მოკვლა და პარლამენტის აფეთქება.

ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ შეიძლება კიდევ ერთი საბუთიც დაეიმოწმოს.

უკველია, რომ სონეტი მიმართულია შექსპირის საყვარელ მეგობრისადმი („true love“ საყვარელს ნიშნავს), რომელსაც ელისაბედის მთავრობა არაკეთილსამიფლო პიროვნებად სთვლიდა. ესპანეთთან ომის წინადროინდელი სიტუაცია ინგლისში მეტად დაძაბული იყო და ასეთი პირებისათვის საშიში. ზემოხსენებული ისტორიკოსის სიტყვით, მათ აჯარიმებდნენ ან აპატიმრებდნენ. შექსპირის მეგობარს „საპყრობილე ემუქრებოდა“ (ინგლისურ დედანში ნახბარი სიტყვა „confined doom“ ნიშნავს თავისუფლების აღკვეთას — იხ. მოსკოვი 1937 წ. სტივენ სომერსეტის და ჯონ ევანსის რედაქციით და კომენტარიებით გამოცემული შექსპირის ოთხტომეული: ტ. III, გვ. 839); მაგრამ, ესპანეთის დამარცხების და მშვიდობის განმტიციტების შედეგად, ელისაბედმა არასამიფლო პირების დევა შესწყვიტა ან შეასუსტა და ამის გამო შექსპირის მეგობარი გამოცოცხლდა, „ფერზე მოვლდა“. მიუხედავად ამისა, შექსპირი მაინც შიშს განიცდის, როცა თავის საყვარელ მეგობარზე ფიქრობს. სონეტის დასაწყისშივე წერია: „...ჩემი შიში... ჯერ ვერ აბრკოლებს“... ზნა აწყყო დროშია მოცემული; მას აზინებს მისი მეგობრის მომაგალი, რადგანაც ინგლისის ტახტზე ჯერ კიდევ ელისაბედი ზის, შექსპირს 107-ე სონეტი ჯეიმს I გამეფების შემდეგ რომ დაეწერა, შიშს მასში აღგილი არ ექნებოდა. ჯეიმს I სტიუარტი შეილი იყო მერი სტიუარტისა. ცხადია, რომ ჯეიმს I გამეფებას ელისაბედისაგან დენილი პირები შვეებით შეეგებებოდნენ.

საინტერესოა ერთი გარემოება. თუ 107-ე



სონეტიც მიეძღვნა შექსპირის სონეტების „ერთადერთ შთამაგონებელს“, მის სათაყვანებელ მეგობარსა და მფარველს, ლორდ ჰენრი რაიონსლი საუთემპტონს, მაშინ შექსპირის წინათგამნობა გამართლდა. 1601 წელს, ე. ი. ელისაბედის სიკვდილამდე ორი წლით ადრე, გრაფ ესექსის შეთქმულებასთან დაკავშირებით, ლორდი საუთემპტონი დააპატიმრეს. ამ შემთხვევაშიაც, შექსპირს სონეტი ჯეიმსის გამეფების შემდეგ რომ დაეწერა, ის არ იტყოდა, რომ მის საყვარელს „საპყრობილე ემუქრებოდა“. მუქარა უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი.

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია და 107-ე სონეტი დაწერილია არმაღის განადგურებით გამოწვეულ საყოველთაო ზეიმის დროს, მისი თარიღი უნდა იყოს 1588 წ.

შექსპირი ამ დროისათვის 24 წლის ახალგაზრდაა. მას ჯერ არა აქვს შექმნილი ის ნაწარმოებები, რომლებმაც მისი სახელი უკვდავების შარავანდელით შემოსეს. იმედი მას მოკრძალებით ათქმევენებს: „სიკვდილის ჯიბრზე ამ ღარიბ ლექსში ვიცოცხლებ“.



## ბაზა ხაიუკი

# მოყმისა და ვეფხვის ბადადა

### ლექსი მოყმისა და ვეფხვისა

ქართული ხალხური პოეზიის, კერძოდ საგმირო ეპოსის ოქროს გვირგვინია ბადადა „მოყმე და ვეფხვი“.

ამ ბადადის ძირითადი ვარიანტი 1931 წ. გამოაქვეყნა აკად. აკაკი შანიძემ „ხალხური პოეზიის“ I ტომში. ა. შანიძე შენიშვნებში ამბობს: „ჩამაწერინა ახიელელმა უნცრუა (ლუკა) ჯაბუშანურმა 15.3.1925 წელს თბილისში.

პირველი ნაწილი ამ ლექსისა ნაწილობრივ ძველია და ნაწილობრივ ახალი, მეორე ნაწილი სულ მთლად ახალი; გადაკეთება-გაგრძობა ძველი სიმღერისა გიორგი უთურგას-ძე ჯაბუშანურს ეკუთვნისო“.

ზემოთ დასახელებულ კრებულში ა. შანიძეს დაბეჭდილი აქვს ამ ბადადის თერთმეტი ვარიანტი. მრავალი ვარიანტი გამოქვეყნებულია ხალხური პოეზიის სხვადასხვა კრებულში.

ჩვენი წერილის მიზანია გავაცნოთ ქართველ მკითხველს ამ ბადადის ახალი, ვრცელი ვარიანტი, რომელიც ამ სახით არც ერთ კრებულში არ დაბეჭდილა დღემდე. როგორც ვიცით, ხალხური ლექსი დროთა განმავლობაში იხვეწება, ზოგი რამ ემატება ან აკლდება და ბოლოს მტკიცე ფორმას იღებს. „მოყმისა და ვეფხვის ბადადის“ ეს განვრცობილი სახეც ყამთა ვითარების შედეგია. ჩემი აზრით, ბადადაში ჩამატებული ადგილები ხელს უწყობს. მოქმედების სურათების ნათელყოფასა და სიუჟეტის მძაფრ მდინარებას. დღემდის უცნობი ადგილების 28 სტრიქონი ჩაივსწერე თიანეთის რაიონის სოფ. ჩაბანოში, ცნობილი ხალხური მთქმელის ას წელს მიღწეულ ბუთლა ალბუთა-შვილისაგან.

ამ სტრიქონებიდან ზოგი თუმცა ცნობილია, მაგრამ სტრიქონებში სიტყვათა გადაადგილების გამო ახალ ვარიანტად მიიჩნია.

დღემდე გამოუქვეყნებელი სტრიქონები იბეჭდება განსხვავებული შრიტებით.

მოყმემა პირშიშველამა  
შიზნ ვაიარან კლდისანი,  
მონადირან, დალახნა  
ბილიკნი ჭიუხისანი...  
შამაპხვლა კლდისა თავზედა  
ხორონი ჯიხვევისანი,  
ჯიხვს ისარ ხტეორცნა, ბერხენსა,  
ქალას ჯახნ იქნენ რქისანი.  
დაღამდა. ბინდი დაეცა,  
ფრინველნ მოქუჩდენ ცისანი,  
ცა გაიღესა ღრუბლებით  
არც წვეთი სინათლისანი.  
უამი დაუდგა მოყმესა  
უამი გულ-მუხლის ცდისანი,  
წარა-უქანა იარა,  
გზა ვერ გაიგნა კლდისანი.  
მეორე მხრიდან მოესმა  
ხმაური რაღაცისანი,  
ხან შფოთვა ესმის, ხან ბორგვა,  
ხანაც შრიალი ტყისანი.  
შიში არა აქვს მოყმესა  
არც მოყვრის, არცა მტრისანი,  
იქით წავიდა, საღაცა  
ხმაური ესმა სხვისანი.  
შევარდა ვეფხვსა ნაწოლსა,  
დრონ იყვენენ შუაღმისანი,  
ვეფხვი რომ წამოუფრინდა,  
თვალნი არისხნა ხვთისანი;  
წამით გასინჯეს ერთურთი,  
ფერა დაედოთ მაგლისანი,  
თვალი თვალში გაუყარნეს  
ვით გატყორცნილი ისარი.  
დრო აღარ დაპჩრა მოყმესა  
ხანი გორდაის ცდისანი,  
შაიბნენ ვეფხვი, მოყმე,  
მაშინ დაიძრნენ მიწანი.  
კლდეები ჩამოინგრიენენ  
შტონ დაიღწუნენ ტყისანი.

ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,  
ვეფხვი ჩქარია კლდისანი,  
ვაზით გაართვნა კალთანი,  
ჯაჰვისა ჯაფშანისანი.  
ვათენებამდე იბრძოლენს  
**ჩქამ იდგა სისხლის ღვრისანი,**  
**უკან უფსკრული, წინ ვეფხვი,**  
**არც ვინ მეშველი ყმისანი.**  
მოყმემაც ხელში იყარნა  
ვადანი თავის ხმლისანი,  
მაშინ გაუჭრა გორდამი,  
ღრონ იყვნენ წაქცევისანი.  
ცამ თვალ დაუცა, განათდა,  
აჩნდნენ ბილიკნი კლდისანი,  
**ვეფხვი კლდით გადმოაკიდა**  
**ჩამოაწითლნა ქვიშანი.**  
თავად კლდის თავზე შამოწვა —  
მოყმე სულამოდინარი,  
ქვიშას მიღებავს წითლად  
სისხლი ზედ ჩამომდინარი.  
ვინ ეტყვის მაგის ღედასა  
**არ უსხედს ქადაგ-მისანი,**  
უერთოდ კი არ იხარჯნენ  
ჩვენ მონადირნის ისარნი.  
იარებოდა დედაი  
თვალცრემლიანი მტირალი,  
ჩემს შვილს ვხად ვეფხვი შაჰყრია  
გაჯავრებული, ტიალი,  
**ვეფხვსა ხმლით, ჩემს შვილს ტოტითა**  
დღე დაულამდათ მზიანი.  
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,  
არც ჩემ შვილ შაჰხვდა ჭკვიანი,  
მათ დაუხოცავთ ერთურთი,  
არ დარჩნენ სირცხვილიანი.  
ტირილით წყლულებს უხვევდა  
დაჭრილსა ვეფხვის კლანჭითა,  
შვილო, არ მაჰკვდი, შენ გძინავს

დაქანცული ხარ ჯაფთა,  
ეს შენი ჯაჰვის პერანგი  
ტიალმა როგორ დაფლითა?  
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,  
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.  
არც ვეფხვმა მოგცა მეტი ღრო,  
ალარც შენ დააცლია,  
ველარც შენ დაიფარიე  
შენს ხელთ ნაჭერი ფარია,  
ველარცა ვეფხვმა ტოტებით  
ხმალმა დაეუწა ძვალია.  
მაგის მეტს აღარ გიტრებ,  
შენ არ ხარ სატირალი,  
**ტოლებში, ლაშქარბაშია**  
**არ იყავ საწუნარია,**  
მშვიდობით ჯვარი გეწეროს  
გეგე სამარის კარია.  
ერთა შვილ მაინც გაგზარდე  
ვეფხვებთან მეომარია.  
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი  
ელანდებოდა მძინარსა,  
ხან ვითომ ვეფხვი იმის შვილს  
ტანზეთ აჰყრის რკინასა,  
ხან კიდევ იმისი შვილი  
ვეფხვს გადაავლებს ყირასა.  
აი, ამ სიზმრებს სინჯავდა,  
გამოეღვიძის მტირალსა.  
ხან იფიქრებდა უდედოდ  
ვაზრდა ვინა თქვა შვილისა?!  
იქნება ვეფხვის დედაი,  
ჩემზე მწარედა სტირისა,  
წავიდე, მეც იქ მივიდე,  
სამძიმარ ეუთხრა ჭირისა.  
ისიც მიაბოობს, მეც ვეტყვი  
ამბებსა ჩემი შვილისა,  
იმასამც ბრალი ექნებინს  
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.



თენისი ნოკვი

ჩვენთვის

ავტობიოგრაფია, ჩაწერილი ჯეიმს რამზაი  
ულმანის მიერ

ჩომოლუნგმას

ყველა შერპისა და მსოფლიოს  
ყველა მთასვლელის სახელით

თ ე ნ ს ი ნ გ ი

ჩომოლუნგმელი ჯანბლმენი

1953 წლის 29 მაისის შუაღლე იქნებოდა, როცა ალბინისტები ედმუნდ ჰილარი და თენსინგ ნორგეი ევერესტზე ავიდნენ და იქ თხუთმეტი წუთი დაჰყვეს. მწვერვალთა ყველა დამპყრობის მსგავსად, მათაც ხელი ჩამოართვეს ერთიმეორეს, გადაიღეს სურათები, დატყბნენ თვალწინ გადაშლილი სანახაობით და უკან დაეშვნენ, ქვემოთ ახალი ცხოვრება ელოდათ. განსაკუთრებით თენსინგს. იგი უბრალო ადამიანი იყო, როცა ევერესტზე იერიში მიიტანა; ახლა უკან გმირი ბრუნდებოდა და მასაც უნდა ეგემნა გმირის სახელთან დაკავშირებული ყოველი განცდა და სიხარული.

დასავლეთელ ადამიანს გაუჭირდება იმის წარმოდგენა, თუ რა არის თენსინგი დღეს აღმოსავლეთათვის. უნებურად აღარტბ მას ჩარლზ ლინდბერგს. მაგრამ თვით ლინდბერგი თავისი დიდების ქამსაც არ ყოფილა ღირსეულად დაფასებული და პატივცემული. თენსინგი კი ცოცხალი დეიანება, ხორცშესხმული შივა ან ახლადმოვლენილი ბუდაა აღმოსავლეთის მილიონობით მცხოვრებთა თვალში. სხვა ხალხებისათვის, რომლებიც საკმაოდ არიან გამოცდილი, რათა ერთმანეთში არ აურთიონ კაცი და ღმერთი, ის მხოლოდ გამოჩენილი მოკვდავია და მტე

არაფერი. პირდაპირი თუ არაპირდაპირი აზრით, ევერესტზე ასული თენსინგი ზეცას მისწვდა. კაცობრიობის ისტორიაში თენსინგი არის უბრალო ხალხიდან გამოსული პირველი აზიელი, რომელმაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი და დიდება მოიმკა. აზიელებმა მის გმირობაში დაინახეს არა მარტო დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე გამარჯვება, არამედ თავიანთი მომავალი ბედნიერების საწინდარიც. თენსინგის სახელი უკვე შევიდა აღმოსავლეთის ყოველი კუთხის თქმულებებსა და სიმღერებში. დღეს მისი სახელი ლეგენდებითა და მითებითაა შემოსილი.

აი, ის დგას თოვლში, ჟანგბადის ნილბიანი — დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე, — თენსინგი — გმირი, ლეგენდარული თენსინგი, უსახო სიმბოლო, დროშების ცაღ აღმმართველი. ესაა მისი ერთი მხარე და საესებთ შესაძლებელია, უფრო ხანგრძლივად ის სწორედ ასეთი დარჩეს ადამიანთა ხსოვნაში. მაგრამ ჟანგბადის ნილბასა და ზამბის ტანსაცმელში სხვა თენსინგი იმალება. სწორედ იმ თენსინგზე, და არა ყველასაგან ზოტბაშესხმულ გმირზე მოგვიხსოვს ეს წიგნი. „მე ისევ ის თენსინგი ვიქნები, რაც ვიყავი“, — დასკვნის ის, და ეს მართალია,





ჩენდა საბედნიეროდ, იმიტომ, რომ „ძველი თენისნიცი“, არა „ლეგენდარული“ და არა „სახელგანთქმული“ თავისთავად შესანიშნავი პიროვნებაა.

ვეერსტის დამპყრობს ჩვეულებრივად აღწერენ, როგორც ჩია კაცს. მაგრამ ეს არაა სწორი. შესაძლოა ის ასე გამოყურებოდეს ახმაზი პილარის გვერდით; მაგრამ, სინამდვილეში, თენისნიცი მოხდენილი ტანის, საშუალოზე მაღალი კაცია. სიტყვა „ჩია“ არც მის ბუნებას შეეფერება. მასში ნატამალიც არ არის შეზღუდულობის, სიჩლუნვის ან პროვინციულობისა, როგორცდაც სოფელს ან მთიელი წარმოადგენენ ხოლმე. მეტ-ნაკლებად, ასევე ითვის შერპების მთელს ტომზე. შერპები ძალზე უბრალოდ ცხოვრობენ და უმეტესად უწიფურები არიან (რადგან არ არსებობს შერპული დამწერლობა). მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული სამუშაოს და გარე სამყაროსთან დიდი ხნის კონტაქტის წყალობით, ისინი რჩეულნი არიან პიმალაელ მთიელებში. თენისნიცი რჩეულია რჩეულთა შორის. ის მშვენიერი გარეგნობის და აგებულების კაცია. მოძრავი სახე, ცოცხალი და ნათელი თვალები, მახვილი ენა და გონება, მოხიზბლავი ღმილი. დავ იყოს მისი საყვარელი სასმელი ჩია ან შერპული ჩანგი, თვითონ ხომ შამპანურია! ნათელი და კეთილი სულით დაჯილდოებული ის მთლად ენერჯიად ჩქვეს. მას აქვს ის უჩინარი თვისება, რომელსაც შეიძლება ჯიში ეწოდოს.

დღემდე თენისნიცი ცოტა როდი უმოგზაურია. ის გაეცნო სხვადასხვა ქვეყნებსა და ენებს. მას უყვარს კარგი საჭმელი, კარგი ტანსაცმელი, კარგი ცხოვრება, მხიარული თანამეინახენი. ის ძალზე ცნობისმოყვარე და ელტრის ახალ შთაბეჭდილებებს. მაგრამ მის მიერ შექმნილ ზოგიერთ ჩვევას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი საკუთარი ბუნებრივი თვისებები შეენარჩუნებინა. მასში ნატამალიც არ არის სიყალბისა და ყოყოჩობის, რაც ასე ხშირად ახლავს მოულოდნელ წარმატებას. „ძველი“ და „ახალი“ თენისნიცი ერთნაირად გამოარჩევიან ტაქტიკითა და საკუთარი ღირსების შეგრძნებით, ზრდილობითა და კეთილშობილებით. ის მარტო ალბინისტად არ დაიბადა, მას თან დაჰყვა ჭეშმარიტი ჯენტლმენობაც.

მის ახალ სახლში, დარჯილინგში, ცხოვრება დღეს და გადმოდღეს. თენისნიცის ცოლი, ანგ ლამუ, ოჯახს უძღვება. ესაა ზორცასვე, მხიარული, მოძრავი ქალი, რომელსაც თვალები გოგონასავით უციმციმებს. მათთან ერთად ცხოვრობენ ორი ქალიშვილი, ორი ძმისწული, ამდენი და ამდენი და და სიძე, და კიდევ სტუმრები და სტუმართა ნათესავები, რომლებიც მიდიან და მოდიან, როგორც მოეხასიათებათ. ეზო ძაღლებითაა სავსე. მაგიდებზე და კედლებზე

გაზეთის ამონაწერებიდან გაკეთებული ალბომები, ფოტოები და სამახსოვრო ნივთები დახვეწებული. მეორე სართულიდან ხშირად ისმის ვალობა და პატარა ზარის წყრიალი: იქა ბუდას სამლოცველო. მას ერთ-ერთი სიძე, ლამა განაგებს. პირველ სართულზე ვინმე ყოველთვის სვამს ჩაის. ყველაფერი თენისნიცის ზურგზე გადადის, ის ცოცხალია, კეთილსამიანი, და თითქოს ოდნავ სცხვენია იმისა, რაც მის გარშემო ხდება. ხანდახან გგონია, რომ ერთდროულად-ლაპარაკობს რამდენიმე ენაზე. მისი მუქი თვალები ბრწყინავენ, მაგარი, თეთრი კბილები ელვარებენ. უნებურად აქცევთ ყურადღებას ამ კბილებს, რადგან თენისნიცი ხშირად იღიბება.

ღიას, ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის. დროდადრო ღიმილი ჭრება მის სახეზე. გარე სამყარო დაყენებით და უღმობლად იჭრება მის სახლში, პატივისცემულთა ბრბო ხშირად მომადებზრებელი და აუტანელია. ცნობისმოყვარენი და თაყვანისმცემელნი, შერიანნი და სარფის მაძიებელნი წრეს კრავენ თენისნიცის გარშემო და გგონია, საცაა მათი შემოტევა მასაც შემსურავს და მის სახლსაც. იყო შემთხვევაც, როცა თენისნიცმა ვერ აიტანა ეს აურზაური და ლოცვინად ჩაყარა. მერე შემოტევა ცოტაოდენ შენელდა, მაგრამ ხანდახან ისევ ძველებურად საშიშ ხასიათს იღებს. ასეთ მომენტებში თენისნიცი უკვე აღარ გუფუნის თავის თავს და მისი ბუნებრიობა გულხაზვეულობით იცვლება. მაგრამ მოკუმული ტუჩები, დაჭრილი ნადირის თვალები... ასე გგონია, საცაა პირს იბრუნებს და სირბილით შეეყვება თხემებს, როგორც „სამინელი თოვლის კაცი“.

თენისნიცი თავისი დიდების სამაგიეროს იხდის, იხდის მთლიანად. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ისაა ნადირი ზოპარკში, თეხში აქვარაიერში. ეს აქვარაიერში საყოველთაო დათვალერებას უწყობს ტუსადის დღეში მყოფ თენისნიცს. სხვა შერპები, თენისნიცის მეგობრები ახალ და ახალ ექსპედიციებში მიდიან, მაგრამ თენისნიცი უკვე აღარ მიყვება მათ. ახლა ის მათზე უკეთესად ცხოვრობს და უარესადაც: ბრბოსა და აურზაურში მარტობას განიცდის. თენისნიცი საზღაურს იხდის არა მარტო დიდებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ სწორედ ისეთია, როგორცაა. ასეთი ინტელიგენტური და გულისხმიერი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, უფრო ბედნიერი იქნებოდა.

ისევე როგორც მის თანატომელთა უმეტესობას, თენისნიცს არა აქვს სისტემატური განათლება. მაგრამ ქვეყნისა და ადამიანების ცოდნით, დაკვირვებულობითა და საღი მსჯელობით მას შეუძლია გააწიროს მრავალი ადამიანი, რომლებიცა უმადლესი განათლების მანქანა გაიარეს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოიყვანდა თენისნიცის დამოკიდებულებაში პოლი-



ტიურ ფოკსებთან და ნაირ-ნაირ ცლებთან, — გამოეყენებინათ მისი სახელი ევერესტზე გამარჯვების შემდეგ. თენსინგს არ სურს მიემხროს რომელიმე მიმართულებას ან პროპაგანდას, რასობრივ ცურვებთან ან მყვირალა ნაციონალიზმს. რა იარაღიც არ უნდა მიაწებონ მას, თენსინგი მაინც ადამიანია მხოლოდ და მხოლოდ.

ცხოვრება სავესა შემთხვევითობით. არიან მრავალი შემთხვევითი გმირები პატარა, რიგითი ადამიანები, რომლებიც, ბედის წყალობით, ხელსაყრელ ადგილზე აღმოჩნდნენ შესაფერ მომენტში და ვარემოებებმა მსოფლიო არენაზე გამოიყვანეს. მაგრამ შერბი თენსინგ ნორგეი არ მიეკუთვნება მათ რიცხვს. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ის ავიდა მწვერვალ ევერესტზე. ამაში დარწმუნდება ამ წიგნის ყოველი წამეითხველი. ოდესღაც უილიამ ბლეივი სწერდა: „ვეფხი! ვეფხი! კაშკაშა აღი...“ მაგრამ პოეტის ფანტაზიით შექმნილი ტყუთა მეფე არ ყოფილა უფრო კაშკაშა, ვიდრე ჩვენი დროის ნამდვილი, ცოცხალი „თოვლის ვეფხი“. თენსინგის სულში კოცონი ანთია, საოცრად კაშკაშა და წმიდა, რომლის ჩაქრობა არ შეუძლია არავითარ ქარიშხალს არც ბუნებაში, არც საზოგადოებაში. ოცნება და ლტოლვა, ბრძოლის წყურბული, სიამაყე და თავმდაბლობა — რამ ანთო მისი სული. თანაც, საბოლოოდ, როცა მიზანი მიღწეული იყო და გამარჯვება მოაოვებელი, პირველ ადგილზე თავმდაბლობა აღმოჩნდა. როცა თენსინგი ავიდა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე, მისი გული აღიესო ევერესტისადმი მადლიერების ვრძნობით. დღეს ის იმაზე ოცნებობს, რომ მისი ცხოვრება მომავალშიც ევერესტის შესადგირი იყოს. თუ ყველაფერმა, რაც ზევით ვთქვი, ადვიტებინა მკითხველს, რომ მე შეყვარებული ვარ თენსინგზე, უნდა ვთქვა, რომ სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მინდოდა მომეხდინა. რა თქმა უნდა, მთები და მთასეფლები ჩემი სუსტი ადგილია, მაგრამ, ვფიქრობ, ეს სისუსტეც რომ არ ყოფილიყო და არაფერი გამეგონა ევერესტზე, მაინც ვერ ავუვლიდი გვერდს ამ შესანიშნავი ადამიანის იშვიათ თვისებებს.

როგორც თვითონვე ამბობს წიგნის დაბადებას თან ახლდა ცნობილი სიძნელები. მრავალი დაბრკოლება გადავლახეთ, ვიდრე საქმეს ჩავუჯდებოდით მის სახლში, დარჯილინგში. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, შევხვედით ერთმანეთს. შედეგი თქვენს წინაა. და, იმისდა მიუხედავად, როგორ შეაფასებენ ჩვენს თანამშრომლობას, მე სავესებით კმაყოფილი ვარ. რადგან ჯერ არც ერთ შრომას არ მოუტანია ჩემთვის ასეთი სიამოვნება. მე არ ვითვლიდი საათებს, რომელიც ჩვენ ერთად გავატარეთ, — ჯერ

ინდოეთში, შემდეგ შვეიცარიის ალპებში, სარკინო ხაზზე და ცენსინგი 1954 წლის ზაფხულზე იყო. სიძნელებების დროს ჩვენ მისი ერთგული მეგობარი, ასისტენტი და მთარგმნელი რაბინდრანატ მიტრა გვეხმარებოდა, თუმცა, ახლა თენსინგი უკვე თვითონაც მშვენივრად ერკვევა ინგლისურ ენაში, ასე რომ მთარგმნელის დაუხმარებლად მიაბო თავისი ისტორიის არცთუ მცირე ნაწილი.

ეს ისტორია ძალზე უბრალოა და თავისი ხასიათით სავესებით ეთანხმება ავტორის ბუნებას. მასში არ არის, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც მე ვხედავ, არავითარი ფრთხილი მოტივი. მკითხველს შეუძლია არ დაეკვიდეს იმაში, რომ თენსინგი ყოველთვის და ყველაფერში გულწრფელია, ლაპარაკობს ის ადამიანებზე, მთებზე თუ ღმერთზე. მისი გავებით, მთები და ღმერთი, რასაც თქვენ მალე აღმოაჩნებ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და თენსინგიც შინაგანად ისე მტკიცედ ერწყმის მათ, რომ, ხანდახან, მეტად ძნელია მათი გათშევა. ის ისეთი გრძობით აღიქვამდა მალე მთებზე, თითქოს სალოცებად იყო წმიდა ადგილებში, ან მშობლიურ კერას დაბრუნებოდა. რამდენადაც თენსინგის სხეული უახლოვდებოდა მწვერვალს, მისი სული წვდებოდა ღმერთს.

„რა აიძულებს ადამიანს იერიში მიიტანოს მწვერვალებზე?“ — თეთრკანიანების მრავალი თაობა ამოდ ცდილობდა ამ კითხვზე უპოვა პასუხი. რაც შეეხება თენსინგს, საჭირო არ არის რაიმე სიტყვების ძებნა: მთელი მისი ცხოვრებაა ამის პასუხი.

ამით მთავრდება ჩამწერის შესავალი შენიშვნები. დროა ის ჩრდილში დადგეს, დაე თენსინგმა თვითონვე მოგვითხროს თავისი ცხოვრების ისტორია. ესაა გმირის ისტორია, არა გამოგონებულის, არა ყალბის, არა შემთხვევითის — არამედ ნამდვილი გმირის. თუმცა, მე მგონია, ამით არ ამოიწურება წიგნის მნიშვნელობა: ესაა ისტორია ჩვენი დიდი ადამიანური ოჯახის იმ წევრისა, რომელითაც ყველას შეგვიძლია ვიამაყო.

ჯეიმს რამზაი ულმანი.

### გზა იყო ბრძოლი

ხშირად მაგონდება ის დილა მეცხრე ბანაკში. მე და პილარიმ დამე პატარა კარავში გავატარეთ 8400 მეტრის სიმაღლეზე, ყველაზე მაღლა, სადაც კი ოდესმე კაცს ძინებია. ცივი დამე იყო. პილარის ფეხსაცმელები ქვასავით მოაქცია ყინვამ; ჩვენც გაითიშეთ. მაგრამ ალიონზე, კარავიდან რომ გამოვედით, ქარი თითქმის ჩამდგარიყო. ცა მოწმენდილია და უღრუბლო. ეს კარგია.

ჩვენ ვიყურებით მაღლა. კვირებისა და თვეების მანძილზე ჩვენ ვიყურებოდით და ვიყურებ-



ბოდით მძლავრად, სულ მძლავრად. ამა ისიც, ვეერესტის მწვერვალი. მაგრამ ახლა სხვანაირად გამოიყურება, ისე ახლად, გგონია, ხელით მიწვდები, სულ სამას მეტრზე. ეს უკვე აღარაა ფუჭი ოცნება. ეს რაღაც რეალურია და ხელშეშახები — ჭეა და თოვლი, სადაც შეგიძლია ფეხი მოკიდო. ჩვენ გზას ვადგებით. ჩვენ უნდა ავიღოთ მწვერვალი. ამჯერად, ლეთის შეწვევებით, მივალწვეთ მიზანს.

მერე მე ქვევით ვიყურები. მთელი ქვეყანა განრთხმულა ჩვენს ფეხქვეშ. დასავლეთით — ნუბსტე, სამხრეთით — ლპოტსე, აღმოსავლეთით — მკალუ; მაღალი მწვერვალები. მათ მიღმა ასობით ჩამწკრივებულან კიდევ სხვები, და ყველა მწვერვალი ჩვენს ქვემოთაა. პირდაპირ ძირს, თანხის ჩაყოლებით, ექვსასი მეტრით დაბლა, არის სამხრეთის უნაგირი. იქ იცდინა ჩვენი მეგობრები: საძიებები ლოუ და გრიგოლი და ახალგაზრდა შერბი ანგ ნიმა. ისინი გვშველდნენ გუშინ, მეცხრე ბანაკამდე. უნაგირს იქით ჩანს ლპოტსეს თეთრი კედელი, მის ძირში — დასავლეთის ცირკი. იქ, საბაზო ბანაკში, დარჩნენ ექსპედიციის დანარჩენი წევრები. დასავლეთის ცირკიდან ქვევით ჩადის ყინულვარდნილი, უფრო იქით გაშლილა ყინულოვანი ქუმბუ. ვეღვ, რომ ჰილარი იქით იუერგან და ხელით ვანიშნებ. ქუმბუს ქვევით, ჩვენგან 4800 მეტრით დაბლა, საღამოს ბინდბუნდში ძლივს მოჩანს ძველებური მონასტერი თიანგბოჩე.

ჰილარისათვის ეს, ალბათ, ბევრს არაფერს ნიშნავს. დასავლელი კაციისთვის ეს მხოლოდ უცნობი მიყრუებული ადგილია შორიულსა და უცხო ქვეყანაში. ჩემთვის ეს საშობოდა. თიანგბოჩეს მიღმა მიმოფანტულან სოლო ქუმბუს ველები და სოფლები. მე სწორედ იქ დავიხადე და გავიზარდე. პატარა ბიჭი ვიყავი, როცა მამის იაკებს ვმწყვდამოდი და იაკებზე მალა დავცოცავდი მთის ფერობებზე. აქედან სულ ახლა ჩემი მშობლიური სახლი. ასე გგონია, გაიშვერ ხელს და მიწვდები. მაგრამ, ამავე დროს, ის ისე შორსაა, 4800 მეტრზე უფრო შორს. როცა ქანგბადის ბალონებს ვიკეთებთ, მე ვიკონებ პატარა ბიჭს, რომელიც ასე ახლად და თანაც ასე შორს, რომელსაც სულაც არ გავგონა ქანგბადი და მინც უცქეროდა ამ მთას და ოცენებოდა.

მერე მე და ჰილარი მწვერვალისაკენ ვბრუნდებით და ვიწყებთ ასვლას. რამდენი კილომეტრი გამოვიდეთ და რამდენი წელი გავლიე, რათა აქამდე მომვლწია.

მე მელნიერი კაცი ვარ. მქონდა ოცნება და ამიხდა. ამას კი ხშირად ვერ აღწევს ადამიანი. ვერესტზე ასეა — ჩემი ხალხი მას ჩომოლუნგმას ეძახის — მთელი ჩემი ცხოვრების საწუკვარი სურსოვლი იყო. შვიდჯერ მოვიდეთ ხელი საქმეს; ვმარცხდებოდით, მაგრამ ისევე თავიდან ვიწყებდით, კიდევ და კიდევ, არა გახელების გრძნობით, რითაც

ჯარისკაცი მტერს ეკეთება, არამედ ჩინურად, როგორც ბავშვი, დედას რომ აცოცდებდა მუხლზე.

ახლა, როგორც იქნა, წილად მხვდა გამარჯვება და მაღლობს ვამბობ. „თუჯი ჩემი“ — ასე იტყვიან შერბები — „მაღლობელი ვარ“. ამიტომაც ვუძღვენი ჩემი მონათხრობი ჩომოლუნგმას: მან მომცა ყველაფერი და ამა, ვისთვის მეძღვნა? მე მუდამ ბელი მიღმიოდა. მაგრამ ბევრი რამ მაკლია და, რაც უფრო ახლოს ვეცნობი ქვეყნიერებას, მით უფრო ნათლად ვგრძნობ ამას. მე უწვიანური ვარ. სიამოვნებით ვისწავლიდი ბევრ რამეს, მაგრამ, როცა ორმოციხა ხარ, უკვე გვიანაა სწავლა. ჩემი ქალიშვილების ხვედრი უკეთესი იქნება. ისინი კარგ სკოლაში სწავლობენ და უთუოდ თანამედროვე მოთხოვნილების შესაფერ განათლებასაც მიიღებენ. მე ვეუბნები საკუთარ თავს: „ყველაფერი შენ ხომ არ უნდა გქონდეს? შენც ხომ შეგიძლია საკუთარი ხელისმომწერა“. ევერესტის აღების შემდეგ მე დავწერე ჩემი სახელი იმდენჯერ, რომ ადამიანთა უმრავლესობა, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, უთუოდ ვერ დაწერს იმდენ სიტყვას.

იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ბევრი წიგნი მაქვს. ბავშვობაში წიგნი ან სულ არ მინახავს, ან თუ მინახავს, იშვიათად, რომელიმე მონასტერში. მაგრამ, როცა წამოვიზარდე და მონაწილეობა მივიღე ექსპედიციებში, ბევრი რამ მოვისმინე და გავიგე წიგნებზე. მრავალმა ადამიანმა, რომლებთანაც მივლია მთებში და მიმოგზაურია, დაწერა წიგნი. მათ გამოიმუხავებს ეს წიგნები. და, თუმცა კითხვა არ გიცი, მე მესმის რაზეა იქ ლაპარაკი და ვუფრთხილდები მათ. და აი, თვითონაც მომიხდა დამწერა წიგნი. ჩემის აზრით, წიგნია ის, თუ რა იყო კაცი და რა გააკეთა მან თავისი სიცოცხლეში. თქვენს წინაა ჩემი წიგნი. ესაა მოთხრობა ჩემზე. ეს თვითონ მე ვარ.

თავდაპირველად მინდა ზოგიერთი რამ განემარტო. შერბულ ენას, ჩემს მშობლიურ ენას, არა აქვს დამწერლობა და არც რაიმე ოფიციალური ჩანაწერიანი შემოტრინილი. თანაც დროის აღრიცხვა ჩვენში ტიპურის კალენდრით წარმოება. ამიტომაც, არ შემიძლია თავს ვიღვა ყველა იმ ფაქტისა და თარიღის სიზუსტე, რომელიც ჩემს ახალგაზრდობას შეეხება. სამწუხაროდ, მთებში მუშაობისას, არ შემიძლო დიდი რაოდენობის ამის გამო ვეჭვობ, ვითუ ყოველთვის სწორად ვერა ვწერ ამ მეგობართა სახელებს, რომლებთანაც ავიდიოდი მთებზე. ამაზე ვწუხვარ, მაგრამ, იმედია, მომიტყევენ უნებლიე შეცდომებს. მე მაღლობასა და მხურვალე საღამოს ვუთვლი ყველა მთამსვლელ ამხანაგს.

ჩემი სახლის მართლწერაც მრავალჯერ შეიცვალა და მრავალჯერ გამოიწვია გაუგებრობა. დაბადებისას, სულაც არ დაურქმევიათ თენისნიცი.





ამაზე კიდევ ვიამბობთ მოგვიანებით. სხვადასხვა დროს ჩემი ახლანდელი სახელი იწერება ხან „ა“-ით, ხან „z“-ით, ხან „g“-ს ვაგრეშე. ხშირად იცვლებოდა გვარიც: თვდაპირველად მე ვიყავი ქუმუჯუნგი (ერთ-ერთი შერაული სრფლის სახელწოდების მიხედვით), შემდეგ ბოტია (რაც ტიბეტელს ნიშნავს), და, ბოლოს, Norkay ან Norkey, აგრეთვე Norgya, ან Norgay (თარგმანში ეს ნიშნავს „მდიდარს“, ან „იღბლიანს“, რასაც არაერთხელ მოუგვრია ჩემთვის ღიმილი). თვითონაც ხშირად და გვარიანად დაგზნებულვარ. მაგრამ, რას იზამ, როცა არ არის ოფიციალური ჩანაწერები, ან როგორ დაწერ იმ ენაზე, რომელსაც დამწერლობა არ გააჩნია.

სინამდვილეში ჩემი გვარი, ან ჩემი გვარეულობის სახელწოდება ვანგ ლა, რაც შერაულად „თოვლის უღელტეხილს“ ნიშნავს. მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ჩვენ გვარებს არ ვხმარობთ. მხოლოდ ერთხელ გამოვიყენე იგი და ჩემს ახალ სახლს დავარქვი დარჯილინგში. ჩვენ გვყავს სწავლულები, ლამები, მათ ამიხსნეს, რომ Teh-ring Norgay არის ჩემი სახელის ყველაზე სწორი მართლწერა და გადავწყვიტე ასე ვწერო იგი. ოფიციალურ შემთხვევებში ხშირად ვამატებ სიტყვას „შერაი“, რათა უფრო გასაგები გახდეს ვისზეა ლაპარაკი. თანაც ამით ნიშნავს ჩემი ხალხისადმი პატივისცემაც გამოვხატო. მაგრამ შინ და მეგობართა წრეში უბრალოდ თენიჩვს მიძახიან. ვიმედოვნებ, რომ ეს ასეც დარჩება და ერთ მშვენიერ დილას ვინმე სხვად არ გამოვიღვიძებ.

ბევრი სახელი — ბევრი ენა. ეს დამახასიათებელია მსოფლიოს ამ ნაწილისათვის, რომელშიც მე ვცხოვრობ. როგორც ცნობილია, ერთი საერთო ენის გამოჩნება ინდოეთის მრავალრიცხოვანი ხალხებისათვის — ამ ქვეყნის თავსატეხი ამოცანაა. თითქმის ყოველ მარტაში საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ. მაგრამ, უწიგნურობის მიუხედავად, რაკი ბევრი ვიმოგზაურე, ნამდვილ პოლიგლოტად ვიქექი. ჯერ კიდევ ბავშვობაში ვისწავლე ტიბეტური (ორივე დიალექტი — ჩრდილოეთისა და სამხრეთის), სილიანაც წარმომდგარა ჩემი მშობლიური ენა — შერაული. ვლაპარაკობ ნეპალურადაც და ეს გასაგებია. სოლო ქუმუხ ნეპალში შედის და სულ ახლოა დარჯილინგთან, სადაც უკვე მრავალი წელია ვცხოვრობ. კლასიკური ჰინდი არ მისწავლია, მაგრამ ვლაპარაკობ ჰინდუსტანურად, რომელიც ჰინდისა და ურდუს ნარევია და ძალზე ახლოა ნეპალურთან, გარდა ამისა; ნაწილობრივ სხვა ენებსაც ვიცნობ, მაგალითად პენჯაბურს, სიკიმურს, გარკვეულს, იალმოს (ინმარება ნეპალში), პასტუს (ავღანისტანში), ჩატრალის (ამ ენაზე ლაპარაკობენ ჩრდილოდასავლეთ სისაზღვრო ოლქში); ვიცი რამდენიმე სიტყვა სამხრეთ ინდოეთის მრავალრიცხო-

ვანი ენებიდან, მაგრამ ამ ენებით მხოლოდ მოგზაურობის დროს ვსარგებლობ. შინ, ოჯახურ წრეში, ჩვეულებისამებრ, შერაულად ვლაპარაკობ. ხოლო სხვა ადამიანებთან, დარჯილინგში, უმეტესად ნეპალურად.

და კიდევ, რა თქმა უნდა, ვიცნობ დასავლურ ენებსაც. ბევრი მივლია მთებში ინგლისის ექსპედიციებთან ერთად. ვიცნობდი ინდოეთში მცხოვრებ არაერთ ინგლისელს და ახლა იმდენად თამამად ვლაპარაკობ ინგლისურად, რომ თარჯიმანის დაუხმარებლად მოვეყვი ამ წიგნის დიდი ნაწილი. ხშირად მიმოგზაურია სხვა ეროვნების ადამიანებთანაც ყოველთვის მუხჯი როლი ვიყავი. ფრანგული? Ga va bien, mes braves! გერმანული? — „Es geht gut!“ იტალიური? — „Molto bene!“ შეიძლება უკეთესიც იყოს, წილად რომ არა მხვდა პოლონური ან იაპონური ექსპედიციების გაცილებით, თორემ, ვინ იცის, იქნება ცოტა ამერია კიდევ.

მე ბევრი ვიმოგზაურე. ვიმოგზაურო, ადგილი ვიკვლო, ვიპოო, ვნახო, გავეცნო — ეს მე თითქმის სისხლში მაქვს გამჯდარი. ერთხელ, როცა სოლო ქუმუხში ვეხმარებოდი და პატარა ვიყავი, კატმანდუში, ნეპალის დედაქალაქში გავიპარე. მერე კიდევ გავიპარე. ამჯერად დარჯილინგში ხოლო დარჯილინგიდან ოც წელს დავეყვებოდი ექსპედიციებს ჰიმალაის ყოველ კუთხეში. ყველაზე ხშირად — თვით ნეპალსა და ახლო მდებარე სიკიმში არაიშვითადად გარკვეულს, პენჯაბსა და ქაშმირში. ხანდახან უფრო შორსაც წავსულვარ: ავღანეთისა და რუსეთის საზღვრებთან, მთებზე გაღვლით — ტიბეტში, ლჰასაში და ლჰასას იქით. ევერესტის დაპყრობის შემდეგ კიდევ უფრო შორს გახლდით. შემოვიარე თითქმის მთელი ინდოეთი — სამხრეთითაც და ჩრდილოეთით; გაფრინდი ინგლისში; ორჯერ ვიყავი შვეიცარიაში; რამდენიმე დღე გავატარე რომში. მართალია ჯერ კიდევ არ ვყოფილვარ დანარჩენ ევროპაში და ამერიკაში, მაგრამ იმედი მაღე მომეცემა ამის შესაძლებლობა. იმოგზაურო, ვაიცნო და შეისწავლო — ეს ნიშნავს იცხოვრო. სიოფლო იღიანა და მას ერთობაშად და მთლიანად ევერესტიდანაც ვერ დანიხავ.

მე ვთქვი, ბედნიერი კაცი ვარ-მეთქი. ყველა შერას ჩემსავით როდი სწყალობდა ბედი. ბევრი მათგანი დაიღუპა ავადმყოფობისაგან ან მთებში მომხდარი უბედური შემთხვევების დროს. რა თქმა უნდა, მეც ბევრჯერ შემემთხვა ხიფათი, მაგრამ სერიოზული არაფერი მომსვლია. არასოდეს არ გადავეარდნილვარ ხრამში, არც რაიმე დამხრობია. ვინც ძალიან ოფლიანდება, ადვილად იყინება, მაგრამ ასეულების დროს მე სულაც არ ვოფლიანდები. ხოლო ზანაქში, სადაც წესით უნდა ვისვენებდეთ, ყოველთვის ვცდილობ ვიმოძრაო. იყი-





ნება ის, ვინც ზის და არაფერს აკეთებს. სამჯერ მოვეყვი ზეაში, მაგრამ არაფერი დამშავებია. ერთხელ თოვლში სათვალეები დავკარგე და საშინლად დამტანჯა თვალისმოპკრელმა მშემ. მას მერე ყოველთვის ვატარებ ორწყვილ მუქ სათვალეს. ერთხელ ოთხი ნეკის ჩამემტვრა და. მუხებში ვიღრღე, მაგრამ ეს მოხდა თხილამურებით გასეირნებისას და არა მთებში. მთებში მხოლოდ ერთხელ დავშავდი სერიოზულად — მომწყვდარი ამხანაგის დაჭერა ვცადე და ოთხი მოვიტყევე.

ჩემზე ამბობენ, „სამი ფილტვი აქვსო“ — ისე ადვილად ვიტან დიდ სიმაღლეებს. ეს, ცხადია, ხუმრობაა. მიუსხდავად ამისა, შემოძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ბევრზე უკეთ ვიტან სიმაღლეს და, მართლაც, ალპინისტად ვარ დაბადებული. ასელების დროს თანაბარ, ჩემთვის ბუნებრივ, რიტმში ვმოძრაობ. ხელში სიკეშიც ცოვი მაქვს. გულიც, ექიმების თქმით, ძალიან ნელა მიცემს. დიდი სიმაღლეები ჩემი სტიქიაა. ყველაზე უკეთ იქა ვგრძნობ თავს. რამდენიმე ხნის წინათ ინდოეთში ვიმოგზაურე. სიტყვებ და სიუიეროვებ ისე გამხალდა, რომ მთებში ისე ცუდად არასოდეს ვყოფილვარ.

ღიახ, მთები ჩემდამი მოწყალეებს იჩენდნენ. ბედნიერი ვიყავი მთებში. ბედი მეწია იმ ადამიანებშიც, რომლებთან ერთად ავდიოდი მწვერვალებზე, ამხანაგებშიც, რომლებთან ერთად ეობრძოდი და ვიმარჯვებდი, ემარცხებოდი და ვალწვედი წარმატებას. მათ შორის არიან ჩემი მეგობარი შერაბებიც, მათი თანამემამულეობით ვეპაუბ. მათ შორის არიან ინდოეთის, ნეპალის და აზიის სხვადასხვა ქვეყნის მებრძოლებიც; მათ შორის არიან დასავლეთელი ადამიანები: ინგლისელები, ფრანგები, შვეიცარიელები, გერმანელები, ავსტრიელები, იტალიელები, კანადელები, ამერიკელები, აგრეთვე ახალზელანდელები. მათთან შეხვედრებს, მათ გაეცნობასა და მათთან მეგობრობას დიდი ადგილი უჭირავს ჩემს მოგონებებში, მეგობრობისათვის აუცილებელი არაა ადამიანები ერთნაირები იყვნენ. რაიმონ ლამბერტი შვეიცარიელია და ფრანგულად ლაპარაკობს. მე და ლამბერტი 1952 წელს კინალამ დავიპყართ ვვერბტის. ჩვენ ერთმანეთს ვავებინებდით რამდენიმე ინგლისური სიტყვითა და მრავალრიცხოვანი ქესტებით, მაგრამ ახლა ისეთი მეგობრები ვართ, — გვეგონებათ ერთ სოფელში ვიყოთ გაზრდილი.

არც ერთი ადამიანი არ არის უნაკლო. ჩვენ არა ვართ დამბრუნები. ჩვენ მხოლოდ უბრალო მოკვდავები ვართ. ექსპედიციის დროს კი ხშირად რთულდება საქმე. ასეთ სირთულეებს ადგილი ჰქონდა უკანასკნელი ინგლისური ექსპედიციის დროსაც, 1953 წელს. ამას მე არ უარყოფ. მაგრამ, იმის გამო, რომ ექსპედი-

ციამ ასე გაითქვა სახელი, ძალზე გაზარდეს ამ გაუგებრობათ მნიშვნელობაც. ვარემ პირებმა განვებ დაამახინჯეს სინამდვილე, ჩემს წიგნში მე არც ვაღივებებ, არც ვიწუწუნებ, არც აღვშოთღობი და არც დავამახინჯებ. მეტად დიდი ვეერესტი, მეტად ძვირფასია ჩემთვის ჩვენი ლაშქრობის მოგონება. მე მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი. სიმართლე კი ისაა, რომ ინგლისელებსა და აზიელებს შორის წარმოშობილი გაუგებრობანი — არაფერია, იმ გეგობრობასთან შედარებით, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა, ეს იყო საერთო მიზნის, სიყვარულისა და ერთგულების კავშირი, სწორედ ეს კავშირი, რომელიც არსებობს მსოფლიოს ყველა ალპინისტს შორის და ძმებად აქცევს მათ.

პოლიტიკა, ეროვნება! — არა უბრალო ტუხენ ამ ცნებების ირგვლივ არა მთებში, რაღაც თქმა უნდა; იქ ამისათვის ცხოვრება მეტად უშუალოა და სიკვდილი მეტად ახლო. იქ ადამიანი ადამიანია, ჩვეულებრივი მოკვდავია და მერე არაფერი. სამაგიეროდ, მერე იწყება — პოლიტიკა, დავა, განხეთქილება... ევერესტიდან დაშვებაც ვერ მოვასწარი, რომ ეს ცხადად ვიგრძენი. ოცდაათამეტი წელი ისე ვიცხოვრე, რომ არავის დასჭირებია ჩემი ეროვნების გაგება. ინდოელი, ნეპალელი, ტიბეტელი — რა განსხვავებაა? მე შერაბი ვარ, უბრალო მთიელი, დიდი ჰიმალაის მკვიდრი. და აი ჩემი ცხოვრების ოცდამეცხრამეტე წელს მოულოდნელად დამიწყეს გაწვევა-გამოწვევა სხვადასხვა მხარეს, თითქოს, კაცი კი არა, თოვლ ჩამივადებული თოჯინა ვყოფილიყავი. მწვერვალზე პირველი, აუცილებლად მე უნდა ავსულყავი. თუნდ ერთი გოჯით, ცილით, ან მტკაყელით, მაგრამ მაინც ჰილარიზე ადრე. ზოგს უნდოდა ინდოელი ვყოფილიყავი, ზოგს — ნეპალელი. არავის აინტერესებდა სიმართლე, არავის აინტერესებდა ევერესტი — მხოლოდ პოლიტიკა! ვი, სირცხვილი!

მწვერვალის აღებაზე ცოტა ქვემოთ ვიამბობ. რაც შეეხება ეროვნებასა და პოლიტიკას, შემოძლია გავიმეორო იგივე, რაც მაშინვე ვთქვი.

ერთნი ნეპალელად მთვლიან, მეორენი — ინდოელად. მე დავიხადე ნეპალში, მაგრამ ახლა ცოლთან, ქალიშვილებთან და დედასთან ერთად ინდოეთში ვცხოვრობ. ინდოელი, ნეპალელი — მე ვერ ვხედავ ვერავითარ განსხვავებას. მე შერაბი ვარ, ნეპალელი. მაგრამ თავს ინდოელად ვთვლი. ყველანი ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ — ჰილარი, მე, ინდოელები, ნეპალელები, ყველა ადამიანი ქვეყანაზე.

ღიახ, ეს გზა გრძელი იყო... ევერესტის ძირიდან მწვერვალამდე, ხოლო ქუთუმის მთიანი საძოვრებიდან — ნერუსა და ბუქინგამის სასახლეში მიღებამდე; ყულიდან — უბრალო მზი-

დავიდან — ორდენის ტარებამდე, როცა, მოგზაურობ თვითმფრინავით და გაუხუცებს საშემოსავლო გადასახადი. ყველა გზის მსგავსად, დროადარო ისიც მწარე იყო და მძიმე. მაგრამ, როგორც წესი ყველაფერი კარგად მიდიოდა. იმიტომ, რომ ეს იყო დიდი გზა, გზა მთებზე.

სადაც არ უნდა მიგვეყვანე ჩემი ცხოვრების გზას, ის მუდამ მთებში მარბუნებდა. ჩემთვის მთებია ყველაფერი. მე ვიცოდი ეს. მთელი ჩემი არსებით ვერგონობდი ამას მაშინაც, 1953 წლის მაისში, იმ მტრებისდგარ დილით, როცა მე და ჰილარი მსოფლიოს მწვერვალზე ავედით. ბუდას ცხოვრების ჩარხებით, ჩემმა ცხოვრებამაც შემოხაზა თავისი დიდი წრე. მრავალი წლის წინათ პატარა მწყემსი შეპყრუებდა დიდ მთას და ოცნებობდა... და აი, მე ისევ ბავშვობისდროინდელი ოცნების ვეერესტთან, ჩომოლუნგმასთან ვარ.

მაგრამ ახლა ოცნება ახლა.

**მედიკინაში უპროგრესულია ერთად.**  
(გაზაფხული)

ნანგა პარბატი, ნანდა დევი, პიკი კანგი, ჯამშირი, გარჰვალი, ნეპალი და ტიბეტის კი. მთელი რუკა შემოვიარე. მრავალ მთაზე ავედი, მრავალი ლანდშაფტი ვნახე და თავსაც მრავალი რამ გადაამხდა. მჩრებოდა ყველაზე მთავარი — ჩომოლუნგმა. უღიადესი. თოთხმეტი წლის წინ საქმოდ მალა ავედი ევერესტის კალთაზე და ვეფხის წოდება მივიღე. უქანსკენლად ხუთი წლის წინ მოეკარი თვალი, — დენმანის უცნაური ელვითბური ლაშქრობის დროს. ხანდახან არც კი მჯეროდა თუ ისევ დავბრუნდებოდი აქ. ან იქნება ლმერთებმა, მხოლოდ მათთვის ვასაგები მიზეზის გამო, სამუდამოდ მომავროს ჩემთვის ძვირფას მთას?

მაგრამ ლმერთები მოწყალები აღმოჩნდნენ. მე კიდევ მოვხვდი ევერესტზე, კიდევ, კიდევ და კიდევ. ჩემი ოცდაათიანი წლების „კრიტიკული პერიოდი“ ჩემი ცხოვრების უღიადეს წლებად იქცა.

ევერესტი, რომელსაც მრავალი წლის შემდეგ დავბრუნდი, ის ევერესტი აღარ იყო, აღრე რომ ვიცნობდი. ახლა უტრევენდენ არა ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდან; ხოლო მთაზე სხვა მხრიდან ასეა — თითქმის იგივეა, რაც სულ სხვა მთაზე ასეა. მარშრუტი პოლიტიკური მიზეზით შეიცვალა. მართალია, გარკვეული აზრით, მთა ახალი შეიქმნა ჩემთვის, მაგრამ იგი მაინც უფრო ძველნაევნობად რჩებოდა, ვიდრე ის, რომელსაც თოთხჯერ მივეუახლოვდი ტიბეტისა და რონგბუკის მხრიდან. ეს იმიტომ, რომ სამხრეთის მარშრუტი სოლო ქუმბუზე, ჩემს სამშობლოზე გადის, და,

თუმცა აქედან ასეა არასოდეს მიცნა, მაგრაიონს მაინც ყველაზე უკეთ ვიცნობდი ოცნებებისა და მოგონებების წყალობით.

თვრამეტი ვრძელი წელიწადის მერე ისევ უნდა შეგხვედროდი დედას. ისევ დავდგებოდი მასთან ერთად ტამის ახლოს მთის სათვრებზე და ისევ შევხედავდი „მთას, რომელსაც ვერც ერთი ფრინველი ვერ გადაუფლის თავზე“. პოდა, სახლში ვბრუნდებოდი, ამ სიტყვის ორნაირი გაგებით.

როგორც ვთქვი, 1950 წელს ტილმანი და ამერიკელი ჩარლზ ჰუსტონი კატმანდუდან გადმოვიდნენ და, სოლო ქუმბუს გავლით, ევერესტის სამხრეთ კალთას მიადგნენ. მომდევნო წელს დიდ ექსპედიციას სათავეში ერიკ შიბტონი ჩაუდგა. მას უნდა შემეშოვნებინა სამხრეთის მხრიდან დალაშქრის შესაძლებლობანი. არც ერთი ამ ჯგუფთავანი არ ასულა მაინცდამაინც დიდ სიმაღლეზე. ტილმანსა და ჰუსტონს ნაწილობრივ ასვლებისათვის საჭირო აღჭურვილობაც არ გააჩნდათ, ხოლო შიბტონსა და მის ხალხს გზა გადაუღობა უზარმაზარმა ნაპრაღმა ყინულეარდნისზე, რომელიც ქუმბუს მყინვარისაკენ ეშვება. ამასთან პირველმა ჯგუფმა დაამტკიცა მელორის აზრი, რომელმაც ლხობიდან დათავალეირა ეს გზა მრავალი წლის წინათ; მელორი ამბობდა: ეს გზა ჩრდილოეთისაზე უფრო ძნელია და, შესაძლოა, აქედან, საერთოდ, შეუძლებელიც კი იყო ასეა.

ასე თუ ისე, რაკი ტიბეტი ჩაკეტეს, სამხრეთის გზა ერთადერთი აღმოჩნდა. ან სამხრეთიდან უნდა შეგვევტი ევერესტისთვის, ან არა და, საერთოდ, ხელა აველო იერიშებზე.

მაგრამ 1952 წლისთვის მარშრუტთან ერთად სხვა რამეც შეიცვალა. აქამდე, ასვლების ისტორიის მთელ მანძილზე, ევერესტი მარტოოდენ „ინგლისურ მთად“ ითვლებოდა. დასავლეთის სხვა ერების ერთადერთი წარმომადგენლები, რომლებიც ოდნავ მაინც მიუახლოვდნენ ევერესტს, ჰუსტონი და დანიელი ლარსენი იყვნენ. ლარსენი 1951 წელს ქუმბუდან რონგბუკამდე მივიდა, მაგრამ თვით მთაზე, ინგლისელების მეტი არავინ ასულა. ახლა მოხდა ცვლილება — და დიდი ცვლილება. თუ წინათ ტიბეტი მხოლოდ ინგლისელებს უშვებდა თავის ტერიტორიაზე, ახლა ნეპალი მზად იყო კარი გველო ყველა ქვეყნის მთამსვლელთათვის. და პირველად შევიცარიელები მოვიდნენ.

ის დღე, როცა ახალმა ამბავმა დარჯილინგამდე მოაღწია, უზედნიერესი იყო ჩემთვის. შევიცარიიდან ორი წერილი მოვიდა: ერთი კარდაპირ ჩემ სახელზე, მეორე — ჰიმალაის პიკების მდივნის ქალბატონ ჰენდერსონის სახელზე. ორივე წერილში სირდარობას მოხვდნენ. როგორც იქნა, ისევ უნდა წავსულიყავი ევერესტზე, თანაც ესეთ აღამიანებთან ერთად,



რომელიც მთებში ყველას მერჩია. რა თქმა უნდა, ექსპედიციის ყველა წევრს არ ვიცნობდი, მაგრამ მის ხელმძღვანელს ვის-ღიუნანს ამ რამდენიმე წლის წინ დარჯილინგში შევხვდი. რენე დიტერტი და ანდრე როზი ჩემი ძველი ნაცნობები იყვნენ გარკვეულად, ექვი არ მებაზრებოდა, რომ დანარჩენებიც კარგად შეეწყობოდა. თანახმა ხართ თუ არა? — მეკითხებოდნენ წერილებში. მოკლედ, სიცოცხლე გინდა თუ არაო, მეკითხებოდნენ. რამდენიმე დღე ისე ვიქცეოდი, რომ ანგ ლამუ და გოგონები შიშობდნენ, არ გაგოედესო.

საქმის ფინანსურ მხარეს ჰიმალაის კლუბი განაგებდა, მე შერაბების შერჩევა დამავალენ. შვეიცარიელებს დარჯილინგიდან ცამეტე კაცის წამოყვანა უნდოდათ, ათი კაცის დაქირავებასაც სოლო ქუმბუში აპირებდნენ. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ყველას ჩემსავით როდი მიუწევდა გული ევერესტისაკენ. მათ ჯერ კიდევ არ დავიწყნარდათ უსიამოვნებანი შიშობის შარშანდელ ექსპედიციასთან. ნებალელ მზიდავთა უმრავლესობა მაშინ ამტკიცებდა, რომ მათ ახასრულად მისცეს ჯამაგირი. ამასთანვე ერთი აურხაური ატყეა ფტოროაპარატის გამო, რომელიც დაიკარგა, თუ მოიპარეს. და, ბოლოს, ექსპედიციის დამთავრებისას, მზიდავებს აღარ მისცეს ტრადიციული, დამატებითი გასამრჯელო.

მე ვდავობდი: „დაეუშვათ, ასეც იყო. მაგრამ რა საერთო აქვს ამას შვეიცარიელებთან?“ მაშინ გამოირკვა, რომ ბევრნი თურმე თვითონ მთას სდებდნენ ბრალს. მათ, საერთოდ, არ უნდოდათ წამოსვლა, მიმტკიცებდნენ, ევერესტი მეტისმეტად დიდი და საშიში. მისი აღება სამხრეთიდან შეუძლებელიაო. თვით დიდი „ფეფხეს“ ანგტარკისი, რომელიც 1951 წ. სირლარად იყო, ამჯერად აღარ უნდოდა წამოსვლა. ის ოც რუპიაზე დამენიძლავა, შვეიცარიელები, ისევე, როგორც შიშობის ხალხი, ქუმბუს მყინვარის ფართო ნაპრალს ვერ გადალახავნო.

ბოლოს და ბოლოს მოვახერხე ცამეტე სანდო მტვირთავის შეგროვება და ადრე გაზაფხულზე — „ყველა შერაბი მთამსვლელის საექსპედიციო სეზონზე“ — გზას დავადექით, რათა შვეიცარიელებს კატმანდუში შევხვებოდიო. ჩემი ნაცნობების გარდა, კიდევ ექვსი მთამსვლელი და ორი მეცნიერი ჩამოვიდა. ექსპედიციის წევრებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, როგორც ძლიერმა მთამსვლელებმა და შესანიშნავმა ადამიანებმა. 1947 წლის შემდეგ დიტერტი და როზს რამდენიმე სხვა ექსპედიციაში მივლით მონაწილეობა და ახლა უკვე გამოცდილი ვეტერანები იყვნენ, დანარჩენები კი ყუნვის კანტონის საუკეთესო მთამსვლელებად ითვლებოდნენ. მათ შორის, ყველაზე მეტად ცნობილი მანინ რაიმონ ლამბერი იყო. თუმცა ლამბერს

პირველად შეხვედი, ის სულ მალე გახდა ჩემი ამხანაგი სიმალეების დაპყრობაში და ყველაზე ახლობელი, ძვირფასი მეგობარი.

— აი, ჩამოგიყვანეთ დათვი, — თქვა დიტერტი, როცა ლამბერი გავაცანო.

მალაშა და მომლიძარმა ლამბერმა ხელი ჩამოგვართვა; მან უცებ მოიგო ყველას გული. თვალში მეცა ლამბერის ძალზე პატარა და ცხვირწაბრილი ფეხსამელები. მალე მიზნზე გავიგე. დიდიხნის წინათ, ალპებში, გრივალს მოეწრო და ორივე ფეხის თითები წაპყინოდა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის „შვეიცარიის ერთ-ერთ საუკეთესო გამყოლად დარჩენილი“ და, მოგვიანებით, თითქმის ევერესტის მწვერვალამდე მივლწია.

კატმანდუში კარგა მაგარად ვიმუშავეთ. ქალაქის მახლობლად მდებარე ახალ აეროდრომზე უკვე ჩამოეტანათ სურსათისა და აღჭურვილობის დიდძალი მარაგი შვეიცარიიდან. სოლო ქუმბუში გასავლენი ტვირთი გადავიწყვეთ და ნებალელ მზიდავებს გავუნაწილეთ. ჩვეულებისამებრ, ჯამაგირის გამო, ცოტა კამათიც მოგივიდა მზიდავებთან. მაგრამ ამჯერად ყველაფერი იოლად მოგვარდა, რაშიც, ვფიქრობ, ცოტაოდენი წვლილი მეც შევიტანე. საქმე ისაა, რომ მე უარი ვთქვი სირლარისათვის. საქმეთენილ პროცენტზე, რომელიც მზიდავთა ჯამაგირიდან უნდა მიმეღო. ამჯერად, მათ ყველაფერი სრულად მიიღეს, ექსპედიციაც ყოველგვარ დამატებით ხარჯს ვაღარა. კატმანდუდან დანიშნულ დღეს, 29 მარტს გავედი. მე, როგორც სირლარს, მევალებოდა ტვირთის განაწილება. თანაც ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად გამომუშავებულ სისტემას ვიცავდი. იმ მზიდავებს, რომლებიც შესვენების შემდეგ პირველნი აგრძელებდნენ გზას, საერთო დღიური ულუფა და სამზარეულო მოწყობილობა უნდა ეტანათ, რათა სადილი დროზე გამზადებულყო. მომდევნოებს მიჰქონდათ კარგები და ღამისთევისათვის აუცილებელი პირადი ნივთები. დანარჩენებს ევალებოდათ იმ სურსათისა და მოწყობილობის წაღება, რაც მთებში უნდა გამოგვეყენებინა. თუ ეს უკანასკნელი გზაში დააყოვნებდნენ, არც ისე დიდი უბედურება იქნებოდა; მაგრამ ძალიან ცუდია, როცა ქარავნის მეტი წილი ბანაკის გაშლის ადგილზეა მისული და მერე საათობით ელოდება სურსათსა და კარგებს.

კატმანდუდან ნამჩე ბაზრამდე დაახლოებით ორას ოთხმოცდაათი კილომეტრია. ამ მანძილის გავლას თექვსმეტი დღე მოვუნდით. კარგა ხანს აღმოსავლეთისკენ მივდიოდით, შემდეგ — ჩრდილოეთისკენ, და სულ მუდამ აღმართ-დაღმართ, აღმართ-დაღმართ. ვადავიარეთ ქედები და ხეობები, რომლებშიცა დასერილია თითქმის მთელი ნებალი. ძველ, ტიბეტის მარშრუტზე ტვირთი თითქმის ევერესტის ძირამდე მიჰქონდათ



ჯორებს, აქ კი ამის საშუალება არ იყო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს მიმოსვლის ერთი ძირითადი საშუალებაა ტიბეტსა და ნეპალს შორის, — მაგრამ ყოველ ხეობაში მიედინება მდინარე და ვერც ერთი ცხენი და ვერც ერთი ჯორი ვერ გადავა მოქანავე, დაიკლულ ხიდებზე, ურთიმოსილად შეუძლებელია გლმა გასვლა. სწორედ ამიტომ, ნეპალელებს ოდითგან უხდებოდათ ტვირთის ზურგით ზიდავა. და დღემდეც ამ ქვეყანაში მოხვედრილი ყოველი მოგზაური იძულებულია ასე მოიქცეს.

აღმართი-დაღმართი, აღმართი-დაღმართი, ყოველ ცისმარე გადავივართ მორგე ქედზე, რომლიდანაც უკვე შემდეგი მოჩანს. მაგრამ ჩვენ განა მარტო მიგვექონდა და მივეფოფავდით? გზაში ვადგენდით ასვლის გვიგებებს, ვეცნობოდით ერთმანეთს; დანარჩენმა შერბობამაც ჩემსავით შეიყვარეს შვიტარიელები. დიტერტი, რომელსაც უშუალოდ ასვლისთვის უნდა ეხელმძღვანელებოდა, ცოცხალი და მხიარული კაცი აღმოჩნდა. მის გვერდით კაცს რა მოაწყენდა. საოცრად მომარკავა და მოუსვენარს, ქიშვილა — რწყილი — შევარქვით. ლამბერი დათვალ გავაცანეს. ეს მტკსახელი მას არანაკლებ უხდებოდა, ვიდრე ტილმანს, ასე რომ ლამბერი დარჩა ბალუდ. მან არ იცოდა არც ერთი აღმოსავლური ენა და ძალიან ცოტას ლაპარაკობდა ინგლისურადაც, ამიტომ, უმეტესად, ხელებით ვსაუბრობდით. მიუხედავად ამისა, სულ მალე გავუგვით ერთმანეთს.

რამდენიმე გადასვლის შემდეგ ლანდშაფტი შეიცვალა. ისევ ძველებურად მივიდიოდით: ზეუთი-ქვეით, ზევით-ქვეით, მაგრამ ახლა სულ უფრო ზევით და ზევით. მალე ბრინჯის ყანები უკან მოვიტოვეთ და ჩვენი ქარავანი ტყეში შევიდა. ტყეებს ალაგ-ალაგ კარტოფილისა და ქერის მინდვრები ცვლიდა. შეიცვალა მოსახლეობაც. აქ უკვე ცხოვრობდნენ არა ინდუსტები და ნეპალელები, არამედ ბუდისტები და მონღოლები. დაახლოებით მეათე დღეს შერბების ქვეყანაში შევედით; გვიარეთ სოლის შედარებით დაბლობი რაიონები და მშფოთვარე დუდ კოსის შევუყვით ქუმბუსა და ნამჩე ბაზრისაკენ. მე უკვე ვიღელავდი, რადგან გუახლოვდებოდით არა მარტო ჩომოლუნგმას, არამედ მშობლიურ კერასაც. ყოველ ნაბიჯზე რაღაც ნაცნობი მხედებოდა ან, მეგონა, სიდაც არის, ვიყვირებ ან ავტირდები-მეთქი. ნამჩეში მოსვლა დიდი მოვლენა იყო ყველა შერბისათვის, რომელთაც, კარგა ხანია სამშობლო აღარ ენახათ. ვფიქრობ, რომ ექსპლედია ჩვენს გამო შეყოვნდა კიდევ. ჩვენი მოახლოების ამბავმა საგარეოლად გაუხსრო ექსპლედციას. იმდენი ხალხი შემოგვეგება, გვერვნებოდათ, მთელი ქვეყნის შერბები დღესასწაულებზე ჩვენთან შეხვედრასო. ჩემი ღრმად მოხუცი დედაც ფეხით მოვიდა ტამიდან.

— აი, ისევ აქა ვარ, ამა ლა, — ვუთხარი მე და თვრამეტე წლის განშორების შემდეგ, ტირილით მივეხვიეთ ერთმანეთს.

მაგრამ სიხარული ცრემლზე მეტი იყო. რამდენი რამ უნდა გვეთქვა, გვენახა და მოგვეცინა. დედას ხელში ეჭირა ერთ-ერთი შვილიშვილი. ჩემი სამი დაც თან ახლდა. ირგვლივ თავი მოეყვარა უამრავ ნათესავს. ზოგი ბავშვობიდან აღარ ენახა. ზოგი დაბადებულიც არ იყო, როცა სახლიდან წავედი. მათ თან მოიტანეს საჩუქრები, ხორავი და ჩანგი. ასე მოიქცა ქუმბუს თითქმის ყველა მცხოვრებიც. მართალია, ჩვენ რაიმე განსაკუთრებულ საბაბი არ გვეჭირდებოდა დღესასწაულის მოსაწყობად, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვენი მოსვლის მეორე დღე ნეპალურ ახალ წელსა და ევროპული აღდგომის მეორე დღეს დაემთხვა. ვცეკვავდით, ვმღეროდით და მეგობრულად ვსვამდით ჩანგს, ცოტა მოგვიანებით დრო ვიხელეთ და ნამჩე დავათვალიერეთ, ყველაფერი ძველებურად იყო. მაგრამ ზოგიერთი ცვლილება მაინც მომხდარა. ყველაზე მეტად სკოლის გახსნამ გამახარა. სკოლა, რა თქმა უნდა, პატარა იყო, მასწავლებელიც მხოლოდ ერთი ჰყავდათ. მას ძალიან უჭირდა მუშაობა, რადგან შერბებს დამწერლობა არ გააჩნიათ და სწავლებაც ნეპალურ ენაზე სწარმოებდა. მაგრამ ასეთი სკოლაც ძალიან მახარებდა და ვფიქრობდი, ეს ჩვენი ხალხის მომავლისთვის კარგი დასაწყისი-მეთქი.

ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ ერთი დღე იყო. ამ ერთ დღეში შეხვედრა უნდა გვეზეიმა და იქაურობაც დაგვეთვალიერებინა. მერე ისევ ჩვენს საქმეს მოგვიდით შვილი. კატმანდულან გამოყოფილ ნეპალელ მზოდანებს ანგარში გაუსწორეს და უკან გაბარუნეს. როგორც გათვალისწინებული იყო, დარჯილინგელებს ათი საუკეთესო ქუმბუელი შერბიც შემოგვიერთდა. მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ მაღალმთიან გადასვლებში. ამას ვარდა, ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის ნახევარმა გამოგვიცვალა და ტვირთი მიგვატანინა საბაზო ბანაკამდე. ქალებიც ბლომად იყვნენ. მათ შორის ჩემი უმცროსი და სონა დომა და ვარდაცელი ძმის ქალიშვილ ბჰუ ლამუ, ბევრ დარჯილინგელ შერბსაც გამოყენენ ნამჩე ბაზრიდან ნათესავები; ასე რომ მთებისკენ თითქმის ერთ დიდ მთლიან ოჯახად დავიძარი.

ტიანგზოჩეს ლამები ძალზე გულთბილად შეგვხვდნენ. თუმცა მე მთლად დარწმუნებული არა ვარ, რომ ევროპელებიც დიდად კმაყოფილები დარჩნენ. ლამები ტიბეტური ჩაით გავიხსენებდნენ, ტიბეტურ ჩაიში მარლი და იაკის მძაღვ ერბოა შერბული. მე კი იშვიათად შეხვედრია ევროპელი, რომელსაც შეეძლოს ამ სასმელით სავსე ქეის ბოლომდე დაცლა.





მხოლოდ ერთადერთმა ლამბერმა გამოიჩინა გმირობა ან იქნებ მას უბრალოდ „ტიბეტური კუბი“ აქვს? თუ სხვები, მასპინძლისათვის რომ არ ეწყენინებიათ, ნაძალადევად ყლაპვდნენ ჩაის, ლამბერმა, არამეთუ ბოლომდე გამოსცალა თავისი უღუფა, ამხანაგების თასებსაც მიჰყო ხელი. მეგობრები მთელი დღე ელოდნენ, რომ ლამბერი ავად განდებოდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, კაცივით იყო.

— Quel espèce d'homme! \* — აღტაცებითა და მადლიერების გრძნობით ამბობდნენ მისი მეგობრები.

მონასტერთან უკვე 3, 700 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით, მაგრამ ნამდვილი მთები მერე იწყებოდა. მინდორი მივყვებოდით ტილმან-ჰაუსტონისა და შპიტონის 1951 წლის ექსპედიციის გზას. ლულ კოსის აღმოსავლეთ მხრიდან ზევით, ციცაბო ხეობებზე, რომლებიც ორ ლამაზ პიკს — ტაეჩესა და ამა დაბლაშს შორის მდებარეობდნენ. შემდეგ ვავედით ქუშუმუს მყინვარისაკენ, რომელიც მაღალი გადასასვლელებიდან ევერესტის სამხრეთ-დასავლეთით ეშვება. მთელი ამ ხნის მანძილზე, ევერესტის მხოლოდ ერთ ნაწილს ვხედავდით. მთას თითქმის მთლიანად ფარავენ ლპტსე — სამხრეთიდან და ნუბტსე — დასავლეთით; აქედან მოჩანს მხოლოდ საკუთრივ მწვერვალი — თეთრი ლაქა ცივი და ლურჯი ცის ფონზე. მყინვარის ქვედა ნაწიბური მდებარეობს დაახლოებით იმ თხემების სიმაღლეზე, სადაც ბავშვობისას იაკები მიძოვებია. მისი ჩრდილოეთ მხარეზე, ცხადია, უფრო მაღალე ავსულვარ, მაგრამ ახლა სრულიად უცნობ ადგილებზე უნდა მეველო.

ერთ-ერთ საღამოს ბანაკი საოცრად აფორიაქდა. მორიგი ლაშქრობიდან დაბრუნებულ შვეიცარიელ მეცნიერებს უცნაური ნადირის კვლი ენახათ. მერე დღეს რამდენიმე კაცმა გადაწყვიტეთ დავეთვათ-იერიბინა ის ადგილი, მყინვართან, დაახლოებით 4,900 მეტრის სიმაღლეზე მდებარე რბილი თოვლის ზოლი; და მართლაც, თოვლზე იყო კვალი, იეტის კვალი, ზუსტად ისეთი, როგორსაც ზემუს მყინვარზე, კანჩენჯუნგის მახლობლად წვაყვიდი 1946 წელს.

კვალი ნათლად და გარკვევით ჩანდა. შვეიცარიელებმააც აღიარეს, რომ მსგავსი არაფერი ენახათ და წუხდნენ, რომ ვერ აეხსნათ რისი კვალი უნდა ყოფილიყო. მეცნიერებმა გულდასმით გაზომეს ნაკვალევი, აღმოჩნდა, რომ მისი სიგრძე იყო ოცდაცხრა, ზოლი სიგანე — თორმეტი სანტიმეტრი. ნაბიჯის სიგრძე კი ორმოცდაათი სანტიმეტრი გამოიდა. კვალი ერთ რიგად მიდიოდა, არც თავი უჩანდა და არც ბოლო. ბებრი ემებეს, მაგრამ ვერც იეტსა

და ვერც რაიმე სხვა ნაკვალევს ვერ მიაგნეს. მინდა მეტი მოგოთხროთ, მინდა თვითონაც მეტი ვიკოდე, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი არა ვიცი რა.

22 აპრილს ქუმბუს მყინვარზე, 5000 მეტრის სიმაღლეზე ვაეშალეთ საბაზო ბანაკი. აქედან ადგილობრივ შერბათა უმეტესობა ნამჩნევი დაბრუნდა, მაგრამ იმ თას ვარდა, რომელიც ასვლაში მონაწილეობდნენ, — შვეიცარიელთა თხოვნით, ჩვენთან კიდევ ოცდაათი კაცი დარჩა, რათა ზედა ბანაკამდე შეშისა და სურსათის გადატანაში დაგვხმარებოდნენ.

ახლა უკვე კარგად ვხედავდით როგორ ებჯინებოდა მყინვარი თოვლისა და ყინულის მაღალ კლდეს. ამ კლდის ზემო ნაწილშია ლხობას გადასასვლელი, რომელიც ტიბეტისაგან გვეყოფდა და საიდანაც 1938 წელს ვადმოუყურებდი მთის ამ მხარეს. მაგრამ ახლა ლხობას არ ვუყურებდით. ჩვენ ვიყურებოდით მარჯვენა, დასავლეთისკენ: იქ, ევერესტსა და ნუბტსეს შორის, ვიწრო გადასასვლელზე, მყინვარისკენ ეშვებოდა ყინულის ნამსხვრევთა უხარმანარი გროვა — ყინულვარდნილი; თავის დროზე ტილმანი და ჰუსტონი შესცქეროდნენ ამ ყინულვარდნილს და თავს აქნევდნენ. აქ დამარცხდა შპიტონი და მისი ხალხი, და ჩვენც სწორედ აქ უნდა გვეცადა ბედი, თუ გვინდოდა დასავლეთ ცირკზე გასვლა და იქიდან მწვერვალისკენ გეზის აღება.

მყინვარზე ამინდი მხოლოდ დროვამოშვებით უარესდებოდა, და ჩვენც წინ მივიწყებდით. ყინულვარდნილთან ვაეშალეთ თუ არა ბანაკი, შვეიცარიელები ვასასვლელის ძებნას შეუდგნენ. ამ მიზნით ორ რაზმად გაიყვენენ; ერთში შედიოდნენ დიტერტი, ლამბერი, ობერი და შვეიცი, მეორეში — რობი, ფლორი, ასპერი და ჰოფშტეტერი. მთასველები ერთმანეთს ცვლიდნენ მარშრუტის ვაკვალვის მძიმე სამუშაოზე, საფეხურების ვაჭრას და საყრდენი თოვების დამაგრებაზე. მთასველთა შორის უხუცესი ვის-დიუნანი სათავეში ედგა სამუშაოებს საბაზო და პირველ ბანაკებში. დიტერტი კი მოიეროშე ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ამ მონაკვეთზე მე, როგორც სირდარი, თვალყურს ვადევნებდი ტერიტის მიზიდვას ბანაკებში; შერაბები ვანუწყებდით დადიოდნენ ზვეით-ქვევით, ზვეით-ქვევით და ზუსტად იცავდნენ გრაფიკს.

ყინულვარდნილი მეტად სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა. თითქმის გზას თეთრ ჯუნგლებში ვჭრიდით. აქ მეტი ხიფათი იყო მოსალოდნელი: სუყველგან ვვიდარაჯებდნენ თოვლით დაფარული ორმა ნაპარალზე, ანდა ყინულთა კოშკები, ყოველ წუთს რომ მზად იყვენენ ჩამოსაქცევად. შერაბები, რომლებიც ადრე შპიტონის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ, სრულიად ველარ ცნობდნენ გზას. ან იქნებ საცნობი

\* აი, კაციც ეს არის! (ფრანგ.)

არაფერი იყო, რადგან ყინულვარდნილი მუღმივ მოძრაობდა შიშა. შვეიცარიელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ გასასვლელის საპოვნელად. ვხად ელომბობოდათ მიუვალი კედლები ან ნაპრალები. მაინც პირს იბრუნებდნენ და ახალ გზას ეძებდნენ, პრიდნენ საფეხურებს, ამავრებდნენ თოკებს; ჩვენ, ტვირთმოკიდებელი შერაპები კი უკან მივეყვებოდით. მუღმივ ადვილას, ყინულვარდნილის შუა გზაზე გაეშალეთ მეორე ბანაკი. იქიდან კიდევ უფრო ძნელი უბანი იწყებოდა. მაინც მალა მივიწყებდით. უბედური შემთხვევები არ ყოფილა, და ბოლოს, გავიდით კიდევ დასავლეთ ცირკის სიმაღლეზე.

— ცოტა-ღა დაგვრჩა, — გვაძინებდნენ შვეიცარიელები.

ხოლო ლამბები, რომელიც, არა მარტო შესახებობით წააგავდა დათვს, არამედ ათი კაცის მაგიერადაც მუშაობდა, მობრუნდებოდა ხოლმე და დიმილით წამოიძახებდა:

— Ga va bien! (ყველაფერი რიგზეა).

მაგრამ აი, თითქმის ზედ ცირკთან შევხვდით იმას, რასაც სულ მუდამ შიშით ველოდით, — დიდ ნაპრალს, რომელმაც შეაჩერა შიბტონი ერთი წლის უკან. ნამდვილად შესაზარი სანახაობა იყო — ისეთი ფართი, რომ ვერ გადახტებოდა, ისეთი ღრმა, რომ ფსკერი არ უჩანს. თანაც მყინვარს მთელ სიგრძეზე მისდევს მწერის კალიდან ნუბტსეს კალთამდე. რა უნდა ჰქონდეს? რა უნდა იღონოს? შვეიცარიელები წინ და უკან მიმოდიოდნენ ნაპრალის პირას და თვითუღ მტერს სწავლობდნენ. რამდენიმე საათს თავი იტყებენ, მაგრამ მეორე ნაპირზე ვადასვლის საშუალება ვერა და ვერ გამოიხატეს. უკვე გვიან იყო და იძულებული გავხდით მეორე ბანაკში დაებრუნებულყავით. მეორე დღეს ისევ ავედით ნაპრალთან. დიდი ხნის ძიების შემდეგ ვადაწყვიტეს ნაპრალი „ქანქარის“ მეშვეობით გადაეღახათ. მაგრამ უშედეგოდ. ასპერი, ყველაზე ახალგაზრდა მთასვლელი, დათანხმდა ესინჯა ეს საშუალება. ნაპრალის კიდეს დაამავრეს თოკის ზედა ბოლო, ქვედაზე კი ასპერი დაეკიდა მან შეძლო გაქანება და მეორე ნაპირამდე მიღწევა, მაგრამ გლუვ ყინულს ვერც ხელეობითა და ვერც წერაყინით ვერ მოეკიდა. თოკზე დაკიდებული უკანვე ეჯახებოდა ნაპრალის კედელს. „ქანქარამ“ იმედი ვერ გაამართლა. მაგრამ შვეიცარიელები ისევ დაყინებით ეძებდნენ გამოსავალს. თუკი ისინიც იქ შეჩერდებოდნენ, სადაც შიბტონი შეჩერდა, წარმატების ყოველი იმედი უკვე ამოწყურული იყო. და ბოლოს, იპოვნეს გზა. ცოტა ქვემოთ, ნაპრალში, დაახლოებით ოცი მეტრის სიღრმეზე, თაროსა თუ პლატფორმის მსგავსი შვერილი ჩანდა. საფარაუდო იყო, რომ ამ შვერილით შეიძლებოდა მისვლა მოპირდაპირე კედელთან, რომელიც ამ ადვილას არტუ ისე ციკაბო იყო.

არჩევანი ისევ ასპერზე შეჩერდა. ამხანაგებმა იგი ფრთხილად ჩაუშვეს ძირს. ასპერმა მოახერხა შევირლზე გაეღა, მალა აცოცდა და მეორე ნაპირზე გავიდა! მუშაობა ამ სიმაღლეზე იმდენად დამაინტერესო ალმოჩნდა, რომ ჰალსდენიმე წუთს ასპერი უმოძრაოდ იწვა, ძალს იკრებდა და სულს ითქვამდა. მაგრამ აი, ასპერი თავს კარგად გრძნობს, ესე იგი, ყველაფერი რიგზეა! თუ ნაპრალს იქით ერთი ადამიანი მაინც იმყოფება, ის უკვე აღარ წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას. თავდაპირველად ის თოკი დაამავრეს, რომლითაც ასპერი გადავიდა. შემდეგ რამდენიმე ცალიც ვადაისროლეს და ნამდვილი თოკის ხიდი გააბეს. მალე ნაპრალზე, რომელიც ვადაუღახავი ჩანდა, მზიდავებიც ადვილად გადავიდნენ.

ეს დიდი გამარჯვება იყო. ისე გახარებული ვიყავით, გეგონებოდათ, უკვე ევერესტის მწვერული დაგვეპყროს. ჯერ ერთი, ჩვენ ყველაზე მალა ავედით და, მეორეც, პირველებმა მივალწვიეთ დასავლეთ ცირკს. მანამდე აქ არავინ არ ყოფილა. „აჰა, ანტარკაი, — გავფიქრე — ჩამოყავთ ოცი რუბლი!“ ვაი, რომ დღემდე არაფერი არ მოუტია.

შვეიცარიელები კიდევ უფრო მალა ავიდნენ და მესამე ბანაკი ვაშალეს. მათ მზიდავებიც მიჰყვნენ. ბაზიდან ცირკამდე ტონანახევიარი ტვირთი უნდა გადაგვეტანა. თუ ერთ გზობაზე ოც კილოგრამ ტვირთს წავიღებდით, — ამ სიმაღლეზე მეტის წადება შეუძლებელია, — ოცდახუთი ვადასვლა მოგვიწევდა. და აი, დადგა ჩემი რიგი „რწყალად“ ვქცეულიყავი. დაუსრულებლობა მიმოვდიოდი ზვეთი-ქვევით, ზვეთი-ქვევით, და თანაც თვალყურს ვადევნებდი, რათა მარშრუტი და გრაფიკი დაეცვათ. მართალია, დიდ დახმარებას მიწვედნენ სხვა ვეტერანი-შერაპებიც, მათ შორის სარკი, აჯიბა და თვით ყველაზე ახალგაზრდა და გამოუცდილი ჭაბუკებიც აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მათ მოეთხოვებოდათ.

რომ წარმოიდგინოთ, რამდენად რთული იყო ეს ყველაფერი, მოგიყვან რამდენიმე სტრიქონს დიტერტის ჩანაწერებიდან.

„1 მაისი. თორმეტი შერაპი აღის მესამე ბანაკში. მათგან ექვსი ათეცს ღამეს იქ აიღასა და პასანგთან ერთად, რომლებიც ადრე ავიდნენ. ამრიგად, დღეს საღამოს მეორე ბანაკში რვა შერაპი. დანარჩენი ექვსი ბრუნდება პირველ ბანაკში, სადაც დღეს ისვენებენ სარკი და აჯიბა.“

2 მაისი. ექვსი შერაპი აღის მეორე ბანაკში, სარკსა და აჯიბას იქ ღამეგანათევი ხალხი აყავით მესამე ბანაკში.

3 მაისი. კიდევ ოთხი შერაპი მიდის მეორე



ბანაკში, კიდე ათნი მილიან მეორედან მესამე ბანაკში“.

და ასე ყოველდღე.

ჩვენ ახლა 6.000 მეტრის სიმაღლეზე ვართ და ზოგიერთმა შეეცაირებლა უკვე იგრძნო ჰაერის გაუხშობა. განსაკუთრებით ასპერმა და ჩოხმა, რომლებმაც ბევრი ენერჯია დახარჯეს ნარალის გაღალახვისას. მახსოვს, ერთ საღამოს მთავლებლები ისხდნენ და ამ საკითხზე ბუბოდნენ; ვიღაცამ თქვა, ასაღლებელი მიანიცდამინც არაფერია, აკლიმატიზაციის დროს ყველა, თვით შერაბებიც ცუდად გრძნობენ თავს.

— გამონაკლისი მხოლოდ ესაა, — შეეკამათა მას ამხანაგი და ჩემზე მოუთითა.

— ოღონდაც! მაგას ხომ სამი ფილტი აქვს.

— რაც სიმაღლე მატულობს, ეგ უფრო უკეთ გრძნობს თავს.

აქვლას გაგვეცინა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის, რაც მათ უკანასკნელად თქვეს, მართალი იყო. მთებში ყოველთვის ასე ვიცი — რაც უფრო მაღლა ვარ, მით უფრო ჩქარა დაღლივარ და თითქოს ფეხები, ფილტვები, გული — ყველაფერი უკეთ მუშაობს. რით ახსენება ეს, არ ვიცი, მაგრამ ასე კია. მე მგონია, რომ ეს არის ჩემი წარმატების მთავარი მიზეზი. სწორედ ეს მაძლევდა არა მარტო ძალას, არამედ წინსვლის ნებისყოფასაც. სწორედ ამიტომაც ჩემი ცხოვრება მაღალ მთებში — არა მარტო შრომა და გარჯა, არამედ სიყვარულიც. იმ საღამოს ცივ, მორღუბულ ცას რომ შევცქეროდი, ძალის, სითბოს და ბედნიერების მოხლევაებს ვგრძნობდი. მაშინ გავიფიქრე: „იღახ, თავს კარგად ვგრძნობ. და ყველაფერი კარგად მიდის...“ შევხედე ლამბერს.

— Ga va bien, — ვუთხარი და გავუღიმე.

იქნებ ამჯერად მიინც ვიაროთ და ვიაროთ, ვიაროთ, სანამ არ განვახორციელებთ იცნებას.

ჩვენ მოვედით დასავლეთ ცირკთან, სადაც, შესაძლოა, შემთხვევით მოხვედრილ ჩიტს გარდა არ ყოფილა არც ერთი სულიერი. თოვლით დაფარული ღრმა ხეობა, სიგრძით დაახლოებით შეიდი ეკლომეტრი და სივანით — სამი. მარტცხნივე ევერეტსი, მარჯვნივ ნუბტე, წინ ლპოტესს თეთრი კედელი. როდესაც მათთან ძალიან ახლოს მიხვალ, მთლიანად ვეღარ ხედავ. ასე იყო ევერეტსთანაც — მისი ზედა ნაწილი ჩვენ ზემოთ სიგრცეში იკარგებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რა გზითაც უნდა გვევლო, იმიტომ, რომ გზა მხოლოდ ერთი იყო: მთელი ცირკის გავლით ზემოთ, ლპოტესს ძირამდე, შემდეგ ციკაბო თოვლიანი კალთით ლპოტესს მარტცხენა მხრიდან ორ მწვერვალს შორის მდებარე დიდ უნაგირამდე — სამხრეთ უნაგირამდე. შემდეგ... მაგრამ შემდეგზე ჩვენ ფიქრიც ვერ

გაგვებდა, ჯერ უნაგირამდე უნდა მივსულიყავით დასავლეთ ცირკზე სამ კვირას ვცხოვრობდით და ვმუშაობდით. თუმცა, შეეცაირებლამა მას ხევა, უკეთესი სახელი შეარქვეს: „დუმილის ხეობა“. რა თქმა უნდა, ხანგამოშვებით აქ ქარიც ზუზუნებდა. ხანდახან, სადაც მთებში ჩამოქცეული ზევისი მძლავრი გრუხუნები ისმოდა. მაგრამ, უფრო ხშირად, თოვლის დიდი სიჩუმე მეუფობდა, რომელსაც მხოლოდ ჩვენი ხმები და სუნთქვა, ფეხსაცმელებისა და სასაპლანე ლედეების ქრაპუნნი არღვევდა. ჩვენი მეწინავე ბაზა, მეოთხე ბანაკი, თითქმის ცირკის შუაგულში გავეშლეთ. შემდეგ მეხუთე ბანაკი — ლპოტესს ძირში. ზოგჯერ ქარიშხალი ამოვადებოდა და იძულებული ვიყავით კარგებს შევფარებოდით. მაგრამ საერთოდ კი გრაფიკის მიხედვით მივიწვევდით წინ და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ევერეტსზე ყველა საგზაფხულო ექსპედიციების მსგავსად, ჩვენ წინ ვუსწრებდით მუსონს. მუსონის ამოვადნამდე არა მარტო მწვერვალზე ასვლა, არამედ უკან დაშვებაც უნდა მოგვესწრო.

მეხუთე ბანაკი დახლოებით 6.900 მეტრის სიმაღლეზე იყო. სამხრეთის უნაგირი კი იქიდან 900 მეტრზე მაღლა მდებარებოდა. გზა, რომელიც ჩვენ უნაგირზე გასასვლელად ავირჩიეთ, იწყებოდა ცირკის ზემო ნაწილში და მიდიოდა ჯერ ყინულის ღრმა დერეფანში, შემდეგ კი მიჰყვებოდა უზარმაზარ კლდოვან თხემს. ამ თხემს შეეცაირებებმა შეარქვეს Eperon des Genevois, ანუ ენეველთა კონტრფორსი. ისევე, როგორც ყინულვარდნაზე, აქაც საჭირო იყო გულმოდგინე დაზერვა, განმეორებითი ცდები, საფეხურების დაუსრულებელი ჭრა და თოკების დამაგრება; მუშაობდნენ შერაბებიცა და შეეცაირებლებიც. ახლა მე მეტწილად ლამბერთან ერთად ვმუშაობდით; იმიტომ კი არა, რომ ვინმეც მიბრძანა — უბრალოდ ასე მოხდა. და მე ძალიან კმაყოფილი დავრჩი იმით, რომ ჩვენ ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ და კარგი წყვილიც გამოვდექით.

მაისის უკანასკნელი კვირის დასაწყისში ყოველგვარი საშლახისი დამთავრდა. უნაგირისკენ მიმავალი გზის შუა ადგილზე საწყობი გავმართეთ. ზოგიერთი მთავლები კიდეც უფრო მაღლა ავიდა, თითქმის ენეველთა კონტრფორსის მწვერვალამდე. ახლა უკვე მზად ვიყავით სამხრეთ უნაგირის საივრისოდ. რაზმის შემადგენლობაში, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ეს ივრისი, — და წარმატების შემთხვევაში მწვერვალის აღებაც ეცადა — შედიოდნენ ლამბერი, ობერი, ფლორი და მე. ჩვენთან ერთად მოდიოდნენ პასანგ ჰპუტარი, ჰპუტარკე და ნამვალი, აჯიბა, მინგმა დორდჯე და ანგ ნობუ. მე ორბავი სამუშაოს შესრულ-



ლება მიწვედა: შერაბების სირდარდაც ვერცხობ-  
ლი და ტვირთის გაღმობილებაზეც ვაგებელი პა-  
სუსს, მაგრამ ახლა მოიერიშე გჯუფის წვერიც  
ვიყავი, ექსპლედციის „ნამდვილი წვერი“. პირ-  
ველად გავხდი ასეთი დიდი პატივის ღირსი. და  
ჩემს თავს შეეფიცე, რომ გავამართლებდი ამ  
ნდობას.

24 მაისს დაიწყეთ პირველი იერიში. მაგრამ  
უამინდობამ უკან დაგვაბრუნა. მეორე დღეს  
უფრო მეტი წარმატება გვხვდა წილად. წინას-  
წარ გაჭრილი საფეხურებით მივდიოდით და  
მახდამაინაც მძიმე ტვირთი არ მიგვეჭონდა;  
თავდაპირველად საკმაოდ სწრაფად მივიწვე-  
დით წინ. მაგრამ, ერთი საათის შემდეგ, თავს  
დაგვატყდა პირველი უბედურება: აჯიბას უეც-  
რად სიბებმ აუწია და იძულებული ვახდა უკან  
დაბრუნებულყო. საბედნიეროდ, ძალიან შორს  
არ ვიყავით წასული და მას მარტოდაც შეეძ-  
ლო დაშვება; დანარჩენებმა გავიყავით მისი  
ტვირთი და განვაგრძეთ ასვლა. შუადღისას  
მივუახლოვდით საწყობს, სადაც ჩვენი ტვირ-  
თი შეივსო იქ ადრე მიტანილი კარგებით, სურ-  
სათით, სათბობით და ჟანგბადის ბალონებით.  
ჟანგბადით ჯერჯერობით არ ესარგებლობ-  
დით, მხოლოდ მიგვეჭონდა. ჟანგბადის მარაგი  
ცოტა იყო, იმდენად ცოტა, რომ იმით სარგებ-  
ლობა მხოლოდ მწვერვალზე შეგვეძლო, სადაც  
უიმისოდ — ვინ იცის — იქნებ სულაც ვაგვე-  
ცხო.

კიდევ ოთხ საათს ვიარეთ, რაც ცირკიდან  
წამოვედით, რვა საათი გავიდა. გავუსწორდით  
ნუბტისს მწვერვალს, 7827 მეტრს, საკმაოდ  
მალა ავდით ქენეველთა კონტრფორსზე და  
უნაგირამდე ცოტადა დავეჩჩა. მაგრამ მზე სულ  
უფრო და უფრო ეშვებოდა ძირს და საგრ-  
ძნობლად აცივდა. აქ კიდევ ანჯ ნორბუ და  
მინვა დორდჯეც შეჩერდნენ, ტვირთი ძირს  
დადეს და განაცხადეს: უკან უნდა დაბრუნ-  
დეთ, რადგან ძალა გამოგველია და მოყინვის  
გვეშინიათ. ის იყო შეკამათებას ვაპირებდი,  
მაგრამ შევიცარიელებმა შემჩაჩერეს:

— არაა საჭირო, რაც შეეძლოთ, ყველაფერი  
გაკეთეს. დაე, წაივინდენ.

ისინი მართალნი იყვნენ. როცა ადამიანმა  
მთელი ძალაონე დახარჯა და ისიც ისეთ ვი-  
თარებაში, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებოდით,  
თავად არის თავისი მოქმედების საუკეთესო  
მსაჯული. აიძულეთ კაცი ამ დროს, სხვაგვარად  
მოქცეს, ეს ნიშნავს, რაიმე ვნება მიყავნო, ან  
არა და სულაც დაღუპო. ასე, რომ ანჯ ნორბუ  
და მინვა დორდჯე უკან დაბრუნდნენ. დარ-  
ჩენილებმა ისევ გაეინაწილეთ ზედმეტი ტვირ-  
თი, მაგრამ ყველაფრის ერთად წაღება ვერ  
შეეძელით, და დიდი ნაწილი შემდეგისთვის  
მოვიტოვეთ. უცებ სახეზე რაღაც მომხვდა. ეს  
იყო ობერის საძილე ტომარა; როგორღაც ვახ-

სნილიყო, ქარმაც აიტაცა და დიდი ფრწვე-  
ლივით პაერში წაიღო.

ვიარეთ კიდევ ერთი საათი, შემდეგ კიდევ  
ერთი, მაგრამ, ამ დროს, კიდევ ჩამოხვდნა,  
და, თუმცა სულ ცოტაოდენი მანძილი-  
ლა გვრჩებოდა, მივხვდით, რომ დღეს სამხრეთ უნ-  
ავირს ვეღარ მივალწვედით. შეეჩერდით, ყინუ-  
ლოვან ციკაბო კალთაზე მოედანი გამოთხა-  
რეთ და ორი კარავი დავედით. სამი შევიცარი-  
ელი ერთ კარავში მოთავსდა; პასანგ პუტარი,  
პუტ ტარკე, ნამგიალი და მე — მეორეში.  
ქარი გაძლიერდა, ზოგჯერ, ასე მეგონა, ეს-  
ესაა წაგვილებს-მეთქი. მაგრამ ჩვენ მაინც  
მტკიცედ ვიდგეთ და მე ცოტაოდენი სუბის  
მოღუღებაც კი მოვახერხე. შემდეგ დაძინება  
გადავწყვიტეთ, მაგრამ ძალიან ციოდა; პატარა  
კარავებში თითქმის ერთმანეთს ვაწვექით თავზე  
და ვათბობას ვლამობდით; დამე უსასრულოდ  
გრძელი გვეჩვენებოდა, როგორც იქნა, ვათენ-  
და, თუმცა სულ ცოტაოდენი მანძილი-  
ღეთ — უნავირო სულ ახლოსაა, დღეს იქ ვიქ-  
ნებით!

ბანაკიდან ოთხნი გავედით: ლამბერი, ობერი,  
ფლორი და მე. პუტ ტარკე და ნამგიალი  
გზაში დატოვებული ტვირთის ამოსატანად წა-  
ვიდნენ. პასანგ მათ დაელოდა, ჩვენი ოთხეუ-  
ლი ზევით და ზევით მიიწვედა, მაგრამ, ამჯე-  
რად, ასვლა ძალიან დიდხანს არ გავიანტურე-  
ბულა და დაახლოვებით ათი საათისთვის დად-  
გა დიდი წუთი: ყინული და ქვა გასწორდა  
ფეჩქეშე. მივალწვეით ქენეველთა კონტრფორ-  
სის მწვერვალს. წინ სამხრეთ უნავირო იღო,  
უფრო სწორად, წინ კი არა, ჩვენს ქვემოთ,  
იმიტომ, რომ ლპოტსეს მხრიდან კონტრფორსი  
უნავიროზე ას ორმოცდაათი მეტრით მაღლაა,  
და ახლა ჩვენ ქვევით უნდა გვევლო. მე უნავი-  
რამდე არ მივსულვარ. შევიცარიელებმა ჩემი  
ტვირთი წაიღეს და წაივინდნენ, მე კი იმავე გზით  
უკან გაებრუნდენ, დანარჩენ სამ შერბს უნდა  
შევხვედროდი და ტვირთის წამოღებაში მოე-  
ხმარებოდი.

ვფიქრობდი, გზაშივე შემომხვედებოდნენ,  
მაგრამ მოტყუებდი; იძულებული ვავხდი ბა-  
ნაკამდე ჩავსულიყავი. პუტ ტარკესა და ნამ-  
გიალს, როგორც შეთანხმებული ვიყავით,  
ტვირთი ამოეტანათ, მაგრამ ზევით აღარ წა-  
მოსულან. ხოლო პასანგ პუტარი, რომელიც  
მთელი ამ ხნის განმავლობაში ბანაკში იყო, კა-  
რავში იწვა და კენესოდა.

— ავად ვარ, — მითხრა მან, — ავად ვარ და  
კვლევბი.

— არაფერი გიშავს, — ეუბასუსხე მე — მოი-  
კეთებ. ახლავე ადგები და სამხრეთ უნავიროზე  
ტვირთს წაიღებ.

პასანგ პუტარამა უარი მითხრა: არ შემიძ-





ლიაო. მე ვუბასუხებ, რომ ის ვალდებულია. ბევრი ვიკამათით, გამოვლანძღე, მერე ერთი ორი ვუთავაზე კიდევ, რათა დარწმუნებულიყო, რომ ჯერ არ მომკვდარა. ამჯერად საქმე სულ სხვაგვარად იყო, ვიდრე მაშინ, როცა იმ ორმა უკან დაბრუნება გადაწყვიტა. ტვირთი რომ არ მიგვეტანა უნავირზე, მთასელებში დაიღუპებოდნენ. ხოლო პასანგი რომ მწოლიარე დამეტოვებინა, თავის წარმოდგენაში კი არა, მართლაც მოკვდებოდა. ის ნამდვილად ავად იყო, ძალღონე გამოეღია და თავს ეუღლად გრძნობდა. მაგრამ სიარული ჯერ კიდევ შეეძლო და ვალდებულიც იყო ველო.

— აბა, წავედით! წავედით, ყოველი! — ვაჩქარებდა. (ყოველის იმპრთმ ვეძახდით, რომ ტანად პატარა იყო და დოღშიც ხშირად მონაწილეობდა). ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ფეხზე წამოვყენე და კარავიდან გამოვთარიე. წამოვიკიდეთ ტვირთი ზურგზე და გავწვიეთ. მივცოცადეთ, მივხობავდით, ფეხი გვისხტებოდა, მაგრამ მაინც მივდიოდით და, როგორც იქნა, ოთხივემ ეჩენველთა კონტრფორსის კორტოხს მივალწვიეთ, იქიდან ქვემოთ, უნავირზე დავეშვიეთ. ახლა უკვე გვექონდა ყველაფერი აუცილებელი და იერიშის დაწყებაც შეგვეძლო.

ბევრი ველური და უკაცრიელი ადგილი მინახავს ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ სამხრეთ უნავირისთანა არაფერი შემხვედრია. ის მდებარეობს 7.879 მეტრის სიმაღლეზე, ევერესტისა და ლპოტსის შუა და სრულიად მოკლებულია თოვლის რბილ საფარველს. დამზარალი, შიშველი ბაქანი მარტოოდენ ქვა და ყინულია, რომელზეც განუწყვეტლივ ქრის ქარი. ჩვენ ვიკავით უდიდეს სიმაღლეზე, რომლისთვისაც ოდესმე მიუღწევია ადამიანს, მაგრამ კიდევ უფრო მაღლიდან ევერესტის უზარმაზარი მწვერვალი დაგვექაჩოდა. ყველაზე მობერებული გზა, ჩვენი აზრით, ყავილია ზევით თოვლიან კალთაზე და შემდეგ თხემზე. მაგრამ არავინ უწყობდა როგორი იქნებოდა თვით ასეცა, სანამ იქ არ აღმოჩნდებოდით, ის კი არა, მთავარ მწვერვალსაც ვერ გხვდავდით, რადგან მას რამდენიმე უფრო დაბალი, სამხრეთით მდებარე მწვერვალი ფარავდა.

დალამდა, უნავირზე ქარი ზუზუნებდა. მე და ლამბერს ცალკე კარავი გვექონდა და ყოველნაირად ვცდილობდით ერთმანეთი გაგვეთხო. მართალია, ისე არ ვაგვეძნელებოდა, როგორც წინა ღამეს, მაგრამ ახლაც საკმაოდ გვიჭირდა. დილით აშკარა გახდა, რომ დანარჩენ შერაბებს გზის გაგრძელება აღარ შეეძლოთ. ყოველი სულ სიკვდილს აპირებდა, ისედაც ჩანდა, რომ ნამდვილად ავად იყო; სხვები თავს ცოტა უკეთ გრძნობდნენ. შევიცარიელებს კარგად ესმოდათ, რომ მწვერვალის საიერიშოდ საჭირო

იყო ჩვენს ზემოთ, თხემზე კიდევ ერთი მეშვიდე ბანაკი გაგვეშალა. და ნამგიალსა და პუტარკეს სპეციალური გასამარჯველო შესთავაზეს ალტურვილობის გადატანაში. მაგრამ ორივენი უარზე იდგნენ. ისინი ფიზიკურ დაქანცულობასთან ერთად სულიერაც დაედნენ; არა თუ თავად არ უნდოდათ ზევით წასვლა, მეც მეხვეწებოდნენ, უკან დაბრუნდით. მაგრამ მე მტკიცედ ვიდექი ჩემს გადაწყვეტილებაზე და, ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალი ვიპოვეთ. ყოველი ფეხზე წამოვყენეთ, და ნამგიალსა და პუტარკეს მაგრად მივკავართ და ქვევით გავუშვით. ჩვენ ოთხნი ასვლისათვის მოვემზადეთ. მეშვიდე ბანაკის გაშლისათვის აუცილებელი მოწყობილობის მთლიანად წაღება არ შეგვეძლო, და წარმატების იმედიც საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ სხვა გზაც არ იყო.

და აი, წყვილ-წყვილად დაეადექით გზას. ობერი და ფლორი, ლამბერი და მე. უნავირიდან ზევით ციკაბო თოვლიანი კალთით მივცოცადეთ; შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემის ძირისკენ გავედით, მერე თხემს ჩავყვეით. კარგი ამინდი იდგა, დასავლეთის ქარისავან მთა გვიცავდა, მაგრამ სიმაღლისა და იმ სიძნელების გამო, რასაც საიმედო ვგზის ძებნისას წააწყვდიოთ, ძალიან ნელა მივიწვდით წინ. თან მიგვექონდა მხოლოდ ერთი კარავი, რომელიც მე შეკიდა ზურგზე და ერთი დღის სურსათი; ამის გარდა, თვითუფლს მოქონდა ყანგზადის პატარა ბალონი. ყანგზადს პირველად ვხმარობდით თხემში, მაგრამ იგი ბევრს ვერაფერს გვეშველიდა. აპარატები მხოლოდ მაშინ მუშაობდნენ, როცა ვისვენებდით ან ვჩერდებოდით, სიარულის დროს კი, როცა ყველაზე მეტადაა საჭირო ყანგზადი, უქმად იყვნენ. მაგრამ ასე-ღას მაინც ვანგავრძობდით. მივალწვიეთ 8.200 მეტრს, და წავედით კიდევ უფრო მაღლა. „ჩემი პირადი რეკორდი მოხსნილია... გავიფიქრე მე. — ახლა უფრო მაღლა ვართ, ვიდრე ვიყავით 1938 წელს, მთის იქითა მხარეს, „მექექვესე ბანაკში“. მაგრამ მწვერვალამდე ექვსას მეტრზე მეტი მაინც იყო დარჩენილი.

შეჩერდით 8.405 მეტრის სიმაღლეზე. დღისთვის მეტი აღარ შეგვეძლო. როგორც ვთქვი, ძალიან ცოტა ტვირთი მიგვექონდა. ალბათ შევიცარიელები ამ დღეს მხოლოდ დაზვერვას აპირებდნენ: უნდოდათ კარავი და სურსათი რაც შეიძლება მაღლა დაეტოვებინათ, მზიდავებისთვის დაცავდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაშვებულიყვნენ ქვევით. მაგრამ იშვიათი ამინდი იდგა. მე და ლამბერს ცოტადენი ძალა კიდევ შეგვრჩენოდა.

მე შევნიშნე პატარა, თითქმის ვაკე ადგილი, რომელზეც კარვის გაშლა შეიძლებოდა და ვთქვი:

— აქ ხომ არ აჯობებდა ლამის ვათევა.  
ლაშქარმა გაიღიმა. აშკარა იყო, რომ ისიც ამას ფიქრობდა. ობერი და ფლორი დაგვეწვივნენ, ლაშქართან თათბირის შემდეგ, გადაწყდა, რომ ისინი ძირს დაეშვებოდნენ, მე და ლაშქერი დაერჩებოდით. დილით, თუ ამინდი არ გაფუჭდებოდა, მწვერვალის აღებასაც ვცდიდით.

ობერი და ფლორმა ტვირთი მოიხსნეს. „თავს გაუფრთხილდითო“ — გვითხრეს და თვალზე ცრემლი მოადგათ. ისინი კარგ ფორმაში იყვნენ. მათაც შეეძლოთ დარჩენა და წარმატების იმედიც, როგორც ჩანდა, ჩვენზე ნაკლები როლი ჰქონდათ. მაგრამ მხოლოდ ერთი კარვის ამბა ვიყავით ყველანი. საზოგადოებრივ ცოტა გვექონდა და მათაც უსიტყუოდ გაიღეს მსხვერპლი. მთებში ასეა მიღებული.

ობერი და ფლორი წვიდნენ. აი, ისინი პატარა წერტილებად იქნენ და სულ გაუჩინარდნენ. კარავს რომ ვშლიდით, დაძაბული მუშაობისაგან. სული გვეხუთებოდა, მაგრამ, როგორც კი მუშაობას მოვრჩით, თავი მშვენივრად ვიგრძენით. იმდენად კარგი ამინდი იდგა, რომ ცოტა ხანს კარვის წინაც კი ჩამოვჯექით ჩამავალი მშის სინათლეზე, ერთმანეთის ენა არ გავგეგებოდა და ამიტომ სასაუბროც ბევრი არაფერი გვექონდა. თუმცა სალაპარაკოდ მაინც დამაინც არც ვიყავით განწყობილი. ხელით მალა მივუთითებ და ინგლისურად ვთქვი:

— ხელ — თქვენ და მე.

ლაშქარმა გაიღიმა და მიპასუხა:

— Ga va bien!

დაბნულა, სიცივემ იმატა და ჩვენც კარავში შევქვერით. პრიმუსი არ გვექონდა, მაგრამ არც ჰამა გვინდოდა. ცოტაოვანი ყველი შეგვამეთ და ზედ რამდენიმე ყლუბი თოვლის წყალი დავაყოლეთ. არც საძირკე ტომრები გვექონდა; ახლო-მახლო დავეწვიეთ და ერთმანეთს ვზილავდით, რომ სისხლის მიმოქცევა შეგვენარჩუნებინა. ვფიქრობ, ამით მე უფრო მოვიგე, ვიდრე ლაშქარმა. მე საშუალო ტანისა ვარ, ლაშქერი კი ისეთი გრძელი და უზარმაზარი, რომ მისი გათბობა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შეეძლო. მაგრამ ლაშქერი მაინც ჩემზე ზრუნავდა; ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, რომ ფეხები მომეყინებოდა.

— მე რა მიშავს, — ამბობდა ის, — თითები არა მაქვს. შენ კი ფეხებს უფრთხილდი!

დაძინებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. თუმცა, ძილს სულაც არ ვაპირებდით. ისედაც საძირკე ტომრები არა გვექონდა, ახლა რომ არ გვემოძრავა და დაგვეძინა, შეიძლება აღარც გავცდივებოდა. ამიტომ ერთმანეთს ვზილავდით, ეპოქარობდით, ემოქარობდით და ვზილავდით, დრო კი ისე ზანტად გადიოდა... როგორც იქნა, კარავში ნაცრისფერმა სინათლემ შემოაღწია. ჯვარბილიანად გათოშილი და გაყინული ვარვით

გამოვედით და მიმოვიხედით. ის, რაც ნახეთ, დიდად სასიხარულო ვერ იყო — ამინდი გაუარესდა. მართალია, საესებით არ გაფუჭებულა, ქარიშხალი არ ამოვარდნილა, მაგრამ სამხრეთით და დასავლეთით ცა ღრუბელს შეეკრა, გაძლიერებული ქარი კი სახეში ყინულის პატარა კრისტალებს ვეაყრდა. დიდხანს არ გვიფიქრია, და, როგორც ყოველთვის, სიტყვები არც ახლა დაგვეკირვებია. ლაშქარმა ცირით თბისსაკენ მიმიითია, მე გავიდიმე და თავი დავუქნიე. უკან დაბრუნება არ შეგვეძლო. მაინც უნდა გვეცადა.

გვეჩვენებოდა, რომ უზომოდ ბევრი დრო მოვანდომეთ გაყინული ხელებით ფეხსაცმელებზე წრიაპების მიმაგრებას, ბოლოს და ბოლოს გზას დავადექით. მივირეგეთ ზეგით, ზეგით, ძალიან ნელა, თითქმის ხოხვით. სამი ნაბიჯი შესვენება, ორი ნაბიჯი — შესვენება, ერთი ნაბიჯი — შესვენება. უანგბადის სამი ბალონი მივექონდა, მაგრამ ისინი, სიარულის დროს, ძველებურად უმოქმედოდ იყვნენ. და, ამიტომ, ტვირთის შესამუშუბლებლად, გზაზევე დავყავით. დაახლოებით ყოველი ოცი მეტრის შემდეგ ერთმანეთს ეენაცვლებოდით გზის გაკველევის მძიმე სამუშაოზე. თანაც, სანამ უკან მიმავალი წინ გადავიდოდა, წინას შემელო დაესვენა და სული მოეთქვა. გავდა ერთი საათი, ორი, სამი. საეროდ, ასევე ძალიან არ გვიძნელდებოდა, მაგრამ საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე; თხემის ერთ მხარეზე საშინელი უფსკრული ჩანდა, მეორეს კი სიცარიელეზე დაკიდებული თოვლიანი ლევაბანი ვასდევდა. ადგილი-ადგილ აღმართი ციკაბი ხდებოდა და საფეხურებს ვჭრიდით. აქ განსაკუთრებით მარჯვედ აღიოდა ლაშქერი. თავისი უდიდებო, დამოკლებული ტერფებით ყველაზე პატარა შევირილზეც კი თხასათე ადვილად იკიდებდა ფეხს.

კიდევ ერთი საათი გავიდა. არათუ დღეზე, კვირაზე გრძელიც გვეჩვენება ეს ერთი საათი. ამინდი უფრო და უფრო უარესდებოდა. დროგამოშვებით ნისლიანი ქარბუქი ამოვარდებოდა. თვით ჩემი „მესამე ფილტვიც“ ვეღარ მუშაობდა ძველებურად. ყელი გამიშრა და წყურვილისაგან ამტკივდა; დროდარბო ისე ვიძლებოდით, რომ ფეხზე ვეღარ ვდგებოდით და თოვლზე მივფორთხავდით. ერთხელ, ლაშქერი მობრუნდა და რაღაც მითხრა, მაგრამ ვერ გავეგე; ცოტა ხნის მერე ისევ დაილაპარაკა; დავინახე, როგორ უღიმოდა სახე, გულტჩერის დამცველი საცხის სქელი ფენის ქვეშ და მივხედო:

— Ga va bien! — ამბობდა ლაშქერი.

— Ga va bien — ეუბასხე მე.

მაგრამ ეს სიცრუე იყო. საქმე რომ კარგად არ მიდიოდა, ორთავემ ვიცოდით. მაგრამ ჩვენს შორის ასე იყო მიღებული. თუ ყველაფერი კარგადაა — „Ga va bien“, თუ არა, სულ ერთია. მაინც „Ga va bien“.

ასეთ წუთებში ადამიანი ბევრ რამეზე ფიქრობს. მე ვფიქრობდი დარჯილინგზე, სახლზე, ანგ ლამუსა და ბავშვებზე. მე ვფიქრობდი დიეტრტზე, რომელიც ამოდოდა ზევით მეორე მთიერიშე ჯგუფთან ერთად და ვფიქრობდი იმავზეც, რომ, თუ ჩვენ ვერ მოვახერხებდით მწვერვალზე ასვლას, იქნებ მეორე ჯგუფისთვის გაეღიმა ბედს. მე ვფიქრობდი: აბა, ჩვენ თავად მივალწვეთ მწვერვალს, ჩვენ ეს ძალგვიძს; მაგრამ შევძლებთ კია იქიდან დაბრუნებას? გამახსენდა ირვინი და მელორი, რომლებიც სამუდამოდ გაქრნენ მთის მეორე მხარეს, დაახლოებით ამავე სიმაღლეზე. მერე შევწყვიტე ფიქრი. ტვინი თითქოს ვამეყინა. მანქანად ვიქეცი, მივდიოდი და ვჩერდებოდი, მივდიოდი და ვჩერდებოდი, მივდიოდი და ვჩერდებოდი...

აი, ისევე შეეჩერდი. ჭარის მიმართულებისაკენ დახრილი ლამბერი უმოძრაოდ იდგა, და მე ვიცოდი, რომ იგი ჩვენს მდგომარეობაზე ფიქრობდა. მეც შევეცადე რაიმე მომეფიქრებინა, მაგრამ ფიქრი სუნთქვაზე უფრო მიჭირდა. ქვევით ჩავიხედე. რამდენზე ავედი? დაახლოებით ორას მეტრზე ვერტიკალურად, გამოითვალა მოგვიანებით ლამბერმა, და ამაზე ხუთი საათი დაეხარჯეთ. ზევით ავიხედე. აი, სამხრეთ მწვერვალი, ას ორმოცდაათი მეტრი მაღლა, ჩვენს ზემოთ. ეს კიდევ არ არის მწვერვალი, ის მხოლოდ სამხრეთ მწვერვალია... მის მეორე...

მე მწამს ღმერთი. მე მწამს, როცა ადამიანი მძიმე განსაცდელში ეარდება, ღმერთი მას კარნახობს თუ როგორ მოიქცეს, ასევე გეოკარნახა

მან მე და ლამბერსაც, ჩვენ შეგვეძლო გზის გაგრძელება, იქნებ კიდევ მიგვეღწია მწვერვალისთვის, მაგრამ უკან დაბრუნებას ვიღარ შევძლებდით, გზის გაგრძელება სიკვდილს ნიშნავდა და ჩვენც აღარ გავიგებდებოდა — შეეჩერდი და უკან გამოვბრუნდით... მივალწვიეთ თითქმის 8.600 მეტრს, ყველაზე ახლოს მივედი ევარისტთან, ავედი სარეკორდო სიმაღლეზე. მაგრამ ეს ცოტა აღმოჩნდა. მთელი ძალღონე შეეწირეთ — ესეც ცოტა აღმოჩნდა, უსიტყვოდ გამოვბრუნდით. უსიტყვოდ დავეშვიტე ძირს. ქვევით გრძელი თხემით, ზედა ბანაკის გავლით, ისევე თხემის გასწვრივ ქვევით თოვლიანი კალთით, ნელ-ნელა, ნელ-ნელა, ქვევით, ქვევით, ქვევით.

ეს იყო ზღვარი, რომელსაც მე და ლამბერმა მივალწვიეთ. მეორე დღეს ობერთან და ფლორთან ერთად უნაგირიდან დასავლეთ ცირკზე დავეშვიტეთ, ჩვენს შესაცლელად ბედის საცდელად მეორე ჯგუფი დაიძრა. მასში შედიოდნენ — თთხი შევიცარიელი და ხუთი შერაბი. თავდაპირველად მათი საქმე უკეთ იყო, ვიდრე ჩვენი. ცირკიდან უნაგირზე ერთ დღეში ავიდნენ, მაგრამ შემდეგ იღბალმა უმტყუნათ, მთელი ჯგუფი მთის ავადმყოფობით დაავადდა. ჭარი გაძლიერდა, ყინვამ მოუჭირა, და სამი დღის შემდეგ ისინიც დაბრუნდნენ. იერიშის მიტანა არც კი უცლიათ:

რას იზამ, ჩვენ ძალღონე არ დაგვიზოგავს.  
მე კი კარგი მგეობარი შევიძინე.

თარგმნა ლია ჩხეიძემ

(გაგრძელება იქნება).



### ავსტრია

#### შურნალისბთა

##### გაერთიანების პრემია

ავსტრიის კინოფურნალისტთა გაერთიანებამ 1961 წლისთვის უმაღლესი პრემია — ოქროს კალამი — მიაკუთვნა იტალიელი რეჟისორის ვისკონტის ფილმს — „როკო და მისი ძმები“. ამ ფილმმა რამდენიმე სმით მეტი მიიღო, ვიდრე იაპონელი რეჟისორის კუროსავას „იაკურიმაში“ და ამერიკელი რეჟისორის სტენლი კრემერის „ნიურნბერგის განაჩენმა“. ეს პრემია, რომელიც შარშან მიაკუთვნა ფრანგულ ფილმს „100 ღმერთმა“ (რეჟ. ფრანსუა ტრუფო), წელსაც წილად სვდა სურათს, რომელიც აქტუალურია და რომელშიც მაღალმხატვრულ ფორმებში მოცემულია საზოგადოებრივი კრიტიკა.

პრემია ვისკონტის გადაცემა ივნისში, როდესაც ჩავა ვენაში ავსტრიის კინოფურნალისტთა გაერთიანებისა და ქალაქ ვენის კულტურის უწყების მიერ მოწყობილ „საინტერესო ფილმების კვირულზე“.

### ალბანეთი

#### მტრუსპირი ამბავებზე

აენინის ნახევარკუნძულის უძველეს მკვიდრთა, ებრუსკთა ენა დღემდე ამოუცნობი იყო. ისრაელმა მეცნიერმა ჯაბარის მაიანი შესძლო ამოცნო ებრუსკულ ლარნაკებზე მოთავსებული 500-ზე მეტი სიტყვა და ზოგიერთი წარწერა. ამ აღმოჩენას საფუძვლად დაედო ალბანური და ებრუსკული ზოგი წესობი სიტყვის გასაოცარი მსგავსება.

ფრანგული ჟურნალი „არ“ ვრცელ რეცენზიას უძღვნის მაიანის წიგნს—„ებრუსკები ამეტყველდნენ“. რა თქმა უნდა,— წერს ჟურნალი, — ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მაგრამ როგორც ჩანს, ცოტაც კიდევ, და მთლიანად ამოცნობილი იქნება დღემდე საიდუმლოებით მოცული ებრუსკული ენა.

### არგენტინა

#### კინოფილმების აღზფრთხვა

„თუ ასე გაგრძელდა, მალე არგენტინულ ფილმებში აღარ იქნება წამოჭრილი არავითარი პრობლემა. მათურებელი ჩვენს ფილმებში ნახავს მხოლოდ ბუნებას და ამინდს“, — განაცხადა ცნობილმა არგენტინელმა იუროსტმა ლუის ბიენეს დე ზემ ბუენოს-აირესში. მან ამ სიტყვებით გამოთქვა თავისი უკმაყოფილება არგენტინაში შემოღებული ახალი კანონით 61/57, რომელიც ეხება ფილმის ცენზურას და ფილმის მწარმოებლებს დამოუკიდებელი შემოქმედების თითქმის აღარავითარ უფლებას არ უტოვებს.

არგენტინელი კინომოდერნი — ფილმის რეჟისორთა ასოციაცია, კინოსცენარისტთა კავშირი, მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროდიუსერთა ჯგუფი, არგენტინის კინოარქივის საზოგადოება, დამოუკიდებელი კინოგამქირავებელი გაერთიანება, მსახიობთა პროფკავშირი—ამას წინათ შეიკრიბნენ ბუენოს-აირესში საპროტესტო სხდომაზე და ენერგიულად გაილაშქრეს ახალი კანონის წინააღმდეგ.

კინოკრიტიკოსებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ ამგვარი კანონი, რომელიც ჯერ მხოლოდ ფილმს ეხება, ძალიან მალე შეიძლება შეეხოს სხვა დარგებსაც. კრიტიკოსები, რეჟისორები და მსახიობები მოუწოდებენ მათურებლებს ენერგიულად იმოქმედონ ამ კანონის წინააღმდეგ, რადგან მხოლოდ ფართო საპროტესტო მოძრაობას შეუძლია მისი გაუქმება.

### ა უ შ

#### ვაშინგტონი და ფესტივალი

ვაქრობის მინისტრის კინოსექციის თვალსაჩინო მოხელემ ნ. გოლდენმა განაცხადა, რომ ვენეციაში გამართულ უკანასკნელ კინოფესტივალზე ამერიკა არასაკმარისად მონაწილეობდა. მან მიუთითა სახელმწიფო მდივანს: დადგა ღრო, ამერიკამ გადახედოს თავის მონაწილეობას საერთაშორისო კინოფესტივალზე; მომავალში საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობა უნდა მიიღოს მხოლოდ იმ ფილმებმა, რომლებიც ნამდვილად მაღალმხატვრული იქნება და რომლებშიც მონაწილეობენ მსოფლიო მნიშვნელობის კინოვარსკვლავები. გარდა ამისა ამერიკის წარმომადგენლებმა პროდიუსერების საერთაშორისო ასოციაციის შემდგომ სხდომაზე უნდა განიხილონ ვენეციის უკანასკნელ კინოფესტივალზე თიურის მუშაობა.

ამერიკის მონაწილეობა ფესტივალზე ჯერ არასოდეს არ გაუკრიტიკებიათ ასე კატეგორიულად.





### შედეგების შედეგები

ამას წინათ გამოვიდა კლივ-ტენდის პროფესორ ა. ს. ბრენის წიგნი, რომელშიც ავტორი განაწარმადებს საბჭოთა კავშირის კულტურის შესწავლის შედეგებს; ამასთან ის აღარებს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის სკოლების ძირითად სახელმძღვანელოებს და ეს შედარება ამერიკის სახარგებლოდ არ მეთქველებს. რომ აღარაფერი ვთქვათ რეალურ ცოდნაზე, რომელსაც საბჭოთა მოსწავლე ამერიკელებზე გაცილებით უფრო მეტი მოცულობით იძენს სწავლების პირველსავე წლებში, მათი ლექსიკური მარაგის უზარალო რიცხვობრივი შეფარდებაც კი ვასაფრისწინებელია ამერიკისთვის. ასე, მაგალითად, საბჭოთა მოსწავლე I კლასშივე ანბანის წიგნიდან იძენს 2.000 სიტყვას, ამერიკელი კი — მხოლოდ 150 სიტყვას; IV კლასში საბჭოთა მოსწავლეს აქვს 10.000 სიტყვის მარაგი, ამერიკელს კი — 1.800.

### წიგნი მაპარტიზო

ყოფილი სენატორის მაკარტის სახელი უკვე ისტორიაში შევიდა: ეს სახელი დაკავშირებულია ამერიკის ისტორიის ყველაზე საზარელ პერიოდთან — ესაა 40-იანი წლების დასასრული და 50-იანი წლების I ნახევარი, როცა თავისი უღმობელი, საზარი და შესაზიზღი ღონისძიებით — „უკუღიანებზე ნადირობით“ მაკარტიმ კომუნდანი და აქცია ამერიკული უფლებანი და თავისუფლება. მას უნდა „უმაღლოდნენ“, რომ ამერიკის მრავალი გამოჩენილი ინტელიგენტი და ხელოვნების მოღვაწე განდევნეს სახელმწიფო თანამდებობიდან, მოუსპეს შემოსავალი, ხოლო ბევრი და-აპატიმრეს კიდევ.

პროგრესულმა შურნაღიბებმა, შურნაღი „ნიუ-იორკერის“ სამხატვრო კრიტიკოსმა რიჩარდ როვერსმა დაწერა წიგ-

ნი — „მაკარტი, ან გვამთა გამომხმობის ტექნიკა“. ავტორის დახასიათებით ჯოჯოფე მაკარტი არის ცრუ, ბაქია, კირვეული დამაგოვი, რომელიც რეალურად გამოსდევნებია. მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა როვერსის მტკიცება, რომ მაკარტი უსაზღვროდ ცინიკური პიროვნება იყო — მთელს თავის ბინებზე საქმიანობას ის ეწეოდა არა ღრმა რწმენის გამო, — მას თვითონაც არ სწამდა თავის მიერ გამოგონილი ანტიკომუნისმი. იმხანად გელანის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რომ მაკარტის ანტიკომუნისტურმა ისტორიამ აიყოლია ამერიკის მოსახლეობის 50%. როვერსის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ სენატორი დემოკრატიის კლასიკური ნიმუში იყო.

### სამხრეთის მართ ქალაქში

ბოსტონის გამომცემლობა „მაუტონ მილტონ კომპანი“ გამოსცა ამერიკელი მწერალი ქალის კ. მაკულერის ახალი რომანი — „უისრებო საათი“. როდესაც შეიტყობ ხოლმე, რომ შენი საყვარელი მწერალი ახალ წიგნს წერს, ძალაუნებურად შეში გიპყრობს, — წერს კრიტიკოსი რ. გოდენი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ წიგნების მიმოხილვაში. — მით უმეტეს, რომ მისი უკანასკნელი რომანი „ბალადა სამუხარო ყავაზე“ დიდი ხანია გამოვიდა (1951 წ.); იქნება თუ არა ახალი რომანი წინა რომანების დონისა?! როდესაც გადავშალე წიგნი, დავრწმუნდი, რომ ჩემი შიში უსაფუძვლო იყო.

რომანი „უისრებო საათი“ გვათმობს სამხრეთ ამერიკის პროვინციალური ქალაქის ცხოვრებას. უწყინარი მეაფთოაქე მელონი ვადა ხდება და გამოიძახებს ექიმს. ექიმი პროფესიულ ენაზე ეუბნება დიაგნოზს. მელონი მხოლოდ თან-

დათან რწმუნდება, რომ უფრნებელი სენითაა დაავადებული, და მალე უნდა მოკვდეს. პატარა ქალაქის მცხოვრებნი თავის ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებას მისდევენ, მელონი კი უცებ აღმოაჩენს, რომ ცხოვრების მიღმა დარჩენილი. სასიკვდილო განწირულის მდგომარეობა ეხმარება მას სხვაგვარად შეაფასოს თავისი თავიც, მშობლებიც, მეგობრებიც, ახლებურად დაინახოს გარემოცველი გარემო. იგი რწმუნდება, რომ მის თანამოქალაქეთ „მრავალი წლის ბრძოლის, ხეტიალისა და ხრიკების შემდეგ შეუბრალებელ სინამდვილესთან უხდებათ შეტაკება, ჩიხში ექცევიან, და იღუპებიან...“.

### „აბსტრაქტული“ პიანისტი

„კარგა ხნის სერიოზული ფიქრისა და შესაძლებლობათა ამაო ძიების შემდეგ, — აბოზხ პიანისტი ტელიორ ოსბორნი, — იმ დასკვნამდე მივიღი, რომ ფორტეპიანოზე დაკვრის დღემდე არსებული სისტემა მოძველებულია. ჩვეულებრივი ხერხები პიანისტს არ აძლევს რაიმე ახალ შესაძლებლობას. წარსულისა და აწმყოს დიდმა პიანისტებმა თავისი ხელოვნებით უკვე თქვეს ყველაფერი და მომავალში საჭიროა ახალი გზების ძიება!“

ტელიორ ოსბორნი ამ ახალ გზას ხედვას „აბსტრაქტულ დაკვრაში“, და მის ამ „ახალ სტილს“ დიდი წარმატებაც აქვს ამერიკის საკონცერტო დარბაზებში: ოსბორნი ჩაქუჩით ხელში გამოიღებს საკონცერტო ინსტრუმენტს, ჯერ ხელით უკრავს რამდენიმე ბრწყინვალე ტაქტს, მერე კი ჩაქუჩით ეგვერება როიალს. ეს „პროცედურა“, ე. ი. რამდენიმე ტაქტის დაკვრა, ხოლო მერე ჩაქუჩის დარტყმა, გრძელდება მანამდე, ვიდრე ინსტრუმენტი ნაწილ-ნაწილ არ დაიმხსნევა. მაშინ ოსბორნი იხრება, იღებს იატაკიდან ხის ნამსხვრევებს და მიმართავს სა-

ზოგადოებას: „ვის სურს როიალის ნაჭერი?“

### უიტმენის ახალი წიგნი

აქ როდია ლაპარაკი რაიმე სენსაციაზე—ამერიკის სამოქალაქო ომის 100 წლისთავისთვის (1861 — 1961) ვერავენ ვერ აღმოაჩინა უიტმენის ხელნაწერი ამ ომის ისტორიის შესახებ, რომლის დაწერაც პოეტს უნდოდა ჯერ კიდევ 1865 წელს, ოღონდ გამოცემული ვერ იშოვნა.

უიტმენმა მდიდარ მასალას მოუყარა თავი თავის ჩანაწერებში, შენიშვნებში, გაზეთებისთვის დაწერილ კორესპონდენციებსა და რეპორტაჟებში, რომლებიც მოიცავენ პოეტის ცხოვრების ზვის მწვერვალს— როცა ის თავდაუზოგავად უვლიდა დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებს ვაშინგტონის ლაზარეთებში, სამხედრო ბანაკებში და ბრძოლის ველზე. ამ უამრავი მასალადან ამერიკელმა პოეტმა უოლტერ ლაუენფელსმა შეადგინა უიტმენის ახალი წიგნი.

პოეტ-კომუნისტს უოლტერ ლაუენფელსს უიტმენის ტექსტისთვის არ დაუმატებია არც ერთი ზედმეტი სიტყვა. ამის, და აგრეთვე პირადი პოეტური გამოცდილებისა და უიტმენის შემოქმედების ღრმა ცოდნის წყალობით შეიქმნა ეს წიგნი, რომელიც დარჩება არა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი საუკეთესო შინაგანი მორალური ისტორია ამერიკის სამოქალაქო ომისა, არამედ როგორც უიტმენის ახალი წიგნი — ამ სიტყვის ნამდვილი, პირდაპირი მნიშვნელობით.

### ბერმანი

ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

#### „ასმ იქმნებიან კანცლერები“

გერმანელი ხალხის ნაცი-ტური წარსულისა და მის უმთავრეს წარმომადგენელთა შესახებ შექმნილ უამრავ თვალსაჩინო დოკუმენტურ ფილმებს შორისა კიდევ ერთი მეთად აქტუალური ფილმი — „ასე იქმნებიან კანცლერები“. რეჟისორმა იოახიმ ხელიფმა, რომელიც სცენარის თანაავტორიცაა, გამოიყენა დღემდე უცნობი, მდიდარი საარქივო მასალა, რათა ეჩვენებინა, თუ რამ მოიყვანა მშ-იან წლებში ხელილ-სუფლებების სათავეში ჰიტლერი, ხოლო შემდეგ — ადენაუერიც. მეცნიერული სიზუსტით მისდევს ის ადოლფ ჰეილერების-ჰიტლერის კარიერას პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული კანცლერის სავარძლის ხელში ჩაგდებადე და ამხელს, რომ იმავე მმართველმა ჯგუფებმა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ჰიტლერს, „შექმენეს“ კანცლერი ადენაუერი და ახლა მას უდგანან მხარში. ფილმი მაყურებელთა წინაშე აყენებს მრავალ გარდაუვალი კითხვას და ზოგჯერ ამომწურავად პასუხობს თვითონვე, ხოლო ზოგჯერ მხოლოდ ღრმად ჩაფიქრებს კაცს. ფილმში ნაჩვენებია პირდაპირი ხაზი ჰიტლერიდან ადენაუერამდე, მესამე რეზიდიან ფედერაციულ რესპუბლიკამდე, ხოლო აქედან — პირდაპირ ამერიკულ მონოპოლიამდე.

#### დეზ 1962 წელს

დეფას მხატვრული ფილმების სტუდიის დირექტორმა მიუქენბერგერმა „ნოიეს დოჩინლანდის“ კორესპონდენტთან

საუბარში დეფას 1962 წლის გეგმების თაობაზე განაცხადა:

„ჩვენი მთავარი მიზანია შევექმნათ ფილმები, რომლებშიც მთელი სიღრმითა და მრავალფეროვნებით, განვითარებითა და კონფლიქტებით ასახული იქნება ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვეობა, მისი აქტუალური პრობლემები; ფილმები საინტერესო, თავშესაქცევი იქნება. თავიდან უნდა ავიცილოთ მოსაწყენი ფილმები. ამჟამად მდგომარეობა ასეთია:

რეჟისორი რალფ კირსტენი და კარლ იაკობსი ამთავრებენ სცენარს „ზაფხულის სიმშვენიერე“, რომლის გადაღებაც მალე დაიწყება; რეჟისორი ფრანკ ბაიერი, ბრუნო აპიცთან ერთად, ფილმად აშუადებს წიგნს — „შიშვლად მგლებს შორის“; პაულ ვინსი და ფრანკ ფოგელი თავიანთ ახალ ფილმში მოგვითხრობენ სამი ახალგაზრდის ბედზე, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ 18 აგვისტოს (ამ დღეს ვლ-ს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინის სასაზღვრო ხაზე თავდაცვითი ღონისძიებების გაძლიერების შესახებ). მათს თავდადასავალს — 1961 წლის აგვისტოსა და დეკემბერს შორის — მოცემულია მათი კონფლიქტებით აღსავსე ცხოვრება, მიმართული ჩვენი რესპუბლიკის გაძლიერებისკენ; გიუნტერ რაიში ამჟამად იღებს ფილმს — „რა ბედნიერი ხარ...“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს ერვინ გოშენეკი. ფილმის სცენარს საფუძვლად დაედო ჩემი დრამატურგი ბლაჩკის კომედია — „ვის მოხდა ერთ ხალაოს“; კონრად ვოლ-



ფი („პროფესორ მამლოკის“ დამდგმელი) მწერალ პერბერტ ოტისთან ერთად მუშაობს ფილმზე, რომელიც მოგვითხრობს უმალდის სკოლის ცხოვრებაზე; დიტერ ნოლის ცნობილი წიგნის „ვერნერ ჰოლტის თავგადასავლის“ მიხედვით ორ სერიალ ვალიდებენ ფილმს, რომელშიც ნაჩვენებია იქნება, თუ რა გზა განვლო ფიციტმა მფრინავმა, ვიდრე მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამცველი გახდებოდა.

მხატვრული ფილმების სტუდია გადაიღებს აგრეთვე ბევრ სათავგადასავლო და კრიმინალურ ფილმს, მათ შორის — „საიდუმლო არქივი ელბაზე“ (საბჭოთა მწერლის ნახბოვის წიგნის მიხედვით), „გადაწყვეტილება მიღებული იქნება პარასკევს“ (ჩვენი რესპუბლიკის უშიშროების ორგანოთა ვაბეღულ საქმიანობაზე) და სხვ.

უკვე იღებენ კომედორ ფილმებს — „კაზანოვას სურს იქორწინოს“, „სიუვარულის გამოცანა“, „ახალგაზრდობის მუსიკა“; კლასიკოსებიდან წელს გადაიღებენ ლესინგის „მინა ფონ ბარნჰელმს“ (რეისორი მარტინ ჰელბერგი), ხოლო ამ წლის ბოლოს რეისორი იახნი პერცი დაიწყებს ვანერის ოპერა: „ფრინავი ჰოლენდელის“ გადაღებას. მუშაობა იწარმოებს კიდევ სხვა ფილმებზეც, მათ შორის საბავშვო ფილმებზე, რომელთაგან წელს მუთი სურათი გამოვა. შეიქმნება აგრეთვე რამდენიმე ერთობლივი ფილმი სოციალისტური ქვეყნების კინოსტუდიებთან ერთად.

**გამრანის ფედერაციული რესპუბლიკა**  
**ბიოლის „სტოპიური“ საბინა**

დაუსხლდორფში დაიდგა მაინის ბიოლის პირველი პიენა — „ჟულუბი მიწა“. პიენის ავტორი, დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული

რული პროზაიკოსი, პრემიერის დროს დააჯილდოვეს მქუხარე ტაშით და არა ნაკლებ მქუხარე სტენიით. პრემიერა კინაღამ სკანდალით არ დასრულდა. საქმე ისაა, რომ ბიოლიმა სცადა შეექმნა უტოპიური სატირა, რომელშიც ვეება კითხვითი ნიშანი დაუსვა დასავლეთის დღევანდელ საზოგადოებრივ წყობას. კატასტროფული წარღვნის მერე დღემამწაზე რჩებიან მხოლოდ შუა ოცენაში კუნძულ ტიფზე მყოფი ერთი მუშა ადამიანები, რომლებიც იწყებენ აღრინდელი ცივილიზაციის ძებნას. თავის წარღვნილ წინაპართა ცხოვრების სურათებს ისინი აღადგენენ საოცარი ნაპოვნებით: სარეკლამო დაფებით, მაკივრებით, ტელევიზორებით. კიდევ უფრო მეტად აოცებთ მათ აღრინდელ ეროვნებათა სახელწოდებანი. ისინი ხელახლა აღმოაჩენენ კაცობრიობის უძველეს საუნჯეთ: ურთიერთგაგებას, ნეტარებას, სიყვარულს, ცეცხლს და ა. შ.; პიენის მეორე პლანზე კლასობრივი საზოგადოების განსხრება: კუნძულ-ტივის ეკიპაჟმა მემკვიდრეობით მიიღო კლასობრივი დაყოფა — აქ არიან ოქროსფერი, წითელი, მწვანე, ლურჯი, რუხი ადამიანები, რომელთაც მაცარად განსხვავებული უფლება-მოვალეობანი აქვთ. რუხი ადამიანები ვალიებშიც კი ჰყავთ. ბოლოს მარტო ესენი აღმართავენ რეალური ადამიანური იმედის დროშას მთელი საზოგადოებისათვის, — ეს საზოგადოება შედგება იმთაგან, ვინც გადაარჩა და სიცოცხლე უნდა განაგრძოს. გასაოცარი ისაა, რომ ოფიციალურმა დასავლეთებრანულმა კრიტიკამ სწორედ ამ ტენდენციის გამო ბიოლის პიენა მიიღო, როგორც უბრალო, თავშესაქცევი რამ, სადაც უხვადაა გონებაშახილი იდეები და თითქოს გადაყირავებული ტელევიკოპში გახედებს თულტა ბიოლი თავის პიენაში

არ ეხება საზოგადოებრივი ბოროტების ფესვებს, რომლის გაკრიტიკებაც სწავლია, და თითქოს ამბობს: ჩვენ უდიდესი ვიარეთ; დაიწყეთ თავიდან, სულ უბრალოდ, ადამიანურად — ის მაინც სასუფეველიან ექვს გამოთქვას იმ „შესაძლებლობათა“ თაობაზე, რომლითაც მიამიტად თავი მოაქვს წინააღმდეგობებით დასავლეთის საზოგადოებას. ეს, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებთ იმ ტოტალურ მსხდომთ, რომელსაც წარმოსახვითი ხერხით ხერხავს ბიოლი.

**რამანსისტული შხაში**

„წიგნები, რომლებიც დაიშახსურებენ თქვენს ნდობას“ — ასეთი რეკლამით ხვდებოდა გამოცემლობა „ფრინც-შლის ტემპარ-ფერლაგის“ სტინდენსხეველებს მორიგ ყოველწლიურ გამოფენაზე მაინის ფრანკფურტში. მაგრამ ის, რასაც ამ რეკლამის თანახმად ხაყილდა თავაზობენ, არსებითად არაფრით განირჩეოდა ჰებელსის პროპაგანდის ნაყალბეთაგან.

„დემზობა თუ არა კომუნისმი“ „დიდი აღმართალი რედერი“ „გუარისკაცი საკურთხეველსა და ზმალს შორის“, „გადამლობი ცეცხლის სახელით“ — აი რამდენიმე დასახელება იმ ლიტერატურული ნაგავიდან, რომელიც წარმოდგენილი იყო გამოფენაზე. პრენის ცნობებით, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის რვეან-შისტული შხაშით ამ მასიურ მოწამვლაში მონაწილეობენ სხვა გამოცემლობებიც — „შოუცი“ (ჰეტინგენი), „ველსერმიული“ (მიუნხენი), „მიტლერი“ (მაინის ფრანკფურტი), „კედერი“ (იუნგაიმი) და ცხადია, ცნობილი „აბელფერლაგი“, რომელიც დიდი ხანია დახელოვნებულია ფაშისტური ლიტერატურის გამოცემაში.



დემოკრატიული პრესის სიტყვით, გამოფენა მაინც ფრანკფურტში სარკესავით ასახავს დასავლეთ გერმანიის წიგნის ბაზარს, ისევე, როგორც თვით დასავლეთ გერმანიის ფაშიზმისა და მილიტარიზაციის პროცესს.

### შტემლეს დოკუმენტური ფილმი

დასავლეთგერმანული რეჟისორი და სცენარისტი რობერტ შტემლე (მას ეკუთვნის 1949 წელს დეფას მიერ გადაღებული „ბლიუმის აფორის“ სცენარი) იღებს დოკუმენტურ მხატვრულ ფილმს — „გერმანია, აი შენი სასწაული“, რომელშიც კრიტიკულადაა ასახული დასავლეთ გერმანიის თანამედროვე ცხოვრება. ფილმი, რომელსაც თან დაერთვება სატირული კომენტარი, ასახავს მიმდებარეობს 1945 წლიდან დღემდე. „მასალა საკმაოდ უხვია“, — განაცხადა შტემლემ.

### ინგლისი

#### ახალი წინადაც

ახალგაზრდა ინგლისელმა მწერალმა ალან სილიტომ, რომლის პირველი რომანი „შაბათ საღამოს და კვირა დღით“ დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა და ამავე სახელწოდების ფილმსაც დაედო საფუძვლად, გამოაქვეყნა ახალი რომანი — „კარის გახალისება“. „ალან სილიტო თავისი გახალისებით ახალ კარს ადებს“ — ასეთი სათაური აქვს „დეილი უორკერსი“ მოთავსებულ რეცენზიას. მის პირველ რომანში გამოყვანილია მუშა სიტყვების ოჯახი. წიგნის გმირია არტურ სიტონი, პოლიტიკურად ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ადამიანი, რომელმაც შეიცნო რაღაც სიცუდე კაპიტალისტურ სისტემაში და თავისებურად აღსდგა მის წინააღმდეგ. „კარის გახალისება“ გამოყვანილია იგივე ოჯახი, რომელსაც ამჟამად რომანის

გმირია არა არტური, არამედ მისი უფროსი ძმა ბრაიენი — უფრო ღრმა და საზრისიანი კაცი. რეცენზენტის აზრით, ძმების ამ სხვადასხვაობის მიზეზი თვით მწერლის მზარდ შემოქმედებაში უნდა ვეძებოთ. პირველ რომანში შეიმღებოდა ავტორისათვის გვესაყვედურა, რომ სიტონები არ არიან ინგლისის მუშათა კლასის ტიპური წარმომადგენლები. ახალი რომანის კითხვისას კი — რეცენზენტ კეტლის აზრით — მან ვეღარ ვუსაყვედურებთ. ბრაიენი უკვე ნათლად ხვდება, ვინ არის მისი მტერი. როცა ის მალაიაში იბრძვის, როგორც ინგლისელი ჯარისკაცი, საბოლოოდ რწმუნდება, თუ რა არის იმპერიალიზმი; ბრაიენი უარს ამბობს მალაიელი კომუნისტის მოკვლაზე, რადგან ნოტინემის მუშათა გაჭირვება და მალაიელი სატირისტების ბრძოლა მის შეგნებაში უკვე ერთი ჯაჭვის რგოლებია. სილიტო მარტო ნიჭიერი მწერალი როდია, ის მშვიდობის დაცვის მოძრაობის აქტიური მონაწილეა. კრიტიკის აზრით მწერლის სტილი რომანი გაცილებით უფრო სრულყოფილია პირველზე, ესაა პოლიტიკური რომანი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, წიგნი, რომელიც პოლიტიკის მეშვეობით გვაჩვენებს ადამიანთა ხასიათების, ადამიანთა ხასიათების მეშვეობით კი პოლიტიკურ პირობებს.

ცნობილი მწერალმა ენგუს უილსონმა გამოსცა ახალი რომანი — „მოზულები ზოოპარკში“. მოქმედება ხდება ინგლისში 1970 წელს. რომანის პოლიტიკური ფონია ომი დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ფედერაციას შორის. ინგლისი დამარცხებულია და ძალაუფლება დროებით ხელთ იგდეს ფაშისტებმა, რომლებმაც ლონდონის ზოოპარკი აქციეს თანამედროვე კოლონიუმად — გარეულ მხეცებს პოლიტიკუ-

რი პატიმრებით კვებავენ. ეს — კრიტიკის შეფასებით, ნიჭიერად და ორიგინალურად დაწერილი წიგნი ასახავს ავტორის შიშს, რომელსაც იზიარებს ინგლისელი ხალხი. რომანში გამოყვანილია მოხუცებმა უნდა განახლებონ ისინი, ვინც ამჟამად მართავს დიდ ბრიტანეთს და ვისაც უილსონი უსაყვედურებს პოლიტიკურ ეგოიზმსა და დანაშაულებრივ სიბეცეს. მწერალი ამ რომანში გამოთქვამს ლიბერალი ინგლისელი ინტელიგენტის შეფოტებას, მაგრამ აღეგორიათა დიდი დოზა ანელებს მისი ანალიზისა და ირონიული სკეპტიციზმის ქმედითობას.

ამერიკული „საშინელებათა წიგნები“ გაძლიერებით ვრცელდება ინგლისში და „სისხლიან კომარათა მეფის“ მიკი სპილინის წიგნი ამჟამად უკვე ინგლისურ გამოცემებში გაჩნდა მალაიების თაროვზე. ლაპარაკია სპილინის უკანასკნელ დეტექტივზე — „ღრმა“. „ღრმა“ — სარკასტულად შენიშნავს „დეილი უორკერის“ რეცენზენტი ფორსტერი — არის სიტყვა, რომელიც ყველაზე ნაკლებად ახასიათებს ამ ოპუსს. ესაა განგსტერის მეტახალი; კრიტიკოსის შენიშვნით, სპილინის წიგნის შინაარსის გადმოცემა იქნებოდა იმ გვამების უბრალო ჩამოთვლა, რომლითაც მოფენილია გმირის გზა. „ყველაზე საშინელება ისაა, — ამთავრებს რეცენზენტი, — რომ სპილინი სერიოზულად ცდილობს თავისი განგსტერები თითქმის რაინდებად გამოიყვანოს“.

კალის უილსონის ახალმა





წიგნმა — „სოხოში, განგებისა და გარემოებათა ნებით“ ბევრი ინგლისელი კრიტიკოსის მოწონება დაიმსახურა. ესაა ისტორია ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ბედის საძიებლად პროვინციიდან ლონდონს ჩავიდა და პირველი ნაბიჯები დედაქალაქში ნახევრადმშვიერი ბოქმის გარემოცვაში გადადგა. ყოველგვარი „ტაიმს ლიტერარი საკლემენტის“ რეცენზენტი წერს, რომ ჩვეულებრივად კოლინ უილსონი, ერთ-ერთი „გაჯერებული ახალგაზრდათაგანი“, თავის აზრებს მრავალრიცხოვანი ციტატებით გადმოგვცემს ხოლმე, ამ წიგნს კი წერს უბრალო, ნათელი ენით. „აქ ყველაფერი კონკრეტულია: სახეები, დიალოგები, სურათები. ყველაფერი გაკეთებულია იმდენად კარვად, რომ თხრობა არაჩვეულებრივად ცოცხალი და მიზიდველი გამოვიდა. მისტერ უილსონმა თავის თავს გადააქარბა“. გმირის თავგადასავლის თხრობისას მკითხველი ლონდონს თითქოს უკანა მხრიდან ეცნობა.

**ოლივიუს ახალი ფილმი**

ლოურენს ოლივიემ გადაიღო ახალი ფილმი — „პროცესის ერთი წამი“, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს სიმონა სინიორე. მსახიობმა განაცხადა, სიამოვნებით დათანხმდებოდა მეორეხარისხოვან როლზეც, ოღონდ კიდევ ერთხელ მეთამაშა ოლივიუს ფილმში.

**იტალია**

**პიკოლო ტაბაროს იუგოსლავიაში**

მსოფლიოში სახელმწიფოებრივი თეატრი პიკოლო ტაბარო (მცირე თეატრი) წელს თავის 15 წლისთავს შეიშობს.

თეატრი თავის დიდ წარმა-

ტებას უნდა უმადლოდეს თავისებურ სტილს და პარმონიულ პროგრამას. ამ თეატრის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია იტალიური თეატრის რეალისტური და ნაციონალური ტრადიციების ჩვენება (მთ შორის ვერვას და გოლდონის პიესები), აგრეთვე იტალიელი საზოგადოებისთვის პროგრესული უცხოური დრამატურგიის გაცნობა, (ბერთოლდ ბრეხტის „შვეიცია მეორე მსოფლიო ომში“ და „სამგროშინი ოპერა“ დიდი წარმატებით დაიდგა).

წელს თეატრის დირექტორს ჯორჯო სტრედერს განზრახული აქვს დადგას არტურ მილერის „ორი ორშაბათის გახსენება“ და ბრეხტის „გამონაკლისი და წესი“. ზაფხულის დამდეგს მილანის სვორცის ციხეღარბაზის საზაფხულო თეატრში დაიდგმება იტალიური დრამატული პოეზიის შედეგური, მანცონის პიესა „გრავი კარმანიოლა“.

გარდა ამისა პიკოლო ტაბარო ფართო კულტურულ მოღვაწეობას ეწევა. მის თეატრალური ხელოვნების სკოლაში სახელგანთქმული პროფესორები ასწავლიან; ხშირად ეწყობა თეატრალური დისკუსიები და მასურებელთა აზრის ოფიციალური გამოკითხვა.

**„რომაული ოპრა“**

პროგრესული იტალიელი კინორეჟისორის კარლო ლიძანის ახალ ფილმს „რომაულ ოპრას“ საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი: 1948 წელს ფაშისტებმა რომაელ ებრაელებს გამოსასყიდი მოსთხოვეს 50 კგ ოქრო, მაგრამ როცა ეს ოქრო ჩაიბარეს, მაშინვე შეუდგნენ ებრაელების დეპორტირებას. მთავარ როლებს ასრულებენ ანა მარია ფერერო და ანდრეი კეპი.

**ფილმი მარკო პოლოზი**

დაიწყო იტალია-საფრანგეთის ერთობლივი ფილმის

„მარკო პოლოს მოგზაურობის“ გადაღება. სურათს რამდენიმე ზგუფი ერთდროულად იღებს ბელგრადის ახლოს, ნეპალში, ინდოეთსა და იაპონიაში.

**ნიგერია**

**„კეთილშობილი ხის პატარა შტო“**

ნიგერიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ჟურნალისტ ონორე ნუევეუს პირველ რომანს — „კეთილშობილი ხის პატარა შტო“, რომანის გმირი — ნიგერიელი პიტ ობიესი, ისევე როგორც ავტორი, ჟურნალისტად მუშაობს ლაგოსში და კარგა ხანია მოწყვეტილია თავისი ტომის ცხოვრებასა და ზნეჩვეულებებს. მიუხედავად ამისა, მას არ ძალუძს საბოლოოდ გაწვეტოს კავშირი წარსულთან, თავის ტომთან.

ჟურნალ „უესტ აფრიკას“ კრიტიკოსის აზრით, რომანში ზედმწიფვნი წვრილად, ლამაზად და რეალისტურადაა აღწერილი ადამიანი და ზნეჩვეულებანი ონიშტას ტომისა, რომელსაც მიეკუთვნება რომანის გმირი. ონორე ნუევეუს შესწლო ეჩვენებინა დღევანდელი ნიგერიის ცხოვრება.

**პოლონეთი**

**პრუსის მუზეუმი**

ქალაქ ნალენჰოვი საზეიმოდ გაიხსნა ცნობილი პოლონელი მწერლის ბოლესლავ პრუსის მუზეუმი იმ სახლში, სადაც მწერალი ზაფხულობით ცხოვრობდა ხოლმე. მუზეუმში თავმოყრილია მისი ნაწარმოებების ხელნაწერები, პირველი გამოცემები, უცხო ენებზე ნათარგმნი ნაწარმოებები, აგრეთვე უამრავი სუვენირი. ყველაფერი, რაც აქაა თავმოყრილი, კერძო პირთა შენაწარმია, ვინაიდან ნაციტები შეგნებულად ანადგურებდნენ ყველა პოლონურ ბიბლიოთეკასა და არქივს.

### რუმინეთი

#### პოპესკუ-გოგოს მომავალი სურათი

ნახატი ფილმების რუმინელ-მა შემოქმედმა იონ პოპესკუ-გოგომ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა თავისი ფილმებით — „Homo Sapiens“ და „სამყაროს მოკლე ისტორია“. ამას წინათ მან დაასრულა თავისი პირველი მხატვრული ფილმი — „დაიკარგა ბოში“, რომლის მოქმედება ხდება უსახელო კაპიტალისტურ ქვეყანაში და ასახავს მშვიდობის დაცვის ყველაზე აქტუალურ პრობლემას. თუმცა ამ ფილმში მსახიობები მონაწილეობენ, მაგრამ არც ერთი მათგანი ხმას არ იღებს და გამოყენებულია ტრიუკებიანი კინემატოგრაფიის აუარბეა ნაირ-ნაირი ხრიკი. ამჟამად პოპესკუ-გოგო ამზადებს ახალ ნახატ ფილმს — „ურთიერთგაგება“, რომელშიც ნაჩვენებია იქნება, თუ აღამიანები იმთავითვე, საუკუნეების მანძილზე როგორ ისწრაფოდნენ ურთიერთგაგებისაკენ და როგორ აღწევდნენ კიდევ ამას.

#### ხის ძანდაკამბი მართულ თემასზე

ქ. კლუუში (რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის უნგრული ავტონომიური ოლქი) გაიხსნა გამოჩენილი რუმინელი მოქანდაკის ენე სერვატიუსის ნაშუუვართა გამოფენა. სერვატიუსი ქანდაკებებს ხისგან აკეთებს; ის იყენებს აგრეთვე ტერაკოს, მარმარილოს, ჩამოსხმულ თუჯს, მაგრამ უმეტესობა მინც ხისგანაა, კერძოდ, ფერადი ხისგან.

სერვატიუსის ხელოვნება მთლიანად საწყალი დაამიანის სამყაროს ეძღვნება. ამ ბოლო წლებში ის ძირითადად ხალხური ლეგენდებისა და ბალადების თემებს იყენებდა. რუმინული და უნგრული თემათკის გარდა ის მიმართავს

ქართულ ხალხურ პოეზიასაც („ლატაკი და არწივი“ და სხვ.), ინდურ ზღაპრებს და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მრავალფეროვანი კომპოზიციები. სერვატიუსს შექმნილი აქვს 700-ზე მეტი ქანდაკება, რომლებმაც მხატვარს დამსახურებული წარმატება მოუტანა.

### სამხრეთ ავრიკის ტაშმირი

#### პიესა რასიზმზე

ლონდონის ვაჭეთ „ტიმისის“ სიტყვებით, სამხრეთ ავრიკის რესპუბლიკაში გაჩნდა პირველი თვალსაჩინო დრამატურგი ატოლ ფოუგარდი, ავტორი და რეჟისორი პიესა „სისხლიანი კვანძისა“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. პიესაში ნაჩვენებია ორი ძმის ცხოვრება; ერთი, რომელსაც უფრო ღია ფერის კანი აქვს, ცდილობს „ეთერკანიადა“ გაასაღოს თავი, მაგრამ არაფერი გამოუდის. ორივე ძმა წარმოუდგენელ სილატაკეში ცხოვრობს იოპანესბურგის ვარეუბანში, ზანგთა დაბაში. ვაჭეთი მოწონებით აღნიშნავს პიესის სტრუქტურას, ცოცხალ დიალოგს და დოკუმენტურ სიჭუსტეს. ფოუგარდი თვითონ თერთკანიაია, მან ცხოვრების მძიმე და მრავალფეროვანი გზა გაწვლო, რამაც ხელი შეუწყო თავი დაედწია რასობრივი ცრურწმენებისთვის. ფოუგარდი ერთ-ერთი ფუძემდებელია თეატრისა და მუსიკის აფრიკული ასოციაციისა, რომელშიც ერთად მუშაობენ და მონაწილეობენ ორივე რასის წარმომადგენლები, თუმცა პოლიციის დევნის საფრთხე ეივლით. ფოუგარდის პიესის წარმატება მოწმობს სამხრეთაფრიკელების შეგნებულობის ზრდას და საყურადღებო გამოშახელობითი საშუალებების ძიებას.

### საფრანგეთი

#### პიერ კურტაღის ახალი რომანი

პროგრესულმა ფრანგმა მწერალმა პიერ კურტაღმა დაწერა ახალი რომანი „წითელი მოედანი“, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა ევოლუცია განიცადა ორი ახალგაზრდა ფრანგის მსოფლმხედველობა ისტორიული მოვლენების გავლენით. ერთი მათგანი, სიმონი, რომელიც 1935 წელს შესძრა ფილმმა „გავწონასანი პოტიომკინი“ და თელი თავისი შემდგომი ცხოვრების მანძილზე ცდებოდა, ეძიებდა, არკვევდა სიმართლეს, თავის იდეოლოგიურ განვითარებაში მიღის იქამდე, რომ 1958 წელს ხვდება წითელ მოედანზე მოსკოვში. მეორემ, კაზომ, რომელიც თავდაპირველად ხელმძღვანელობდა ძმის სულიერ განვითარებას, ომის, ყოპაციისა და ომისშემდგომ წლებში დაჰკარგა მთელი თავისი „რევოლუციური იდეალიზმი“ და ვერ მოუწვდებია სკკ XX ყრილობა. პროგრესული კრიტიკა მოწონებით შეხვდა ამ რომანს და აღნიშნა მისი სიმართლე, გულწრფელობა, რეალიზმი და ჰუმანიზმი, აგრეთვე ენისა და სტილის სიმდიდრე.

#### სიცოცხლის უფლება

იტალიის სოციალისტური ვაჭეთის „ავანტის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ფრანგმა მწერალმა უან-პოლ სარტრმა განაცხადა: „როცა ვხედავ, რომ ორი აფრიკელი იციან, მებადება ფანი, რომ მათ არა აქვთ სიცოცხლის უფლება. უღეს ყოველმა ფრანგმა იცის, რომ ალფორში აწამებენ, ჰკლავენ, ფეხქვეშ თელავენ კაცურ ღირსებას... ფრანგებს ვერა აქვთ სიცოცხლის უფლება, ვიდრე ბოლო არ მოედება კოკელივე



ამას. სარტრი დასძენს: „როცა იცინის ორი იტალიელი, ყველაფერი რიგზეა, მათ აქვთ ამის უფლება. რა თქმა უნდა, იტალიაში არსებობს ექსპლოატაცია, ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობა, მიმდინარეობს ბრძოლა, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად იტალია არის „ნორმალური“ ქვეყანა, რომელიც ცხოვრობს, ვითარდება და სადაც შეიძლება ბრძოლას უწოდო „ნორმალური“. იტალიელები ძალზე მოხარულნი უნდა იყვნენ, თვითნათი კოლონიები რომ დაკარგეს“.

შემდეგ სარტრი შეეხო „დემოკრატის აგონიას“ საფრანგეთში და ამასთან დაკავშირებით თქვა: „მე კომუნისტი არავარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ორგანულად და დიალექტიკურად დაკავშირებული ვარ მათთან. დღევანდელი მათთვის არსებობს მხოლოდ ერთი პრობლემა: ფაშისმიხა და დე-გოლის წინააღმდეგ საერთო ფრონტის პრობლემა, ვინაიდან ყოველივე, რაც ჩვენში ხდება, განხილული უნდა იქნას ალჟირში მიმდინარე ომის პერსპექტივებთან“. დასასრულ სარტრმა დაუფარავად თქვა, რომ საფრანგეთის კომპარტის ძალის გარეშე საფრანგეთის მემარცხენე ფრონტი დაუძღვრებული იქნებოდა.

**მომხატიალ კინოთეატრი**

სოფლების მომსახურებისთვის შეიქმნა მოძრავი კინოთეატრი „იტინერამა“. გასაბერი რეჟინის კარვის მეოხებით 8 წუთში იქმნება ექვსსართულიანი სახლის სიმაღლე კინოთეატრი, რომელიც 3.000 მაყურებელს იტევს. ეს კინოთეატრი მოემსახურება სოფლებს და იმ ადგილებს, სადაც აუცილებელი არაა მუდმივი კინოთეატრის აგება.

**სენეგალი**

**რომანი აფრიკელ მუშაზე**

ამას წინათ საფრანგეთში გამოვიდა სენეგალიელი მწერლის სემბენ უსმანის რომანი — „უფლის თითები“. 38 წლის მწერალი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში ბოლომდე იბრძოლა, ხოლო შემდეგ გაიარა კლასობრივი ბრძოლასა და ჩაგვრის მიმეც სკოლა, როგორც დოკტრმა, თანამედროვე აფრიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება. ჯერ კიდევ მისი პირველი რომანი — „ჩემი მშვენიერი სამშობლო, ჩემი საუცხოო ხალხი“, სადაც დახატულია სენეგალელი გლეხკაცობის ცხოვრება, დიდი ინტერესით მიიღო სასოგადოებაში, ხოლო ახალი რომანი, სადაც აშკარად ნაჩვენებია დასავლეთაფრიკელი პროლეტარიატის ცხოვრება, შესანიშნავად დანახული-დახატული ხასიათებისა და დაწურული, ძლიერი სტილის წყალობით შეფასდა, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები.

სემბენ უსმანის სამშობლოს ჯერ კიდევ არ გააჩნია დემოკრატიული ლიტერატურული ენა, ამიტომ მწერალი თავის ნაწარმოებებს ფრანგულ ენაზე ქმნის. მაგრამ მისი ნაწერები მაინც აღწევს სენეგალის ხალხთან. აზიისა და აფრიკის მწერალთა კონფერენციაზე ტაშენტში თვითონ მწერალმა უამბო მსმენელებს, თუ როგორ წაიკითხა თავისი პირველი რომანი დაკარას ერთ-ერთ მუშათა კვარტალში, და თან, კითხვისას, იქვე უთარგმნიდა მათ ენაზე. ამის შემდეგ რომანი ხალხური წააპირვით

შეპირსიტყვაობით გავრცელდა და მას გაეცვენ ისეთი აღმანიებიც, რომელთაც, უთუოდ, არასოდეს ყურმოკვრითაც კი არ გაუგიათ, ასეთი ავტორი არსებობსო.

**ჩეხოსლოვაკია**

**თოჯინების ფილმის წარმატება**

ნიუ-იორკის უამრავ კინოთეატრში დიდი წარმატება ხვდა თოჯინების სახელგანთქმული ჩეხოსლოვაკი ხელოვანის ირუი ტრნკას ფილმს — „წაფხულის დამის სიზმარი“ (შექსირის მიხედვით). პრესის აზრით, „ესაა მომზობლობით აღსავსე, ორიგინალური ცდა; რეჟისორმა შექმნა შესანიშნავად გაცოცხლებული დიდებული სახეები; შექსირის მაგიურ პოეზიას ბრწყინვალედ შეერწყა კინემატოგრაფიული ხელოვნების ახალი დარგი, რომელიც ირუი ტრნკას გენიამ შექმნა“.

**კურტ ჰოფმანი პარალაზი**

ცნობილი დასავლეთგერმანელი კინორეჟისორი კურტ ჰოფმანი, რომელსაც მკუთვნის ფილმები: „ჩვენ ვუნდერკინდები ვართ“, „შესასრტის მოჩვენებანი“, პრალაში ამთავრებს თავის ახალ ფილმს — „სახლი კობრის ქუჩაზე“. ფილმში უმთავრესად გვიჩვენებს ჩეხი სტუდენტების ბედობლობს, როცა ფაშისტმა ოკუპანტებმა 1939 წელს დახურეს ჩეხური უნივერსიტეტები. მთავარ როლებს შეასრულებენ ჩეხი მსახიობები იანა ბრეიხოვა და ივან მისტრიკი.





ՅՆՆ ՅՅ ՅՅՅ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ՏԱԲՉՈՒՄ ԻՇԵՐԱԼԻ“